

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი
ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეებზე
2008, №3

ადმინისტრაციული აქტი

1. სარჩელის დასაშვებობა

- აქტის კანონიერების შემოწმება, ბათილად ცნობა
- თანამდებობაზე აღდგენა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურება
- სარჩელის დასაშვებობის შემოწმება
- ტრანსპორტის სფეროში ტარიფების განსაზღვრა
- ტყით სარგებლობის უფლება
- უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვა
- უცხოელთა საქართველოდან გამეცვების წესი

2. ადმინისტრაციული აქტის ბათილად ცნობა

- ადმინისტრაციული აქტის ბათილად ცნობის წინაპირობა
- დაინტერესებული მხარის მონაწილეობა ადმინისტრაციულ წარმოებაში
- ზიანის ანაზღაურება
- იარაღის ტარებისა და ფლობის შენარჩუნება
- იურიდიული პირის უფლებაუნარიანობა
- ლიცენზია; ნებართვა
- მინდობილობა
- ნასყიდობის ხელშეკრულება
- საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსის მინიჭება

1. სარჩელის დასაშვებობა

ტრანსპორტის სფეროში ტარიფების განსაზღვრა

განჩინება

#ბს-690-277(კ-05)

18 იანვარი, 2006 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ნ. ქადაგიძე,

ნ. სხირტლაძე

დავის საგანი: ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა.

აღწერილობითი ნაწილი:

2004 წლის 24 დეკემბერს შპს «ჩენელ ენერჯი ლიმიტედ საქართველომ» სარჩელით მიმართა თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულ სასამართლოს მოპასუხეების: საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსა და შპს «საქართველოს რკინიგზის» მიმართ, მესამე პირების: ეკონომიკური განვითარების სამინისტროსთან არსებული ფასების სახელმწიფო ინსპექციისა და საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ანტიმონოპოლიური სამსახურის მონაწილეობით და მოითხოვა ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს 2002 წლის 3 იანვრის #1 ბრძანების მესამე პუნქტისა და «საქართველოს რკინიგზის» 2004 წლის 5 ივლისის #56/ნ ბრძანების ბათილად ცნობა. მოსარჩელე მიუთითებდა შემდეგს:

2002 წლის 3 იანვარს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტრომ გამოსცა #1 ბრძანება «საქართველოს რკინიგზის 2002 წლის საფრახტო პოლიტიკის შესახებ». ბრძანების მოქმედების ვადად განსაზღვრული იყო 2002 წელი, მაგრამ 2002 წლის 30 დეკემბერს #1 ბრძანებაში შევიდა ცვლილებები #74 ბრძანებით, რომლითაც ვადა გახდა განუსაზღვრელი და იგი ძალაშია დღესაც.

ამავე ცვლილების საფუძველზე, ნავთობისა და ნავთობპროდუქტების საერთაშორისო გადაზიდვებისას ჩამოყალიბდა ახალი, შედევითიანი მოცულობითი ტარიფები, რამაც 1 ტონა «ნედლი ნავთობის» გადაზიდვისათვის 5 აშშ დოლარი, ხოლო «ნავთობპროდუქტების» გადაზიდვისათვის - 7 აშშ დოლარი შეადგინა. აღნიშნული შედევითიანი ტარიფები გავრცელდებოდა იმ შემთხვევაში, თუ ტვირთმფლობელის მიერ ერთი წლის განმავლობაში სადგურ გარდაზნადან სადგურებამდე - ბათუმსა და ფოთამდე გადაზიდვებოდა შესაბამისად ერთი მილიონი ტონა ნედლი ნავთობი და/ან მილიონი ტონა ნავთობპროდუქტი.

2002 წლის 3 იანვრის #1 ბრძანების მე-2 პუნქტით დადგინდა, რომ «სატარიფო პოლიტიკით განსაზღვრული სატარიფო განაკვეთები და დამატებითი ანაკრებები წარმოადგენს ზედაზღვრულ ტარიფს», ხოლო ბრძანების მე-3 პუნქტით კი განისაზღვრა შემდეგი: «აღნიშნული ტარიფების ზედა ზღვრის ფარგლებში სამუშაოების და მომსახურების ტარიფების ცვლილება განხორციელდეს მეწარმე სუბიექტის მიერ არა უმეტეს კვარტალში ერთხელ. ამასთან, უზრუნველყოფილ იქნეს მოსალოდნელი ცვლილებების საჯარო გამოცხადება, მათ შორის, «საქართველოს რესპუბლიკაში» არანაკლებ 15 დღით ადრე მის ძალაში შესვლამდე». აღნიშნული ნორმების საფუძველზე «საქართველოს რკინიგზის» გენერალურმა დირექტორმა 2004 წლის 4 თებერვალს გამოსცა #8/ნ ბრძანება «ტვირთის გადაზიდვის ტარიფების შესახებ», რომლითაც ზემოაღნიშნული მოცულობითი ტარიფები ერთეულ ტონაზე გაიზარდა ერთი აშშ დოლარით და გახდა 6 აშშ დოლარი «ნედლი ნავთობისათვის» და 8 აშშ დოლარი «ნავთობპროდუქტისათვის». ეს ბრძანება ძალაში შევიდა 2004 წლის 5 მარტს.

2004 წლის 5 ივლისს «საქართველოს რკინიგზის» გენერალურმა დირექტორმა გამოსცა #56/ნ ბრძანება, რომლითაც ერთი წლის განმავლობაში სადგურ გარდაზნადან სადგურებამდე ბათუმსა და ფოთამდე 4 000 ტონა ან მეტი «ნავთობისა და ნავთობპროდუქტების» საერთაშორისო გადაზიდვებისას დადგინდა მოცულობითი ტარიფები: «ნედლი ნავთობისათვის» მთელი მოცულობის ერთ ტონაზე 5 აშშ დოლარის, ხოლო «ნავთობპროდუქტების» მთელი მოცულობის ერთ ტონაზე 7 აშშ დოლარის ოდენობით.

ამ ბრძანებით ასევე განისაზღვრა, რომ მოცულობითი ტარიფები შეიძლება თავიდან გავრცელდეს ტვირთმფლობელზე, თუ იგი წარმოადგენს პირველი კლასის ბანკის ან საერთაშორისო სადაზღვევო კომპანიის მიერ გაცემულ საბანკო გარანტიას, ან ქონებრივ გარანტიას შპს «საქართველოს რკინიგზისთვის» მისაღებ პირობებზე 4000 ათასი ტონა ტვირთის გადაზიდვის შემთხვევაში მიღებული შედევითების უზრუნველყოფისათვის. ტარიფების გამოყენების აუცილებელ პირობად ჩაითვალოს ტერმინალების მიერ წერილობითი ფორმით აღებული ვალდებულება ტვირთმფლობელის მიერ გადასახადი ზემოაღნიშნული მოცულობის ტვირთის ერთწლიანი პერიოდის განმავლობაში შპს «საქართველოს რკინიგზასთან» და ტვირთმფლობელთან შეთანხმებული პირობების მიხედვით

გადამუშავების თაობაზე. ეს ბრძანება გამოქვეყნდა გაზეთ «საქართველოს რესპუბლიკაში» 2004 წლის 6 ივლისს.

მოსარჩელის განმარტებით, რამდენადაც 2002 წლის 3 იანვრის #1 ბრძანების მე-3 პუნქტით მეწარმე სუბიექტს უფლება მიეცა სატარიფო პოლიტიკით განსაზღვრული ტარიფების ზედა ზღვრის ფარგლებში თავად შეეცვალა სამუშაოებისა და მომსახურების ტარიფები, სამინისტრომ მეწარმე სუბიექტს, ამ შემთხვევაში შპს «საქართველოს რკინიგზას», გადასცა უფლებები, რომლებიც მხოლოდ ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს პრეროგატივა იყო, რაც არაერთი კანონით და კანონქვემდებარე აქტით არის განსაზღვრული.

2002 წლის 3 იანვრის #1 ბრძანების გამოცემის დროისათვის მოქმედი «რკინიგზის ტრანსპორტის შესახებ» კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით დადგენილი იყო, რომ: «საქართველოს ფარგლებში მგზავრთა გადაყვანის, ტვირთის, ფოსტისა და ბარგის გადაზიდვის ტარიფებს ამტკიცებს ტრანსპორტის სამინისტრო ეკონომიკის სამინისტროსთან შეთანხმებით, ხოლო საერთაშორისო ტვირთზიდვის ტარიფები განისაზღვრება ქვეყნებს შორის არსებული ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების საფუძველზე». ამ კანონმა ძალა დაკარგა 2003 წლის 23 იანვარს, როდესაც ამოქმედდა საქართველოს სარკინიგზო კოდექსი, რომლის მე-10 მუხლით დადგინდა, რომ მგზავრთა გადაყვანის, ტვირთის, ბარგის, ტვირთ-ბარგისა და ფოსტის გადაზიდვის საფასურს რკინიგზა შეიმუშავებს გადაყვანა-გადაზიდვის მონაწილე მხარეთა ინტერესების გათვალისწინებით. საფასურის შემუშავებისას რკინიგზა ასევე ითვალისწინებს აღიარებულ საერთაშორისო პრაქტიკასა და გამოცდილებას ტრანსპორტის სფეროში სატარიფო პოლიტიკის ძირითად პრინციპებსა და ამოცანებზე, ხოლო საფასურის დამტკიცება ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელე აღნიშნავს, რომ ტარიფების დამტკიცება სამინისტროს უფლებაა და არა შპს «საქართველოს რკინიგზის» კომპეტენცია. ამ უკანასკნელის როლი მხოლოდ გადაზიდვის საფასურის შემუშავებით განისაზღვრება.

აღნიშნულს ადასტურებს ასევე «ფასებისა და ფასწარმოქმნის შესახებ» კანონი, რომლის მე-7 მუხლის მეორე ნაწილით (2001 წლის 20 ივლისს შესული ცვლილებების შემდეგ) განისაზღვრა, რომ ტრანსპორტის სფეროში ტარიფებს შეიმუშავებენ და ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს მიერ მათი სათანადო წესით დამტკიცების შემდეგ, არეგულირებენ საავტომობილო ტრანსპორტის, სარკინიგზო ტრანსპორტის, საზღვაო ტრანსპორტისა და სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციები შესაბამისი ნორმატიული აქტების საფუძველზე. ანალოგიურს ითვალისწინებს ამავე მუხლის მე-2 ნაწილის საბოლოო რედაქცია, რომელიც 2003 წლის 14 აგვისტოს შემდეგ ასეთი ფორმით ჩამოყალიბდა: ტრანსპორტის სფეროში ტარიფებს შეიმუშავებენ და სათანადო წესით დამტკიცების შემდეგ არეგულირებენ საავტომობილო ტრანსპორტის, საზღვაო ტრანსპორტის სარკინიგზო ტრანსპორტის და სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციები შესაბამისი ნორმატიული აქტების საფუძველზე.

მიუთითებდა ასევე პრეზიდენტის 2002 წლის 4 იანვრის #1 ბრძანებულებით დამტკიცებულ «ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს დებულების 3.1 მუხლის «ჟ» პუნქტზე, რომლის შესაბამისადაც სამინისტროს ფუნქციას განეკუთვნებოდა «ტრანსპორტის სფეროში სატრანსპორტო სისტემითა და საშუალებებით მომსახურების ტარიფების დამტკიცება».

საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის 20 მაისის #334 ბრძანებულებით დამტკიცდა ბუნებრივ მონოპოლიათა სახელმწიფო რეესტრი, რომლითაც საქართველოს რკინიგზა ბუნებრივ მონოპოლისტად არის მიჩნეული. ამავე ბრძანებულების მე-3 პუნქტით დადგენილია, რომ ეკონომიკის სამინისტრომ უნდა განახორციელოს ბუნებრივ მონოპოლიათა სახელმწიფო რეესტრში შესული სამინისტროების, უწყებების (საწარმოების) საქმიანობის ფასების რეგულირება და კონტროლი.

შპს «ჩენელ ენერჯი ლიმიტედ საქართველოს» მოსაზრებით, აღნიშნული მოწმობდა, რომ საქართველოს რკინიგზის, როგორც მონოპოლისტის, საქმიანობის ფასების რეგულირება და კონტროლი ეკონომიკის სამინისტროს მიერ უნდა მომხდარიყო. ამდენად, უდავო ხდებოდა ის გარემოება, რომ შპს «საქართველოს რკინიგზას» ტარიფის დადგენა თავად არ შეეძლო.

სარჩელში განმარტებულია, რომ ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტრომ მეწარმე სუბიექტზე ტარიფის შეცვლის უფლებამოსილების დელეგირებით დაარღვია როგორც ზემოაღნიშნული ნორმები, ასევე «ადმინისტრაციული ხელისუფლების სტრუქტურისა და საქმიანობის წესის შესახებ» კანონის მე-6 მუხლის მე-5 პუნქტი, რომლის თანახმად, სამთავრობო დაწესებულების კომპეტენცია დადგენილია კანონით ან კანონის საფუძველზე. სამთავრობო დაწესებულებას უფლება არა აქვს, გადასცეს სხვა სახელმწიფო ან არასახელმწიფო დაწესებულებებს უფლებები და მოვალეობები, რომლებიც მის კომპეტენციას განეკუთვნება, თუ კანონმდებლობით სხვა რამ არ არის დადგენილი.

მოსარჩელის მოსაზრებით, სამინისტრომ, გარდა დელეგირების უფლების არქონისა, დაარღვია ასევე ზემოაღნიშნული ნორმის ის მოთხოვნა, რომლითაც მეწარმე სუბიექტს მიეცა უფლება ცვლილება «საქართველოს რესპუბლიკაში» გამოქვეყნებინა, რადგან ტარიფების დადგენა ხდება ნორმატიული აქტით, რომელიც უნდა გამოქვეყნდეს «საკანონმდებლო მაცნეში» და გატარდეს ნორმატიული აქტების სახელმწიფო რეესტრში. აღნიშნულ პროცედურას ითვალისწინებს საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 17 მაისის #326 ბრძანებულებაც «ადმინისტრაციული ხელისუფლების აქტების მომზადების, გამოცემის, გამოქვეყნებისა და მოქმედების შესახებ», რომელიც, მოსარჩელის მოსაზრებით, ასევე დარღვეულია.

შპს «საქართველოს რკინიგზის» 2004 წლის 5 ივლისის #56/ნ ბრძანებულებასთან დაკავშირებით მოსარჩელე განმარტავდა, რომ მისი გამოცემისას შპს «საქართველოს რკინიგზა» მოქმედებდა როგორც ადმინისტრაციული ორგანო, ხოლო მისი დირექტორი, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის «ა» პუნქტის თანახმად, როგორც თანამდებობის პირი.

2004 წლის 5 ივლისის #56/ნ ბრძანება გამოცემულია არაუფლებამოსილი პირის მიერ უფლებამოსილების გადამეტებით, რაც, მოსარჩელის განმარტებით, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5 მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით აქტის ბათილობის საფუძველია, კერძოდ, სადავო ბრძანების გამოცემისას შპს «საქართველოს რკინიგზის» გენერალურ დირექტორს არ ჰქონდა ტარიფის შეცვლის უფლება, მიუხედავად იმისა, რომ მას სამინისტროს მიერ ამგვარი უფლებამოსილება მიენიჭა, რადგან ნორმატიული აქტების იერარქიის მიხედვით უფრო მაღლა დგას პრეზიდენტის ბრძანებულება და კანონი, რომელთა მიხედვითაც მეწარმე სუბიექტს ტარიფების შეცვლის უფლება არ გააჩნია.

მოსარჩელე აღნიშნავდა, რომ ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს 2002 წლის 3 იანვრის #1 ბრძანების მე-11 მუხლის მე-3 პუნქტით არსებული მოცულობითი ტარიფის მოქმედების ვადა განსაზღვრული იყო ერთი წლით და შეღავათს ითვალისწინებდა 500 ათასი ტონა ნედლი ნავთობის და ნავთობპროდუქტების გადატანის შემთხვევაში. 2002 წლის 30 დეკემბრის #74 ბრძანებით 500 000 ტონა შეიცვალა 1 000 000 (მილიონი) ტონით. ამ შეღავათის მოქმედების ვადაც ერთი წლით განისაზღვრა იმის გათვალისწინებით, რომ 2003 წლის 30 დეკემბრისათვის ახალი მოცულობითი ტარიფი არ იქნა დადგენილი, არსებულმა მოცულობითმა ტარიფმა კიდევ ერთი წლით გააგრძელა არსებობა. ამ გარემოებამ მოსარჩელეს შეუქმნა კანონიერი ნდობა იმისა, რომ მოცულობითი ტარიფის გაზრდა არ მოხდებოდა, რის გამოც მან ხელშეკრულებები გააფორმა ტვირთმფლობელებთან, გარკვეული შეღავათების მიღებით ერთი მილიონი ტონის გადაზიდვისათვის საჭირო დროის თვალსაზრისით. შპს «საქართველოს რკინიგზამ» კი ერთი მილიონი ოთხ მილიონამდე გაზარდა და ნავთობისა და ნავთობპროდუქტების გადაზიდვის ათვლას ნულოვანი ნიშნულიდან იწყებს. მოსარჩელის განმარტებით, ამგვარ გარემოში არ არსებობდა გარანტია, რომ შპს «საქართველოს რკინიგზა» მომავალშიც (7 თვის შემდეგ) ან უფრო ადრეც ისევ არ გაზრდიდა მოცულობას და უფრო მეტს არ მოითხოვდა. მისი თქმით, აღნიშნული ქმედება ეწინააღმდეგება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-9 მუხლის მე-2 ნაწილს.

მოსარჩელე მოიხმობს «მონოპოლიური საქმიანობის და კონკურენციის შესახებ» კოდექსის მე-7 მუხლსა და მე-8 მუხლის «ა» პუნქტს, რომლის თანახმადაც შპს «საქართველოს რკინიგზას», როგორც ეკონომიკურ აგენტს, ეკრძალება მიიღოს ისეთი გადაწყვეტილება, რომელიც ზღუდავს ერთ-ერთ მხარეს, მომარაგების წყაროების ან მომხმარებლების შერჩევაში. მოსარჩელე კი შეიზღუდა მომხმარებლის არჩევაში. სადავო ბრძანებით მოცულობითი ტარიფის თავიდანვე გავრცელება მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი თუკი ექსპედიტორი შპს «საქართველოს რკინიგზასთან» შეთანხმებულ პირობებზე ტერმინალისაგან მოიპოვებს წერილობითი ფორმით მიღებულ ვალდებულებას საჭირო ოდენობის ნავთობისა და ნავთობპროდუქტების გადამუშავების თაობაზე. ეს პირობა ქმნის საფუძველს კორუფციული ნიადაგის ჩამოსაყალიბებლად, რადგან ამა თუ იმ სუბიექტის შეხედულებაზე არის დამოკიდებული პირის კანონიერი უფლების რეალიზება და არღვევს «მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ» კანონის მე-13 მუხლით დადგენილ მოთხოვნებს.

საბოლოოდ მოსარჩელემ გასაჩივრებული ბრძანებების ბათილად ცნობა მოითხოვა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60 მუხლის პირველი ნაწილის «დ» პუნქტის თანახმად.

მოპასუხე შპს «საქართველოს რკინიგზამ» სარჩელი არ ცნო, მისი განმარტებით, მოსარჩელეს გაშვებული ჰქონდა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლით დადგენილი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გასაჩივრების ვადა - უშუალო ზიანის მიყენებიდან სამი თვე.

მოპასუხე აღნიშნავდა, რომ გასაჩივრებული ბრძანებების შესახებ მოსარჩელისათვის თავიდანვე ცნობილი იყო, რადგან ის გადაზიდვებს ახორციელებდა ამ ბრძანებებით დადგენილი ტარიფებით და ზიანი მას მათი გამოცემისთანავე მიადგა, მოსარჩელეს კი ზიანის მიყენებიდან სამი თვის ვადაში არ გაუსაჩივრებია ეს ბრძანებები, როგორც ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები. მოპასუხის განმარტებით, სამთვიანი ვადის გაშვება, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის თანახმად, სარჩელის დაუშვებლობისა და მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველს წარმოადგენდა.

მესამე პირის - ანტიმონოპოლიური სამსახურის წარმომადგენელთა განცხადებით, «ტრანსპორტის და კომუნიკაციების სფეროში სახელმწიფო მართვისა და რეგულირების წესის შესახებ» კანონის თანახმად «მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ» და «მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ» კანონების შესრულებაზე ზედამხედველობისა და კონტროლის განხორციელება ტრანსპორტის სფეროში საქმიანობის მარეგულირებელი ორგანოს - ადმინისტრაციის ფუნქციას წარმოადგენდა და ანტიმონოპოლიური სამსახურის კომპეტენციაში არ შედიოდა.

მოცემული საქმე თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს მიერ განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა თბილისის საოლქო სასამართლოს.

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის 2005 წლის 15 მაისის განჩინებით შეჩერებულად ჩაითვალა შპს «საქართველოს რკინიგზის» 2004 წლის 5 ივლისის #56/5 ბრძანება.

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის 2005 წლის 16 მარტის გადაწყვეტილებით შპს «ჩენელ ენერჯი ლიმიტედ საქართველოს» სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ და ბათილად იქნა ცნობილი შპს «საქართველოს რკინიგზის» 2004 წლის 5 ივლისის #56/5 ბრძანება. სასამართლომ დადგინდად მიიჩნია შემდეგი:

2002 წლის 3 იანვარს ტრანსპორტის და კომუნიკაციების სამინისტრომ გამოსცა (კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი) #1 ბრძანება «საქართველოს რკინიგზის» 2002 წლის საფრახტო პოლიტიკის შესახებ». ბრძანების მოქმედების ვადად განისაზღვრა 2002 წელი. 2002 წლის 30 დეკემბერს იმავე სამინისტრომ #74 ბრძანებით ცვლილებები შეიტანა #1 ბრძანებაში და ამ ბრძანების ვადა გახადა განუსაზღვრელი. ცვლილებების თანახმად, ასევე დადგინდა შეღავათიანი ტარიფები ნავთობისა და ნათვობპროდუქტების საერთაშორისო გადაზიდვებისას: ერთი ტონა «ნედლი ნავთობის» გადაზიდვებისათვის 5 აშშ დოლარი, «ნავთობპროდუქტებისათვის» - 7 აშშ დოლარი. შეღავათიანი ტარიფის გავრცელებისათვის ტვირთმფლობელს (ექსპედიტორს) ერთი წლის განმავლობაში სადგურ გარდაზნიდან სადგურებამდე - ბათუმსა და ფოთამდე უნდა გადაეხიდა შესაბამისად ერთი მილიონი ტონა ნედლი ნავთობი ან/და ერთი მილიონი ტონა ნათვობპროდუქტი. ბრძანების მე-2 პუნქტით დადგინდა, რომ «სატარიფო პოლიტიკით განსაზღვრული სატარიფო განაკვეთები და დამატებითი ანაკრებები წარმოადგენს ზედაზღვრულ ტარიფს», ხოლო ბრძანების მე-3 პუნქტით კი განისაზღვრა, რომ აღნიშნული ტარიფის ზედა ზღვრის ფარგლებში სამუშაოებისა და მომსახურების ტარიფების ცვლილება უნდა განხორციელდებოდა მხოლოდ მთავარი სუბიექტის მიერ არა უმეტეს კვარტალში ერთხელ. ამასთან, უზრუნველყოფილი იქნებოდა მოსალოდნელი ცვლილებების საჯარო გამოცხადება, მათ შორის - «საქართველოს რესპუბლიკაში» არანაკლებ 15 დღით ადრე მის ძალაში შესვლამდე.

აღნიშნული ბრძანების საფუძველზე შპს «საქართველოს რკინიგზამ» 2004 წლის 5 ივლისს გამოსცა #56/5 ბრძანება «ტვირთის გადაზიდვის ტარიფების შესახებ», რომლითაც ერთი წლის განმავლობაში სადგურ გარდაზნიდან სადგურებამდე - ბათუმსა და ფოთამდე 4000 ათასი და მეტი ტონა «ნავთობისა და ნათვობპროდუქტების» საერთაშორისო გადაზიდვისას დადგინდა მოცულობითი ტარიფები «ნედლი ნავთობისათვის» მთელი მოცულობის ერთ ტონაზე 5 აშშ დოლარის, ხოლო «ნავთობპროდუქტებისათვის» - მთელი მოცულობის ერთ ტონაზე 7 აშშ დოლარის ოდენობით. ამ ბრძანებით ასევე განისაზღვრა, რომ «მოცულობითი ტარიფები შეიძლება თავიდანვე გავრცელებულიყო ტვირთმფლობელზე, თუ იგი წარმოადგენდა პირველი კლასის ბანკის ან საერთაშორისო სადაზღვევო კომპანიის მიერ გაცემულ საბანკო გარანტიას, ან ქონებრივ გარანტიას შპს «საქართველოს რკინიგზის-სათვის» მისაღებ პირობებზე 4000 ათასი ტონა ტვირთის გადაზიდვის შემთხვევაში მიღებული შეღავათების უზრუნველყოფისათვის. ეს ბრძანება გამოქვეყნდა გაზეთ «საქართველოს რესპუბლიკის» 2004 წლის 6 ივლისის ნომერში.

«ფასებისა და ფასწარმოქმნის შესახებ» კანონის მე-7 მუხლის მეორე ნაწილით «ტრანსპორტის სფეროში ტარიფებს შეიმავავენებენ და ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს მიერ მათი სათანადო წესით დამტკიცების შემდეგ არეგულირებენ საავტომობილო ტრანსპორტის, სარკინიგზო ტრანსპორტის, საზღვაო ტრანსპორტისა და სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციები შესაბამისი ნორმატიული აქტების საფუძველზე».

საქართველოს პრეზიდენტის 2002 წლის 4 იანვრის #1 ბრძანებულებით დამტკიცებული «ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს დებულების» 3.1 მუხლის «ჟ» პუნქტის შესაბამისად, სამინისტროს ფუნქციას განეკუთვნებოდა «ტრანსპორტის სფეროში სატრანსპორტო სისტემითა და საშუალებებით მომსახურების ტარიფების დამტკიცება».

ზემოაღნიშნული საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებიდან გამომდინარე, სარკინიგზო ტრანსპორტის სფეროში ტარიფების დამტკიცების უფლება გააჩნდა ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს. რკინიგზის უფლებამოსილება კი შემოიფარგლებოდა მხოლოდ ტარიფების შემუშავებით. «ფასებისა და ფასწარმოქმნის შესახებ» კანონით ტარიფების რეგულირების უფლება მიენიჭა სარკინიგზო ტრანსპორტის ადმინისტრაციას, რომელიც სხვა ადმინისტრაციებისაგან განსხვავებით დღესაც არ არის შექმნილი. ამ კანონის თანახმად, ადმინისტრაციის არსებობის (შექმნის) შემთხვევაშიც კი ტარიფის რეგულირების და არა დადგენის ან დამტკიცების უფლება ადმინისტრაციას ეძლევა მხოლოდ შესაბამისი ნორმატიული აქტის საშუალებით.

«ადმინისტრაციული ხელისუფლების სტრუქტურისა და საქმიანობის წესის შესახებ» კანონის მე-6 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად: «სამთავრობო დაწესებულების კომპეტენცია დადგენილია კანონით ან კანონის საფუძველზე. სამთავრობო დაწესებულებას უფლება არა აქვს, გადასცეს სხვა სახელმწიფო ან არასახელმწიფო დაწესებულებებს უფლებები და მოვალეობები, რომლებიც მის კომპეტენციას განეკუთვნება, თუ კანონმდებლობით სხვა რამ არ არის დადგენილი». იგივე დებულებაა დადგენილი «საქართველოს მთავრობის, სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ» კანონის მე-15 მუხლის მე-5 პუნქტით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლო კოლეგიამ მიიჩნია, რომ, მართალია, ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს არ ჰქონდა უფლება 2002 წლის 3 იანვრის #1 ბრძანების მე-3 პუნქტით

სხვისთვის გადაეცა მის კომპეტენციას მიკუთვნებული უფლება ტარიფების ცვლილებისა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მოსარჩელის მიერ გაშვებული იყო ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრების საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლით დადგენილი სამთვიანი ვადა (უშუალო ზიანის მიყენებიდან). რადგან მოსარჩელემ ვერ დაადასტურა ამ ვადის დაცვის ფაქტი, სასამართლომ სარჩელი ამ ნაწილში დაუშვებლად მიიჩნია, რაც მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველს წარმოადგენს.

სასამართლო კოლეგიამ აქვე განმარტა, რომ შპს «საქართველოს რკინიგზის» 2004 წლის 5 ივლისის #56/5 ბრძანებით «ტვირთის გადაზიდვის ტარიფების შესახებ», შპს «საქართველოს რკინიგზამ» ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროსაგან დელეგირებული უფლების საფუძველზე განახორციელა ქმედება, რომელიც კანონის თანახმად, სამინისტროს კომპეტენციას წარმოადგენდა. ამდენად, 2004 წლის 5 ივლისის #56/5 ბრძანება გამოცემული იყო უფლებამოსილების გადამეტებით და იგი, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ბათილად უნდა ყოფილიყო ცნობილი.

სასამართლო კოლეგიამ არ გაიზიარა შპს «საქართველოს რკინიგზის» წარმომადგენლის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ მოსარჩელეს გაშვებული ჰქონდა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლით დადგენილი სამთვიანი ვადა, რადგან შპს «საქართველოს რკინიგზის» 2004 წლის 5 ივლისის #56/5 ბრძანება ნორმატიულ-ადმინისტრაციულ სამართლებრივ აქტს არ წარმოადგენს. იგი არ არის რეგისტრირებული ნორმატიული აქტების რეესტრში. მოსარჩელეს კი სარჩელი აღძრული აქვს 2004 წლის 12 აპრილს (ადმინისტრაციული აქტის გასაჩივრების ექვსთვიანი ვადის დაცვით). გარდა ამისა, მოსარჩელე სასამართლო პროცესის დასაწყისში თავად აცხადებდა, რომ 2004 წლის 5 ივლისის #56/5 ბრძანება საერთოდ არ წარმოადგენს ადმინისტრაციულ აქტს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლო კოლეგიამ მიიჩნია, რომ შპს «საქართველოს რკინიგზის» 2004 წლის 5 ივლისის #56/5 ბრძანება ეწინააღმდეგებოდა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5 მუხლის მე-3 ნაწილსა და მე-60 მუხლის პირველი ნაწილის «დ» პუნქტს და ბათილად უნდა ყოფილიყო ცნობილი.

სხენებული გადაწყვეტილება შპს «საქართველოს რკინიგზამ» საკასაციო წესით გაასაჩივრა და მიუთითა, რომ გასაჩივრებული ბრძანების გამოცემისას კასატორი არანაირი საჯარო-სამართლებრივი ფუნქციის მატარებელი არ იყო და მას სახელმწიფო იძულების მექანიზმი არ გააჩნდა. ამდენად, კასატორმა მიიჩნია, რომ, რადგან ბრძანება ადმინისტრაციულ აქტს არ წარმოადგენდა, სწორედ აღნიშნული იყო განპირობებული, რომ იგი «ნორმატიული აქტების შესახებ» კანონის მოთხოვნებს არ აკმაყოფილებდა. კასატორმა ამასთან განმარტა, რომ საერთოდ დაუსაბუთებელი იყო გასაჩივრებული 2004 წლის 5 ივლისის ბრძანების ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად მიჩნევა, რადგან იგი შეიცავდა მუდმივი ან დროებითი და მრავალჯერადი გამოყენების ქცევის ზოგად წესს, რაც მას ნორმატიული აქტის ხასიათს სძენდა. აღნიშნულის გასაჩივრება კი ზიანის მიყენებიდან 3 თვეში უნდა მომხდარიყო, რაც არ მომხდარა. ამასთან, მოსარჩელეს არ დაუსაბუთებია, კონკრეტულად რა ზიანი მიადგა მას გასაჩივრებული ბრძანების მოქმედებით მაშინ, როცა უშუალო ზიანის მიყენების ფაქტი სარჩელის დასაშვებობის ერთ-ერთ ძირითად წინაპირობას წარმოადგენს. კასატორის თქმით, სარჩელის დასაშვებობის აღნიშნულ პირობაზე სასამართლოს საერთოდ არ უმსჯელია.

კასატორმა საბოლოოდ გასაჩივრებული 2005 წლის 16 მარტის გადაწყვეტილების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს, შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა, გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებლობა და თვლის, რომ შპს «საქართველოს რკინიგზის» საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის 2005 წლის 16 მარტის გადაწყვეტილება გასაჩივრებულ ნაწილში და საქმე ამ ნაწილში ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსის 411-ე მუხლის შესაბამისად საკასაციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღება შეუძლებელია, იგი აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად უბრუნებს იმავე სასამართლოს. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ, ვინაიდან საქმის გარემოებები არ არის სრულყოფილად დადგენილი და საჭიროა მათი დამატებითი გამოკვლევა, საკასაციო სასამართლო არაა უფლებამოსილი, საქმეზე თავად გამოიტანოს გადაწყვეტილება.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია, რაც კასაციის

აბსოლუტურ საფუძველსა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების კანონისმიერ წინაპირობას წარმოადგენს (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის «ე» ქვეპუნქტი).

საკასაციო სასამართლო მოიხმობს საქმის შემდეგ გარემოებებს: ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტრომ 2002 წლის 3 იანვარს გამოსცა #1 ბრძანება «საქართველოს რკინიგზის 2002 წლის საფრაქტო პოლიტიკის შესახებ». ამავე სამინისტროს 2002 წლის 30 დეკემბრის #74 ბრძანებით #1 ბრძანების ვადა გახდა განუსაზღვრელი. ამავე ცვლილებებით დადგინდა შეღავათიანი ტარიფები ნავთობისა და ნავთობპროდუქტების საერთაშორისო გადაზიდვებისას. ზემოხსენებული ბრძანების საფუძველზე, შპს «საქართველოს რკინიგზამ» 2004 წლის 5 ივლისს გამოსცა #56/ნ ბრძანება «ტვირთის გადაზიდვის ტარიფების შესახებ». ეს ბრძანება გამოქვეყნდა გაზეთ «საქართველოს რესპუბლიკაში» 2004 წლის 6 ივლისს.

ზემოთქმული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო მოიხმობს ბრძანების გამოცემისას მოქმედ «რკინიგზის ტრანსპორტის შესახებ» კანონის მე-6 მუხლს, რომლის მე-2 პუნქტს, რომლის შესაბამისად, საქართველოს ფარგლებში მგზავრთა გადაყვანის, ტვირთის, ფოსტისა და ბარგის გადაზიდვის ტარიფებს ამტკიცებდა ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტრო ეკონომიკის სამინისტროსთან შეთანხმებით. ამასთან, 2003 წლის 23 იანვარს ამოქმედდა «საქართველოს სარკინიგზო კოდექსი», რომლის მე-10 მუხლით რკინიგზას მიეცა მგზავრთა გადაყვანის, ტვირთის, ბარგის, ტვირთ-ბარგის და ფოსტის გადაზიდვის საფასურის შემუშავების უფლება გადაყვანა-გადაზიდვის მონაწილეთა ინტერესების გათვალისწინებით. საფასურის დამტკიცება უნდა მომხდარიყო კანონმდებლობით დადგენილი წესით. «ფასებისა და ფასწარმოქმნის შესახებ» კანონის მე-7 მუხლის მე-2 ნაწილით ტრანსპორტის სფეროში ტარიფებს შეიმუშავებდნენ და ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს მიერ მათი სათანადო წესით დამტკიცების შემდეგ, არეგულირებდნენ საავტომობილო ტრანსპორტის, სარკინიგზო ტრანსპორტის, საზღვაო ტრანსპორტისა და სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციები შესაბამისი ნორმატიული აქტების საფუძველზე. საქართველოს პრეზიდენტის 2002 წლის 4 იანვრის #1 ბრძანებულებით დამტკიცებული «საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს დებულების» 3.1 მუხლის «ჟ» პუნქტის შესაბამისად, სამინისტროს ფუნქციას განეკუთვნებოდა ტრანსპორტის სფეროში სატრანსპორტო სისტემითა და საშუალებებით მომსახურების ტარიფების დამტკიცება.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ტრანსპორტის სფეროში ტარიფების განსაზღვრისა და დადგენის უფლებამოსილება, მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, მინიჭებული ჰქონდა სატრანსპორტო სფეროს მარეგულირებელ ადმინისტრაციულ ორგანოს - ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ ადმინისტრაციული კანონმდებლობის შესაბამისად, შესაძლებელია, კერძო პირს გადაეცეს რაიმე საჯარო სამართლებრივი ფუნქციის განხორციელების უფლებამოსილება (დელეგირებული უფლებამოსილება), რის შედეგადაც ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის «ა» ქვეპუნქტის შესაბამისად, იგი ამ სფეროში მოქმედებს, როგორც ადმინისტრაციული ორგანო და ახორციელებს საჯარო-სამართლებრივ უფლებამოსილებას. აღნიშნულთან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქმის ხელახლა განხილვისას სასამართლომ უნდა გამოარკვიოს, ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტრომ მოახდინა თუ არა შპს «საქართველოს რკინიგზისათვის» ტარიფების შემუშავებისა და დამტკიცების უფლებამოსილების დელეგირება, კერძოდ, სასამართლო კოლეგიამ უნდა იმსჯელოს, ტრანსპორტისა და კომუნიკაციების მინისტრის 2002 წლის 3 იანვრის #1 ბრძანების მე-3 პუნქტი ადგენდა რა, რომ დადგენილი ტარიფების ზედა ზღვრის ფარგლებში სამუშაოებისა და მომსახურების ტარიფების ცვლილება განხორციელდებოდა მეწარმე სუბიექტის - შპს «საქართველოს რკინიგზის» მიერ, აღნიშნული ხომ არ წარმოადგენდა შპს «საქართველოს რკინიგზისათვის» ამ სფეროში უფლებამოსილების დელეგირების საკმარის საფუძველს. საკასაციო სასამართლო ასევე საგულისხმოდ მიიჩნევს კასატორ შპს «საქართველოს რკინიგზის» მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს მიერ მიღებული 2002 წლის 3 იანვრის #1 ბრძანების მე-3 პუნქტის საფუძველზე, მან განახორციელა მასზე კანონით დაკისრებული საჯარო-სამართლებრივი ფუნქცია ტარიფის დადგენისა, ანუ დაადგინა ტარიფის ზედა ზღვარი და ამ ფარგლებში თავისუფალი ფასის დადგენის უფლებამოსილება შპს «საქართველოს რკინიგზას», როგორც მეწარმე სუბიექტს დარჩა. კასატორის თქმით, აღნიშნული შპს «საქართველოს რკინიგზის» მიერ საჯარო-სამართლებრივი უფლებამოსილების განხორციელებად ვერ იქნებოდა მიჩნეული, შესაბამისად, მის მიერ მიღებული #56/ნ ბრძანება ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს არ წარმოადგენდა.

საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, სასამართლო კოლეგიამ საქმის ხელახლა განხილვისას ისიც უნდა დაადგინოს, «რკინიგზის ტრანსპორტის შესახებ» კანონი 2002 წლის 28 დეკემბერს გამოცხადდა ძალადაკარგულად და მისი მოქმედება 2004 წლის 5 ივლისის #56/ნ ბრძანებაზე ვერ გავრცელდებოდა. ამასთან, სასამართლომ უნდა გამოარკვიოს, რამდენად სამართლიანია აღნიშნულ კანონზე დაყრდნობით შპს «საქართველოს რკინიგზისათვის» ადმინისტრაციული ორგანოს გარკვეული უფლებამოსილებების დელეგირების მტკიცება. ამასთან, გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ საქმის მასალებით დადგენილია და მხრეებიც არ ხდიან სადავოდ იმ ფაქტს, რომ შპს «საქართველოს რკინიგზის» მიერ გასაჩივრებული ბრძანების გამოცემისას ტარიფების დამდგენი სხვა ორგანო რეალურად არ არსებობდა.

ამასთან, ნიშანდობლივია, რომ სასამართლოში წარმოდგენილი არ ყოფილა და სასამართლოს არ გამოუკვლევია შპს «საქართველოს რკინიგზის» წესდება.

საკასაციო სასამართლომ დამატებით უნდა იმსჯელოს მხარეთა მიერ გამოთქმულ პოზიციებზე, რომ შპს «საქართველოს რკინიგზის» გასაჩივრებული ბრძანება ადმინისტრაციულ აქტს არ წარმოადგენდა, არამედ იგი იყო მეწარმე-სუბიექტის მიერ დადგენილი ფასი, ხელშეკრულების პირობა, რომლის შეთავაზებაც ხდებოდა მეწარმისათვის და მათ ნებაზე იყო დამოკიდებული - მიიღებდნენ თუ არა აღნიშნულ პირობას.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სასამართლო კოლეგიამ უნდა იმსჯელოს და გამოარკვიოს შპს «საქართველოს რკინიგზის» 2004 წლის 5 ივლისის #56/5 ბრძანების მიღებისას მეწარმე სუბიექტი ახორციელებდა თუ არა საჯარო-სამართლებრივ უფლებამოსილებას. ამასთან, თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ მას ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამოსილება ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს 2002 წლის 3 იანვრის #1 ბრძანების მე-3 ნაწილით გადაეცა, წარმოადგენდა თუ არა აღნიშნული საკმარის პირობას ამ სფეროში შპს «საქართველოს რკინიგზის» ადმინისტრაციული ორგანოს ფუნქციის მატარებლად მიჩნევისათვის, თუ აღნიშნული კანონით ან სხვა ნორმატიული აქტით უნდა ყოფილიყო დადგენილი.

საკასაციო სასამართლო, დამატებით, განმარტავს, რომ გასაჩივრებული ბრძანების გამოცემისას შპს «რკინიგზისათვის» უფლებამოსილების დელეგირებისა და მის მიერ საჯარო-სამართლებრივ უფლებამოსილების განხორციელების ფაქტის დადგენის შემთხვევაშიც კი, ვერ გაიზიარებს სასამართლო კოლეგიის მსჯელობას შპს «საქართველოს რკინიგზის» #56/5 ბრძანების ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად მიჩნევის შესახებ და თვლის, რომ ამ ნაწილში გადაწყვეტილება სრულიად დაუსაბუთებელია. აღნიშნულზე სასამართლო მოიხმობს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის «დ» ქვეპუნქტს, რომლის თანახმად, ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად მიიჩნევა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემული ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი, რომლიც აწესებს, ცვლის, წყვეტს ან ადასტურებს პირის, ან პირთა შეზღუდული წრის უფლებებსა და მოვალეობებს. ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ, ვინაიდან სახეზე არ არის კანონისმიერი უმთავრესი პირობა, კერძოდ, გასაჩივრებული აქტი კონკრეტული პირის - შპს «ჩენელ ენერჯი ლიმიტედ საქართველოს» და/ან პირთა შეზღუდული წრის მიმართ არ არის გამოცემული და მათ უფლებებს არ ეხება, მისი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად მიჩნევა სრულიად დაუსაბუთებელია.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქმის ხელახლა განხილვისას სასამართლომ დამატებით უნდა იმსჯელოს, გასაჩივრებული აქტი რამდენად პირდაპირ და უშუალო ზიანს აყენებდა მოსარჩელის კანონიერ უფლებებსა და ინტერესს და დაადგინოს, მიადგა თუ არა ზიანი საერთოდ შპს «ჩენელ ენერჯი ლიმიტედ საქართველოს» და საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად გამოარკვიოს დასაშვები იყო თუ არა სარჩელი განსახილველად.

საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, სასამართლომ იმ გარემოებაზეც უნდა გაამახვილოს ყურადღება, თუ საქმის ხელახლა განხილვისას დადგინდა, რომ გასაჩივრებული ბრძანება შინაარსის გათვალისწინებით ნორმატიული ხასიათის ადმინისტრაციული აქტია, ვინაიდან იგი მრავალჯერადი გამოყენების ქვევის ზოგად წესს ადგენს, მაშინ უნდა იმსჯელოს, რამდენად იყო იგი გამოცემული კანონით დადგენილი წესით და მოხდა თუ არა ამ აქტის მოქმედებით მოსარჩელისათვის რეალური ზიანის მიყენება. ნიშანდობლივია, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ნორმატიულ-ადმინისტრაციული აქტის ბათილად ცნობის მოთხოვნა დასაშვებია უშუალო ზიანის მიყენებიდან 3 თვის ვადაში, ანუ სარჩელის დასაშვებად მიჩნევისათვის სახეზე უნდა იყოს რეალური ზიანის მიყენების ფაქტი, ხოლო მოსარჩელის მხრიდან თუ მოსალოდნელ ზიანზეა აქცენტი გაკეთებული, მაშინ შესაბამისად უნდა მოხდეს სარჩელის დაზუსტება და იგი ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 25-ე მუხლის თანახმად, აღიარებითი სარჩელის ფორმით უნდა ჩამოყალიბდეს.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ 2005 წლის 16 მარტის გადაწყვეტილება გასაჩივრებულ ნაწილში უნდა გაუქმდეს და საქმე ამ ნაწილში ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

დაადგინა:

1. შპს «საქართველოს რკინიგზის» საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის 2005 წლის 16 მარტის გადაწყვეტილება გასაჩივრებულ ნაწილში და საქმე ამ

ნაწილში ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას;

3. სახელმწიფო ბაჟის დაკისრების საკითხი გადაწყდეს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას.

4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

უცხოელთა საქართველოდან გაძევების წესი

გადაწყვეტილება საქართველოს სახელით

#ბს-137-129(კ-06)

17 იანვარი, 2007 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (მომხსენებელი),

ნ. ქადაგიძე,

ნ. სხირტლაძე

სარჩელის საგანი: ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების შეტანა

აღწერილობითი ნაწილი:

2004 წლის 31 დეკემბერს თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონულ სასამართლოს სარჩელით მიმართა ვ. ლ-ევმა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს, შინაგან საქმეთა სამინისტროსა და იუსტიციის სამინისტროს მიმართ და ავსტრიაში გაძევება მოითხოვა.

მოსარჩელის განმარტებით, 1989 წელს მან უარი განაცხადა ყოფილი საბჭოთა კავშირის მოქალაქეობაზე და საცხოვრებლად გადავიდა ავსტრიაში, თუმცა არ მიუღია არც ავსტრიის და არც სხვა რომელიმე ქვეყნის მოქალაქეობა, ხოლო 1997 წლის 20 ნოემბერს რუსეთის ფედერაციის საელჩოს მიერ შეთხზული დოკუმენტების საფუძველზე ავსტრიიდან რუსეთში გააძევეს. რუსეთიდან მან არალეგალურად მოახერხა ჯერ უკრაინაში, შემდეგ სომხეთში გადასვლა, საიდანაც 2002 წელს გააძევეს, რის შემდეგაც იმავე წელს შემოვიდა საქართველოში არალეგალურად. საქართველოში შემოსვლის შემდეგ ვ. ლ-ევმა მოითხოვა საქართველოდან ავსტრიაში გაძევება, ხოლო აღნიშნული მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლად მიუთითა «უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ» საქართველოს კანონის პირველი მუხლის «ბ» ქვეპუნქტზე, საქართველოს პრეზიდენტის 2000 წლის 28 მარტის #111 ბრძანებულებით დამტკიცებულ «უცხოელთა საქართველოდან გაძევების დროებითი წესის შესახებ» დებულების მე-2 მუხლის «ა» და «ბ» ქვეპუნქტებსა და მე-5 მუხლის «ა» ქვეპუნქტზე, იუსტიციის სამინისტროს 2000 წლის 3 აგვისტოს #182 ბრძანებით დამტკიცებულ «უცხოელთა საქართველოდან გაძევების სფეროში იუსტიციის სამინისტროს უფლებამოსილებების განხორციელების შესახებ» დროებითი დებულების მე-12 მუხლის მე-2 პუნქტის «ა» ქვეპუნქტზე და «ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების დაცვის ევროპის კონვენციის» მე-7 ოქმზე.

2005 წლის 9 თებერვალს იუსტიციის სამინისტრომ თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონულ სასამართლოში წარადგინა შესაგებელი, რომლითაც სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ საქართველოს პრეზიდენტის 2000 წლის 28 მარტის #11 ბრძანებულებით დამტკიცებული «უცხოელთა საქართველოდან გაძევების დროებითი წესის შესახებ» დებულების მე-19 მუხლის შესაბამისად, საქართველოდან უცხოელის გაძევება დასაშვებია იყო მისი მოქალაქეობის ან მუდმივი საცხოვრებელი ადგილის ქვეყანაში (ამ შემთხვევაში ავსტრია არ განეკუთვნებოდა არც ერთს) ან იმ ქვეყანაში, საიდანაც იგი შემოვიდა საქართველოში (ვ. ლ-ევი ავსტრიიდან არ შემოსულა საქართველოში) ან კიდევ ნებისმიერ ქვეყანაში, რომელიც თანახმა იქნებოდა მის მიღებაზე (1997 წელს ვენის სასამართლოს გადაწყვეტილებით ვ. ლ-ევი დეპორტირებულ იქნა ავსტრიიდან და ამ სახელმწიფოს, რომელსაც ეცნობა აღნიშნულის თაობაზე, არ გამოუხატავს ვ. ლ-ევის მიღების სურვილი).

თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 17 მარტის საოქმო განჩინებით მოპასუხეთა სიიდან ამორიცხვულ იქნა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო და იგი მოცემულ საქმეში მესამე პირად იქნა ჩაბმული.

თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 17 მარტის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ვ. ლ-ევმა და მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2005 წლის 27 ივნისის განჩინებით ვ. ლ-ევის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 17 მარტის გადაწყვეტილება და ვ. ლ-ევის სარჩელი განსჯადობით განსახილველად გადაეცა თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2005 წლის 11 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ვ. ლ-ევის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ვ. ლ-ევმა და მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2006 წლის 1 თებერვლის განჩინებით ვ. ლ-ევის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2005 წლის 11 ოქტომბრის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლო სრულად დაეთანხმა საქალაქო სასამართლოს დასკვნას იმის თაობაზე, რომ მოსარჩელის მიმართ, რომელიც უკანონოდ იმყოფება საქართველოს ტერიტორიაზე, არღვევს სარეგისტრაციო და სავიზო რეჟიმს და არ არსებობს საქართველოში მისი შემდგომი ყოფნის საფუძველი, სახეზე იყო «უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ» საქართველოს კანონის 29-ე მუხლის პირველი პუნქტის «ა» და «ბ» ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საქართველოდან გამეგების საფუძვლები. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ არსებითად აღნიშნული გარემოებების არსებობას არც მოსარჩელე უარყოფდა და მათი არარსებობის დამადასტურებელი მტკიცებულებანი არც მის სასარჩელო განცხადებაში და არც სააპელაციო საჩივარში მოყვანილი არ იყო.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა ვ. ლ-ევის ძირითადი მოთხოვნა იუსტიციის მინისტრის 2001 წლის 10 ნოემბრის #1367 ბრძანებაში ცვლილებების შეტანის, საქართველოდან ავსტრიაში მის გამეგებაზე მითითების დაფიქსირების თაობაზე და ჩათვალა, რომ საქართველოს პრეზიდენტის 2000 წლის 28 მარტის #11 ბრძანებულებით დამტკიცებული «უცხოელთა საქართველოდან გამეგების დროებითი წესის შესახებ» დებულების მე-19 მუხლის შესაბამისად, ქვეყანაში, რომლის მოქალაქეობაც არ გააჩნდა პირს, რომელიც არ წარმოადგენდა მის მუდმივ საცხოვრებელ ადგილს და რომლიდანაც პირი არ შემოსულა საქართველოში, ასეთს კი ამ შემთხვევაში ავსტრია წარმოადგენდა, პირი შეიძლება გამეგებულიყო მხოლოდ ამ ქვეყნის თანხმობით, ავსტრიას კი თანხმობა არ გამოუთქვამს ვ. ლ-ევის მიღებაზე, რის გამოც სააპელაციო სასამართლო დაეთანხმა საქალაქო სასამართლოს დასკვნას აპელანტის მოთხოვნის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძვლის არარსებობის თაობაზე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2006 წლის 1 თებერვლის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ვ. ლ-ევმა და მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება, კერძოდ, იუსტიციის მინისტრის 2004 წლის 10 ნოემბრის #1367 ბრძანებაში ცვლილების შეტანის - გამეგების ქვეყნად ავსტრიის მითითების იუსტიციის სამინისტროსთვის დავალება.

კასატორის განმარტებით, 2002 წელს იგი არალეგალურად შემოვიდა საქართველოში, მას შემდეგ უკანონოდ იმყოფება საქართველოს ტერიტორიაზე და მოითხოვს საქართველოდან ავსტრიაში გამეგებას, სადაც 1989 წლიდან ცხოვრობდა და სადაც მუდმივად ჰყავდა. აღნიშნულის თაობაზე კასატორმა მიმართა იუსტიციის სამინისტროს და ამავე სამინისტროს მოქალაქეობისა და იმიგრაციის საკითხთა კოლეგიამ #36/84 დადგენილებით მიიჩნია, რომ საქართველოს პრეზიდენტის 2000 წლის 28 მარტის #11 ბრძანებულებით დამტკიცებული «უცხოელთა საქართველოდან გამეგების დროებითი წესის შესახებ» დებულების მე-19 მუხლის შესაბამისად, ვ. ლ-ევი უკანონოდ იმყოფებოდა საქართველოს ტერიტორიაზე, არღვევდა სავიზო და სარეგისტრაციო რეჟიმებს, რის გამოც მიზანშეწონილი იყო მისი, როგორც მოქალაქეობის არმქონე პირის, საქართველოდან გამეგება. იუსტიციის მინისტრმა 2004 წლის 10 ნოემბერს გამოსცა #1367 ბრძანება ვ. ლ-ევის საქართველოდან გამეგების თაობაზე და აღნიშნული ბრძანება აღსასრულებლად გადაეგზავნა შინაგან საქმეთა სამინისტროს. ამასთან, იუსტიციის სამინისტრომ ხსენებულ ბრძანებაში არ მიუთითა ის კონკრეტული ქვეყანა, სადაც უნდა მომხდარიყო კასატორის გამეგება.

კასატორი აღნიშნავს, რომ 2002 წლამდე საქართველოში არასოდეს უცხოვრია და არანაირი ქონება და ვინმეს მიმართ რაიმე ვალდებულება ამ ქვეყანაში არ გააჩნია, შემოსვლის დღიდან ვ. ლ-ევმა არაერთ სახელმწიფო ორგანოს მიმართა თხოვნით ავსტრიაში დეპორტაციის თაობაზე, თუმცა უშედეგოდ. კასატორი საქართველოში ცხოვრობს ყოველგვარი სტატუსის გარეშე, ხოლო თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2003 წლის 1 აგვისტოს განჩინებით უარი ეთქვა საქართველოში ლტოლვილის სტატუსის მინიჭებაზე, ირღვევა მისი კანონიერი უფლებები, არ გააჩნია არავითარი ადამიანური პირობები, არა აქვს საცხოვრებელი ადგილი და უსახსრობის გამო, ვერ სარგებლობს სამედიცინო დახმარებით და ვერ ყიდულობს მედიკამენტებს, მაშინ, როდესაც არის მე-2 ჯგუფის ინვალიდი და მისთვის აუცილებელია სამედიცინო მომსახურება.

კასატორის განმარტებით, ვინაიდან ავსტრიაში ნება დართო 1989 წლიდან ეცხოვრა ავსტრიაში, საქართველოდან უპირობოდ უნდა იქნეს გამეგებული ავსტრიაში.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციული და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2006 წლის 24 მაისის განჩინებით, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებში იქნა მიღებული ვ. ლ-ევის საკასაციო საჩივარი; მხარეებს მიეცათ უფლება, 2006 წლის 24 მაისის განჩინების ჩაბარებიდან 20 დღის ვადაში წარმოედგინათ მოსაზრება, თუ რამდენად იყო დასაშვები განსახილველად საკასაციო საჩივარი

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით; ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული დასაშვებობის შემოწმება განისაზღვრა 2006 წლის 5 ივლისამდე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2006 წლის 5 ივლისის განჩინებით ვ. ლ-ევის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის «ა» ქვეპუნქტით და მისი განხილვა მხარეთა დასწრებით დაინიშნა 2006 წლის 20 სექტემბერს, 12.00 საათზე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის შესწავლის, გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმებისა და მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის შედეგად მიიჩნევს, რომ ვ. ლ-ევის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

საკასაციო სასამართლო დადგენილად მიიჩნევს შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს: ვ. ლ-ევი საქართველოში შემოვიდა არალეგალურად და საქართველოში შემოსვლის შემდეგ მოითხოვა საქართველოდან ავსტრიაში გაძევება. იუსტიციის მინისტრმა 2001 წლის 10 ნოემბერს გამოსცა #1367 ბრძანება «უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ» საქართველოს 1993 წლის 3 ივნისის კანონის 29-ე მუხლის «ა» და «ბ» ქვეპუნქტების, საქართველოს პრეზიდენტის 2000 წლის 28 მარტის #111 ბრძანებულებით დამტკიცებული «უცხოელთა საქართველოდან გაძევების დროებითი წესის შესახებ» დებულების მე-2 პუნქტის «ა» და «ბ» ქვეპუნქტების, მე-5 პუნქტის «ა» ქვეპუნქტის, მე-10 მუხლის და იუსტიციის მინისტრის 2000 წლის 3 აგვისტოს #182 ბრძანებით დამტკიცებული «უცხოელთა საქართველოდან გაძევების სფეროში იუსტიციის სამინისტროს უფლებამოსილებების განხორციელების შესახებ» დროებითი დებულების მე-12 მუხლის მე-2 პუნქტის «ა» ქვეპუნქტის შესაბამისად, მოქალაქეობის არმქონე პირის - ვ. ლ-ევის, რომელიც დაიბადა 1945 წლის 9 იანვარს სომხეთში, ქ. ერევანში, საქართველოდან გაძევების შესახებ და აღნიშნული ბრძანების შინაგან საქმეთა სამინისტროსათვის აღსასრულებლად გადაგზავნის თაობაზე. ხსენებული ბრძანების საფუძვლად მიეთითა საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის 2004 წლის 22 ივლისის #5453 წერილზე, იუსტიციის სამინისტროს მოქალაქეობის, სამოქალაქო მდგომარეობის რეგისტრაციისა და იმიგრაციის საკითხთა დეპარტამენტის დასკვნასა და იუსტიციის სამინისტროს მოქალაქეობისა და იმიგრაციის საკითხთა კოლეგიის 2004 წლის 9 ნოემბრის #36/84 დადგენილებაზე. ხსენებული დადგენილებით ცნობად იქნა მიღებული, რომ ვ. ლ-ევი უკანონოდ იმყოფებოდა საქართველოს ტერიტორიაზე, არღვევდა საზღვო და სარეგისტრაციო რეჟიმებს და აღარ არსებობდა საქართველოში მისი შემდგომი ყოფნის საფუძველი. შესაბამისად, მიზანშეწონილად ჩაითვალა მოქალაქეობის არმქონე პირის - ვ. ლ-ევის საქართველოდან გაძევება და დადგინდა საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად ხსენებული დადგენილების იუსტიციის მინისტრისთვის წარდგენა იუსტიციის სამინისტროს მოქალაქეობის, სამოქალაქო მდგომარეობის რეგისტრაციისა და იმიგრაციის საკითხთა დეპარტამენტის დასკვნასთან ერთად, რომლითაც, თავის მხრივ, დადგენილად იქნა მიჩნეული, რომ ვ. ლ-ევი 2003 წლიდან უკანონოდ ცხოვრობდა საქართველოს ტერიტორიაზე, კერძოდ, ქ. თბილისში, რის გამოც აღნიშნულმა დეპარტამენტმა მიზანშეწონილად ჩათვალა ვ. ლ-ევის საქართველოდან გაძევება.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ 2005 წლის 27 დეკემბერს საქართველოს პარლამენტმა მიიღო «უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ» ახალი კანონი, რომლის ამოქმედებისთანავე, იმავე კანონის 67-ე მუხლის თანახმად, ძალადაკარგულად იქნა ცნობილი სადავო ბრძანების გამოცემის პერიოდში მოქმედი «უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ» საქართველოს 1993 წლის 3 ივნისის კანონი, ასევე, საქართველოს პრეზიდენტის 2000 წლის 28 მარტის #111 ბრძანებულება «უცხოელთა საქართველოდან გაძევების დროებითი წესის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე», ხსენებული ახალი კანონი კი ამოქმედდა 2006 წლის 1 ივლისიდან.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ვ. ლ-ევი წარმოადგენს «უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ» საქართველოს 1993 წლის 3 ივნისის კანონის (რომელიც მოქმედებდა 2006 წლის 1 ივლისამდე) პირველი მუხლის «ბ» ქვეპუნქტით გათვალისწინებულ მოქალაქეობის არმქონე პირს, ასევე «უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ» საქართველოს 2005 წლის 27 დეკემბრის კანონის მე-2 მუხლის «ა» ქვეპუნქტით განსაზღვრულ უცხოელს - პირს, რომელსაც დუკუმენტურად არ უდგინდება რომელიმე ქვეყნის მოქალაქეობისადმი კუთვნილება და მუდმივი საცხოვრებელი ადგილი. ამდენად, დასახელებულ ახალ კანონში უფრო კონკრეტულად აისახა ვ. ლ-ევის ამჟამინდელი ფაქტობრივი მდგომარეობა.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში სახეზეა გასაჩივრებული ბრძანების გამოცემისას მოქმედი «უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ» საქართველოს 1993 წლის 3 ივნისის კანონის 29-ე მუხლის «ა» და «ბ» ქვეპუნქტებით, რომლებითაც რეგლამენტირებული იყო უცხოელი მოქალაქის გაძევების საფუძვლები, აგრეთვე, «უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ» საქართველოს 2005 წლის 27 დეკემბრის კანონის 53-ე მუხლის «ა» და «ბ» ქვეპუნქტებით, რომლებიც იდენტურ საფუძვლებს შეიცავს, გათვალისწინებული შემთხვევა, ვინაიდან ვ. ლ-ევი

უკანონოდ შემოვიდა და იმყოფება საქართველოს ტერიტორიაზე და აღარ არსებობს მისი საქართველოში შემდგომი ყოფნის საფუძველი. ამასთან, «უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ» საქართველოს 1993 წლის 3 ივნისის კანონის 29-ე მუხლის მიხედვით, საქართველოში დროებით მყოფი მოქალაქეობის არმქონე პირების საქართველოდან გაძევების გადაწყვეტილება მიიღებოდა საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით განსაზღვრული გაძევების წესის შესაბამისად. საქართველოს პრეზიდენტის 2000 წლის 28 მარტის #111 ბრძანებულებით დამტკიცებული «უცხოელთა საქართველოდან გაძევების დროებითი წესის შესახებ» დებულების მე-3-6 პუნქტების, ასევე, იუსტიციის მინისტრის 2000 წლის 3 აგვისტოს #182 ბრძანებით დამტკიცებული «უცხოელთა საქართველოდან გაძევების სფეროში იუსტიციის სამინისტროს უფლებამოსილებების განხორციელების შესახებ» დროებითი დებულების მე-12 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, უცხოელის საქართველოდან გაძევების შესახებ საბოლოო გადაწყვეტილებას იღებდა იუსტიციის მინისტრი ბრძანებით. შემოხსენებული ახალი კანონის 54-ე მუხლის თანახმად, გადაწყვეტილებას საქართველოდან უცხოელთა გაძევების თაობაზე, ამავე კანონის 53-ე მუხლის «ა» და «ბ» ქვეპუნქტების შესაბამისად, იღებს იუსტიციის სამინისტრო. მასადაამე, აღნიშნული ნორმების შესაბამისად გადაწყვეტილების მიღება წარმოადგენს იუსტიციის მინისტრის დისკრეციულ უფლებამოსილებას. ამასთან, საკასაციო სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საქართველოდან გაძევება ვ. ლ-ევის სურვილს წარმოადგენს - იგი თვითონ მოითხოვს გაძევებულ იქნეს ავსტრიაში.

ამასთან, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ იუსტიციის სამინისტრომ 2001 წლის 10 ნოემბრის #1367 ბრძანებით, მართალია, მიიღო გადაწყვეტილება მოქალაქეობის არმქონე პირის - ვ. ლ-ევის საქართველოდან გაძევების შესახებ და აღნიშნული ბრძანება აღსასრულებლად გადაუგზავნა შინაგან საქმეთა სამინისტროს, მაგრამ დასახელებულ ბრძანებაში არ მიუთითა ის კონკრეტული ქვეყანა, სადაც უნდა მომხდარიყო ვ. ლ-ევის გაძევება. შესაბამისად, ხსენებული ბრძანების პრაქტიკული რეალიზება ობიექტურად შეუძლებელი გახდა, რაც საკასაციო სასამართლოს 2007 წლის 17 იანვრის სხდომაზე დაადასტურა კიდევ შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა.

საკასაციო სასამართლო ვერ დაეთანხმება საკასაციო სასამართლოს 2006 წლის 20 სექტემბრისა და 2007 წლის 17 იანვრის სხდომებზე იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენლის განმარტებას იმის თაობაზე, რომ ხსენებული სამინისტრო არ არის ვალდებული მიუთითოს ქვეყანა, რომელშიც გააძევებს პირს, რადგან აღნიშნულს არ ითვალისწინებს საქართველოს კანონმდებლობა.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს «უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ» საქართველოს 2005 წლის 27 დეკემბრის კანონის 58-ე მუხლის პირველ პუნქტზე, რომლის შესაბამისად, საქართველოდან უცხოელი შეიძლება გაძევებულ იქნეს მისი მოქალაქეობის ან მუდმივი საცხოვრებელი ადგილის სახელმწიფოში (ქვეყანაში) ან იმ სახელმწიფოში, საიდანაც იგი შემოვიდა საქართველოში, ანდა ნებისმიერ სახელმწიფოში, რომელიც თანახმაა მიიღოს იგი. ამასთან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლო განმარტავს და იუსტიციის სამინისტროს ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებაზე, რომ, მართალია, დასახელებულ კანონში სიტყვა-სიტყვით არ არის ჩაწერილი იუსტიციის სამინისტროს ვალდებულებაზე, გაძევების შესახებ აქტში მიუთითოს კონკრეტული ქვეყანა, მაგრამ აღნიშნული, არ ნიშნავს იმას, რომ ხსენებულ სამინისტროს არ ევალება იმ ქვეყნის მითითება, სადაც უნდა მოხდეს პირის გაძევება. «უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ» საქართველოს 2005 წლის 27 დეკემბრის კანონის 58-ე მუხლის პირველ პუნქტში უცხოელის გაძევების პუნქტობრივად მითითებული სამივე შემთხვევა გაძევების დანიშნულების სახელმწიფოს განსაზღვრით, პირდაპირ ითვალისწინებს პირის გაძევებას შესაბამისი ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, კონკრეტულად განსაზღვრულ სახელმწიფოში.

ამასთან, საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს მოსარჩელის მიერ სასარჩელო მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველად «ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების დაცვის ევროპის კონვენციის» მე-7 ოქმზე მითითებას, ვინაიდან აღნიშნული ოქმის პირველი მუხლი ეხება მხოლოდ იმ უცხოელს, რომელიც შესაბამისი სახელმწიფოს ტერიტორიაზე იმყოფება კანონიერ საფუძველზე, კერძოდ, დასახელებული მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, უცხოელი, რომელიც კანონიერ საფუძველზე ცხოვრობს სახელმწიფოს ტერიტორიაზე, არ შეიძლება გაძევებულ იქნეს იქედან, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც უნდა აღსრულდეს კანონის შესაბამისად მიღებული გადაწყვეტილება. კონკრეტულ შემთხვევაში კი, როგორც უკვე აღინიშნა, ვ. ლ-ევი თვითონ მოითხოვს საქართველოდან გაძევებას და მისივე განმარტებით, რომელიც მან გააკეთა საკასაციო სასამართლოს 2007 წლის 17 იანვრის სხდომაზე, მას არ სურს საქართველოში დარჩენა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ ვ. ლ-ევის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ვ. ლ-ევის სარჩელი დაკმაყოფილდება ნაწილობრივ და იუსტიციის სამინისტროს დაევალება ერთი თვის ვადაში გამოსცეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და განსაზღვროს ქვეყანა, სადაც შეიძლება ვ. ლ-ევის გაძევება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

გადაწყვეტა:

1. ვ. ლ-ევის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2006 წლის 1 თებერვლის განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. ვ. ლ-ევის სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
4. დავალოს იუსტიციის სამინისტროს ერთი თვის ვადაში გამოსცეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და განსაზღვროს ქვეყანა, სადაც შეიძლება ვ. ლ-ევის გაქცევა;
5. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ტყით სარგებლობის უფლება

განჩინება

#ბს-833-419(23-05)

1 თებერვალი, 2006 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. წკებლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ლ. ლაზარაშვილი,
ნ. სხირტლაძე

დავის საგანი: ცხოველთა სამყაროთი სარგებლობის ლიცენზიისა და ტყით სარგებლობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

2004 წლის 12 ოქტომბერს ა. მ-ევმა, ი. ე-ევმა, ა. ბ-ოვმა და სხვებმა, სულ 27 პირმა, სარჩელი აღძრეს თბილისის საოლქო სასამართლოში გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს, სატყეო მეურნეობის დეპარტამენტისა და მესამე პირის - შპს «კავკასიის» მიმართ, რომლითაც მოითხოვეს შპს «კავკასიის» სახელზე 2003 წლის 10 დეკემბერს გაცემული, ცხოველთა სამყაროთი სარგებლობის (სერია ბ.მ. #0016) გენერალური ლიცენზიისა და ამავე წლის 30 დეკემბერს შპს «კავკასიას» და სატყეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტს შორის დადებული ტყით სარგებლობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა, შემდეგი საფუძველით:

2003 წლის 10 დეკემბერს შპს «კავკასიის» სახელზე გაიცა გენერალური ლიცენზია ცხოველთა სამყაროთი სარგებლობის შესახებ, რომლის საფუძველზეც ამავე წლის 30 დეკემბერს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტმა შპს «კავკასიასთან» დადო ტყით სარგებლობის ხელშეკრულება სახელმწიფო-სამეურნეო ტყის ფონდის ტერიტორიაზე სამონადირეო მეურნეობის მოწყობისა და მართვის შესახებ, რაც, მოსარჩელეთა აზრით, განხორციელდა კანონის მოთხოვნათა დარღვევითა და ბოლნისის რაიონის სოფლების მოსახლეობის მიერ ტყით სარგებლობის კანონიერი უფლებების იგნორირებით, კერძოდ, მოსარჩელეთა მითითებით, ადმინისტრაციულმა ორგანომ დაარღვია ლიცენზირებისა და ბუნებით სარგებლობის საკითხებთან დაკავშირებით ადმინისტრაციული აქტის გამოცემისათვის ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 115-ე მუხლით გათვალისწინებული საჯარო ადმინისტრაციული წარმოების წესები, ამავე კოდექსის 116-ე მუხლის შესაბამისად, არ იქნა გამოქვეყნებული ცნობა საჯარო გაცნობისათვის დოკუმენტების წარდგენის შესახებ, ვინაიდან სამინისტროს გადაწყვეტილება ეხებოდა ბოლნისის მოსახლეობის ინტერესებს. მითითებული მუხლის მე-2 ნაწილის «ა» ქვეპუნქტის შესაბამისად, სამინისტროს შენობაში ცნობის გამოქვეყნების მიუხედავად, შეტყობინება ადმინისტრაციული წარმოების შესახებ უნდა გაკეთებულიყო ადგილობრივი თვითმმართველობის ან მმართველობის შესაბამის ორგანოში. ასევე, არ განისაზღვრა დაინტერესებული მხარის, კონკრეტულ შემთხვევაში ბოლნისის მოსახლეობის ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-13 მუხლით განსაზღვრული უფლება ადმინისტრაციული აქტის პროექტთან დაკავშირებით მოსაზრებების წარდგენის შესახებ. გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო ვალდებული იყო, ოფიციალური ბეჭდვითი ორგანოს მეშვეობით ინფორმაცია გაეკეთებინა სამინისტროში წარდგენილი განცხადებისა და მის საფუძველზე ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მოსარჩელეთა მითითებით, სამინისტრომ არ გაითვალისწინა ბოლნისის რაიონის მოსახლეობის ინტერესები, რომლებიც ათეული წლების მანძილზე სარგებლობდნენ სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიებით და იყენებდნენ სასოფლო-სამეურნეო მიზნებისათვის ჩამოყალიბებული ჩვეულებებისა და ტრადიციების საფუძველზე, რაც ტყის კოდექსის 56-ე მუხლის «ე» პუნქტის შესაბამისად, წარმოადგენს ტყით სარგებლობის ერთ-ერთ სახეს, ხოლო ამავე კოდექსის 61-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, ადგილობრივ მოსახლეობას ენიჭება უპირატესობა ტყით სარგებლობის უფლების მოპოვებისას.

ამდენად, მოსარჩელებმა მიიჩნიეს, რომ შპს «კავკასიის» სახელზე გაცემული ლიცენზია ბათილად უნდა იქნეს ცნობილი, თანახმად ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60 მუხლის პირველი ნაწილის «დ» ქვეპუნქტისა და მე-2 ნაწილის საფუძველზე, რადგან ლიცენზიის გაცემისას დაირღვა

საჯარო ადმინისტრაციული წარმოებისათვის დადგენილი წესები. ასევე, ბათილად უნდა იქნეს ცნობილი შპს «კავკასიასა» და სატყეო მეურნეობის დეპარტამენტს შორის დადებული ხელშეკრულება, თანახმად სამოქალაქო კოდექსის 54-ე და ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 70-ე მუხლებისა, რადგან ხელშეკრულება დაიდო ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 67-ე მუხლის მოთხოვნათა უგულვებელყოფით, კერძოდ, ხელშეკრულების დადებით შეიზღუდა ბოლნისის რაიონის სოფლების მოსახლეობის უფლებები და კანონიერი ინტერესები, რადგან ამ უკანასკნელთ აკრძალათ სახელმწიფო სატყეო მეურნეობის კუთვნილი ტერიტორიებით სარგებლობა.

ა. მ-ევის, ი. ე-ევის, ა. ბ-ოვისა და სხვათა სარჩელი არ ცნო მესამე პირმა - შპს «კავკასიამ» და შესაგებელში აღნიშნა, რომ ლიცენზიის გაცემა, ასევე, მას და სატყეო დეპარტამენტს შორის ხელშეკრულების დადება, მოხდა კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით, რის გამოც არ არსებობს მათი ბათილად ცნობის კანონიერი საფუძველი. ლიცენზიის გაცემისას ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 115-116-ე მუხლების მოთხოვნები არ დარღვეულა, რადგან «ცხოველთა სამყაროს შესახებ» კანონის შესაბამისად, ბოლნისისა და მარნეულის რაიონებში სამონადირეო მეურნეობის შესაქმნელად კონკურსის გამოცხადების შესახებ ცნობა ზემოაღნიშნული მუხლების მოთხოვნათა სრული დაცვით 2003 წლის 11 სექტემბერს გამოქვეყნდა გაზეთ «საქართველოს რესპუბლიკის» 242-ე ნომერში.

მესამე პირის მითითებით, ასევე არ დარღვეულა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 95-ე მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნები, რადგან ამავე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, თუ ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობის მიღების უფლების მქონე პირთა რაოდენობა 50-ს აღემატება, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია, თითოეული მათგანის ინფორმირების ნაცვლად, ცნობა ადმინისტრაციული წარმოების შესახებ გამოაქვეყნოს ოფიციალურად. ამასთან, მითითებული მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია, ადმინისტრაციულ წარმოებაში ჩააბას მონაწილეობის უფლების მქონე პირი ამ უკანასკნელის წერილობითი თხოვნის საფუძველზე. კონკრეტულ შემთხვევაში კი, საქმეში არ არის წარმოდგენილი რაიმე მტკიცებულება მოსარჩელების მიერ სამინისტროსათვის მიმართვისა და ადმინისტრაციულ წარმოებაში ჩაბმაზე უარის თქმის შესახებ.

სარჩელში არ არის მითითებული ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60 მუხლის პირველი ნაწილის «დ» ქვეპუნქტითა და ამავე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული აქტის ბათილად ცნობის საფუძველი, კერძოდ, რომელ კანონს ეწინააღმდეგება სადავო აქტი და რაში გამოიხატება მისი კანონსაწინააღმდეგობა და რომელი ნორმატიული აქტი დაირღვა მისი გამოცემით. რაც შეეხება ტყის კოდექსის 56-ე მუხლის «ე» პუნქტზე მითითებას, შესაგებლის ავტორის განმარტებით, იმ მიწების სარგებლობისათვის, რომლებიც არ განეკუთვნება სახელმწიფო ტყის ფონდის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების კატეგორიას, საჭიროა ხელშეკრულება ან ბილეთი, მოსარჩელების მიერ ტყის ფონდის მიწებით კანონით დადგენილი წესით სარგებლობის დამადასტურებელი რაიმე მტკიცებულება კი წარმოდგენილი არ არის.

შესაგებლის ავტორი ასევე არ დაეთანხმა მოსარჩელეთა მოსაზრებას ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 67-ე, 70-ე მუხლების დარღვევის შესახებ და აღნიშნა, რომ ადმინისტრაციული გარიგების ძალაში შესვლის აუცილებელ წინაპირობად, პირის წერილობითი თანხმობის მიჩნევისათვის, არ არის საკმარისი ამ პირის კანონიერ ინტერესებზე პირდაპირი და უშუალო გავლენა, ადმინისტრაციული გარიგება უნდა ზღუდავდეს მესამე პირის უფლებას, ან აკისრებდეს მას რაიმე ვალდებულებას. სადავო ადმინისტრაციული გარიგება კი მოსარჩელებს არავითარ ვალდებულებას არ აკისრებს, ხოლო ტყის მიწებით სარგებლობის მოსარჩელეთა კანონიერი უფლების დამდგენი რაიმე მტკიცებულება საქმეში არ არის წარმოდგენილი.

შესაგებლის ავტორის მითითებით, შპს «კავკასიას» სადავო ადმინისტრაციული აქტის მიმართ გააჩნია კანონიერი ნდობა, რადგან მან აქტის საფუძველზე განახორციელა იურიდიული მნიშვნელობის მოქმედება, გააფორმა ხელშეკრულება, გასწია ხარჯები და აქტის ბათილობით მას მიადგება ზიანი.

სარჩელი ასევე უსაფუძვლოდ მიიჩნია გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სატყეო მეურნეობის დეპარტამენტმა. ამ უკანასკნელის მითითებით, შპს «კავკასიამ» ბოლნისისა და მარნეულის სახელმწიფო სამეურნეო ტყის ფონდში სამონადირეო მეურნეობის მოწყობის შესახებ სატყეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტს განცხადებით მიმართა 2002 წლის 26 თებერვალს. დეპარტამენტმა შესაძლებლად მიიჩნია აღნიშნულ ტერიტორიაზე სამონადირეო მეურნეობის შექმნა და განმცხადებელს აცნობა, რომ ხელშეკრულების გაფორმება შესაძლებელი იქნებოდა გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ შესაბამისი ლიცენზიის გაცემის შემდეგ და 2003 წლის 10 დეკემბერს, ტყის კოდექსის 87-ე მუხლის შესაბამისად, შპს «კავკასიის» სახელზე გაცემული ლიცენზიის საფუძველზე, კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით შპს «კავკასიასა» და სატყეო დეპარტამენტს შორის დაიდო ტყით სარგებლობის ხელშეკრულება, რომლის გაუქმება შესაძლებელი იქნებოდა მხოლოდ ცხოველთა სამყაროთი სარგებლობის შესახებ ლიცენზიის გაუქმების შემდეგ.

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის 2005 წლის 18 მარტის განჩინებით სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 275-ე მუხლის «გ» პუნქტის შესაბამისად, მოსარჩელების - ო. გ-ევის, ა. ნ-ოვის, ო. მ-ევისა და უ. მ-ევის სარჩელი დარჩა განუხილველად სასამართლოს მთავარ სხდომაზე გამოუცხადებლობის გამო.

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის 2005 წლის 3 მაისის გადაწყვეტილებით ა. მ-ვის, ა. ბ-ვის, მ. გ-ვისა და სხვათა სარჩელი დაკმაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ გაცემული საქართველოს ცხოველთა სამყაროთი სარგებლობის ლიცენზია (სერია ვ.მ. #0016) და 2003 წლის 30 დეკემბერს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტსა და შპს «კავკასიას» შორის გაფორმებული ტყით სარგებლობის ხელშეკრულება, რაც სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

სასამართლო კოლეგიამ დადგინდად მიიჩნია, რომ 2003 წლის 10 დეკემბრის ლიცენზიის გაცემამდე და 2003 წლის 30 დეკემბერს ხელშეკრულების გაფორმებამდე, მოსარჩელები კანონით დადგენილი ჩარჩოებით სარგებლობდნენ სადავო ტყის მასივით. მათ ათეული წლების განმავლობაში მოპოვებული ჰქონდათ უფლება, ესარგებლათ ტყის მასივით, როგორც სამოვრით, რის საფასურადაც თითოეული მოსარგებლე ვალდებული იყო გადაეხადა შესაბამისი გადასახადი სამოვრების გამოყენებასთან დაკავშირებით, ფაქტობრივად, სატყეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტსა და თითოეულ მოსარჩელეს შორის არსებობდა სახელშეკრულებო ვალდებულება. სასამართლო კოლეგიის აზრით, სამოქალაქო კოდექსის ამოქმედების შემდეგ, აღნიშნული ურთიერთობები რეგულირდება მითითებული კოდექსის მე-2 მუხლის მე-4 ნაწილით დადგენილი სამართლის წყაროთი - ჩვეულებებით. ამასთან, მხარეთა შორის ურთიერთობები რეგულირდებოდა წერილობითი ფორმითაც, რადგან მოსარჩელები იყენებდნენ რა ტყის მასივს სამოვრის დანიშნულებით, იხდიდნენ გარკვეულ გასამრჯელოს ბიუჯეტის სასარგებლოდ.

შპს «კავკასიის» სახელზე გაცემულ ლიცენზიასთან დაკავშირებით სასამართლო კოლეგიამ აღნიშნა, რომ ლიცენზიის გაცემით შეილახა მოსარჩელეთა, როგორც ტყით მოსარგებლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები, რადგან მათ ფაქტობრივად შეეზღუდათ ტყით სარგებლობა და მათი ინტერესები იყო უზღუდელყოფილი. სასამართლო კოლეგიამ მიიჩნია, რომ ლიცენზიის გაცემისას დაირღვა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 32-ე და 34-ე მუხლების მოთხოვნები. ლიცენზიის გაცემისას მიწვეული არ იყვნენ მოსარჩელები, რითაც დაირღვა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60 მუხლის პირველი ნაწილის «დ» პუნქტის მოთხოვნა.

სასამართლო კოლეგიის აზრით, მოსარჩელეთა ტყით სარგებლობის უფლება შეიზღუდა ასევე სადავო ხელშეკრულებით, რის გამოც იგი ბათილად უნდა იქნეს ცნობილი. ხელშეკრულების ბათილად ცნობის საფუძველად, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 70-ე მუხლის შესაბამისად, სასამართლო კოლეგიამ ასევე მითითა ლიცენზიის ბათილად ცნობა.

თბილისის საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრეს შპს «კავკასიამ» და გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრომ.

შპს «კავკასიამ» საკასაციო საჩივრით მოითხოვა თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის 2005 წლის 3 მაისის გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნება იმავე სასამართლოსათვის, შემდეგი მოტივით:

სასამართლო კოლეგიის გადაწყვეტილება დაუსაბუთებელია, რის გამოც შეუძლებელია მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება, სასამართლომ არასწორად განმარტა კანონი, არ გამოიყენა საქართველოს ტყის კოდექსის 51-ე, 53-ე, 56-ე, 81-ე მუხლები, რომლებიც უნდა გამოეყენებინა, გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის მე-2 მუხლის მე-4 ნაწილი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, სასამართლომ არ დაადგინა ფაქტობრივი გარემოებები, რომლებზეც დაამყარა თავისი დასკვნები და მოსაზრებები, კერძოდ, კასატორის განმარტებით, სახელმწიფო ტყის ფონდის სატყეო, სპეციალური დანიშნულებისა და გამოუყენებელი მიწებით სასოფლო-სამეურნეო მიზნით სარგებლობის წესს არეგულირებს ტყის კოდექსი და არა ჩვეულებები. ტყის ფონდის მიწების სამოვრად გამოყენებისათვის აუცილებელია სპეციალური დოკუმენტი ტყით სარგებლობისათვის - ხელშეკრულება ან ბილეთი, აკრძალულია ტყით სარგებლობა ლიცენზიის, ხელშეკრულების ან ბილეთის გარეშე. ჩვეულება კი, როგორც სამართლის წყარო, გამოიყენება მხოლოდ მაშინ, როდესაც არ არსებობს კანონი. კონკრეტულ შემთხვევაში არსებობს სპეციალური კანონი - ტყის კოდექსი, რომელიც სასამართლო კოლეგიამ არ გამოიყენა. მოსარჩელებს არ წარმოუდგენიათ და არც სასამართლოს გამოუთხოვია მტკიცებულებები, რომლებითაც დადასტურდებოდა სატყეო ფონდისა და მოსარჩელებს შორის ტყით სარგებლობის შესახებ ხელშეკრულების არსებობა. სასამართლოს არ გამოუკვლივია ფაქტები, რომლებიც დადასტურებდა ან უარყოფდა მოსარჩელებსა და სატყეო მეურნეობას შორის სახელშეკრულებო ვალდებულების არსებობას და არ გამოუკვლივია, ლიცენზიის გაცემისას რომელიმე მოსარჩელეს ჰქონდა თუ არა ტყით სარგებლობის კანონიერი უფლება. სასამართლომ ასევე დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 249-ე მუხლის მოთხოვნები და სამოტივაციო ნაწილში არ მიუთითა მტკიცებულებებზე, რომლებზეც დაამყარა თავისი დასკვნები, არ გამოიკვლია რაიმე წერილობითი მტკიცებულება, რომ მოსარჩელები იხდიდნენ გარკვეულ გადასახადს, ასევე, იყო თუ არა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 32-ე და 34-ე მუხლების მოთხოვნები დარღვეული.

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრომ საკასაციო საჩივრით მოითხოვა თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის 2005 წლის 3 მაისის გადაწყვეტილების გაუქმება, შემდეგი მოტივით:

კასატორის აზრით, სასამართლო კოლეგიამ არასწორად განმარტა საქართველოს ტყის კოდექსის ის ნორმები, რომლებიც აწესრიგებს ტყით სარგებლობის საკითხებს, გამოიყენა «სამეწარმეო საქმიანობის ლიცენზიისა და ნებართვის გაცემის საფუძვლების შესახებ» კანონის III და IV თავები, რომლებიც არ უნდა გამოეყენებინა და არ გამოიყენა «ცხოველთა სამყაროს შესახებ» კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, კერძოდ, კასატორმა აღნიშნა, რომ სამონადირეო მეურნეობის შექმნაზე გენერალური ლიცენზიის გაცემა, როგორც სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებისათვის, დადგენილია საქართველოს ტყის კოდექსით, «ცხოველთა სამყაროს შესახებ» და «სამეწარმეო საქმიანობის ლიცენზიისა და ნებართვის გაცემის საფუძვლების შესახებ» საქართველოს კანონებით. «სამეწარმეო საქმიანობის ლიცენზიისა და ნებართვის გაცემის საფუძვლების შესახებ» კანონის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, მითითებული კანონის მე-3 და მე-4 თავები არ ვრცელდება ბუნებრივი რესურსებისა და ტყითსარგებლობის სფეროში საქართველოს სპეციალური კანონმდებლობით მოწესრიგებულ ურთიერთობებზე, რაც უფლებელყო სასამართლო კოლეგიამ. კასატორის აზრით, იმ შემთხვევაშიც კი, ლიცენზიის გაცემა რომ ხორციელდებოდეს საჯარო ადმინისტრაციული წარმოების წესით, მოსარჩელები არ წარმოადგენენ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 95-ე მუხლით განსაზღვრულ, დაინტერესებულ მხარეებს, რადგან ფერმერის სამართლებრივი მდგომარეობა ვერ გაუარესდება მესამე პირზე ლიცენზიის გაცემით.

რაც შეეხება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 32-ე და 34-ე მუხლების დარღვევას, კასატორის განმარტებით, აღნიშნული არ მომხდარა, რადგან ლიცენზიის მისაღებად კონკურსის გამართვის შესახებ საჯაროდ იყო ცნობილი. ხოლო 34-ე მუხლი ადგენს კოლეგიური საჯარო დაწესებულების სხდომის ჩატარების წესს, სამინისტრო კი არ წარმოადგენს კოლეგიურ საჯარო დაწესებულებას.

კასატორმა ასევე არ გაიზიარა სასამართლო კოლეგიის მოსაზრება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60 მუხლის პირველი ნაწილის «დ» პუნქტის დარღვევის შესახებ, რომელიც ადგენს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად გამოცხადების შემთხვევებსა და წესს და აღნიშნა, რომ მოსარჩელებს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის შესახებ მოთხოვნა არ დაუყენებიათ, ხოლო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი საქმეში არ დევს და ვერც იქნება წარმოდგენილი, რადგან «ცხოველთა სამყაროს შესახებ» კანონი გენერალური ან ჩვეულებრივი, ერთჯერადი სახელობითი ლიცენზიის, როგორც უფლების მინიჭებისათვის ცალკე ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას, იმ რეკვიზიტებით, რაც დადგენილია ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლით, არ ითვალისწინებს. სადავო დოკუმენტი, რომელიც ბათილად ცნო სასამართლომ, «სამეწარმეო საქმიანობის ლიცენზიისა და ნებართვის გაცემის საფუძვლების შესახებ» კანონის მე-2 მუხლის «ბ» ქვეპუნქტის თანახმად, წარმოადგენს სალიცენზიო მოწმობას და არა ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს.

კასატორის აზრით, კონკრეტულ შემთხვევაში სასამართლო კოლეგიას უნდა ეხელმძღვანელო საქართველოს ტყის კოდექსით, «ცხოველთა სამყაროს შესახებ» და «სამეწარმეო საქმიანობის ლიცენზიისა და ნებართვის გაცემის საფუძვლების შესახებ» კანონებითა და მათ საფუძველზე მიღებული კანონქვემდებარე აქტებით და უნდა დაედგინა, რომ სახელმწიფო ტყის ფონდის მართვის სახელმწიფო პოლიტიკის განსაზღვრა, ასევე, საქმიანობის კოორდინირება და ტყის რესურსებით სარგებლობის რეგულირება, სახელმწიფო ტყის ფონდის მართვის სფეროში საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოთა კომპეტენცია და მისი კანონისმიერი ვალდებულებაა. ტყითსარგებლობა უნდა ხორციელდებოდეს ისეთი მეთოდებით, რომლებიც ზიანს არ აყენებენ ადამიანის ჯანმრთელობას, გარემოსა და მისი ბიომრავალფეროვნების მდგრადობას, ცხოველთა სამყაროს ისტორიულ, კულტურისა და ბუნების ძეგლებს. სამონადირეო მეურნეობის შექმნის მიზნით, შეიძლება იყოს სამონადირეო სავარგული მხოლოდ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს წინასწარი ეკოლოგიური, ბიოლოგიური-ეკონომიკური გამოკვლევის, ცხოველთა სამყაროს ობიექტთა სრულფასოვანი აღრიცხვისა და მდგომარეობის დაფიქსირების, ცხოველთა აღწარმოებისა და მოპოვების დადგენის შემდეგ. სამონადირეო მეურნეობის შექმნის თაობაზე ლიცენზიის გაცემისას სამინისტროში მიმდინარეობს არა საჯარო ადმინისტრაციული წარმოება, არამედ აღნიშნული პროცედურები ტარდება «ცხოველთა სამყაროს შესახებ» კანონისა და მის საფუძველზე მიღებული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების საფუძველზე.

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროსა და შპს «კავკასიის» საკასაციო საჩივრები არ ცნო მოწინააღმდეგე მხარების - ა. მ-ევის, ა. ბ-ოვის, მ. გ-ოვისა და სხვათა წარმომადგენელმა და შესაგებლით მოითხოვა თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის 2005 წლის 3 მაისის გადაწყვეტილების ძალაში დატოვება და საკასაციო საჩივრების დაკმაყოფილებაზე უარის თქმა, შემდეგი მოტივით:

საკასაციო საჩივრებში მითითებულ დარღვევები არ მომხდარა, სასამართლო კოლეგიამ გადაწყვეტილება მიიღო კანონის მოთხოვნათა დაცვით, რის გამოც არ არსებობს მისი გაუქმების საფუძველი; სასამართლომ მართებულად მიიჩნია გასაჩივრებული ლიცენზია ადმინისტრაციულ აქტად, რადგან იგი აკმაყოფილებს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის «დ» ქვეპუნქტის მოთხოვნას. ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-17 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად კი, გასაჩივრებული ადმინისტრაციული აქტის გამომცემ ორგანოს - გარემოს დაცვისა და

ბუნებრივი რესურსების სამინისტროს უნდა წარმოედგინა ლიცენზიის კანონთან შესაბამისობის დამადასტურებელი მტკიცებულებები.

შესაგებლის ავტორმა გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსაზრება ლიცენზიის გაცემისას ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 32-ე და 34-ე მუხლების მოთხოვნათა დარღვევის შესახებ, რაც გამოიხატა იმაში, რომ მოსარჩელები მიწვეული არ იყვნენ ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობის მისაღებად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, საკასაციო საჩივრების მოტივების საფუძვლიანობისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროსა და შპს «კავკასიის» საკასაციო საჩივრები უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის 2005 წლის 3 მარტის გადაწყვეტილება და საქმე განსახილველად გადაეცეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას შემდეგ გარემოებათა გამო:

გასაჩივრებული გადაწყვეტილების მიღებისას სასამართლოს მიერ დარღვეულია მატერიალური და საპროცესო სამართლის ნორმები, კერძოდ, სსკ-ის 393.2 მუხლის «ა» და «ბ» ქვეპუნქტებისა და სსკ-ის 394-ე მუხლის «ე» პუნქტის მოთხოვნები. სასამართლომ გამოიყენა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-2 მუხლის მე-4 ნაწილი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა და მიიჩნია, რომ მოსარჩელებსა და სახელმწიფოს შორის არსებობდა სამართლებრივი ურთიერთობები, რომლებიც რეგულირდება სამართლის წყაროთი - ჩვეულებით. სასამართლო კოლეგიის აღნიშნულ დასკვნას საკასაციო სასამართლო მიიჩნევს დაუსაბუთებლად და სრულიად ალოგიურად, იზიარებს კასატორის - შპს «კავკასიის» მიერ წამოყენებულ საკასაციო პრეტენზიას და განმარტავს, რომ ჩვეულების, როგორც სამართლის წყაროს გამოყენების საფუძველს წარმოადგენს სამართალური თეორიის მომწესრიგებელი კანონის არარსებობა, კონკრეტულ შემთხვევაში კი, ტყით სარგებლობასთან დაკავშირებული ურთიერთობები რეგულირდება ტყის კოდექსით, რომელიც ტყითსარგებლობის უფლების მოპოვების აუცილებელ პირობად ადგენს სპეციალური დოკუმენტის - ხელშეკრულების, ბილეთის ან ლიცენზიის არსებობას.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, საკასაციო სასამართლოსათვის სავალდებულოა სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები, თუ წამოყენებული არ არის დამატებითი და დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია, მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ წარმოდგენილია დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია, კერძოდ, სასამართლო კოლეგიამ დადგენილად მიიჩნია, რომ შპს «კავკასიის» სახელზე 2003 წლის 10 დეკემბერს ცხოველთა სამყაროს სარგებლობის შესახებ გენერალური ლიცენზიის გაცემამდე და ამ უკანასკნელსა და სატყეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტს შორის 2003 წლის 30 დეკემბერს სახელმწიფო-სამეურნეო ტყის ფონდის ტერიტორიაზე სამონადირეო მეურნეობის მოწყობისა და მართვის შესახებ ხელშეკრულების გაფორმებამდე, მოსარჩელები სარგებლობდნენ ტყის მასივით. მათ ათეული წლების მანძილზე მოპოვებული ჰქონდათ უფლება ესარგებლათ ტყის მასივით, როგორც საძოვრით, რის საფასურადაც თითოეული მოსარჩელე იხდიდა გარკვეულ გასამრჯელოს ბიუჯეტის სასარგებლოდ და, ფაქტობრივად, სატყეო მეურნეობის დეპარტამენტსა და თითოეულ მოსარჩელეს შორის არსებობდა სახელშეკრულებო ვალდებულება. საკასაციო პალატა აღნიშნულს ვერ გაიზიარებს და დასაბუთებულად მიიჩნევს კასატორის - შპს «კავკასიის» მიერ წამოყენებულ საკასაციო პრეტენზიას სასამართლოს გადაწყვეტილების დაუსაბუთებულობისა და იმის თაობაზე, რომ მოსარჩელებსა და სატყეო მეურნეობის დეპარტამენტს შორის სახელშეკრულებო ვალდებულების არსებობა არ არის დადასტურებული სათანადო მტკიცებულებებით. საკასაციო პალატა თვლის, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 249-ე მუხლის მე-4 ნაწილის მოთხოვნა, რადგან გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში არ მიუთითა მტკიცებულებებზე, რომლებზეც დაამყარა თავისი დასკვნები. სასამართლოს ასევე არ დაუსაბუთებია, თუ რით დასტურდება მოსარჩელების მიერ ბიუჯეტის სასარგებლოდ გადასახადის გადახდა ტყის მასივით სარგებლობისათვის. ამდენად, საკასაციო პალატა თვლის, რომ სასამართლომ ფაქტობრივი გარემოებები დადგენილად ცნო მტკიცებულებების გამოკვლევის გარეშე, სასამართლო კოლეგიის გადაწყვეტილება დაუსაბუთებელია, რის გამოც შეუძლებელია მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება.

საკასაციო სასამართლო ასევე ვერ გაიზიარებს სასამართლო კოლეგიის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ შპს «კავკასიის» სახელზე ლიცენზიის გაცემით მოსარჩელებს შეეზღუდათ ტყით სარგებლობის უფლება, რადგან სასამართლო კოლეგიას არ უმსჯელია, მოსარჩელები წარმოადგენენ თუ არა საქართველოს ტყის კოდექსის მე-5 მუხლის «ი» პუნქტით განსაზღვრულ ტყითმოსარგებლებს, კერძოდ, აღნიშნული ნორმის თანახმად, ტყითმოსარგებლებს განეკუთვნებიან პირები, რომლებსაც ტყით სარგებლობის განხორციელების უფლებამოსილება მინიჭებული აქვთ საქართველოს კანონმდებლობით. ამავე კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად კი, ტყით სარგებლობა ხორციელდება ტყითსარგებლობის ლიცენზიის, ხელშეკრულების ან ბილეთის საფუძველზე. სასამართლო კოლეგიას არ გამოუკვლევია მოსარჩელებს გააჩნდათ თუ არა ტყით სარგებლობის კანონიერი უფლება და არ უმსჯელია აღნიშნულ გარემოებებზე.

ამასთან, საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორის - გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ ტყითსარგებლობის ლიცენზია არ წარმოადგენს ადმინისტრაციულ აქტს. აღნიშნულთან დაკავშირებით, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ შპს «კავკასიის» სახელზე 2003 წლის 10 დეკემბერს გაცემული გენერალური ლიცენზია წარმოადგენს აღმჭურველ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, თანახმად საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის «ვ» ქვეპუნქტისა, რადგან იგი გამოცემულია ადმინისტრაციული ორგანოს - სატყეო მეურნეობის დეპარტამენტის მიერ, ადმინისტრაციული კანონმდებლობის, ტყის კოდექსის 57-ე მუხლის მე-6 ნაწილის საფუძველზე, რომელიც ანიჭებს დაინტერესებულ მხარეს - შპს «კავკასიის» ცხოველთა სამყაროს ობიექტების გამოყენების მიზნით სამონადირეო მეურნეობის მოწყობის უფლებას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო პალატა თვლის, რომ სასამართლომ საქმის განხილვისას უნდა იმსჯელოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე და ამავე კოდექსის 26²-ე მუხლის შესაბამისად, სარჩელის დასაშვებობაზე, რომლის მიხედვით, სარჩელი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის შესახებ დასაშვებია, თუ იგი პირდაპირ და უშუალო ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს, ან უკანონოდ ზღუდავს მის უფლებას.

სასამართლო კოლეგიამ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60 მუხლის პირველი ნაწილის «დ» ქვეპუნქტის შესაბამისად, ბათილად ცნო შპს «კავკასიის» სახელზე გაცემული ლიცენზია, თუმცა არ გამოუვკლევია, არსებითად დაირღვა თუ არა ლიცენზიის გაცემისას აქტის მომზადებისა და გამოცემის წესები, ან რომელ კანონს ეწინააღმდეგება იგი, რაც ადმინისტრაციული აქტის ბათილად ცნობის საფუძველია. სასამართლო კოლეგიის გადაწყვეტილება აღნიშნულ ნაწილშიც დაუსაბუთებელია, რის გამოც შეუძლებელია მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება.

ამდენად, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სასამართლო კოლეგიამ გასაჩივრებული გადაწყვეტილების მიღებისას არ გამოიყენა კანონი, რომელიც არეგულირებს ტყის ფონდის გამოყენებასთან დაკავშირებულ სამართლებრივ ურთიერთობებს, კერძოდ: ტყის კოდექსი და «ცხოველთა სამყაროს შესახებ» კანონი, გადაწყვეტილება იურიდიულად დაუსაბუთებელია, რის გამოც საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ შპს «კავკასიისა» და გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს საკასაციო საჩივრები შეიცავს დასაბუთებულ არგუმენტაციას გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონშესაბამობის თაობაზე და სსსკ-ის 412-ე მუხლის შესაბამისად, მოცემული საქმე განსჯადობის წესების დაცვით განსახილველად უნდა გადაეცეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, რადგან «საერთო სასამართლოების შესახებ» საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ» 2005 წლის 23 ივნისის ორგანული კანონით ცვლილება შევიდა «საერთო სასამართლოების შესახებ» საქართველოს ორგანული კანონის მე-15 მუხლში და პირველი ინსტანციით საქმეები განსახილველად დაექვემდებარა რაიონულ (საქალაქო) სასამართლოებს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე, 399-ე, 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 412-ე მუხლით და

დაადგინა:

1. გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროსა და შპს «კავკასიის» საკასაციო საჩივრები დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის 2005 წლის 3 მაისის გადაწყვეტილება და საქმე განსახილველად გადაეცეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას;
3. საქმეზე სასამართლო ხარჯები გადანაწილდეს საბოლოო გადაწყვეტილების დადგენისას;
4. სასაკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

აქტის კანონიერების შემოწმება

განჩინება

#ბს-772-359(2კ-05)

22 მარტი, 2007 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე),
ლ. ლაზარაშვილი (მომხსენებელი),

ნ. სხირტლაძე

ღვთის საგანი: ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ნაწილობრივ ბათილად ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

2004 წლის 8 სექტემბერს ქუთაისის საოლქო სასამართლოს სასარჩელო განცხადებით მიმართეს დ. ბ-ძემ, ც. მ-შვილმა, დ. ფ-ძემ, შ. ჟ-იანმა, ჩ. გ-ძემ, ნ. ლ-შვილმა, ე. ბ-შვილმა, ლ. გ-იანმა, ნ. ჯ-ძემ, ლ. გ-ძემ მოპასუხეების - ქ. ქუთაისის საკრებულოსა და ქ. ქუთაისის მთავრობის მიმართ. მოსარჩელებმა მოითხოვეს «საქალაქთაშორისო და საგუბერნიო რეგულარულ მარშრუტებზე მგზავრთა კულტურული მომსახურების მიზნით გაწეული მუშაობისა და სრულყოფის ღონისძიებათა შესახებ» ქალაქ ქუთაისის მთავრობის 2003 წლის 10 სექტემბრის #3 გადაწყვეტილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე» ქ. ქუთაისის მთავრობის 2004 წლის 23 ივლისის #1 და საკრებულოს 2004 წლის 28 ივლისის #69 გადაწყვეტილებების ბათილად ცნობა.

მოსარჩელეთა მოთხოვნის საფუძვლები მდგომარეობდა შემდეგში:

მოპასუხეთა სადავო გადაწყვეტილებები მიღებულია საჯარო ადმინისტრაციული წარმოებისათვის დადგენილი ნორმების უგულებელყოფით, კერძოდ, დარღვეულია ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 116-118-ე, 210-ე, 213-ე და 216-ე მუხლების მოთხოვნები. აღნიშნული აქტების მიღებისას მოპასუხეებმა არ გაითვალისწინეს სოფლის მოსახლეობისა და ქუთაისში მცხოვრებ მეწარმეთა ინტერესები, რომელთაც უშუალოდ შეეხო სადავო აქტები, რადგან სამარშრუტო რეისების «ჯაჭვის ხიდის» ტერიტორიიდან რკინიგზის სადგურისა და ნინოშვილის ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე გადატანა მოსახლეობისათვის მოუხერხებელია. ასევე დაირღვა ადმინისტრაციული წარმოების სახე, რაც ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60.2 მუხლის თანახმად ქუთაისის მთავრობისა და საკრებულოს ზემოაღნიშნული გადაწყვეტილებების ბათილად ცნობის საფუძველია.

მოსარჩელეთა მითითებით, სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები გამოცემულია არაუფლებამოსილი ორგანოს მიერ, რადგან მათში საფუძვლად «საქართველოს საავტომობილო ტრანსპორტით მგზავრთა გადაყვანისა და ბარგის გადაზიდვის წესის» 3.2 მუხლია მითითებული. აღნიშნული ნორმით კი საგუბერნიო და საქალაქთაშორისო მარშრუტებს ნიშნავს, აუქმებს და მათზე მოძრაობის განრიგს ამტკიცებს საავტომობილო ტრანსპორტის დეპარტამენტი ადგილობრივ მმართველობის ორგანოებთან შეთანხმებით. ე.ი თავად სადავო აქტში მითითებული კანონქვემდებარე აქტით, რომლის საფუძველზეც გამოიცა მთავრობის #1 და საკრებულოს #69 გადაწყვეტილებები, მოპასუხეებს არ ჰქონდათ სადავო აქტების გამოცემის უფლებამოსილება, ისინი მხოლოდ ითანხმებდნენ საავტომობილო დეპარტამენტის მიერ აღნიშნულ საკითხზე მიღებულ გადაწყვეტილებას, ამიტომ არსებობდა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60.1 მუხლის «ა» პუნქტის თანახმად გასაჩივრებული გადაწყვეტილებების ბათილად ცნობის საფუძველი.

მოსარჩელეთა მოსაზრებით, გასაჩივრებული აქტები ეწინააღმდეგებოდა «საქართველოში საავტომობილო ტრანსპორტით მგზავრთა გადაყვანისა და ბარგის გადაზიდვის წესის» მე-4 მუხლს, რომლის თანახმად, რეგულარულ საავტომობილო მარშრუტების მომსახურებისათვის გადამყვანების შერჩევა ხორციელდება კონკურსის წესით, ხოლო კონკურსის პირობები განისაზღვრება რეგულარული საავტომობილო მარშრუტების მომსახურებისათვის გადამყვანებისა და ავტოსადგურების შერჩევის წესების მიხედვით. მაშასადამე, ამა თუ იმ მარშრუტზე ავტოსადგურის შერჩევა საჭიროებდა კონკურსის ჩატარებას, ქუთაისის მთავრობამ და საკრებულომ კი ადმინისტრაციული წარმოებით მოახდინეს ავტოსადგურების შერჩევა, რითაც დაარღვიეს «საავტომობილო ტრანსპორტის შესახებ» საქართველოს კანონი და მის საფუძველზე დამტკიცებული «საქართველოში საავტომობილო ტრანსპორტით მგზავრთა გადაყვანისა და ბარგის გადაზიდვის წესი». აღნიშნული, თავის მხრივ, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60.1 მუხლის «დ» ქვეპუნქტის თანახმად გასაჩივრებული აქტების ბათილად ცნობის საფუძველი იყო.

მოსარჩელეთა მითითებით, გასაჩივრებული აქტები უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებდა მათ ინტერესებს და უკანონოდ ზღუდავდა მათ უფლებებს, რადგან საკოლმეურნეო ბაზრთან მისასვლელად ყოველდღიური დამატებითი ხარჯების გაწევა ზარალს აყენებდა მათ ისედაც მწირ ბიუჯეტს.

ქუთაისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის 2004 წლის 9 სექტემბრის განჩინებით საქმე განსჯადობით განსახილველად გადაეცა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს.

2004 წლის 23 სექტემბერს მოსარჩელებმა შეამცირეს სასარჩელო მოთხოვნა და გასაჩივრებული აქტების ბათილად ცნობა მოითხოვეს მხოლოდ იმ ნაწილში, რომელიც შეეხებოდა შპს «იმერტრანსის» #3 ავტოსადგურიდან («ჯაჭვის ხიდი») - ტყიბულისა და თერჯოლის მიმართულების შპს «იმერტრანსის» #1 ავტოსადგურზე (რკინიგზის სადგური), ხოლო იმავე შპს «იმერტრანსის» #3 ავტოსადგურიდან («ჯაჭვის ხიდი») წყალტუბოს მიმართულებით (მაღლაკი-ფარცხანაყანევი) შპს «იმერტრანსის» #2 ავტოსადგურზე (ნინოშვილის ქუჩა) გადატანას.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2004 წლის 15 ნოემბრის განჩინებით საქმეში მესამე პირად ჩაბმულ იქნა ქუთაისის ისტორიული უბნების ასოციაცია «ბალახვანი».

მოპასუხეებმა სარჩელი არ ცნეს და მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვეს. მათი განმარტებით, სადავო აქტები გამოცემული იყო უფლებამოსილი ორგანოების მიერ, ვინაიდან მათი მეშვეობით მოხდა არა საგარეუბნო და საქალაქთაშორისო მარშრუტების დანიშვნა, გაუქმება ან მოძრაობის განრიგის დამტკიცება, არამედ საქალაქთაშორისო მარშრუტების საწყისი და ბოლო პუნქტების შეცვლა, რაც არა საავტომობილო ტრანსპორტის ადმინისტრაციის, არამედ ქუთაისის მთავრობისა და საკრებულოს კომპეტენციას წარმოადგენდა. მოპასუხეებმა სასამართლოს წარუდგინეს ქუთაისის საკრებულოს 2004 წლის 3 ნოემბრის #86 გადაწყვეტილება, რომლითაც ქუთაისის საკრებულოს 2004 წლის 28 ივლისის #69 გადაწყვეტილების მოქმედება შეჩერებულ იქნა საქართველოს საავტომობილო ტრანსპორტის ადმინისტრაციის მიერ საქალაქთაშორისო და საგარეუბნო მარშრუტებზე ახალი კონკურსის ჩატარებამდე, რაც, მათი აზრით, მოსარჩელეთა არგუმენტს იმის შესახებ, რომ გადაწყვეტების შერჩევა მოხდა კონკურსის გარეშე, უსაფუძვლოს ხდიდა. რაც შეხებოდა მოსარჩელეთა მითითებას მათი ინტერესების შელახვის თაობაზე, მოპასუხეებმა აღნიშნული დაუსაბუთებლად მიიჩნიეს იმ მოსაზრებით, რომ მათი არგუმენტები კერძო ინტერესებიდან გამომდინარეობდა, რაც ეწინააღმდეგებოდა საჯარო ინტერესს და მოსარჩელეებმა ვერ მიუთითეს რომელიმე კანონზე, რომელიც ლახავდა მათ უფლებებს.

მესამე პირის - ქუთაისის ისტორიული უბნების ასოციაცია «ბალახვის» წარმომადგენელმა სარჩელს ასევე მხარი არ დაუჭირა და მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა იმ მოტივით, რომ ქალაქის ცენტრალური უბნის იერსახისა და კეთილმოწყობის საკითხი, რაც ქალაქის მოსახლეობის ინტერესს წარმოადგენდა, უფრო მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე მოსარჩელეთა მიერ ცენტრალურ ბაზარში სავაჭროდ მისასვლელად ყოველდღიურად ერთ ლარამდე ხარჯის დამატებით გაღება.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2004 წლის 1 დეკემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლობის გამო.

პირველი ინსტანციის სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ქუთაისის მთავრობის 2004 წლის 23 ივლისის #1 გადაწყვეტილებით ქალაქის ცენტრალური ნაწილის საგარეუბნო და საქალაქთაშორისო ავტობუსებით გადატვირთვის გამო, რაც მოსახლეობის გულისწყრომას იწვევდა, შეტანილ იქნა ცვლილება «საქალაქთაშორისო და საგარეუბნო რეგულარულ მარშრუტებზე მგზავრთა კულტურული მომსახურების მიზნით გაწეული მუშაობისა და სრულყოფის ღონისძიებათა შესახებ» ქუთაისის მთავრობის 2003 წლის 10 სექტემბრის #3 გადაწყვეტილების მე-3 მუხლის დანართში, რომლის შესაბამისად ტყიბულის, თერჯოლის და წყალტუბოს მიმართულებით მოძრავი ავტობუსების დისლოკაცია შეიცვალა და შპს «იმერტრანსის» #3 ავტოსადგურიდან («ჯაჭვის ხიდი») გადატანილი იქნა შპს იმერტრანსის #1 (რკინიგზის სადგური) და #2 (ნინოშვილის ბაზარი) ავტოსადგურებზე.

საქალაქო სასამართლოს მითითებით, სადავო აქტებით არ მომხდარა საქალაქთაშორისო მარშრუტების არც დანიშვნა, არც გაუქმება და არც მოძრაობის განრიგის დამტკიცება, რადგან განრიგში იგულისხმებოდა მარშრუტზე მოძრაობის დროის განსაზღვრა და არა გარკვეულ მარშრუტზე მოძრავი ტრანსპორტის გასვლისათვის საწყისი პუნქტის შერჩევა. საქალაქთაშორისო მარშრუტების დანიშვნა, გაუქმება და მოძრაობის განრიგის დადგენა «მგზავრთა გადაყვანის წესის» 3.2 მუხლის მიხედვით საავტომობილო ტრანსპორტის დეპარტამენტის უფლებამოსილებას განეკუთვნებოდა, მაგრამ უკვე აღნიშნული და განსაზღვრული განრიგით მოძრავი ავტობუსების გასვლისა და საბოლოო პუნქტების შერჩევა «ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ» საქართველოს ორგანული კანონის 13.2 მუხლის «ა» ქვეპუნქტის შესაბამისად მოპასუხეთა კომპეტენციაში შედიოდა. აღნიშნულს ისიც ადასტურებდა, რომ, როგორც ქუთაისის მთავრობის 2003 წლის 10 სექტემბრის გადაწყვეტილებაში იყო მითითებული, საქალაქთაშორისო მარშრუტზე მომუშავე გადაამზიდელები არ ემორჩილებოდნენ «ქუთაისში მოსახლეობის ტრანსპორტით მომსახურების ორგანიზაციის წესის» მოთხოვნებს, რომელიც მიღებული იყო ქუთაისის საკრებულოს მიერ. აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელეთა მსჯელობა სადავო აქტების არაუფლებამოსილი ორგანოს მიერ გამოცემის თაობაზე.

საქალაქო სასამართლო ასევე არ დაეთანხმა მოსარჩელეთა მიერ სადავო აქტების ბათილობის საფუძვლად მათი «მგზავრთა გადაყვანის წესის» მე-4 მუხლის მოთხოვნებთან წინააღმდეგობაზე მითითებას, რომელიც ადგილობრივი მმართველობის ორგანოებს რეგულარული საავტობუსო მარშრუტების მომსახურებისათვის ავტოსადგურების კონკურსის წესით შერჩევას ავალდებულებდა, ვინაიდან, სასამართლოს განმარტებით, ხსენებული მუხლით დადგენილი იყო კონკურსის წესით მხოლოდ გადაამზიდელების და არა ავტოსადგურების შერჩევა.

სასამართლო ასევე არ დაეთანხმა კანონიერი უფლებების შელახვის მოტივს, რადგან მოქმედი კანონმდებლობა არ კრძალავდა ავტოსადგურების შერჩევას ქალაქში მდებარე ამა თუ იმ ობიექტთან სიახლოვის გათვალისწინებით, ამასთან, გასაჩივრებული აქტით ზიანი მიადგა არა მოსარჩელეთა კანონით გათვალისწინებულ უფლებებს, არამედ მათ კერძო ინტერესებს, რაც არ გამოირიცხებოდა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული აქტის მიღებისას, რადგან ადმინისტრაციული აქტით განსაზღვრული საჯარო ინტერესი წარმოადგენდა ცალკეული კერძო ინტერესების დაბალანსებულ და ურთიერთშეთანასწორებულ კრებით გამოხატულებას. იმის გამო, რომ მოსახლეობის სატრანსპორტო საშუალებებით მომსახურების წესების უფლებამოსილებას «ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ» ორგანული კანონი მოპასუხეებს ანიჭებდა, სასამართლოს აზრით, აღნიშნული მოპასუხეთა დისკრეციულ უფლებამოსილებას წარმოადგენდა, რომელიც ზოგადი ადმინისტრაციული

კოდექსის 2.1 მუხლის «ლ» ქვეპუნქტის შესაბამისად ადმინისტრაციულ ორგანოს ავალდებულებდა, კანონმდებლობის შესაბამისი რამდენიმე გადაწყვეტილებიდან ყველაზე მისაღების შერჩევას დაეცვა საჯარო და კერძო ინტერესები. საჯარო და კერძო ინტერესების პროპორციულობის პრინციპს პირდაპირ განამტკიცებდა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-7 მუხლი, რომლის მიხედვითაც დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა დაუშვებელი იყო მხოლოდ ორ შემთხვევაში: თუ პირის კანონით დაცული უფლებებისა და ინტერესებისათვის მიყენებული ზიანი არსებითად აღემატებოდა იმ სიკეთეს, რომლის მისაღებადაც იგი გამოიცა და თუ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით გათვალისწინებული ზომები იწვევდა პირის კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაუსაბუთებელ შეზღუდვას. მოსარჩელეთა კერძო ინტერესების დარღვევასთან დაკავშირებით სასამართლომ მიუთითა, რომ მოპასუხეთა მიერ გამოცემული აქტებით მოსარჩელეთა ხარჯის ყოველდღიურად ერთ ლარამდე გაზრდით მიყენებული ზიანი არსებითად არ აღემატებოდა იმ სიკეთეს, რასაც წარმოადგენდა ქალაქის ცენტრალური ნაწილის განტვირთვა და კეთილმოწყობა და რადგან სწორედ აღნიშნული მოტივით იყო დასაბუთებული გასაჩივრებული აქტი, ეს, სასამართლოს მოსაზრებით, იმას ადასტურებდა, რომ მოსარჩელეთა კერძო ინტერესების შეზღუდვა დაუსაბუთებლად არ მომხდარა.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2004 წლის 1 დეკემბრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა შ. ჟ-იანის და ლ. გ-იანის წარმომადგენელმა კ. კ-შვილმა და მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

აპელანტის მითითებით, სასამართლომ არასწორად განმარტა «ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ» ორგანული კანონის 13.2 მუხლის «ა» პუნქტი და «მგზავრთა გადაყვანის წესის» 3.2 მუხლი, როდესაც აღნიშნა, რომ უკვე დანიშნული და განსაზღვრული განრიგით მოძრავი საქალაქთაშორისო მარშრუტების ავტობუსების გასვლისა და ბოლო პუნქტის შერჩევა ქალაქის ტერიტორიაზე «ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ» ორგანული კანონის 13.2 მუხლის «ა» ქვეპუნქტის შესაბამისად შედიოდა ქ. ქუთაისის მთავრობისა და საკრებულოს კომპეტენციაში. «მგზავრთა გადაყვანის» წესის 3.2 მუხლით საქალაქთაშორისო მარშრუტების დანიშვნა, გაუქმება და მოძრაობის განრიგის დადგენა წარმოადგენდა საავტომობილო ტრანსპორტის დეპარტამენტის უფლებამოსილებას, საქალაქთაშორისო ავტობუსების გასვლისა და ბოლო გაჩერების შერჩევა კი სწორედ მარშრუტის დანიშვნა იყო და იგი საავტომობილო დეპარტამენტის უფლებამოსილებაში შედიოდა. მაშასადამე, გასაჩივრებული ადმინისტრაციული აქტი არაუფლებამოსილი ორგანოს მიერ იყო მიღებული, რის გამოც იგი ბათილად ცნობას ექვემდებარებოდა.

აპელანტმა აღნიშნა, რომ გასაჩივრებული აქტების საფუძვლად მითითებული იყო «საქართველოში საავტომობილო ტრანსპორტით მგზავრთა გადაყვანისა და ბარგის გადაზიდვის წესის» 3.2 მუხლი, რომლითაც საქალაქთაშორისო მარშრუტებს ნიშნავს და აუქმებს საავტომობილო ტრანსპორტის დეპარტამენტი, მაშასადამე, გასაჩივრებულ ადმინისტრაციულ აქტებს იურიდიული საფუძველი არ ჰქონდა, ვინაიდან ზემოაღნიშნული ნორმატიული აქტით მარშრუტების დანიშვნა და გაუქმება არ შედიოდა ადგილობრივი თვითმმართველობის კომპეტენციაში. აპელანტმა ასევე მიუთითა, რომ გასაჩივრებული იყო ნორმატიული აქტები, რის გამოც პირველ ინსტანციაში საქმე არაკანონიერმა შემადგენლობამ განიხილა.

ქუთაისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2005 წლის 29 მარტის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და უცვლელად დარჩა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2004 წლის 1 დეკემბრის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის მითითება განსჯადობასა და სასამართლოს უკანონო შემადგელობაზე იმ მოტივით, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის თანახმად, სასამართლომ განსჯადობის წესების დაცვით თავის წარმოებაში მიღებული საქმე უნდა განიხილოს და არსებითად გადაწყვიტოს, თუნდაც ეს საქმე შემდგომში სხვა სასამართლოს განსჯადი გახდეს. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად პირველი ინსტანციის სასამართლოს განსჯადობას სააპელაციო სასამართლო ამოწმებდა მხოლოდ მოპასუხის მოთხოვნით. ასეთი მოთხოვნა დასაშვებია იყო, თუ იგი საქმის პირველ ინსტანციაში განხილვისას იყო წამოყენებული მოპასუხის მიერ ან თუ არსებობდა საპატიო მიზეზი, რის გამოც ასეთი მოთხოვნა ვერ იქნა წინა ინსტანციაში წამოყენებული. მოპასუხეებს არც პირველ და არც სააპელაციო სასამართლოში განსჯადობა სადავოდ არ გაუხდიათ, რის გამოც სააპელაციო სასამართლოს მიერ პირველი ინსტანციის სასამართლოს განსჯადობის შემოწმების კანონით გათვალისწინებული საფუძველი არ არსებობდა.

სააპელაციო სასამართლო პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებას მთლიანად დაეთანხმა და აღნიშნა, რომ, როგორც აპელანტის განმარტებით დასტურდებოდა, სადავო ადმინისტრაციული აქტების ბათილად ცნობას ისინი ითხოვდნენ იმ საფუძველებით, რომ აქტები არ იყო გამოცემული უფლებამოსილი ორგანოს მიერ, კერძოდ, საქალაქთაშორისო მარშრუტის დანიშვნის უფლება ჰქონდა ტრანსპორტის დეპარტამენტს და რომ «ჯაჭვის ხიდის» სადგურიდან რკინიგზის სადგურისა და ნინოშვილის ბაზრის ტერიტორიაზე ავტოსადგურის გადატანა ეკონომიურად მძიმე მდგომარეობაში აყენებდა მათ.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, «სამგზავრო სამარშრუტო გადაზიდვების ორგანიზაციისა და მართვის ერთიანი წესის» მე-2 მუხლის მე-11-მე-12 პუნქტების თანახმად, რეგულარული მარშრუტი

არის მარშრუტი, რომელზეც სამგზავრო ავტოსატრანსპორტო საშუალებათა მიმოსვლა წარმოებს მოძრაობის განრიგის შესაბამისად. საქართველოს ტრანსპორტის მინისტრის 1998 წლის 10 ივლისის ბრძანებით დამტკიცებული «საქართველოში საავტომობილო ტრანსპორტით მგზავრთა გადაყვანისა და ბარგის გადაზიდვის წესის» 1.4 მუხლის თანახმად, «მარშრუტი» პუნქტებს შორის სამგზავრო ავტოსატრანსპორტო მიმოსვლისთვის დადგენილი გზასავალია, «მოძრაობის განრიგი» - მარშრუტზე სამგზავრო ავტოსატრანსპორტო საშუალებათა მიმოსვლის დროისა და პერიოდულობის განმსაზღვრელი ცხრილი. «წესის» 3.2 მუხლის თანახმად, საგარეუბნო და საქალაქთაშორისო მარშრუტებს ნიშნავს, აუქმებს და მათზე მოძრაობის განრიგს ამტკიცებს საავტომობილო ტრანსპორტის დეპარტამენტი გადაწვიდავის მიერ წარმოდგენილი განრიგის პროექტის გათვალისწინებით, ადგილობრივ მმართველობის ორგანოებთან შეთანხმებით.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, გასაჩივრებული ადმინისტრაციული აქტით არ მომხდარა საგარეუბნო და საქალაქთაშორისო მარშრუტების დანიშვნა, გაუქმება ან მათზე მოძრაობის განრიგის დამტკიცება. შესაბამისად, ამ აქტების გამოცემით «წესის» 3.2 მუხლის მოთხოვნა არ დარღვეულა. ქუთაისის მთავრობის 2004 წლის 23 ივლისის #1 და საკრებულოს 2004 წლის 28 ივლისის #69 გადაწყვეტილებებით მოხდა უკვე დანიშნული საქალაქთაშორისო მარშრუტების დისლოკაციის ადგილის შეცვლა (ქალაქის ერთი ავტოსადგურიდან გადატანილი იქნა სხვა ავტოსადგურში), ხოლო «ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ» საქართველოს ორგანული კანონის 13.2 მუხლის «ა» ქვეპუნქტის თანახმად, იმ ქალაქის, რომელიც არ შედის რაიონის შემადგენლობაში, საკრებულოს უფლებამოსილებას აგრეთვე განეკუთვნება მოსახლეობის სატრანსპორტო საშუალებებით მომსახურების წესების დამტკიცება. საქართველოს ტრანსპორტის მინისტრის 1999 წლის 21 სექტემბრის ბრძანებით დამტკიცებული საავტომობილო ტრანსპორტის სახელმძღვანელო დოკუმენტის - «სამგზავრო სამარშრუტო გადაზიდვების ორგანიზაციის და მართვის ერთიანი წესის» 3.14 მუხლის თანახმად, წესის დებულებათა მოთხოვნების კონკრეტულ პირობებთან მისადაგების მიზნით ადგილობრივი მმართველობის ორგანოები ადგენენ ადგილობრივი თვითმმართველობის დაწესებულებისა და მოსახლეობის ტრანსპორტით მომსახურების ორგანიზების ადგილობრივ წესებს.

სააპელაციო სასამართლო დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს არგუმენტს «მგზავრთა გადაყვანის წესის» შესაბამისად მხოლოდ გადამზიდავთა საკონკურსო წესით შერჩევის შესახებ და აღნიშნა, რომ კანონი არ ითვალისწინებდა ავტოსადგურების შერჩევას კონკურსის წესით.

სააპელაციო სასამართლომ ასევე გაიზიარა გასაჩივრებული გადაწყვეტილების მოტივაცია იმის შესახებ, რომ საგარეუბნო და საქალაქთაშორისო მარშრუტების დისლოკაციის ადგილის განსაზღვრა ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოთა დისკრეციულ უფლებამოსილებას განეკუთვნება, რომელიც ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 2.1 მუხლის «ლ» ქვეპუნქტით ამ ორგანოს ანიჭებს თავისუფლებას, საჯარო და კერძო ინტერესების დაცვის საფუძველზე კანონმდებლობის შესაბამისი რამდენიმე გადაწყვეტილებიდან ყველაზე მისაღები გადაწყვეტილება შეარჩიოს. მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოები წარმოადგენდნენ ქუთაისის ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოებს, რომელთაც ორგანული კანონი ანიჭებდა ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხების დამოუკიდებლად გადაწყვეტის უფლებას. აღნიშნულში მოიაზრებოდა ადგილობრივი მოსახლეობის მომსახურებითი უფლებამოსილების განხორციელებაც, რაც, სასამართლოს აზრით, გულისხმობდა ადგილობრივი მოსახლეობის პრობლემების შეფასებისას სათანადო ზომების მიღებას და ღონისძიებების განხორციელებას, მომსახურების ობიექტების ფუნქციონირების, მომსახურების მიწოდებისა და უზრუნველყოფის დაგეგმვას, დაფინანსებასა და განხორციელებას, აგრეთვე, დამატებითი მომსახურების გაწევის უფლებამოსილებას.

სააპელაციო სასამართლო არ დაეთანხმა აპელანტების განმარტებას, რომ გასაჩივრებული აქტებით ილაზხება მათი კანონიერი უფლებები, მარშრუტების დისლოკაციის ადგილის შეცვლით მათ ადგებათ ფინანსური ზიანი, რადგან სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ვაჭრობის მიზნით რაიონიდან ჩამოსული პირების ავტოსადგურიდან ბაზრამდე გადაადგილება ხარჯებთანაა დაკავშირებული, მარშრუტების წინანდელი დისლოკაციის ადგილი - «ჯაჭვის ხიდი» კი განთავსებულია ბაზართან ახლოს და ზედმეტი ხარჯის გაწევა არ უწევთ. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მარშრუტების დისლოკაციის ადგილის შეცვლით მოქალაქეთა კანონიერი უფლებები არ დარღვეულა, რადგან ამა თუ იმ ობიექტთან სიახლოვის გათვალისწინებით ავტოსადგურის მდებარეობის განსაზღვრას და მარშრუტების დისლოკაციის ადგილის შერჩევას კანონი არ ითვალისწინებდა. ამდენად, სააპელაციო სასამართლოს დასკვნით, საუბარი მოსარჩელეთა კანონიერი უფლებების დარღვევაზე უსაფუძვლო იყო. რაც შეეხებოდა მოსარჩელეთა არგუმენტს, რომ მათ ძვირი უჯდებოდათ გადაადგილება ავტოსადგურიდან ბაზრის ტერიტორიამდე და ეს მოპასუხე ორგანოებს გადაწყვეტილების მიღებისას უნდა გაეთვალისწინებინათ, სააპელაციო სასამართლოს აზრით, კერძო და საჯარო ინტერესთა პროპორციულობის პრინციპი მთავრობისა და საკრებულოს მიერ სადავო ადმინისტრაციული აქტების მიღებისას არ დარღვეულა, რადგან ამ აქტების გამოცემით დაცული სიკეთე - მგზავრთა კონკრეტული მომსახურების პირობების გაუმჯობესება, ქალაქის ცენტრალური ნაწილის განტვირთვა საგარეუბნო და საქალაქთაშორისო სატრანსპორტო საშუალებებისაგან - თავისი მნიშვნელობით აღემატებოდა შიდა საქალაქო ტრანსპორტით ცალკეული მოქალაქის მიერ გაწეულ მგზავრობის ხარჯს. ამასთან, კერძო და საჯარო ინტერესთა

პროპორციულობა გასაჩივრებული აქტებით არ იყო დარღვეული, რადგან ეს აქტები, თავისთავად, არ არღვევდა მოსარჩელეთა კანონით დაცულ რაიმე უფლებას.

საპედაგოგო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრეს შ. ჟ-იანისა და ლ. გ-იანის წარმომადგენელმა კ. კ-შვილმა და ჩ. გ-ძემ, რომელთაც განჩინების გაუქმება და საქმის განსჯადობით პირველი ინსტანციით განსახილველად ქუთაისის საოლქო სასამართლოსათვის გადაცემა მოითხოვეს.

კასატორთა მითითებით, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26.1 მუხლი იმპერატიულად განსაზღვრავდა, რომ სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია, განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე. მოსარჩელები ითხოვდნენ ქუთაისის მთავრობის 2004 წლის 23 ივლისის #1 და ქუთაისის საკრებულოს 2004 წლის 28 ივნისის #69 გადაწყვეტილებების ბათილობას. აღნიშნული გადაწყვეტილებები წარმოადგენდა ნორმატიული ხასიათის ადმინისტრაციულ აქტებს, ამიტომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-6 მუხლის «გ» ქვეპუნქტით პირველი ინსტანციით მისი განხილვის უფლებამოსილება ჰქონდა ქუთაისის საოლქო სასამართლოს, სადაც სარჩელი წარდგენილ იქნა კიდეც, მაგრამ ქუთაისის საოლქო სასამართლომ 2004 წლის 9 სექტემბრის განჩინებით გასაჩივრებული აქტები ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ აქტებად მიიჩნია და ისინი საქალაქო სასამართლოს გადაუგზავნა.

კასატორებმა მოითხოვეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის მე-2 ნაწილით აღნიშნული განჩინების გაუქმება, რადგან გასაჩივრებული ადმინისტრაციული აქტები შეიცავდა ქცევის ზოგად წესებს, რომლებიც ვრცელდებოდა განუსაზღვრელი რაოდენობის პირებზე და ისინი წარმოადგენდა არა ინდივიდუალურ აქტებს, როგორც ეს საოლქო სასამართლომ დაადგინა, არამედ ნორმატიულ აქტებს. ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-6 მუხლის «გ» პუნქტის მოთხოვნებიდან გამომდინარე, პირველი ინსტანციის წესით სარჩელი უნდა განეხილა ქუთაისის საოლქო სასამართლოს.

კასატორებმა არასწორად მიიჩნიეს ქუთაისის საოლქო სასამართლოს 2005 წლის 29 მარტის განჩინების დასკვნა, რომ პალატის მიერ პირველი ინსტანციის სასამართლოს განსჯადობის შემოწმების კანონით გათვალისწინებული საფუძვლები არ არსებობდა, რადგან კასატორთა აზრით, მოცემულ შემთხვევაში სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 22-ე და 377-ე მუხლებით გათვალისწინებული ნორმების განზოგადება ადმინისტრაციული პროცესის მიმართ მიზანშეუწონელი იყო. ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის 1-ლი ნაწილი იმპერატიულად განსაზღვრავდა: «სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე.» სარჩელი პირველი ინსტანციით ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-6 მუხლის «გ» ქვეპუნქტის იმპერატიული მოთხოვნიდან გამომდინარე, უნდა განეხილა საოლქო სასამართლოს, ამიტომ სასამართლოს უნდა ემსჯელა განსჯადობის თაობაზე და საქმე პირველი ინსტანციით განსახილველად გადაეცა საოლქო სასამართლოსათვის.

აღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორთა აზრით, ქუთაისის საოლქო სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა და გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა რაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლით საოლქო სასამართლოს 2005 წლის 29 მარტის განჩინების გაუქმების საფუძველი იყო.

კასატორთა მითითებით, სადავო აქტები გამოცემული იყო ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესების უხეში დარღვევით, კერძოდ, დარღვეული იყო ადმინისტრაციული წარმოების სახე (ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 116-118 და 213-216 მუხლები), რაც ამავე კოდექსის 60.2 მუხლის შესაბამისად გასაჩივრებული აქტების ბათილობის საფუძველს წარმოადგენდა.

ლ. გ-იანმა საკასაციო სასამართლოს წარუდგინა დაზუსტებული საკასაციო საჩივარი, რომლითაც ქუთაისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა საპედაგოგო პალატის 2005 წლის 29 მარტის განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

კასატორმა აღნიშნა, რომ ქუთაისის მთავრობამ 2004 წლის 23 ივლისს მიიღო #1 გადაწყვეტილება «საქალაქთაშორისო და საგუბერნიო რეგულარულ მარშრუტებზე მგზავრთა კულტურული მომსახურების მიზნით გაწეული მუშაობისა და სრულყოფის ღონისძიებათა შესახებ» ქ. ქუთაისის მთავრობის 2003 წლის 10 სექტემბრის #3 გადაწყვეტილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე, რაც დამტკიცდა საკრებულოს 2004 წლის 28 ივლისის #69 გადაწყვეტილებით. ქუთაისის საოლქო სასამართლომ არ იმსჯელა აღნიშნულ აქტებზე, როგორც ნორმატიული ხასიათის აქტებზე და არ დააკმაყოფილა მათი მოთხოვნა. სასარჩელო მოთხოვნის ერთ-ერთი ძირითადი საფუძველი იყო ის გარემოება, რომ გასაჩივრებული აქტების, როგორც ნორმატიული ხასიათის აქტების, მომზადებისა და გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები დარღვეული იყო, კერძოდ, ისინი მიღებული იყო კანონით გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოების სახის დარღვევით. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 210.1 მუხლის თანახმად, ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას (მიღებისას) გამოიყენებოდა საჯარო ადმინისტრაციული წარმოებისათვის დადგენილი წესები. ქუთაისის მთავრობის 2004 წლის 23 ივლისის #1 გადაწყვეტილება მიღებული იყო მთლიანად კანონის ზემოაღნიშნული იმპერატიული მოთხოვნის უგულვებლყოფით, როგორც მთავრობის 2004 წლის 23 ივლისის #1, ისე საკრებულოს 2004 წლის 28 ივნისის გადაწყვეტილებები საჯარო ადმინისტრაციული წარმოებისათვის დადგენილი წესით არ იყო მიღებული, რითაც დაირღვა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 116-118-ე, 210-ე, 213-ე, 216-ე მუხლები. სადავო ადმინისტრაციული

ნორმატიული აქტების პროექტები და ცნობა ადმინისტრაციულ წარმოებაზე არ გამოქვეყნებულა, რითაც დაირღვა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 116-ე და 213-ე მუხლები. იმის გამო, რომ ქუთაისის მთავრობამ და საკრებულომ უგულვებელყვეს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის საჯარო ადმინისტრაციული წარმოების თავის ერთ-ერთი უმთავრესი მოთხოვნა, კერძოდ, რომ ყველას აქვს უფლება, წარადგინოს თავისი წერილობითი მოსაზრება 20 დღის განმავლობაში ადმინისტრაციული აქტის გაუქმების შესახებ განცხადების ან ადმინისტრაციული აქტის პროექტის საჯარო გაცნობისათვის წარდგენის დღიდან (ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 118-ე მუხლი), საზოგადოების აზრი არ იქნა გათვალისწინებული ადმინისტრაციული ორგანოების (მთავრობა, საკრებულო) მიერ, რითაც შეილახა მოსარჩელეთა უფლებები, უფრო მეტიც, ამან გამოიწვია მოსახლეობის დიდი უკმაყოფილება, რომელთა ინტერესებს უშუალოდ შეეხო სადავო აქტები. მაშასადამე, დარღვეული იყო კანონით გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოების სახე, რაც ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60.2 მუხლის შესაბამისად, მთავრობისა და საკრებულოს გადაწყვეტილებების ბათილად ცნობის საფუძველს წარმოადგენდა.

საკასაციო სასამართლოში საქმის განხილვისას შ. ჟ-იანის საპროცესო უფლებამონაცვლედ ცნობილ იქნა ზ. ჟ-იანი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ზ. ჟ-იანის, ლ. გ-იანისა და ჩ. გ-ის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს ქუთაისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2005 წლის 29 მარტის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად გადაეცეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას, შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებულ განჩინებაში სადავო აქტები განხილულია როგორც ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები და შემოწმებულია მათი, როგორც ინდივიდუალური ხასიათის ადმინისტრაციული აქტების კანონიერება. სააპელაციო სასამართლოს არ გამოურკვევია, რეგისტრირებული იყო თუ არა აღნიშნული აქტები საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ნორმატიული აქტების სახელმწიფო რეესტრში და მინიჭებული ჰქონდა თუ არა ნორმატიული აქტების სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი, ასევე გამოქვეყნებული იყო თუ არა ისინი «ნორმატიული აქტების შესახებ» კანონით დადგენილი წესით.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სადავო აქტებით დადგენილია ქვეყნის ზოგადი წესი - ქ. ქუთაისის ტერიტორიაზე საქალაქთაშორისო და საგარეუბნო მარშრუტების დისლოკაცია, რომელიც მიმართულია განუსაზღვრელი ოდენობის პირთა მიმართ. ამასთანავე, «ქ. ქუთაისის საქალაქთაშორისო და საგარეუბნო რეგულარულ მარშრუტებზე მგზავრთა კულტურული მომსახურების მიზნით გაწეული მუშაობისა და სრულყოფის ღონისძიებათა შესახებ» ქ. ქუთაისის მთავრობის 2003 წლის 10 სექტემბრის #3 გადაწყვეტილება რეგისტრირებულია ნორმატიული აქტების სახელმწიფო რეესტრში 2003 წლის 29 სექტემბერს და მინიჭებული აქვს ნორმატიული აქტის სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი; აღნიშნულ გადაწყვეტილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე ქ. ქუთაისის მთავრობის 2004 წლის 23 ივლისის #1 გადაწყვეტილება რეგისტრირებულია ნორმატიული აქტების სახელმწიფო რეესტრში 2004 წლის 27 ივლისის და მინიჭებული აქვს ნორმატიული აქტის სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი; ქ. ქუთაისის საკრებულოს 2004 წლის 28 ივლისის #69 გადაწყვეტილება ასევე რეგისტრირებულია ნორმატიული აქტების სახელმწიფო რეესტრში 2004 წლის 4 აგვისტოს და მინიჭებული აქვს ნორმატიული აქტის სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი; ქ. ქუთაისის მთავრობის 2004 წლის 23 ივლისის #1 გადაწყვეტილება და ქ. ქუთაისის საკრებულოს 2004 წლის 28 ივლისის #69 გადაწყვეტილება გამოქვეყნებულია ქუთაისის თვითმმართველობის გაზეთში «ჩემი ქუთაისი» (04.08.2004წ. #25(42), 11.08.2004წ. #26(43)).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო ეთანხმება კასატორს, რომ გასაჩივრებული აქტები წარმოადგენს ნორმატიულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს და მათი მომზადებისა და გამოცემის კანონიერების შემოწმება უნდა მომხდარიყო «ნორმატიული აქტების შესახებ» კანონის, «ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ» ორგანული კანონისა და ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ნორმების საფუძველზე. «ნორმატიული აქტების შესახებ» კანონი და «ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ» ორგანული კანონი განსაზღვრავს ადგილობრივი თვითმმართველობის (მმართველობის) ორგანოთა ნორმატიული აქტების მომზადების მიღების, გამოქვეყნების, მოქმედების, აღრიცხვისა და სისტემატიზაციის ზოგად წესებს, ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემასთან დაკავშირებული ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის დებულებანი ავსებს აღნიშნული კანონების მოთხოვნებს და ამდენად, მისი დაცვა მითითებული ნორმატიული აქტების გამოცემის შემთხვევაში სავალდებულოა.

იმავდროულად, საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას, რომ გასაჩივრებული აქტებით არ მომხდარა საგარეუბნო და საქალაქთაშორისო მარშრუტების დანიშვნა, გაუქმება, მათზე მოძრაობის განრიგის დამტკიცება ან გადამზიდავის შერჩევა. ამ შემთხვევაში მხოლოდ განისაზღვრა ქალაქის ტერიტორიაზე ავტოსადგურების განლაგება, შესაბამისად, ამ აქტების გამოცემით

საქართველოს ტრანსპორტის მინისტრის 1998 წლის 10 ივლისის #42 ბრძანებით დამტკიცებული «საქართველოში სავაჭრო ტრანსპორტით მგზავრთა გადაყვანისა და ბარგის გადაზიდვის წესის» მე-4 მუხლის მოთხოვნა კონკურსის შედეგად საკითხის გადაწყვეტის აუცილებლობის შესახებ არ დარღვეულა.

საქმის ხელახალი განხილვისას სააპელაციო სასამართლომ უნდა შეამოწმოს გასაჩივრებული აქტების, როგორც ნორმატიული აქტების გამოცემის კანონიერება და ამ მიზნით დაადგინოს შესაბამისი ფაქტობრივი გარემოებები, გამოარკვიოს, დაცულია თუ არა მათი გამოცემისას მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესი, ხოლო თუკი მათი გამოცემისას ადგილი აქვს კანონის დარღვევას, წარმოადგენს თუ არა აღნიშნული არსებით დარღვევას, რაც ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის საფუძველია.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

დაადგინა:

1. შ. ჟ-იანის, ლ. გ-იანისა და ჩ. გ-ძის საკასაციო საჩივრები ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს ქუთაისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა პალატის 2005 წლის 29 მარტის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად გადაეცეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას;
3. სასამართლო ხარჯების საკითხი გადაწყდეს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების დადგენისას;
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

აქტის კანონიერების შემოწმება

განჩინება

#ბს-781-747(კ-06)

7 მაისი, 2007 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა

**შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე),
ნ. ქადაგიძე (მომხსენებელი),
ნ. სხირტლაძე**

დავის საგანი : ადმინისტრაციული აქტის ბათილად ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

2006 წლის 29 მაისს ი. ხ-შვილმა სარჩელით მიმართა თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიას მოპასუხის - თბილისის მერის, ზ. ჭიაბერაშვილის მიმართ და მოითხოვა «ქ. თბილისის მერიის საქალაქო სამსახურის - კანონიერების დაცვის გენერალური ინსპექციის ლიკვიდაციის შესახებ» ქ. თბილისის მერიის მიერ 2005 წლის 12 აპრილს გამოცემული #13 ბრძანების, «ქ. თბილისის მერიის საქალაქო სამსახურის - კანონიერების დაცვის გენერალური ინსპექციის თანამშრომელთა თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ» 2005 წლის 18 აპრილის #79 განკარგულების ბათილად ცნობა, თანამდებობაზე აღდგენა და იძულებით განაცდური ხელფასის ანაზღაურება.

მოსარჩელე მიუთითებდა, რომ საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 1 მარტის #120 ბრძანებულებით დამტკიცებული «საქართველოს დედაქალაქის - ქ. თბილისის მერიის დებულების» პირველი პუნქტით ლიკვიდირებულად გამოცხადდა საჯარო სამართლის იურიდიული პირები: ქ. თბილისის კეთილმოწყობის სამსახური და საბინაო მეურნეობის რეაბილიტაციისა და განვითარების ხელშემწყობი ცენტრი. აღნიშნული ბრძანებულებით ქ. თბილისის მერიის კანონიერების დაცვის გენერალურ ინსპექციას ლიკვიდაცია არ შეხებია, პირიქით, მოსარჩელის მითითებით, პრეზიდენტის ბრძანებულებით დამტკიცებულ იქნა საქართველოს დედაქალაქის - ქ. თბილისის მერიის სამსახურები. აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელის აღნიშვნით, ქ. თბილისის მერმა გადააჭარბა თავის უფლებამოსილებას და საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით დამტკიცებული, ქ. თბილისის მერიის საქალაქო სამსახურის ლიკვიდაცია მოახდინა კანონის დარღვევით. შესაბამისად, მოსარჩელემ უკანონოდ მიიჩნია 2005 წლის 18 აპრილის #79 ბრძანებაც, რის საფუძველზეც იგი გათავისუფლდა სამსახურიდან.

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის 2005 წლის 27 მაისის განჩინებით ი. ხ-შვილის სარჩელი იმ ნაწილში, რომლითაც

მოითხოვა ქ. თბილისის მერის 2005 წლის 18 აპრილის #79 განკარგულების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურება, განსჯადობით განსახილველად გადაეცა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, ხოლო ქ. თბილისის მერის 2005 წლის 12 აპრილის #13 ბრძანების ბათილობის ნაწილში საქმე დაექვემდებარა განსახილველად. 2005 წლის 14 ივლისს საპროცესო კანონმდებლობაში განხორციელებულ ცვლილებებთან დაკავშირებით, სარჩელი ამ ნაწილშიც განსახილველად გადაეცა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, რომლის 2005 წლის 10 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ი. ხ-შვილის სარჩელი ქ. თბილისის მერის 2005 წლის 12 აპრილის #13 ბრძანების ბათილად ცნობის თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრით გაასაჩივრა ი. ხ-შვილმა, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2006 წლის 22 ივნისის განჩინებით ი. ხ-შვილის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2005 წლის 10 ოქტომბრის გადაწყვეტილება.

სააპელაციო პალატამ დადგინდა მიიჩნია, რომ საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 1 მარტის #120 ბრძანებულების მე-4 პუნქტით ძალადაკარგულად გამოცხადდა «საქართველოს დედაქალაქის - ქ. თბილისის მერის დებულების დამტკიცების შესახებ» საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 10 დეკემბრის #685 ბრძანებულება, რომლითაც დამტკიცდა ქ. თბილისის მერის სტრუქტურა და შეიქმნა ქ. თბილისის მერის მთელი რიგი საქალაქო სამსახურები. აქედან გამომდინარე, სააპელაციო პალატის მითითებით, განხორციელდა სამართლებრივი ცვლილებები, კერძოდ, ძალადაკარგული ბრძანებულების საფუძველზე გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გაუქმება, ქ. თბილისის მერის მთელი რიგი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემა და სამართლებრივი მდგომარეობის ახალ ბრძანებულებასთან შესაბამისობაში მოყვანა.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების უფლება აქვს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს. სწორედ აღნიშნული უფლებიდან გამომდინარე, ქ. თბილისის მერის 2005 წლის 12 აპრილის #13 ბრძანებით (რომლითაც ლიკვიდირებულა ჩაითვალა ქ. თბილისის მერის საქალაქო სამსახური - კანონიერების დაცვის გენერალური ინსპექცია) ფაქტობრივად ძალადაკარგულად გამოცხადდა ქ. თბილისის მერის 2004 წლის 10 მაისის #5 ბრძანება «ქ. თბილისის მერის კანონიერების დაცვის, კორუფციასთან ბრძოლისა და სახელმწიფო საზოგადოებრივ ინსტიტუტებთან ურთიერთობის საქალაქო სამსახურის რეორგანიზაციისა და მის ბაზაზე ქ. თბილისის მერის საქალაქო სამსახურის - კანონიერების დაცვის გენერალური ინსპექციის შექმნის შესახებ».

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, იმ სამართლებრივი აქტის გაუქმება, რომლითაც შეიქმნა ესა თუ ის სამსახური, ავტომატურად იწვევს სამსახურის ლიკვიდაციას. სამსახურის ლიკვიდაცია კი მოხელეთა თანამდებობიდან გათავისუფლების საფუძველია.

სააპელაციო სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 1 მარტის #120 ბრძანებულებით დამტკიცებული ქ. თბილისის მერის დებულების მე-3 მუხლით, ქ. თბილისის მერის სტრუქტურის განსაზღვრით, ფაქტობრივად, შეიქმნა ახალი საქალაქო სამსახური, რის შემდეგაც ქ. თბილისის მერმა, თავისი უფლებამოსილების ფარგლებში დაამტკიცა ახალი საქალაქო სამსახურების დებულებები, მათ შორის, ქ. თბილისის მერის საქალაქო სამსახურის - კანონიერების დაცვის გენერალური ინსპექციის დებულება.

«საქართველოს დედაქალაქის - თბილისის შესახებ» კანონის მე-4 მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, ქ. თბილისის მერია წარმოადგენს სახელმწიფო მმართველობის ორგანოთა სისტემას. ამავე კანონის 26-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, თბილისის მთავრობის კომპეტენციას მიკუთვნებული დარგების მართვას ახორციელებს საქალაქო სამსახურები.

საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 1 მარტის #120 ბრძანებულებით დამტკიცებული «საქართველოს დედაქალაქის - ქ. თბილისის მერის დებულების» მე-2 მუხლის შესაბამისად, ქ. თბილისის მერია არის სახელმწიფო მმართველობის ორგანოთა სისტემა. ამავე დებულების 25-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საქალაქო სამსახური არის დარგობრივი მმართველობის ორგანო. ამავე დებულების მე-3 მუხლის «ი» ქვეპუნქტის თანახმად კი ქ. თბილისის მერის სისტემაში გათვალისწინებულია კანონიერების დაცვის გენერალური ინსპექციის საქალაქო სამსახური.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის პირველი მუხლის «ა» პუნქტის თანახმად, ადმინისტრაციულ ორგანოს წარმოადგენს ყველა სახელმწიფო ან თვითმმართველობის და მმართველობის ორგანო. აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ საქალაქო სამსახურები წარმოადგენს ადმინისტრაციულ ორგანოებს და შესაბამისად, საჯარო დაწესებულებებს, ვინაიდან «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონზე უფრო გვიან არის მიღებული როგორც «საქართველოს დედაქალაქის - თბილისის შესახებ» კანონი, ასევე ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, მათ შორის წინააღმდეგობის წარმოქმნისას მოქმედებს უფრო გვიან მიღებული აქტით დადგენილი ნორმა,

«ნორმატიული აქტების შესახებ» კანონის 25-ე მუხლის მე-2 ნაწილის და 26-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად.

აღნიშნულის გათვალისწინებით, სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ ქ. თბილისის მერიის საქალაქო სამსახური - კანონიერების დაცვის გენერალური ინსპექცია წარმოადგენს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის «ა» ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ ორგანოს.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60 მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობისა და ი. ხ-შვილის სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებისათვის არ არსებობდა.

ზემოაღნიშნული განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ი. ხ-შვილმა, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება.

კასატორი მიუთითებდა, რომ პრეზიდენტის 2005 წლის 1 მარტის #120 ბრძანებულებით ძალადაკარგულად გამოცხადდა პრეზიდენტის 1998 წლის 10 დეკემბრის #685 ბრძანებულება თბილისის მერიის დებულების დამტკიცების თაობაზე და ახლად დამტკიცებული დებულებით განისაზღვრა მერიის სტრუქტურა (მათ შორის, კანონიერების დაცვის გენერალური ინსპექცია), მაგრამ 2005 წლის 1 მარტის #120 ბრძანებულების არც ერთ მუხლში არ არის მითითებული ქ. თბილისის მერის ვალდებულებაზე, გაუქმებინა 1998 წლის 10 დეკემბრის #685 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულებით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები და ამ დებულების საფუძველზე შექმნილი საქალაქო სამსახურები, მათ შორის, კანონიერების დაცვის გენერალური ინსპექცია.

კასატორის აღნიშვნით, პრეზიდენტის ბრძანებულების გამოცემის მომენტისათვის აღნიშნული სამსახური არსებობდა ზუსტად იმავე სახელწოდებით და ფუნქციებით რა სახელწოდებითა და ფუნქციებითაც განისაზღვრა შემდგომში პრეზიდენტის მიერ 2005 წლის 1 მარტის #120 ბრძანებულებით დამტკიცებულ დებულებაში მერიის სტრუქტურა. ამდენად, კასატორის აზრით, მერიის ახალი დებულებით არ ყოფილა დადგენილი არც ამ სამსახურის ლიკვიდაცია და არც მისი ახლად შექმნა. ახალმა დებულებამ ეს სამსახური მერიის სტრუქტურაში განსაზღვრა ზუსტად ისევე, როგორც იგი არსებობდა ამ დებულების დამტკიცებამდე.

კასატორი აღნიშნავდა, რომ ბრძანებულების გამოცემიდან მერის 2005 წლის 12 აპრილის #13 სადავო ბრძანების გამოცემამდე, არც ფაქტობრივად და არც იურიდიულად არ არსებობდა კანონიერების დაცვის გენერალური ინსპექციის 2 სამსახური. ერთი, რომელიც არსებობდა 2005 წლის 1 მარტის #120 ბრძანებულების გამოცემის მომენტისათვის და მეორე, რომელიც განსაზღვრულ იქნა მერიის ახალი დებულებით. როგორც პრეზიდენტის 2005 წლის 1 მარტის #120 ბრძანებულების გამოცემის დროისათვის, ისე შემდგომ პერიოდშიც არსებობდა ასეთი სახის მხოლოდ ერთი საქალაქო სამსახური. თბილისის მერმა კი გამოსცა რა 2005 წლის 12 აპრილის #13 ბრძანება აღნიშნული სამსახურის ლიკვიდაციაზე, კასატორის აზრით, გადააჭარბა თავის უფლებამოსილებას და მიისაკუთრა პრეზიდენტის უფლებამოსილება მერიის სტრუქტურის განსაზღვრის შესახებ. ამასთან, ამ ბრძანების გამოცემის შემდეგ, თბილისის მერს არავითარი ახალი ბრძანება არ გამოუცია, მის მიერ ლიკვიდირებული სამსახურის ნაცვლად, ახალი სამსახურის შესაქმნელად.

კასატორი აღნიშნავდა, რომ მერია თავისი სამსახურებით, მათ შორის, კანონიერების დაცვის ინსპექციით არსებობდა პრეზიდენტის 2005 წლის 1 მარტის #120 ბრძანებულების გამოცემის მომენტამდე. ამ ბრძანებულებით განისაზღვრა რა მერიის სტრუქტურა, რაიმე სახის ცვლილება საქალაქო სამსახურს არ შეხებია. იგი ზუსტად ისეთივე სახელწოდებითა და ფუნქციებით დარჩა, როგორც იყო ადრე. ამასთან, ბრძანებულებით პრეზიდენტს არ დაუვალვია მერისათვის აღნიშნულ სამსახურთან დაკავშირებით ადრე მიღებული ადმინისტრაციული აქტის გაუქმება და მისი ლიკვიდაცია. ასეთ ვითარებაში, კასატორის აზრით, მერი არ იყო უფლებამოსილი, გამოეცა სადავო ბრძანება უკვე პრეზიდენტის ბრძანებულებით განსაზღვრული სამსახურის - კანონიერების დაცვის ინსპექციის ლიკვიდაციაზე.

კასატორი ასევე მიუთითებდა, რომ სადავო აქტი გამოცემულია არასათანადოდ უფლებამოსილი პირის მიერ, რომ ეს აქტი ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას და არღვევს ამ სამსახურის მუშაკების კანონიერ ინტერესებს. ეს გარემოებები, კასატორის აზრით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60 მუხლის თანახმად, წარმოადგენს ადმინისტრაციული აქტის ბათილად ცნობის საფუძველს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორი ითხოვდა გასაჩივრებული განჩინების გაუქმებას და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2006 წლის 16 ოქტომბრის განჩინებით, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული ი. ხ-შვილის საკასაციო საჩივარი; მხარეებს მიეცათ უფლება, 2006 წლის 16 ოქტომბრის განჩინების ჩაბარებიდან 10 დღის ვადაში წარმოედგინათ მოსაზრება, თუ რამდენად იყო დასაშვები განსახილველად ი. ხ-შვილის საკასაციო საჩივარი ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით.

2006 წლის 30 ოქტომბერს საქართველოს უზენაეს სასამართლოს მოსაზრებით მიმართა ი. ხ-შვილმა და მიუთითა, რომ მისი სარჩელი ეხება საქალაქო სამსახურის ლიკვიდაციის თაობაზე ქ. თბილისის მერის მიერ გამოცემული ადმინისტრაციული აქტის ბათილად ცნობას, რომელზედაც მიღებულ გადაწყვეტილებას დიდი მნიშვნელობა ექნება სასამართლოს განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლოს პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ...ი. ხ-შვილის საკასაციო საჩივარი საფუძვლიანია და ექვემდებარება ნაწილობრივ დაკმაყოფილებას, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე დადგენილად მიიჩნევს შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს:

საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 1 მარტის #120 ბრძანებულებით დამტკიცდა საქართველოს დედაქალაქის თბილისის მერიის დებულება. ამავე ბრძანებულებით ძალადაკარგულად გამოცხადდა საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 10 დეკემბრის #685 ბრძანებულება «საქართველოს დედაქალაქის ქალაქ თბილისის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ».

საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 1 მარტის #120 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულებით განისაზღვრა ქალაქ თბილისის მერიის სტრუქტურა, რომელშიც კანონიერების დაცვის გენერალური ინსპექცია შევიდა როგორც ქ. თბილისის მერიის ერთ-ერთი სტრუქტურული ერთეული.

ქალაქ თბილისის მერის 2005 წლის 12 აპრილის ბრძანებით «საქართველოს დედაქალაქის თბილისის შესახებ» საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის «ნ» ქვეპუნქტის და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის 1 ნაწილის შესაბამისად, ლიკვიდირებულად ჩაითვა ქ. თბილისის მერის 2004 წლის 10 მაისის #5 ბრძანების საფუძველზე შექმნილი ქ. თბილისის მერიის საქალაქო სამსახური «კანონიერების დაცვის გენერალური ინსპექცია»

ქ. თბილისის მერის 2005 წლის 18 აპრილის განკარგულებით ქ. თბილისის მერიის საქალაქო სამსახურის კანონიერების დაცვის გენერალური ინსპექციის თანამშრომლები გათავისუფლდნენ სამსახურიდან. საფუძველი ქ. თბილისის მერის 2005 წლის 12 აპრილის #13 ბრძანება.

საკასაციო სასამართლო ქ. თბილისის მერის 2005 წლის 12 აპრილის #13 ბრძანების კანონიერების შეფასებისას დაუსაბუთებლად მიიჩნევს სააპელაციო სასამართლოს მხრიდან საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61.1 მუხლზე მითითებას და თვლის, რომ სააპელაციო სასამართლო შემოიფარგლება მხოლოდ ნორმის დეკლარირებით და არ იძლევა მითითებული ნორმის გამოყენების სამართლებრივ მოტივაციას.

საკასაციო სასამართლო სააპელაციო სასამართლოს ყურადღებას მიაქცევს მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველს და აღნიშნავს, წინამდებარე შემთხვევაში მხარე სადავოდ ხდის არა ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების ზოგადი პრინციპის დარღვევის ფაქტს, არამედ იმ გარემოებას, რომ კონკრეტული სადავო აქტის გამოცემის მომენტში ქ. თბილისის მერი არ იყო მსგავსი უფლებამოსილებით აღჭურვილი.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ დავის სწორად გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობა ენიჭება სწორედ უფლებამოსილების საკითხის შესწავლა-გამოკვლევას.

საკასაციო სასამართლოსათვის გაუგებარია, რომელ საკანონმდებლო ნორმას ემყარება სააპელაციო სასამართლოს არგუმენტაცია იმის თაობაზე, რომ სამართლებრივი აქტის გაუქმება, რომლითაც არის შექმნილი ესა თუ ის სამსახური ავტომატურად იწვევს ამ სამსახურის ლიკვიდაციას.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ასეთი სახის განმარტება ატარებს ზედაპირულ ხასიათს და არ ემყარება ნორმატიულ საფუძველს.

საკასაციო სასამართლო საქმის ხელახალი განხილვისას არსებითად მიიჩნევს რა აქტის გამოცემის მომენტისათვის მერიის უფლებამოსილების საკითხის გარკვევას, ყურადღებას მიაქცევს საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 1 მარტის #120 ბრძანებულებით დამტკიცებულ «საქართველოს დედაქალაქის - ქალაქ თბილისის მერიის დებულების» მე-3 მუხლს, რომლის «ი» ქვეპუნქტით კანონიერების დაცვის გენერალური ინსპექცია გათვალისწინებულია ქ. თბილისის მერიის სტრუქტურაში.

იმავე დებულების მე-12 მუხლის «ნ» ქვეპუნქტით, ქ. თბილისის მერიის უფლებამოსილებას მიეკუთვნება საქალაქო სამსახურის დებულების, სტრუქტურისა და სამტატო ერთეულების ნუსხის დამტკიცება.

საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 1 მარტის #120 ბრძანებულება ძალაში შევიდა იმავე წლის 2 მარტიდან.

ქ. თბილისის მერის სადავო #13 ბრძანება მიღებულია 2005 წლის 12 აპრილს.

საკასაციო სასამართლო თვლის, სააპელაციო სასამართლო არ შევიდა საქმის არსებით განხილვაში და არ დაასაბუთა, მას შემდეგ, რაც კანონიერების დაცვის გენერალური ინსპექცია საქართველოს პრეზიდენტის #120 ბრძანებულებით შეყვანილი და გათვალისწინებული იქნა მერიის სტრუქტურაში, ქ. თბილისის მერი იყო თუ არა უფლებამოსილი მიეღო აქტი მითითებული სამსახურის ლიკვიდაციის თაობაზე, მით უფრო, თუ გათვალისწინებული იქნება ის გარემოება, რომ სადავო აქტის გამოცემის

მომენტისათვის მერის უფლებამოსილება შემოიფარგლებოდა სამსახურის დებულების, სტრუქტურისა და საშტატო ერთეულების დამტკიცებით.

საკასაციო სასამართლო ხაზგასმას აკეთებს იმ გარემოებაზე, რომ მერისათვის სამსახურის დებულების დამტკიცების უფლების მინიჭება, არ ნიშნავს მისთვის სამსახურის შექმნის უფლების მინიჭებას და აღნიშნავს, სახელმწიფოებრივი მოწყობის უმნიშვნელოვანეს პრინციპს წარმოადგენს ხელისუფლების დანაწილების პრინციპი, ადმინისტრაციულ ორგანოს კონკრეტული ურთიერთობის მოსაწესრიგებლად გააჩნია საქმიანობის სამართლებრივი ინსტრუმენტი, მაგალითად, ადმინისტრაციული აქტის გამოცემის უფლება, ამასთან მითითებული ბერკეტის ამოქმედების პროცესში ადმინისტრაციული ორგანო შეზღუდულია კანონით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილებით, რაც ადმინისტრაციულ ორგანოს ავალდებულებს, იმოქმედოს მხოლოდ საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში.

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ აქტის კანონიერების განსზღვრისას არსებითი მნიშვნელობა ენიჭება იმ საკითხის დადგენას, აქტი მიღებულია თუ არა უფლებამოსილი ორგანოს მიერ, უფლებამოსილების ფარგლებში, რაც სასამართლოს მისცემს შესაძლებლობას, განსაზღვროს, ადმინისტრაციული ორგანოს მოქმედება მოქცეულია თუ არა კანონმდებლის ნების ფარგლებში, რაც თავის მხრივ აისახება მის მიერ გამოცემული აქტის კანონიერებაზე.

საკასაციო სასამართლო ასევე ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებაზე, რომ ქ. თბილისის მერი იმავე დღეს, რა დღესაც აცხადებს სამსახურის ლიკვიდაციას, იღებს მეორე აქტს (ბრძანება #14), რომლითაც ამტკიცებს ქ. თბილისის მერიის საქალაქო სამსახურის კანონიერების დაცვის გენერალური ინსპექციის დებულებას, სტრუქტურასა და საშტატო ერთეულების ნუსხას. (საგულისხმოა, რომ მერი მითითებული ბრძანებით ქმნის არა ახალ სამსახურს, არამედ ამტკიცებს მის დებულებას.)

ზემოაღნიშნული ბრძანებით დამტკიცებული ქალაქ თბილისის მერიის საქალაქო სამსახურის - კანონიერების დაცვის გენერალური ინსპექციის დებულების პირველი მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, ინსპექცია წარმოადგენს ქალაქ თბილისის მერის 15.04.2005 წლის #13 ბრძანების საფუძველზე ლიკვიდირებული ქ. თბილისის მერიის საქალაქო სამსახურის - კანონიერების დაცვის გენერალური ინსპექციის სამართალმემკვიდრეს.

საკასაციო სასამართლო განმარტავს: სამართალმემკვიდრეობა სამართლებრივი თვალსაზრისით აღნიშნავს მოვლენას, როდესაც ერთი სუბიექტის უფლებები და მოვალეობები გადაეცემა უფლებამონაცვლე სუბიექტს, რომელიც წარმოადგენს აღნიშნული უფლებებისა და მოვალეობის იურიდიულ მემკვიდრეს.

გამომდინარე იქიდან, რომ ლიკვიდაცია და რეორგანიზაცია თავისი თანმდევი შედეგებით პრინციპულად განსხვავდება ერთმანეთისაგან და იერარქიული თვალსაზრისით საჭიროებს სხვადასხვა დონის სამართლებრივ რეგულირებას, საკასაციო სასამართლო საჭიროდ მიიჩნევს სადავო ბრძანება განხილულ იქნას მითითებულ დებულებასთან ერთობლივ კონტექსტში, რაც სასამართლოს მისცემს სადავო ბრძანების სამართლებრივი ანალიზის შესაძლებლობას.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სახეზეა განჩინების გაუქმების სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის «ე» ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძველი, რის გამოც საქმე შემდგომი გამოკვლევის მიზნით უნდა დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

დაადგინა:

1. ი. ხ-შვილის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2006 წლის 22 ივნისის განჩინება და საქმე ხელახლა განხილვის მიზნით დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სარჩელის დასაშვებობის შემოწმება

განჩინება

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა საკასაციო პალატა

შემადგენლობა: ნ. წკეპლაძე (თავმჯდომარე),
ლ. ლაზარაშვილი (მომხსენებელი),
ნ. სხირტლაძე

დავის საგანი: ადმინისტრაციული აქტის ბათილად ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

2004 წლის 16 თებერვალს თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონულ სასამართლოს სასარჩელო განცხადებით მიმართა შ. ხ-შვილმა, რომელმაც შემდგომ აღნიშნული სარჩელი რამდენჯერმე დააზუსტა. საბოლოოდ, მოსარჩელემ საქმეზე მოპასუხეებად განსაზღვრა სახელმწიფო სამედიცინო აკადემია, საქართველოს სწავლულ ექსპერტთა საბჭო და მოითხოვა:

ა. სახელმწიფო სამედიცინო აკადემიის სადისერტაციო საბჭოს 2003 წლის 12 დეკემბრის #29 ოქმის ბათილად ცნობა, რომლის საფუძველზეც ექიმ ა. გ-მეს მიენიჭა მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი სპეციალობით 14.00.50 «რეპროდუქტოლოგია»;

ბ. საქართველოს სწავლულ ექსპერტთა საბჭოს მიერ 2004 წლის იანვარში ა. გ-მისათვის გაცემული მეცნიერებათა კანდიდატის #003937 დიპლომის ბათილად ცნობა;

გ. ა. გ-მისათვის მეცნიერებათა კანდიდატის დიპლომის გაცემის შესახებ საქართველოს სწავლულ ექსპერტთა საბჭოს 2004 წლის 5 იანვრის პრეზიდიუმის სხდომის #1 ოქმის ბათილად ცნობა.

მოსარჩელემ სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველად მიუთითა შემდეგზე:

2003 წლის 12 დეკემბერს გაიმართა საქართველოს სახელმწიფო სამედიცინო აკადემიის სადისერტაციო საბჭოს სხდომა, რომელზეც განხილულ იქნა ექიმ ა. გ-მის სადოქტორო დისერტაციის დაცვის საკითხი. სადისერტაციო საბჭომ მიიღო ა. გ-მისათვის მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მინიჭების გადაწყვეტილება, რომელსაც სხდომაზე დამსწრე სადისერტაციო საბჭოს 11 წევრიდან მხარი დაუჭირა 9 წევრმა. მოსარჩელეს საბჭოს სხდომაში მონაწილეობა შეგნებულად არ მიუღია. მოსარჩელის მოსაზრებით, სადისერტაციო საბჭოს, როგორც კოლეგიური ორგანოს მიერ ა. გ-მეს დოქტორის სამეცნიერო წოდება მიენიჭა მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევით. ა. გ-მეს საკანდიდატო დისერტაცია დაცული ჰქონდა საზღვარგარეთ, კერძოდ, ყირგიზეთში, ქ. ბიშკეკში, რისი აღიარებაც, «საქართველოში სამეცნიერო ხარისხების მინიჭების წესის შესახებ» საქართველოს პრეზიდენტის 2003 წლის 28 ივნისის #316 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულების მე-9 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საქართველოში უნდა განხორციელებულიყო ნოსტრიფიკაციის გზით, რაც არ მომხდარა. სადისერტაციო საბჭოს მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მამიებელ ა. გ-მისათვის არ მოუთხოვია მეცნიერებათა კანდიდატის დიპლომის ასლის წარმოდგენა, რაც გათვალისწინებული იყო ზემოაღნიშნული ბრძანებულებით დამტკიცებული ინსტრუქციის #7 დანართის მე-3 პუნქტით. ამდენად, ვინაიდან ა. გ-მეს არ წარუდგენია მეცნიერებათა კანდიდატის დიპლომის ასლი, სადისერტაციო საბჭო არ იყო უფლებამოსილი, განეხილა მისი სადოქტორო დისერტაცია და მიენიჭებინა მისთვის მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი. სადისერტაციო საბჭომ დაარღვია მოსარჩელის, როგორც საბჭოს წევრის უფლებებიც, ვინაიდან გასაჩივრებულ #29 ოქმში არ აღინიშნა, რომ მოსარჩელე კანონის დარღვევით დისერტაციის დაცვის წინააღმდეგი იყო. მოსარჩელისათვის, როგორც მეცნიერისათვის, სულერთი ნამდვილად არ იყო, თუ რა ხდებოდა სადისერტაციო საბჭოში, იმის გათვალისწინებით, რომ იგი იყო ამავე საბჭოს წევრი და გარკვეული პასუხისმგებლობაც ეკისრებოდა მეცნიერებათა აკადემიის სწავლულ ექსპერტთა საბჭოს მიერ.

მოსარჩელე მიუთითებდა, რომ 2004 წლის 5 იანვრის პრეზიდიუმის სხდომის #1 ოქმით საქართველოს სწავლულ ექსპერტთა საბჭომ მიიღო ა. გ-მისათვის მეცნიერებათა კანდიდატის დიპლომის გაცემის შესახებ გადაწყვეტილება და 2004 წლის იანვარშივე ა. გ-მეზე გასცა მეცნიერებათა კანდიდატის დიპლომი #003937. მოსარჩელის მოსაზრებით, საქართველოს სწავლულ ექსპერტთა საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება მიღებული იყო «საქართველოში სამეცნიერო ხარისხების მინიჭების წესის შესახებ» საქართველოს პრეზიდენტის 2003 წლის 28 ივნისის #316 ბრძანებულებით დამტკიცებული ინსტრუქციის მე-8 მუხლით განსაზღვრული ნოსტრიფიკაციის პროცედურის დარღვევით. რამდენადაც საქართველოს ყირგიზეთთან არ ჰქონდა გაფორმებული საერთაშორისო ხელშეკრულება სამეცნიერო ხარისხების აღიარებისა და მათი ეკვივალენტობის შესახებ, აღნიშნული მუხლის თანახმად, ყირგიზეთში მოსარჩელისათვის მინიჭებული მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის საქართველოში აღიარებისათვის საჭირო იყო საქართველოში განმეორებითი ატესტაციის ჩატარება მამიებლის განცხადების საფუძველზე. თავად მოსარჩელის, როგორც სადისერტაციო საბჭოს წევრისათვის, ცნობილი იყო, რომ ასეთი განმეორებითი ატესტაცია არ გაუვლია ა. გ-მისათვის ყირგიზეთში გაცემულ მეცნიერებათა კანდიდატის დიპლომს.

თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2004 წლის 20 აპრილის განჩინებით საქმეში მესამე პირად ჩაბმულ იქნა ა. გ-მე.

მოპასუხეებმა - სახელმწიფო სამედიცინო აკადემიამ, საქართველოს სწავლულ ექსპერტთა საბჭომ და მესამე პირმა ა. გ-მემ სარჩელი არ ცნეს იმ მოსაზრებით, რომ მოცემულ შემთხვევაში

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სარჩელი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის მოთხოვნით დასაშვები იყო, თუ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან მისი ნაწილი პირდაპირ ან უშუალო ზიანს აყენებდა მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს, ან უკანონოდ ზღუდავდა მის უფლებას. გასაჩივრებული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტები ან მათი ნაწილი არათუ პირდაპირ, უშუალო, ინდივიდუალურ, არამედ არავითარ ზიანს არ აყენებდა მოსარჩელეს, არც მის რაიმე უფლებას ზღუდავდა. სარჩელის დაკმაყოფილებას უნდა გამოეწვია მოსარჩელის უფლების აღდგენა, სადავო შემთხვევაში კი გაუგებარი იყო, თუ რა უფლება უნდა აღდგენოდა მოსარჩელეს, აქ, მაქსიმუმ, შეიძლებოდა საუბარი მხოლოდ მოსარჩელის ზოგადი ინტერესის არსებობაზე, რის გამოც არ არსებობდა სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველი.

მოპასუხე სახელმწიფო სამედიცინო აკადემიამ ასევე განმარტა, რომ «საქართველოში სამეცნიერო ხარისხების მინიჭების წესის შესახებ» საქართველოს პრეზიდენტის 2003 წლის 28 ივნისის #316 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულების მე-2 მუხლის მე-12 პუნქტის შესაბამისად, საქართველოში სადისერტაციო საბჭოები მოქმედებდნენ სწავლულ ექსპერტთა საბჭოს ეგიდით, ხოლო ორგანიზაციულად ექვემდებარებოდნენ იმ დაწესებულების ხელმძღვანელობას, რომელშიც იქმნებოდნენ. მოცემულ შემთხვევაში სახელმწიფო სამედიცინო აკადემია პასუხისმგებელი იყო დისერტაციის დაცვის მხოლოდ ტექნიკურ ორგანიზებაზე.

თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2005 წლის 10 იანვრის გადაწყვეტილებით შ. ხ-შვილის სარჩელი დაკმაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს სახელმწიფო სამედიცინო აკადემიის სადისერტაციო საბჭოს 2003 წლის 12 დეკემბრის #29 ოქმი, რომლის თანახმად ა. გ-ძეს მიენიჭა მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი სპეციალობით 14.00.50 «რეპროდუქტოლოგია», ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს სწავლულ ექსპერტთა საბჭოს 2004 წლის 5 იანვრის პრეზიდენტის სხდომის #1 ოქმის ნაწილი, რომლითაც დადგინდა ა. გ-ძის სახელზე მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის დიპლომის გაცემა, ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს სწავლულ ექსპერტთა საბჭოს მიერ გაცემული მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის #003937 დიპლომი.

რაიონულმა სასამართლომ სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველად მიუთითა შემდეგზე:

საქართველოს სახელმწიფო სამედიცინო აკადემიის სადისერტაციო საბჭომ ექიმ ა. გ-ძისათვის მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მინიჭების დროს დაარღვია «საქართველოში სამეცნიერო ხარისხების მინიჭების წესის შესახებ» საქართველოს პრეზიდენტის 2003 წლის 28 ივნისის #316 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულების მოთხოვნები. ა. გ-ძეს მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის დიპლომი მიღებული ჰქონდა 1995 წლის 23 თებერვალს ყირგიზეთის მთავრობასთან არსებული უმაღლესი საატესტაციო კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე, სპეციალობა ხსენებულ დიპლომში მითითებული არ იყო. ამ შემთხვევაში ა. გ-ძის მიმართ ვრცელდებოდა აღნიშნული დებულების მე-9 მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნები, რომლის თანახმად, საქართველოს მოქალაქის, საქართველოში მუდმივად მცხოვრები მოქალაქეობის არმქონე პირის სხვა ქვეყანაში გაცემული სამეცნიერო ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის აღიარება ხორციელდებოდა ნოსტრიფიკაციის გზით, ხოლო ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ნოსტრიფიკაციასთან დაკავშირებული იურიდიული საკითხები განისაზღვრებოდა «საქართველოში სამეცნიერო ხარისხების მინიჭების წესის შესახებ» ინსტრუქციის მე-8 მუხლის 1-6 პუნქტებით. საქართველოს პრეზიდენტის #316 ბრძანებულებით დამტკიცებული ინსტრუქციის შესაბამისად, განისაზღვრა ნოსტრიფიკაციის პროცედურა, ინსტრუქციის მე-8 მუხლის თანახმად, სწავლულ ექსპერტთა საბჭოს ა. გ-ძისათვის მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი უნდა მიენიჭებინა მისივე განცხადების საფუძველზე, სათანადო დოკუმენტაციის წარდგენით მე-4 დანართის შესაბამისად. 2004 წლის იანვარში საქართველოს სწავლულ ექსპერტთა საბჭომ ა. გ-ძის სახელზე გასცა მეცნიერებათა კანდიდატის #003937 დიპლომი, რომლის შიფრად მიეთითა 05.11.13, მეცნიერ-თანამშრომლების სპეციალობათა ნომენკლატურის მიხედვით კი სამედიცინო მეცნიერებათა სპეციალობის შიფრი იწყებოდა მეანობა-გინეკოლოგიით (14.00.00-დან) და მთავრდებოდა რეპროდუქტოლოგიით (14.00.50). რაიონულმა სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხეებისა და მესამე პირის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ გასაჩივრებული ადმინისტრაციული აქტებით მოსარჩელეს არანაირი უფლება არ ელახებოდა, რამდენადაც შ. ხ-შვილი 2003 წლის 12 დეკემბერს იყო იმ სადისერტაციო საბჭოს წევრი, რომელმაც კანონის დარღვევით მიიღო გადაწყვეტილება მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატობის სამეცნიერო ხარისხის არმქონე ა. გ-ძისათვის მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მინიჭების შესახებ.

რაიონული სასამართლოს ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გასაჩივრა სახელმწიფო სამედიცინო აკადემიის, სწავლულ ექსპერტთა საბჭოს, ა. გ-ძის წარმომადგენელმა მ. ს-ძემ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

აპელანტთა მოსაზრებით, რაიონულმა სასამართლომ გადაწყვეტილების გამოტანისას უსაფუძვლოდ არ გამოიყენა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მე-2 ნაწილი, რომლის თანახმად, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, სარჩელი დასაშვებია, თუ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან მისი ნაწილი პირდაპირ და უშუალო ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს, ან უკანონოდ ზღუდავს მის უფლებას. მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი

სარჩლით, მისი პოზიციით, საქმეში არსებული მასალებით არ ირკვეოდა, რომ გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებით ან მათი რომელიმე ნაწილით შ. ხ-შვილს, მის კანონიერ უფლებას ან ინტერესს მიაღდა ზიანი. 1995 წლის 23 თებერვალს ა. გ-მეს მიენიჭა მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი ყირგიზეთის რესპუბლიკის შესაბამისი და კომპეტენტური სახელმწიფო დაწესებულების მიერ. საქართველოს პრეზიდენტის 2003 წლის 28 ივნისის #316 ბრძანებულების გამოცემამდე მოქმედებდა საქართველოს მთავრობის 1992 წლის 6 აპრილის #406 დადგენილება, სწორედ ამ დადგენილების მოქმედების პირობებში ა. გ-მემ აღნიშნული ფაქტების შესახებ წერილობით აცნობა საქართველოს შესაბამის დაწესებულებებს და წარადგინა საჭირო დოკუმენტაცია, რომლითაც შესაძლებელი იყო ყველა გარემოების ნამდვილობის შემოწმება. საგულისხმო იყო, რომ სწავლულ ექსპერტთა საბჭომ დაადასტურა მისი თანხმობა სადოქტორო დისერტაციის დაცვის თაობაზე. ა. გ-მის სადოქტორო ნაშრომმა გაიარა ყველა საჭირო პროცედურა. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60 მუხლის «დ» ქვეპუნქტი ბათილად აცხადებდა ადმინისტრაციულ აქტს, რომელიც ეწინააღმდეგებოდა კანონს, ამდენად, მოსარჩელე ვალდებული იყო, დაემტკიცებინა, რომ ხსენებულ საკითხზე საბოლოოდ მიღებული გადაწყვეტილება ეწინააღმდეგებოდა კანონს. გარდა ამისა, რაიონულმა სასამართლომ არ გამოიყენა საქართველოს პრეზიდენტის 2003 წლის 28 ივნისის #317 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულება «საქართველოს სწავლულ ექსპერტთა საბჭოს შესახებ» და მისი მე-3 მუხლის «დ» ქვეპუნქტი, რომელიც განსაზღვრავდა იმ პირობებს, რომელთა არსებობის შემთხვევაშიც დაისმებოდა სამეცნიერო ხარისხის ბათილად ცნობის საკითხი.

სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვის დროს აპელანტმა - საქართველოს სახელმწიფო სამედიცინო აკადემიამ შუამდგომლობით მიმართა სააპელაციო სასამართლოს და უარი განაცხადა სააპელაციო საჩივარზე. სააპელაციო სასამართლოს 2005 წლის 27 ივლისის საოქმო განჩინებით აღნიშნული შუამდგომლობა დაკმაყოფილდა და საქართველოს სახელმწიფო სამედიცინო აკადემიის სააპელაციო საჩივარზე შეწყდა წარმოება.

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა პალატის 2005 წლის 27 ივლისის განჩინებით საქართველოს სწავლულ ექსპერტთა საბჭოსა და ა. გ-მის სააპელაციო საჩივრები ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გაუქმდა თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2005 წლის 10 იანვრის გადაწყვეტილება, შ. ხ-შვილის სარჩელი განსახილველად დაუბრუნდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, შემდეგი მოსაზრებით:

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ რაიონულ სასამართლოს ფაქტობრივად არ უმსჯელია, თუ რატომ მიიჩნია შ. ხ-შვილის სარჩელი დასაშვებად, მაშინ როდესაც ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სარჩელი დასაშვებია იყო, თუ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი პირდაპირ და უშუალო ზიანს აყენებდა მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს, ან უკანონოდ ზღუდავდა მის უფლებას. რაიონულმა სასამართლომ ისე დაასკვნა, რომ ა. გ-მისათვის მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მინიჭებით შ. ხ-შვილს, როგორც სადისერტაციო საბჭოს წევრს, 2003 წლის 12 დეკემბრისათვის შეეღებოდა უფლება, რომ საერთოდ არ უმსჯელია, თუ რაში გამოიხატებოდა ხსენებული უფლების შეღებვა. რაიონულ სასამართლოს ასევე საერთოდ არ უმსჯელია იმ გარემოებაზე, რომ შ. ხ-შვილმა ა. გ-მის ნაშრომზე გასცა დადებითი რეცენზია, მაშინ როდესაც აღნიშნული რეცენზიის შესახებ ცნობილი იყო რაიონული სასამართლოსათვის.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ შ. ხ-შვილის სარჩელი განსახილველად უნდა დაბრუნებოდა საქალაქო სასამართლოს, რომელსაც, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლის თანახმად, განმწესრიგებელ სხდომაზე უნდა შეემოწმებინა სარჩელის დასაშვებობის საკითხი.

რაიონული სასამართლოს ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გასაჩივრა შ. ხ-შვილმა, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საქმის ხელახლა განსახილველად იმავე სასამართლოსათვის დაბრუნება.

კასატორის მოსაზრებით, სახეზე იყო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის «ე» ქვეპუნქტით გათვალისწინებული საკასაციო საჩივრის აბსოლუტური საფუძველი, სააპელაციო სასამართლოს გამოტანილი ჰქონდა დაუსაბუთებელი განჩინება. სააპელაციო სასამართლომ მოცემული საქმის განხილვისას უგულებელყო საქართველოში სამეცნიერო ხარისხების მინიჭების საკითხების მარეგულირებელი სამართლებრივი აქტების მოთხოვნები. «საქართველოში სამეცნიერო ხარისხების მინიჭების წესის შესახებ» საქართველოს პრეზიდენტის 2003 წლის 28 ივნისის #316 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულების პირველი მუხლის მე-4 ნაწილი ითვალისწინებდა, რომ სადოქტორო დისერტაციის წარდგენის უფლება ჰქონდა მეცნიერებათა კანდიდატს ან მასთან გათანაბრებულ უცხო ქვეყნის მოქალაქეს. ამავე ბრძანებულების მე-9 მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, საქართველოს მოქალაქის, აგრეთვე საქართველოში მცხოვრები უცხო ქვეყნის მოქალაქისა და საქართველოში მუდმივად მცხოვრები მოქალაქეობის არმქონე პირის სხვა ქვეყანაში გაცემული სამეცნიერო ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის აღიარება ხორციელდებოდა ნოსტრიფიკაციის გზით. მითითებული ნორმების შინაარსიდან გამომდინარე, ცალსახა იყო, რომ ა. გ-მემ სადოქტორო დისერტაცია დაიცვა მოქმედი კანონმდებლობის უხეში დარღვევით, რადგან აღნიშნული დისერტაციის დაცვა შედგა 2003

წლის 12 დეკემბერს, ხოლო ყირგიზეთის რესპუბლიკაში (ბიშკეკში) დაცულმა საკანდიდატო დიპლომმა ნოსტრიფიკაცია გაიარა 2004 წელს, ე.ი. სადოქტორო დისერტაციის დაცვის შემდეგ. აქედან გამომდინარე, ირვევოდა, რომ სადოქტორო დისერტაციის დაცვის მომენტისათვის ა. გ-მე არ იყო მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი. კასატორმა არ გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები ზიანს არ აყენებდა მის უფლებებსა და ინტერესებს, რადგან საქართველოს პრეზიდენტის #316 ბრძანებულების მე-8 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სამეცნიერო ხარისხების მინიჭების (მიუნიჭებლობის) შესახებ სადისერტაციო საბჭოების გადაწყვეტილებებზე აპელაციის (გადაწყვეტილებაზე საჩივრის) წარდგენის უფლება ჰქონდათ სამეცნიერო დაწესებულებებს, ხარისხის მაძიებლებსა და სხვა პირებს. კასატორი იყო სადისერტაციო საბჭოს წევრი და დისერტაციის დაცვის დროს მოქმედი შესაბამისი სამართლებრივი აქტების დაცვა მის მოვალეობას წარმოადგენდა. ამასთან, იმ პერიოდში იგი ა. გ-მესთან ერთად მუშაობდა ი. ჟორდანიას სახელობის ადამიანის რეპროდუქციის ინსტიტუტში და მას, როგორც ინსტიტუტის ერთ-ერთ ხელმძღვანელს, უფლება არ ჰქონდა, დაეშვა რაიმე სახის სიყალბე.

კასატორი ასევე მიუთითებდა, რომ სააპელაციო სასამართლომ საქმე განიხილა საპროცესო დარღვევებით. შინაგან საქმეთა სამინისტროს მთაწმინდა-კრწანისის შინაგან საქმეთა სამმართველოში ტარდებოდა გამოძიება ა. გ-მისათვის მინიჭებული დოქტორის ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის სიყალბის დადგენის მიზნით. ამასთან დაკავშირებით, სასამართლომ არ შეაჩერა საქმის წარმოება, იმისდა მიუხედავად, რომ მას ეს ვალდებულება ეკისრებოდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 279-ე მუხლის «დ» ქვეპუნქტის საფუძველზე. კასატორმა ასევე მიუთითა, რომ სააპელაციო სასამართლომ საქმე განიხილა მისი მონაწილეობის გარეშე, მიუხედავად იმისა, რომ სასამართლოს წარდგენილი ჰქონდა ცნობა, რომ კასატორი როგორც 22 ივლისს, ისე 27 ივლისს მკურნალობდა საავადმყოფოში და საპატიო მიზეზის გამო არ ჰქონდა სასამართლოში გამოცხადების შესაძლებლობა.

მოწინააღმდეგე მხარე სწავლულ ექსპერტთა საბჭოს, მესამე პირის ა. გ-მის წარმომადგენელმა მ. ს-მემ საკასაციო საჩივარი არ ცნო და გასაჩივრებული განჩინების უცვლელად დატოვება მოითხოვა. მისი მოსაზრებით, არ არსებობდა შ. ხ-შვილის სარჩელის დასაშვებობის საფუძველი ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით. შ. ხ-შვილს არავითარ ზიანს არ აყენებდა არც ერთი მის მიერ გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. აღნიშნული აქტების შინაარსი იმაში გამოიხატა, რომ ა. გ-მეს მიენიჭა მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი. საკუთრივ ა. გ-მის სადისერტაციო ნაშრომით შ. ხ-შვილის უფლება არ შელახულა, აღნიშნული ნაშრომი შ. ხ-შვილისათვის არათუ საზიანო არ იყო, არამედ მან იგი მოიწონა და დაცვის წინ დადებითი რეკომენდაციაც მისცა. გაურკვეველი იყო, თუ როგორ შეეცირდა ან შევიწროვდა შ. ხ-შვილისათვის მინიჭებულ უფლებათა რაოდენობა ან მასშტაბი მართლედნ იმით, რომ ა. გ-მე გახდა მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, ან კი რა შემხებლობა უნდა ჰქონოდა ერთმანეთთან ა. გ-მის სამეცნიერო ხარისხსა და შ. ხ-შვილის უფლებებსა და ინტერესებს. ასეთ ვითარებაში, იმის დასადგენად, შეეძლო თუ არა უარყოფითად ემოქმედა ა. გ-მისათვის სამეცნიერო ხარისხის მინიჭების შესახებ გამოცემულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს მოსარჩელის უფლებებსა და ინტერესებზე, საუკეთესო მეთოდი იყო დედუქციური. საკითხი ამგვარად დაისმოდა: დაუშვავთ, ეს აქტი სასამართლოს ეცნო ბათილად, განა რა შეემა უნდა ეგრძნო ამით შ. ხ-შვილს, რომელი უფლება უნდა გაფართოებოდა, რომელი მდგომარეობა უნდა გაუმჯობესებოდა, აღდგენოდა ზიანისაგან? თავისთავად ფაქტი, რომ შ. ხ-შვილი წარმოადგენდა იმ სადისერტაციო საბჭოს წევრს, რომლის გადაწყვეტილებასაც ასაჩივრებდა, არაფრისმეტყველი იყო სარჩელის დასაშვებობასთან მიმართებაში. ამასთან, შ. ხ-შვილი სარჩელის აღძვრიდანვე აღარ იყო ამ საბჭოს წევრი და შეუძლებელი იყო, ამ მდგომარეობით ახსნილიყო სარჩელით მისი დაინტერესება. ამასთან, სწავლულ ექსპერტთა საბჭოს წევრი შ. ხ-შვილი არ ყოფილა, რის გამოც შ. ხ-შვილის უფლებებსა და მის მეორე მოთხოვნას შორის საკანდიდატო დისერტაციასთან დაკავშირებით შემხებლობა არ არსებობდა. სარჩელის დასაშვებად მიჩნევისათვის ასევე არ გამოდგებოდა მოსარჩელის არგუმენტი იმის თაობაზე, რომ მისთვის სულერთი არ იყო, თუ რა ხდებოდა მეცნიერებაში ზოგადად. ზოგადი დაინტერესება არ იყო იგივე, რაც უფლებებისა და ინტერესებისათვის პირდაპირი და უშუალო ზიანის მიყენება ან უფლებების უკანონოდ შეზღუდვა. ამდენად, სარჩელი დაუშვებელი იყო ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების გამოკვლევის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის შედეგად მიიჩნევს, რომ შ. ხ-შვილის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, უცვლელად დარჩეს თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა პალატის 2005 წლის 27 ივლისის განჩინება, შემდეგ გარემოებათა გამო:

გასაჩივრებული განჩინება გამოტანილია სააპელაციო სასამართლოს მიერ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26²-ე მუხლის მე-4 ნაწილით მინიჭებული უფლებამოსილების გამოყენების საფუძველზე. აღნიშნული ნორმის თანახმად, ზემდგომი სასამართლო საქმის არსებითი განხილვისას წარმოების შეწყვეტის საფუძვლების გამოვლენის შემთხვევაში (ამ კოდექსის 22-25-ე მუხლებით

დადგენილ დასაშვებობის მოთხოვნებთან სარჩელის შესაბამისობა), საქმეს განსახილველად უბრუნებს განსჯად სასამართლოს.

საკასაციო საჩივრის დავის საგანია შემდეგი: ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის საფუძველზე აღძრული შ. ხ-შვილის სარჩელი დამატებით საჭიროებს თუ არა დასაშვებობის საკითხის შემოწმებას პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ, არსებობს თუ არა საფუძველი, რაც ასეთი შემოწმების საჭიროებას წარმოშობს საქმის სრულყოფილი განხილვის ინტერესებიდან გამომდინარე.

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მე-2 ნაწილი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის მოთხოვნით აღძრულ სარჩელს დასაშვებად მიიჩნევს, თუ არსებობს ერთ-ერთი პირობა, როდესაც ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან მისი ნაწილი:

1. პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას;
2. პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ ინტერესს;
3. უკანონოდ ზღუდავს მოსარჩელის უფლებას.

ამდენად, კანონის ზემოაღნიშნული მოთხოვნიდან გამომდინარე, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის მოთხოვნით აღძრული სარჩელის დასაშვებობისათვის აუცილებელია, გასაჩივრებული აქტით ზიანი ადგებოდეს მოსარჩელის კანონიერ უფლებას, ინტერესს ან უკანონოდ იზღუდებოდეს მისი რომელიმე უფლება. მხოლოდ აღნიშნული პირობების არსებობის შემთხვევაში შეუძლია მოსარჩელეს მოითხოვოს საქმის განხილვა ადმინისტრაციული აქტის ბათილად ცნობის მოთხოვნით აღძრულ სარჩელზე შეზღუდული ან სადავოდ ქცეული უფლების ან კანონიერი ინტერესის დაცვის მიზნით.

სასამართლო წესით სარჩელის აღძვრის შესაძლებლობა სუბიექტური უფლების განხორციელების ერთ-ერთი ფორმაა, რომელიც იცავს უფლებას გაქარწყლებისგან, არარად ქცევისგან, ამიტომ, რომ საპროცესო სამართალში სარჩელის აღძვრის უფლების (სარჩელზე უფლების) არსებითი ელემენტია, უწინარეს ყოვლისა, თავად უფლების არსებობა მატერიალური შინაარსით, რომლის დაცვის ღირსი ინტერესიც მოსარჩელეს გააჩნია. თუკი განცხადებულ მოთხოვნაზე უფლება ნამდვილად ეკუთვნის მოსარჩელეს, ხოლო სადავოდ გამხდარ უფლებაზე ვალდებულ პირს ნამდვილად წარმოადგენს მოპასუხე, მაშინ საქმის განხილვისათვის ერთ-ერთი აუცილებელი პირობა - მხარეთა ლეგიტიმური შემადგენლობა სახეობა.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველი ნაწილი ითვალისწინებს: «ყოველ ადამიანს უფლება აქვს თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს». ამდენად, სასამართლოსადმი მიმართვა უკავშირდება მხოლოდ «თავისი» უფლების ან თავისუფლების დაცვის რეალურ საჭიროებას, რის გამოც სასამართლოში სარჩელის აღძვრის პროცესუალური უფლებით სარგებლობს მხოლოდ სამისო, ნამდვილი ინტერესის მქონე პირი. შესაძლებელია, თავისთავად, პირს ჰგონია, რომ ასეთი ინტერესი აქვს და მიმართავს სასამართლოს. პირის ასეთი სუბიექტური განწყობა ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ ობიექტურად იგი მართლაც დაინტერესებულია პროცესის წარმოების თვალსაზრისით. სწორედ აღნიშნული საკითხის გამორკვევას ემსახურება სარჩელის დასაშვებობის ინსტიტუტი ადმინისტრაციულ პროცესში, რომლის მიზანია, კანონით გათვალისწინებულ მთელ რიგ აუცილებელ საკითხებთან ერთად წინასწარ, საქმის არსებითი განხილვის დაწყებამდე გაირკვეს, აღძრული აქვს თუ არა სარჩელი მოსარჩელეს «თავისი» უფლების დასაცავად, ანუ არის თუ არა მოსარჩელე მოცემულ კონკრეტულ მოთხოვნასა და შესაბამის სამართალწარმოებაზე უფლების მქონე. პირის პროცესუალური უფლებაუნარიანობისაგან ეს უფლება განუყოფელია.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლით გათვალისწინებული სარჩელის დასაშვებობის საკითხის შემოწმებისას მოსარჩელის უფლებისა და კანონიერი ინტერესის არსებობის საკითხის გარკვევისას მნიშვნელოვანია, გაირკვეს უფლებისა და ინტერესის სუბიექტური ფარგლების საკითხი, რაც უკავშირდება მათ შორის ურთიერთმიმართებისა და განსხვავების გამორკვევას. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ამ თვალსაზრისით ინტერესი არ არის სუბიექტური უფლების შემადგენელი ელემენტი, წარმოადგენს მისი დაკმაყოფილების განმაპირობებელი სუბიექტური უფლების წანამძღვარს და ამიტომ არ შეიძლება ამ უფლების შემადგენელი ელემენტი იყოს. ამ თვალსაზრისით მოსარჩელის კანონიერი ინტერესისათვის ზიანის მიყენების საფუძველით სარჩელის აღძვრა შესაძლებელია, თუკი ასეთი ზიანი პირდაპირი და უშუალოა მოსარჩელისათვის. ამდენად, ამ საკითხის სწორად გარკვევას უდიდესი მნიშვნელობა აქვს იმისათვის, რომ, ერთი მხრივ, მოსარჩელეს არ წაერთვას ნამდვილი უფლება სარჩელზე და შესაბამისად, სამართლიან სასამართლოზე და, მეორე მხრივ, შეცდომით არ მოხდეს სარჩელზე მოსარჩელის არარსებული უფლების განხორციელება და ამით გაუმართლებლად არ შეილახოს მოპასუხის ინტერესები და სამართლიან სასამართლოზე მისი შესაბამისი უფლება.

სადისერტაციო საბჭოს წევრს, როგორც კანონის საფუძველზე მოქმედი კოლეგიური ორგანოს წევრს, არ შეიძლება ჰქონდეს სხვა უფლება, გარდა პოზიტიური სამართლით პირდაპირ თუ არაპირდაპირ მინიჭებულისა. თუკი აღნიშნული სამართალი მას პირდაპირ ანიჭებს სარჩელის აღძვრის უფლებამოსილებას, მაშინ სარჩელის დასაშვებობის პრობლემა ამ საფუძველით არ დგება. იმ შემთხვევაში, როდესაც კანონით პირდაპირ არ არის გათვალისწინებული დანაწესი პროცესუალური სტატუსის თაობაზე, ამ შემთხვევაში უფლება სარჩელზე პრობლემატურია და საჭიროებს ღრმა ანალიზს

სწორი დასკვნის გამოსატანად. სადავო საქმეზე სწორედ მეორე შემთხვევა არსებობს, როდესაც სადისერტაციო საბჭოს საქმიანობის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტები არ შეიცავს სადისერტაციო საბჭოს წევრისათვის პირდაპირი უფლებამოსილების მიმნიჭებელ ნორმებს საბჭოს გადაწყვეტილების რევიზიის მოთხოვნით სარჩელის აღძვრის თაობაზე.

მოცემულ საქმეზე მოსარჩელე, როგორც კოლეგიური ორგანოს – სადისერტაციო საბჭოს წევრი, ასაჩივრებს ამ ორგანოს მიერ კენჭისყრის შედეგად მიღებულ გადაწყვეტილებას მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მაძიებლისათვის მინიჭების შესახებ, ასევე, შემდგომში საქართველოს სწავლულ ექსპერტთა საბჭოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის დიპლომის ამ მაძიებლისათვის გაცემის თაობაზე. სარჩელის საფუძველია სადავო გადაწყვეტილებების მიღებისას სადისერტაციო საბჭოსა და სწავლულ ექსპერტთა საბჭოს მიერ საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით დადგენილი სამეცნიერო ხარისხების მინიჭების აუცილებელი პროცედურის დარღვევა. ამდენად, დავის საგანია პროცედურული დარღვევით გამართული სადისერტაციო საბჭოს სხდომისა და სწავლულ ექსპერტთა საბჭოს სხდომის გადაწყვეტილებათა მართლობიერება. დავის საგანი არ არის უშუალოდ აღნიშნულ პროცედურათა მართლობიერება. სარჩელის აღძვრის მოტივი, რომლითაც მოსარჩელე სარჩელზე თავის უფლებას ასაბუთებს, არის ის გარემოება, რომ, რამდენადაც მოსარჩელე წარმოადგენს სადისერტაციო საბჭოს წევრს, რომელმაც ეს გადაწყვეტილება მიიღო, მოსარჩელეს შეეღაბა უფლება ამ საბჭოს მიერ პროცედურის დარღვევით, უკანონოდ გადაწყვეტილების მიღებით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სარჩელის დასაშვებობასთან დაკავშირებით წამოიჭრება საკითხი, ზოგადად, არის თუ არა კოლეგიური ორგანოს წევრი უფლებამოსილი, გამოვიდეს და აწარმოოს პროცესი კოლეგიური ორგანოს წინააღმდეგ, მის მიერ მიღებული გადაწყვეტილების ბათილად ცნობის მოთხოვნით ამ ორგანოს მიერ პროცედურის დარღვევის შემთხვევაში? შეუძლია თუ არა კოლეგიური ორგანოს წევრს, რომელიც თავს აარიდებს კოლეგიური ორგანოს სხდომაზე დასწრებას და თავისი უფლება-მოვალეობების სხდომაზე განხორციელებას, სადავო გახადოს ამ სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილება? წარმოადგენს თუ არა კოლეგიური ორგანოს წევრი, რომელიც ამ ორგანოს, როგორც ერთიან ორგანიზმს ქმნის, იმავდროულად ავტონომიურ პროცესუალურ სუბიექტს, რომელსაც შეუძლია კოლეგიური ორგანოს, როგორც ერთიანისა და მთლიანის წინააღმდეგ გამოვიდეს? კოლეგიური ორგანოს გადაწყვეტილება, რომელიც მან კენჭისყრის შედეგად მიიღო, უკვე მიღებისთანავე გამოდის თუ არა კოლეგიური ორგანოს კონკრეტული წევრების მაკონტროლებელი იურისდიქციიდან, შეუძლია თუ არა კოლეგიური ორგანოს წევრს, წარადგინოს სარჩელი ასეთი გადაწყვეტილების წინააღმდეგ? მეორე მხრივ, აქვე წამოიჭრება კონტრსაკითხი, როგორ შეძლებენ კოლეგიური ორგანოს წევრები, მათზე დაკისრებული ამოცანების სრულყოფილად შესრულებას, თუკი მათ წართმეული ექნებათ შესაძლებლობა, სასამართლო წესით მოითხოვონ პროცედურის დარღვევით მიღებული გადაწყვეტილებების ბათილობა? შესაძლებელია თუ არა, ჩვენი საზოგადოებრივი განვითარების ისეთი მნიშვნელოვანი სფერო, როგორცაა აკადემიური ხარისხების სფერო, სადისერტაციო საბჭოებისა და სწავლულ ექსპერტთა საბჭოს არაკვალიფიციური საქმიანობისა და უმოქმედობის პირობებში აღმოჩნდეს სასამართლო კონტროლის მიღმა, თუკი სადისერტაციო საბჭოს წევრს არ მიეცემა ამ ორგანოთა გადაწყვეტილების კანონიერების სასამართლო გზით შემოწმების შესაძლებლობა?

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საკითხი, დასაშვებია თუ არა შ. ხ-შვილის სარჩელი, მოითხოვს შ. ხ-შვილის, როგორც სადისერტაციო საბჭოს წევრის უფლებამოსილების, სადავო მოთხოვნის მიმართ მისი ნამდვილი უფლების ან კანონიერი ინტერესის არსებობის საფუძვლიან ანალიზს საქმის ფაქტობრივი გარემოებების სრული გამორკვევის გზით. ყოველივე ეს კი ღრმა მსჯელობისა და ანალიზის საგანია და არა ცალსახად გადასაწყვეტი. ამასთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნას, რომ რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება გამოტანილია აღნიშნული საკითხების გამორკვევის გარეშე, იმ პირობებში, როდესაც მოწინააღმდეგე მხარის შესაგებელი, პირველ რიგში, მთლიანად ამ საკითხის გამორკვევის მოთხოვნაზე იყო აგებული. რაიონულ სასამართლოს თავისი გადაწყვეტილებით აღნიშნულ საკითხზე პასუხი გაცემული აქვს მხოლოდ ერთი წინადადებით, რომელშიც მოცემული დასკვნა სარჩელის დასაშვებობაზე სრულიად დაუსაბუთებელია, ვინაიდან არ შეიცავს სასამართლოს ამგვარი დასკვნის მოტივაციას. ამასთან, მართალია, სარჩელი აღძრულია ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში დასაშვებობის სპეციალური ინსტიტუტის შემოღებამდე, მაგრამ სარჩელის აღძვრის დროისათვის მოქმედი ამავე კოდექსის 22-ე მუხლის რედაქცია ასევე ითვალისწინებდა ანალოგიურ მოთხოვნას ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის მოთხოვნით აღძრული სარჩელის დასაშვებობის საკითხზე, რაც საჭიროებდა შემოწმებას პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ. ამასთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლო მხედველობაში იღებს იმ გარემოებასაც, რომ საკასაციო საჩივარი სარჩელის დასაშვებობასთან მიმართებაში სრულიად დაუსაბუთებელია. კასატორი საკასაციო საჩივრის მოტივებად ძირითადად მიუთითებს საქმის არსებითი გარემოებების დამასაბუთებელ საკითხებზე, ხოლო უშუალოდ სადავო საკითხის – სარჩელის დასაშვებობის დამასაბუთებელ მოტივებზე მხოლოდ ზოგადად შემოიფარგლება. ამასთან, კასატორი საქმეზე თავის იურიდიულ ინტერესს საკასაციო საჩივარში ასაბუთებს ახალი გარემოებით, რომ იგი, გარდა იმისა, რომ დაინტერესებული პირია როგორც სადისერტაციო საბჭოს წევრი, ასევე დაინტერესებულია როგორც ი. ჟორდანას სახელობის ადამიანის რეპროდუქციის ინსტიტუტის ერთ-ერთი ხელმძღვანელი, რასაც საკასაციო სასამართლო ვერ მიიღებს

მხედველობაში და ვერ შეაფასებს. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საკასაციო სასამართლოს მიერ კონკრეტული საქმის განხილვისას მხედველობაში მიიღება მოსარჩელის მხოლოდ ის ახსნა-განმარტება, რომელიც დაფიქსირებულია სასარჩელო განცხადებაში და რომელიც ასახულია სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებასა და საქმის მასალებში. ამ საფუძვლით კი მოსარჩელეს სასარჩელო განცხადებით სადავო აქტების ბათილად ცნობა არ მოუთხოვია საქმის მასალების თანახმად. ამასთან, აღნიშნული საკითხი საჭიროებს ფაქტობრივი გარემოებების დამატებით გამორკვევა-დასაბუთებას.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26²-ე მუხლის პირველი, მე-3, მე-4 ნაწილების მოთხოვნიდან გამომდინარე, სარჩელის დაშვების (დაუშვებლობის) საკითხზე გადაწყვეტილებას იღებს პირველი ინსტანციის სასამართლო, ხოლო სააპელაციო სასამართლო მხოლოდ ამოწმებს ამგვარი გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობას. მითითებული მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლო საქმის არსებითი განხილვისას წარმოების შეწყვეტის საფუძვლების გამოვლენის შემთხვევაში საქმეს განსახილველად უბრუნებს პირველი ინსტანციის სასამართლოს. ამასთან, აღნიშნული შეიძლება შეეხებოდეს არა მარტო შემთხვევას, როდესაც წარმოების შეწყვეტის საფუძვლები უდავოა, არამედ იმ შემთხვევასაც, როდესაც წარმოების შეწყვეტის საფუძვლების არსებობის საკითხი, კონკრეტული საქმის გარემოებების გათვალისწინებით, არ არის ცალსახად გადასაწყვეტი და საქმის სრულყოფილად განხილვის ინტერესები მოითხოვს მის კიდევ ერთხელ საფუძვლიანად გადამოწმებას, როგორც ეს სადავო შემთხვევაშია.

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს მოწინააღმდეგე მხარის არგუმენტს იმასთან დაკავშირებით, რომ შ. ხ-შვილი აღარ არის სადისერტაციო საბჭოს წევრი და ამდენად, მას არ შეიძლება შემხებლობა ჰქონდეს სადავო საკითხთან. მოცემულ შემთხვევაში სადავოდ არის გამხდარი სადისერტაციო საბჭოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება, რომლის წევრიც იყო შ. ხ-შვილი, რის გამოც თუკი პირველი ინსტანციის სასამართლო მიიჩნევს, რომ ამ გადაწყვეტილებით შეიძლება შელახულიყო ამ საბჭოს წევრის ინტერესი, მაშინ მოსარჩელე იქნება სარჩელზე უფლებამოსილი პირი.

საკასაციო სასამართლო ასევე ვერ გაიზიარებს მოწინააღმდეგე მხარის არგუმენტს, რომ შ. ხ-შვილს იურიდიული ინტერესი კიდევ რომ ჰქონდეს პირველ მოთხოვნაზე, მას ასეთი ინტერესი ვერ ექნება სწავლულ ექსპერტთა საბჭოს აქტების გაუქმების მოთხოვნის მიმართ. თუკი მოცემული აქტები გამოტანილია ე.წ. ნოსტრიფიკაციის პროცედურის განხორციელების შედეგად, მაშინ აღნიშნულთან შ. ხ-შვილს, როგორც სადისერტაციო საბჭოს წევრს შეიძლება შემხებლობა ჰქონდეს, იმდენად რამდენადაც საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით დამტკიცებული «საქართველოში სამეცნიერო ხარისხების მინიჭების წესის შესახებ» ინსტრუქციის მე-8 მუხლით განსაზღვრული ნოსტრიფიკაციის პროცედურა მოითხოვს გადაწყვეტილების მიღებას სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე განმეორებითი ატესტაციის გამართვის მეშვეობით და ამდენად, ამ ნაწილში სადისერტაციო საბჭოს წევრს, როგორც სწავლულ ექსპერტთა საბჭოს მიერ მისაღები გადაწყვეტილების პროცედურის უშუალო მონაწილეს, ექნება მასთან შემხებლობა, თუმცა აღნიშნულ მოთხოვნებზეც სარჩელის აღძვრის უფლების არსებობა, პირველ რიგში, უნდა გაირკვეს დასაშვებობის საკითხის გამორკვევის გზით.

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს კასატორის მოსაზრებას სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის საპროცესო დარღვევებით განხილვის თაობაზე. კასატორი ვერ ასაბუთებს მოცემულ შემთხვევაში საქმის წარმოების შეჩერების სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 279-ე მუხლის «დ» ქვეპუნქტით განსაზღვრული პირობის არსებობას. აღნიშნული მუხლის თანახმად, საქმის წარმოება შეჩერებას ექვემდებარება მხოლოდ სამოქალაქო, სისხლის სამართლის ან ადმინისტრაციული წესით განსახილველი სხვა საქმის გადაწყვეტამდე ამ საქმის განხილვის შეუძლებლობის შემთხვევაში, ხოლო კასატორი წარმოების შეჩერების საფუძვლად უთითებს შინაგან საქმეთა სამმართველოში გამოძიების მიმდინარეობას და არა სასამართლოში სისხლის სამართალწარმოებით საქმის განხილვისას, რაც გამორიცხავს საქმის წარმოების შეჩერების კანონით გათვალისწინებული ზემოაღნიშნული საფუძვლის არსებობას. ასევე უსაფუძვლოა კასატორის პრეტენზია სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის მის დაუსწრებლად განხილვისას საპროცესო დარღვევის თაობაზე. სააპელაციო სასამართლომ კასატორის გარეშე საქმის განხილვა დაადგინა დასაბუთებული განჩინებით, საქმის განხილვის გაჭიანურების თავიდან აცილების მიზნით, მას შემდეგ, რაც სააპელაციო სასამართლოს სხდომები არაერთხელ გადაიდო კასატორის მიზეზით და საპროცესო ნორმების დარღვევას ადგილი არ აქვს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის შესაბამისად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და უცვლელად დარჩეს საპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება.

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-9 მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, კასატორს უნდა დაეკისროს სახელმწიფო ბაჟის სახით 50 ლარის გადახდა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, მე-9 მუხლის მე-4 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

დაადგინა:

1. შ. ხ-შვილის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა პალატის 2005 წლის 27 ივლისის განჩინება;
3. შ. ხ-შვილს დაეკისროს სახელმწიფო ბაჟის სახით 50 ლარის გადახდა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

აქტის ბათილად ცნობა

განჩინება

#ბს-565-534(კ-06)

31 მაისი, 2007წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატამ შემდეგი

**შემადგენლობით: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ლ. ლაზარაშვილი**

დავის საგანი: ნორმატიული ადმინისტრაციული აქტის გაუქმება

აღწერილობითი ნაწილი:

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 23.12.05წ. აჭარის ა/რ მთავრობისა და აჭარის ა/რ განათლების კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიმართ სასარჩელო განცხადებით მიმართა სსიპ «ფოლკლორის კვლევითი ცენტრის» ჩვიდმეტმა თანამშრომელმა მოსარჩელებმა აღნიშნეს, რომ აჭარის ა/რ მთავრობის 05.07.05წ. #67 დადგენილებით შეიქმნა სსიპ «ფოლკლორის კვლევის ცენტრი» და დამტკიცდა მისი დებულება. აჭარის ა/რ მთავრობის თავმჯდომარის 29.11.05წ. #115 დადგენილებით ლიკვიდირებულ იქნა სსიპ «ფოლკლორის კვლევის ცენტრი» და ძალადაკარგულად ჩაითვალა «საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ფოლკლორის კვლევითი ცენტრის შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ» აჭარის ა/რ მთავრობის 02.09.04წ. #24 დადგენილება. მოსარჩელეთა აზრით, აჭარის ა/რ მთავრობას არ ჰქონდა უფლება, მიეღო მსგავსი შინაარსის დადგენილება, ვინაიდან ფოლკლორის კვლევის ცენტრი შეიქმნა 05.07.05წ. #67 დადგენილებით, რომელიც მოსარჩელეთა განცხადებით კვლავინდებურად ძალაშია.

მოსარჩელებმა აღნიშნეს, რომ გასაჩივრებული აქტი უშუალოდ ეხება მოსარჩელეთა კანონიერ უფლებებს, ვინაიდან ამ აქტით ლიკვიდირებული იქნა ორგანიზაცია, რომელშიც ისინი მუშაობდნენ და მიმდინარეობს სამსახურიდან მათი გათავისუფლების პროცესი. სადავო აქტი გამოცემულია ზაკ-ის 52.2 მუხლის მოთხოვნათა დარღვევით ვინაიდან მასში მითითებული არ არის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრების წესი და ვადა, ზაკ-ის 53-ე მუხლის დარღვევით აქტი არ შეიცავს დასაბუთებას. სადავო აქტის გამოცემის პროცესში ჩართულნი არ იყვნენ მოსარჩელები, რომლებსაც არ მიეცათ აზრის გამოთქმის საშუალება, რითაც მოსარჩელეთა აზრით, ადმინისტრაციულმა ორგანომ დაარღვია ზაკ-ის 95-ე მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნა. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას დაირღვა ასევე ზაკ-ის 96-ე, 97-ე და 116-ე მუხლების მოთხოვნები.

მოსარჩელებმა აღნიშნეს აგრეთვე, რომ აჭარის ა/რ განათლების, კულტურის და სპორტის მინისტრის მიერ 01.12.05წ. მიღებული იქნა #465 ბრძანება, რომლითაც შეიქმნა სსიპ «ფოლკლორის კვლევის ცენტრის სალიკვიდაციო კომისია», ხოლო ამავე დღის #466 ბრძანებით ცენტრის დირექტორი ი. ე-შვილი გაფრთხილებულ იქნა თანამდებობიდან მოსალოდნელი განთავისუფლების შესახებ. მოსარჩელების აზრით, ზემოაღნიშნული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები გამოცემულია უკანონო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე და ბათილად უნდა იქნეს ცნობილი.

მოსარჩელებმა აჭარის ა/რ მთავრობის 29.11.05წ. #115 დადგენილების, აჭარის ა/რ განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 01.12.05წ. #465 და #466 ბრძანებების ბათილად ცნობა და სასამართლოს მიერ საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე სადავო აქტების მოქმედების შეჩერება მოითხოვეს.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 10.01.06წ. განჩინებით უარი ეთქვათ მოსარჩელებს აჭარის ა/რ მთავრობის 29.11.05წ. #115 დადგენილების და აჭარის ა/რ განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 01.12.05წ. #465 და #466 ბრძანებების მოქმედების შეჩერებაზე. აღნიშნული განჩინება კერძო საჩივრით გასაჩივრეს მოსარჩელებმა.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 03.02.06წ. გადაწყვეტილებით სასარჩელო მოთხოვნა დაკმაყოფილდა, მიღების დღიდან ბათილად იქნა ცნობილი აჭარის ა/რ მთავრობის 29.11.05წ. #115

დადგენილება საჯარო სამართლის იურიდიული პირის «ფოლკლორის კვლევითი ცენტრის» ლიკვიდაციის ნაწილში, მიღების დღიდან ბათილად იქნა ცნობილი აჭარის ა/რ განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 01.12.05წ. #465 და #466 ბრძანებები.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 03.02.06წ. გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მოპასუხეებმა.

ქუთაისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 27.04.06წ. განჩინებით დაკმაყოფილდა სსიპ «ფოლკლორის კვლევითი ცენტრის» თანამშრომლების კერძო საჩივარი გაუქმდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 10.06.06წ. განჩინება და შეჩერდა სადავო აქტების მოქმედება საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 11.05.06წ. განჩინებით აჭარის ა/რ მთავრობის და აჭარის ა/რ განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ აჭარის ა/რ მთავრობის 29.11.05წ. #11 დადგენილება მიღებული იქნა ზაკ-ის 32-ე, 34-ე, 55-ე, 56-ე, 210-ე, 211-ე და 213-ე მუხლების მოთხოვნათა დარღვევით. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ სადავო აქტი ნორმატიულ აქტს წარმოადგენდა და მიღებული უნდა ყოფილიყო საჯარო ადმინისტრაციული წარმოების წესით, შესაბამისად - აქტის გამოცემასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოება უნდა დაწყებულიყო ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის უფლების მქონე ადმინისტრაციული ორგანოს (თანამდებობის პირის) გადაწყვეტილებით.

სააპელაციო პალატამ გაიზიარა აპელანტების მოსაზრება იმის თაობაზე, რომ «ნორმატიული აქტების შესახებ» აჭარის ა/რ კანონის თანახმად, აჭარის ა/რ განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს გააჩნდა გასაჩივრებული ნორმატიული აქტის პროექტის მომზადებისა და მთავრობის სხდომაზე გატანის უფლებამოსილება. ამასთანავე, სააპელაციო პალატის აზრით, სადავო დადგენილება მიღებულ იქნა ზაკ-ის 213-ე მუხლის მოთხოვნათა დარღვევით, კერძოდ, აქტის პროექტი და მასთან ერთად ცნობა ადმინისტრაციული წარმოების შესახებ არ გამოქვეყნებულა.

სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ აჭარის ა/რ მთავრობა წარმოადგენს კოლექტიურ საჯარო დაწესებულებას, რის გამოც ზაკ-ის 32-ე მუხლის საფუძველზე იგი ვალდებული იყო სხდომები ღიად და საჯაროდ წარემართა, ხოლო ამავე კოდექსის 34-ე მუხლის შესაბამისად ევალუბოდა ერთი კვირით ადრე საჯაროდ გამოეცხადებინა მომავალი სხდომის, მისი ჩატარების ადგილის, დროისა და დღის წესრიგის თაობაზე, ხოლო შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებისას - ასევე მისი დახურვის შესახებ. განსახილველ შემთხვევაში არ არსებობდა რაიმე გადაუდებელი აუცილებლობა, რის გამო სხდომა არ უნდა ჩატარებულიყო ზაკ-ის 34-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული წესების დაუცველად. აღნიშნულიდან გამომდინარე სააპელაციო პალატამ ზემოთ მითითებული გარემოება მიიჩნია ადმინისტრაციული აქტის გამოცემისას დაშვებულ არსებით დარღვევად.

სააპელაციო სასამართლოს აზრით, აპელანტებმა ვერ დაადასტურეს, რომ სსიპ «ფოლკლორის კვლევითი ცენტრის» ლიკვიდაცია მისი საქმიანობის მიზნის მიუღწევლობის გამო იყო აუცილებელი.

სააპელაციო სასამართლოს 27.04.06წ. განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრეს აჭარის ა/რ მთავრობამ და აჭარის ა/რ განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ. კასატორებმა აღნიშნეს, რომ «საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ» კანონის მე-9 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, საჯარო სამართლის იურიდიული პირი შეიძლება შეიქმნას მხოლოდ ისეთი საჯარო მიზნებისა და ფუნქციების შესასრულებლად, რომელთა განხორციელება უშუალოდ არ შედის სახელმწიფო მმართველობის ორგანოების კომპეტენციაში. საქართველოს მეცნიერების აკადემიასთან არსებული სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის საქმიანობის ერთ-ერთ მიმართულებას საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ფოლკლორის მეცნიერული კვლევა წარმოადგენს. ამასთანავე, ფოლკლორის კვლევა შესაძლებელია განხორციელონ მეცნიერებთა აკადემიაში შემავალმა სხვა დაწესებულებებმა ან უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების შესაბამის ფაკულტეტებთან არსებულმა სამეცნიერო ცენტრებმა. აღნიშნულის გათვალისწინებით სსიპ «ფოლკლორის კვლევის ცენტრის» არსებობა კანონსაწინააღმდეგო და მიზანშეუწონელი იყო.

კასატორები თვლიან, რომ სადავო #115 დადგენილება მიღებულ იქნა კანონმდებლობის მოთხოვნათა სრული დაცვით. ზაკ-ის 210-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას გამოიყენება საჯარო ადმინისტრაციული წარმოებისათვის დადგენილი წესები იმ შემთხვევაში, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი. «აჭარის ა/რ სტატუსის შესახებ» საქართველოს კონსტიტუციური კანონის მე-15 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, აჭარის ა/რ მთავრობის სტრუქტურა, უფლებამოსილება და საქმიანობის წესი განისაზღვრება აჭარის ა/რ რესპუბლიკის კანონით. აღნიშნულ კანონთან ერთად დადგენილების მიღების წესები დადგენილია აჭარის ა/რ მთავრობის რეგლამენტით, რომელიც განსაზღვრავს და არეგულირებს მთავრობის სამართლებრივი აქტების მომზადების, გაფორმების, მიღების და გამოცემის, მთავრობის სხდომების, მთავრობის საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებზე პროექტების მომზადების ორგანიზაციას, პროცედურას და ვადებს. «აჭარის ა/რ ნორმატიული აქტების შესახებ» აჭარის ა/რ კანონის I I I თავით განსაზღვრულია ნორმატიული აქტების მომზადების, მიღების, გამოქვეყნებისა და მოქმედების

წესები. კასატორები თვლიან, რომ სადავო დადგენილების კანონიერების შემოწმება უნდა განხორციელდეს სწორედ ზემოთმითითებული სამართლებრივი აქტების საფუძველზე.

კასატორები არ იზიარებენ სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ ზაკ-ის შესაბამისად აჭარის ა/რ მთავრობა, როგორც კოლექტიური ორგანო, ვალდებული იყო ღიად და საჯაროდ წარემართა სხდომები და მიუთითებენ, რომ «აჭარის ა/რ მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილების და საქმიანობის წესის შესახებ» აჭარის ა/რ კანონის მე-16 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, მთავრობის სხდომა, როგორც წესი, დახურულია.

კასატორთა განცხადებით, სააპელაციო პალატამ სამართლებრივი შეფასების გარეშე დატოვა ის ფაქტი, რომ ბათუმის საქალაქო სასამართლომ დადგენილების ბათილად ცნობის საფუძველად მიუთითა ზაკ-ის ის მუხლები, რომლებიც ეხება ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტის მიღების წესებს. «აჭარის ა/რ ნორმატიული აქტების შესახებ» აჭარის ა/რ კანონის მე-11 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, აჭარის ა/რ მთავრობის დადგენილება წარმოადგენს მთავრობის ნორმატიულ აქტს.

კასატორები თვლიან, რომ მათი საკასაციო საჩივარი ასკ-ის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის «ა» ქვეპუნქტის საფუძველზე დასაშვებად უნდა იქნეს მიჩნეული, ვინაიდან, მათი აზრით, საქმე მნიშვნელოვანია სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის.

საკასაციო სასამართლოს 31.10.06წ. განჩინებით საკასაციო საჩივარი ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული. მხარეებს უფლება მიეცათ წარმოედგინათ მოსაზრება საკასაციო საჩივრის დასაშვებობასთან დაკავშირებით.

სსიპ «ფოლკლორის კვლევითი ცენტრის» თანამშრომლებმა წარმოადგინეს მოსაზრება, რომელშიც აღნიშნეს, რომ საკასაციო საჩივარი ვერ აკმაყოფილებს ასკ-ის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის მოთხოვნებს და დაუშვებლად უნდა იქნეს ცნობილი.

აჭარის ა/რ განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ საკასაციო საჩივრის დასაშვებობასთან დაკავშირებით წარმოდგინა მოსაზრებაში აღნიშნა, რომ მისი საკასაციო საჩივარი აკმაყოფილებს ასკ-ის 34-ე მუხლის 1-ლი ნაწილის «ა» და «გ» ქვეპუნქტებით დადგენილ საკასაციო საჩივრის დასაშვებობის კრიტერიუმებს, რის გამოც დასაშვებად უნდა იქნეს მიჩნეული.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 22.02.07წ. განჩინებით აჭარის ა/რ მთავრობის და აჭარის ა/რ განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს საკასაციო საჩივარი მიჩნეული იქნა დასაშვებად და განხილული იქნა მხარეთა დასწრებით.

საკასაციო პალატის სხდომაზე კასატორების წარმომადგენლებმა მხარი დაუჭირეს მათ საკასაციო საჩივარს და ითხოვეს მისი დაკმაყოფილება. მოწინააღმდეგე მხარის წარმომადგენელმა საკასაციო საჩივრის მოტივები არ ცნო და ითხოვა საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა საკასაციო საჩივრის უსაფუძვლობის გამო. მხარეთა შორის მორიგება ვერ შედგა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა საქმის მასალების გაცნობის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის, საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერების შემოწმების შედეგად თვლის, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

«საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ფოლკლორის კვლევის ცენტრის ლიკვიდაციის შესახებ» აჭარის ა/რ მთავრობის 29.11.05წ. #115 დადგენილების პირველი პუნქტის თანახმად მოხდა საჯარო სამართლის იურიდიული პირის ფოლკლორის კვლევის ცენტრის ლიკვიდაცია, ხოლო მეორე მუხლით ძალადაკარგულად გამოცხადდა აჭარის ა/რ მთავრობის 02.09.04წ. #24 დადგენილება. «საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ» კანონის მე-16 მუხლის თანახმად, საჯარო სამართლის იურიდიული პირის საქმიანობის შეწყვეტის აქტი არ შეიძლება იყოს დაფუძნების აქტზე ნაკლები იურიდიული ძალის მქონე. სადავო აქტით, აჭარის ა/რ მთავრობის 29.11.05წ. #115 დადგენილებით, ძალადაკარგულად ცნობილი აჭარის ა/რ მთავრობის 02.09.04წ. #24 დადგენილება ეხება არა საჯარო სამართლის იურიდიული პირის ფოლკლორის კვლევის ცენტრის დაფუძნებას, არამედ აჭარის ა/რ სოფლის მეურნეობის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულების - გეოლოგიისა და სამთო საქმის დეპარტამენტის დაარსებას და მისი დებულების დამტკიცებას. საჯარო სამართლის იურიდიული პირი ფოლკლორის კვლევის ცენტრი დაფუძნებული იყო აჭარის ა/რ მთავრობის არა 02.09.04წ. #24, არამედ 05.07.05წ. #67 დადგენილებით, რომელიც აჭარის ა/რ მთავრობის ნორმატიული აქტით არ გაუქმებულა. «აჭარის ა/რ ნორმატიული აქტების შესახებ» აჭარის ა/რ კანონის მე-18 მუხლის «ა» ქვეპუნქტის, მე-19 მუხლის მე-5 პუნქტის, მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, ნორმატიული აქტის დასკვნითი დებულებანი უნდა შეიცავდეს იმ ნორმატიული აქტების ჩამონათვალს, რომლებიც ძალას კარგავენ მოცემული ნორმატიული აქტის ამოქმედების მომენტიდან. ამდენად, ხსენებული საკანონმდებლო აქტის თანახმად, ნორმატიული აქტის ამოქმედებითი საქმიანობის სავალდებულო წესს წარმოადგენს ნორმატიულ აქტში იმ ნორმატიულ აქტზე მითითება, რომელიც ძალას კარგავს ახალი ნორმატიული აქტის ამოქმედების მომენტიდან. მიუხედავად აღნიშნულისა, სადავო ნორმატიული აქტი არ შეიცავს მითითებას სსიპ ფოლკლორის კვლევის ცენტრის სადამფუძნებლო აქტის, აჭარის ა/რ მთავრობის 05.07.05წ. #67 დადგენილების გაუქმებაზე, რომლითაც დაფუძნდა ცენტრი და დამტკიცდა ცენტრის

დებულება. სადავო აქტით ძალადაკარგულად ცნობილი 02.09.04წ. #24 დადგენილებას არ აქვს რაიმე კავშირი სსიპ ფოლკლორის კვლევის ცენტრის დაფუძნებასთან, მიუხედავად ამისა საქმეზე დადგენილად არის ცნობილი, რომ მოპასუხეს აჭარის ა/რ მთავრობას არ შეუტანია ცვლილება სადავო აქტში.

«საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ» კანონის მე-15 მუხლის «ა» ქვეპუნქტის თანახმად საჯარო სამართლის იურიდიული პირი წევრებს არსებობას დასახული მიზნის მიღწევის ან მიზნის მიღწევის შეუძლებლობის შემთხვევაში. სსიპ ფოლკლორის კვლევის ცენტრის დებულების მე-2 პუნქტის თანახმად ცენტრის მიზანს წრმოადგენს ეროვნული ფოლკლორის ყველა დარგის და ჟანრის ნიმუშების მოძიება და დამუშავება, ფოლკლორული ექსპედიციების მოწყობა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, ფოლკლორული არქივის შექმნა, ფოლკლორული ფესტივალების ორგანიზება, ძველი ხალხური რეწვის ნიმუშების შეგროვება და რესტავრაცია, საჯარო ლექციების მოწყობა საქართველოს ცნობილ სპეციალისტთა მონაწილეობით, ფოლკლორის მუზეუმის შექმნა და ა.შ. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საჯარო სამართლის იურიდიული პირის შექმნის, ასევე მისი ლიკვიდაციის მიზანშეწონილობის, საჯარო სამართლის იურიდიული პირის მიერ დასახული მიზნის მიღწევის ან მიზნის მიღწევის შეუძლებლობის, მთავრობის მიერ შექმნილი სტრუქტურული ერთეულის ეფექტურობის საკითხის გადაწყვეტა განეკუთვნება აჭარის ა/რ მთავრობის დისკრეციული უფლებამოსილების სფეროს. კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილების გადასინჯვის განსხვავებული წესი, მისი მხოლოდ კანონიერების თვალსაზრისით შემოწმება, კოლეგიური ორგანოს განსაკუთრებული სტატუსის და მისი დისკრეციული უფლებამოსილების შეზღუდვის მიზანშეწონილობის გამო კოლეგიური ორგანოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს სასამართლო ამოწმებს მხოლოდ კანონიერების თვალსაზრისით. ამდენად, აჭარის ა/რ მთავრობა უფლებამოსილი იყო საჯარო და კერძო ინტერესების შეფასების საფუძველზე კანონმდებლობის შესაბამისი რამოდენიმე გადაწყვეტილებიდან შეერჩია ყველაზე მისაღები გადაწყვეტილება, მათ შორის გადაწყვეტილება სსიპ ფოლკლორის კვლევის ცენტრის ლიკვიდაციის შესახებ. ამასთანავე, ზემოაღნიშნული არ გამორიცხავს ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულებას დაიცვას ნორმატიული აქტის გამოცემისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესები. აღმასრულებელი ორგანოსათვის სამართლებრივი ნორმების დამოუკიდებელი გამოცემის, ადმინისტრაციული ნორმა-შემოქმედების უფლებამოსილების მინიჭება არის ნებისმიერი ადმინისტრაციული ორგანოს კომპეტენციის უმნიშვნელოვანესი ნაწილი, რაც განაპირობებს ასეთი უფლებამოსილების რეალიზაციის პროცედურის ზედმიწევნით დაცვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას.

«საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ» კანონის მე-2 მუხლის, მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის «დ» ქვეპუნქტის თანახმად ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი აღმასრულებელი ორგანოს მიერ საჯარო სამართლის იურიდიული პირი იქმნება ნორმატიული აქტით. «აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ნორმატიული აქტების შესახებ» კანონის მე-11 მუხლის, «აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ» კანონის მე-9 მუხლის თანახმად დადგენილება არის მთავრობის ნორმატიული აქტი. საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ აჭარის ა/რ მთავრობის სადავო დადგენილება არ ახდენს ნორმატიული აქტებისათვის დამახასიათებელ საყოველთაო აბსტრაქტულ მოწესრიგებას, თავისი შინაარსიდან გამომდინარე, სადავო ნორმატიული აქტი უშუალოდ, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის გარეშე, ეხება ფოლკლორის ცენტრის თანამშრომელთა ინტერესებს, რაც დამატებით ადასტურებს ადმინისტრაციული ორგანოს ვადებულებას აქტის მიღებისას დაეცვა ადმინისტრაციული კანონმდებლობით დადგენილი პროცედურა, მიეცა მოსარჩელებისათვის თავიანთი მოსაზრებების წარმოდგენის შესაძლებლობა.

სასკ-ის 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ძალადაკარგულად ცხადდება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისათვის დადგენილი წესით. სზაკ-ის 210-ე მუხლის მიხედვით ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას (მიღებისას) გამოიყენება საჯარო ადმინისტრაციული წარმოებისათვის დადგენილი წესები. საკასაციო პალატა იზიარებს ქვედა ინსტანციის სასამართლოების მოსაზრებას იმის შესახებ, რომ სადავო ნორმატიული აქტი მიღებულია ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემასთან დაკავშირებით სზაკ-ით დადგენილი ადმინისტრაციული წარმოების წესების გაუთვალისწინებლად, სადავო აქტი მიღებულია სზაკ-ის 211-ე, 213-ე მუხლების მოთხოვნათა დარღვევით, კერძოდ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემასთან დაკავშირებით არ გამოცემულა ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, ცნობა ადმინისტრაციული წარმოების შესახებ და ნორმატიული აქტის პროექტი კანონმდებლობით დადგენილი წესით არ გამოქვეყნებულა, სზაკ-ის 216-ე მუხლის დარღვევით მოსარჩელებს არ მიეცათ შესაძლებლობა წარედგინათ საკუთარი მოსაზრებები ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტთან, შესაბამისად, პროექტთან დაკავშირებული მოსაზრება ადმინისტრაციული ორგანოს მიერ არ განხილულა. ამდენად საკასაციო პალატა თვლის, რომ სადავო ნორმატიული აქტი მიღებულია შესაბამისი ადმინისტრაციული წარმოების სახეობის უფლებებელყოფით. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დარღვევა, აგრეთვე კანონით გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოების სახის დარღვევა, სზაკ-ის 60⁺ მუხლის თანახმად, იწვევს აქტის ბათილობას.

სახეზეა აგრეთვე სზაკ-ის 60² მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის ისეთი საფუძველი, როგორცაა სხდომის ჩატარება სზაკ-ის 32-ე და 34-ე მუხლებით გათვალისწინებული წესის დარღვევით. საჯარო ადმინისტრაციული წარმოებისას, ფორმალური ადმინისტრაციული წარმოების მსგავსად, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია გამართოს ზეპირი მოსმენა. ამ თვალსაზრისით საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებაში შემოტანილია ფორმალური ადმინისტრაციული წარმოების ელემენტები. ზეპირი მოსმენის გამართვა იძლევა საზოგადოების აზრის გათვალისწინების საუკეთესო შესაძლებლობას. ზაკ-ის 210-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას (მიღებისას) გამოიყენება საჯარო ადმინისტრაციული წარმოებისათვის დადგენილი წესები. ამავე კოდექსის 120-ე მუხლის 1 ნაწილის მიხედვით, საჯარო ადმინისტრაციული წარმოებისას უნდა გაიმართოს ზეპირი მოსმენა, რომლის დროსაც გამოიყენება კოდექსის 110-ე-112-ე მუხლების დებულებები. აღნიშნული დებულებით საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებაში შემოტანილია ფორმალური ადმინისტრაციული წარმოების ელემენტები. კოდექსის 110-ე მუხლის 1 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულმა ორგანომ გადაწყვეტილება შეიძლება მიიღოს მხოლოდ ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე, მე-2 ნაწილის თანახმად, დაინტერესებულ მხარეებს უნდა ეცნობოთ ზეპირი მოსმენის შესახებ მის გამართვამდე 7 დღით ადრე მაინც და მოწვეული იქნენ ზეპირ მოსმენაში მონაწილეობის მისაღებად, ხოლო 111-ე მუხლის 1 ნაწილით დადგენილია, რომ სხდომა ზეპირ მოსმენასთან დაკავშირებით საჯაროა. სხდომის თავმჯდომარე უფლებამოსილია სხდომა დახურულად გამოაცხადოს სახელმწიფო, კომერციული, პროფესიული ან მხარის პირადი საიდუმლოების დაცვის უზრუნველყოფის მიზნით, რასაც მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია. ამდენად, გადაწყვეტილების მიღების წინ ნორმატიული აქტის პროექტის ზეპირი მოსმენა უნდა გამართულიყო. აღნიშნულიდან გამომდინარე საკასაციო პალატა იზიარებს ქვედა ინსტანციების სასამართლოების მოსაზრებას იმის შესახებ, რომ აჭარის ა/რ მთავრობა ვალდებული იყო სადავო საკითხთან დაკავშირებით სხდომები წარემართა ღიად და საჯაროდ. აღნიშნულს არ ცვლის საკასაციო საჩივარში მოყვანილი მოსაზრება იმის შესახებ, რომ «აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ» აჭარის ა/რ კანონის მე-16 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, «მთავრობის სხდომა როგორც წესი დახურულია». ამავე ნორმის თანახმად, «კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში, აგრეთვე მთავრობის გადაწყვეტილებით სხდომა შეიძლება გამოცხადდეს საჯაროდ». საკასაციო პალატა თვლის, რომ ადმინისტრაციული წარმოების სახეობა, კერძოდ საჯარო წარმოების წესები, რომლის მიხედვითაც უნდა მომხდარიყო გადაწყვეტილების მიღება, განაპირობებდა ზეპირი მოსმენის ჩატარების საჭიროებას. სზაკ-ის 32-ე და 34-ე მუხლების დარღვევა ყოველთვის მიიჩნევა არსებით დარღვევად, გადაწყვეტილების ამ წესების დარღვევით მიღება მისი ბათილად ცნობის საფუძველია.

კანონმდებლობის მოთხოვნებს არ ემყარება კასატორთა მოსაზრება იმის შესახებ, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ნორმები არ ვრცელდება აჭარის ა/რ მთავრობის საქმიანობის მიმართ. ის გარემოება, რომ კანონმდებლობა ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემასთან დაკავშირებით შედგება არა მხოლოდ სზაკ-ის, არამედ საქართველოს კონსტიტუციის, «ნორმატიული აქტების შესახებ» კანონის, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის, სხვა საკანონმდებლო, აგრეთვე მათ საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტებისაგან (სზაკ-ის 210.1 მუხ.), არ ნიშნავს სადავო ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის შესაძლებლობას სზაკ-ის ნორმების მოთხოვნათა დაუცველად. «აჭარის ა/რ ნორმატიული აქტების შესახებ» კანონი განსაზღვრავს აჭარის ა/რ ნორმატიული აქტების სახეებს, მათ იერარქიას, ნორმატიული აქტების მომზადების, მიღების, გამოქვეყნების, მოქმედების, აღრიცხვის და სისტემატიზაციის ზოგად წესებს. ნორმატიული აქტის მიღების კონკრეტულ პროცედურებს კანონი არ აწესრიგებს. «აჭარის ა/რ ნორმატიული აქტების შესახებ» კანონის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად მთავრობის დადგენილების პროექტის მომზადების, გამოცემის, გამოქვეყნებისა და მოქმედების წესი აჭარის ა/რ ნორმატიულ აქტებთან ერთად უპირველეს ყოვლისა განისაზღვრება საქართველოს შესაბამისი ნორმატიული აქტებით. აღნიშნული კანონით აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ნორმაშემოქმედებითი პროცესის ცალკეული საკითხების მოწესრიგება არ გამოიცხადებს აჭარის ა/რ ადმინისტრაციული ორგანოების, მათ შორის, აჭარის ა/რ მთავრობის მიერ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ნორმების, კერძოდ კოდექსის მე-15 თავის (ადმინისტრაციული წარმოება ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემასთან დაკავშირებით) დებულებების დაცვის საჭიროებას. «აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ» კანონის მე-16 მუხლის მე-6 პუნქტის მითითება იმის შესახებ, რომ მთავრობის მუშაობის, მთავრობის სხდომის მომზადების, წარმართვისა და სხდომაზე საკითხის განხილვის წესი განისაზღვრება მთავრობის მიერ დამტკიცებული მთავრობის რეგლამენტით, ვერ გამოიცხადებს აჭარის ა/რ მთავრობის საქმიანობის მიმართ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ნორმების მოქმედებას, ხსენებული კანონის მე-2 მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად მთავრობა თავის უფლებამოსილებას ახორციელებს საქართველოს კონსტიტუციის, «აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ» საქართველოს კონსტიტუციური კანონის, კანონების და სხვა შესაბამისი სამართლებრივი აქტების საფუძველზე. ანალოგიურ დებულებას შეიცავს «საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ» კანონის 28-ე მუხლის მე-2 პუნქტი. კოლეგიურ ორგანოში, რომელსაც წარმოადგენს მთავრობა,

გადაწყვეტილების მიღების სპეციფიკა განაპირობებს მთავრობის რეგლამენტით აქტის მიღების დამატებითი წესების შემოღებას, რაც ასევე არ გამოორიციხავს სზაკ-ის ნორმების მოთხოვნების დაცვის საჭიროებას.

ამდენად სახეზეა სადავო აქტის მომზადების და მიღების რამდენიმე არსებითი დარღვევა, სახელდობრ: ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი მიღებულია შესაბამისი ადმინისტრაციული წარმოების წესების უფლებელყოფით, სადავო აქტი მიღებულია სხდომის საჯაროობის მოთხოვნის დარღვევით. სადავო ნორმატიული აქტი მიღებულია აგრეთვე ნორმაშემოქმედებითი წესების დარღვევით, კერძოდ სადავო აქტით გაუქმდა დადგენილება, რომელსაც არ აქვს რაიმე კავშირი სსიპ ფოლკლორის კვლევის ცენტრთან. ზემოაღნიშნული გარმოებები, საკასაციო პალატის აზრით, ქმნიან სადავო ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის და მის საფუძველზე მიღებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილობის საფუძველს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სააპელაციო პალატის 11.05.06წ. გადაწყვეტილებას საფუძველად არ უდევს კანონის დარღვევა, საკასაციო საჩივარში მითითებულ კანონის დარღვევას არ აქვს ადგილი, რაც სსკ-ის 410-ე მუხლის თანახმად საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველია.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე, 399-ე, 410-ე მუხლებით და

დაადგინა:

1. აჭარის ა/რ მთავრობის და აჭარის ა/რ განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს. უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 11.05.06წ. განჩინება;
2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

თანამდებობაზე აღდგენა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურება

განჩინება

ბს-311-294(კ-07)

8 ოქტომბერი, 2007 წ., თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ლ. ლაზარაშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

მ. ვაჩაძე,

ნ. სხირტლაძე

დავის საგანი: სამუშაოდან გათავისუფლების ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა

აღწერილობითი ნაწილი:

2006 წლის 26 ივნისს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას სასარჩელო განცხადებით მიმართა მ. ბ-ულმა მოპასუხე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2006 წლის 2 ივნისის #1338 ბრძანების ბათილად ცნობა მისი სამსახურიდან გათავისუფლების ნაწილში, თანამდებობაზე აღდგენა, მოცდენილი დროის ნამსახურობის სტაჟში ჩათვლა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურება.

სასარჩელო განცხადებაში აღნიშნული იყო, რომ მ. ბ-ული 29 წლის განმავლობაში მსახურობდა ოფიცრად სამხედრო სამსახურში სხვადასხვა თანამდებობებზე. 2006 წლის 17 თებერვლიდან მუშაობდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ეროვნული გვარდიის I თანრიგის ისანი-სამგორის რაიონის სამობილიზაციო შტაბის უფროსად. ამ თანამდებობაზე დანიშვნის შემდეგ მისთვის ოფიციალური წესით არ გადმოუბარებიათ არც შენობა, არც მატერიალური ფასეულობები და დოკუმენტაცია. ამის შესახებ მან წერილობით აცნობა ეროვნული გვარდიის დეპარტამენტის უფროსს და სთხოვა, კომისიური წესით ჩაებარებინათ მისთვის სამსახურში არსებული ფასეულობები. რაიონის სამობილიზაციო შტაბის შენობაში მხოლოდ რამდენიმე ოთახი იყო სამუშაოდ ვარგისი, შენობის დანარჩენი ნაწილი კი გამოუყენებადი იყო, მათი დაკეტვაც ვერ ხერხდებოდა. სამობილიზაციო შტაბში არსებული 5 სამშატო ერთეულიდან ფაქტობრივად, 2 ადამიანი იყო დანიშნული, რომლებიც კონკრეტულ რაიონს შეუფერხებლად ემსახურებოდნენ. ხალხის სიმრავლის გამო ვერ ხერხდებოდა გამოუყენებელი ოთახების, შენობის გაკონტროლება სამუშაო საათებში. შენობა დაუცველი იყო.

მოსარჩელე საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2006 წლის 2 ივნისის #1338 ბრძანებას მისი სამსახურიდან გათავისუფლების ნაწილში არაკანონიერად მიიჩნევა და მიუთითებდა, რომ იგი სამსახურიდან დაითხოვეს ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე, დისციპლინური სახდელის დაუდებლად. ამასთან, სამხედრო მოსამსახურე სამსახურიდან შეიძლება დათხოვნილ იქნეს მხოლოდ ხელქვეითობის წესით, რასაც მოსარჩელის შემთხვევაში არ მომხდარა.

მოსარჩელის განმარტებით, «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის 98-ე მუხლის შესაბამისად, სამსახურიდან გათავისუფლება შეუსაბამობისათვის შეიძლება მოხდეს არადამაკმაყოფილებელი პროფესიული ჩვევების გამო. მოხელე თავისუფლდება დაკავებული თანამდებობიდან, თუ მას არ სურს გადავიდეს სხვა შესაბამის თანამდებობაზე. ამ კანონის მოქმედება სამხედრო მოსამსახურეზე ვრცელდება, რადგან სპეციალური კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2006 წლის 2 ივნისის #1338 ტექსტიდანაც ირკვევა, რომ მოსარჩელეს არანაირი კავშირი არა აქვს ამ ბრძანებაში აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით, მას არ მიუძღვის ბრალი შენობის დაუცველობის გამო შენობაში საზოგადოების სიმრავლესა და მათ ქმედებებზე, იგი თავის მოვალეობებს სათანადოდ ასრულებდა და სრულიად უსაფუძვლოდ გაათავისუფლეს სამსახურიდან.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 9 ნოემბრის გადაწყვეტილებით სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2006 წლის 2 ივნისის #1338 ბრძანება მ. ბ-ულის შეიარაღებული ძალების რიგებიდან, დაკავებული თანამდებობიდან დათხოვნის ნაწილში და მოპასუხეს – საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დაევალა მოსარჩელის მონაწილეობით საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ ამ უკანასკნელთან მიმართებაში ახალი ადმინისტრაციული აქტის გამოცემა გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში.

სასამართლოს განმარტებით, «სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ» კანონის 21-ე მუხლის თანახმად, სამხედრო მოსამსახურის დათხოვნა სამხედრო სამსახურიდან ხდება ამ კანონის და საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტების საფუძველზე. მოცემული ნორმის მე-2 ნაწილის «დ» პუნქტის თანახმად, მართალია, გათვალისწინებულია სამხედრო მოსამსახურის სამსახურიდან დაითხოვნა სამსახურებრივი შეუსაბამობის შემთხვევაში, მაგრამ საქართველოს შეიარაღებული ძალების სადისციპლინო წესდების 74-ე მუხლის თანახმად, ყოველგვარი დისციპლინური სასჯელი, როგორც სამხედრო დისციპლინის განმტკიცებისა და სამხედრო მოსამსახურეების აღზრდის ღონისძიება, უნდა შესაბამებოდეს ჩადენილი გადაცდომის სიმძიმესა და დანაშაულის ხარისხს. სასჯელის სახისა და ზომის განსაზღვრისას ყურადღება უნდა გამახვილდეს გადაცდომის ხასიათზე, ვითარებაზე, რომელშიც იგი იყო ჩადენილი, დამნაშავეს ადრინდელ ყოფაქცევაზე, მისი სამსახურში ყოფნის დროსა და სამსახურის შესრულების წესის ხარისხზე. «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 98-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოხელე შეიძლება გაათავისუფლონ დაკავებულ თანამდებობასთან შეუსაბამობის გამო, კონკრეტულ მუხლში დაფიქსირებულ შემთხვევებში. აღნიშნულთან მიმართებაში სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხის წარმომადგენლის თვალსაზრისი მოცემული კანონის განსახილველი ნორმის გამოყენების დაუშვებლობის შესახებ, რადგან «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის «თ» ქვეპუნქტის შესაბამისად, ამ კანონის მოქმედება სამხედრო მოსამსახურეებზე ვრცელდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს კონსტიტუციით, სპეციალური კანონმდებლობით ან მათ საფუძველზე სხვა რამ არ არის დადგენილი. მოცემულ შემთხვევაში კი სწორედ ასეთ ვითარებასთან გვაქვს საქმე. სპეციალური კანონმდებლობით არ არის დადგენილი განსაზღვრულობა იმისა, თუ რა წარმოადგენს სამსახურებრივ შეუსაბამობას და ასეთი დეფინიცია მოცემულია მხოლოდ «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის 98-ე მუხლში. მოპასუხე მხარემ ვერ დაადასტურა, თუ რაში გამოიხატა მ. ბ-ულის სამსახურებრივი შეუფერებლობა. ასეთის დასაბუთება კი მით უფრო იყო სავალდებულო და აუცილებელი მაშინ, როდესაც საქმეზე წარდგენილი მტკიცებულებებით დგინდებოდა, რომ მ. ბ-ულს სამსახურობის ნუსხაში შენიშვნაც კი არ ჰქონდა მიღებული მთელი სამხედრო სამსახურის პერიოდში.

საქალაქო სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღებით მოსარჩელისათვის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

აპელანტის განმარტებით, სამხედრო სამსახური არის სპეციალური სამსახური, რომელიც რეგულირდება სპეციალური კანონმდებლობით, კონკრეტულ შემთხვევაში «სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ» კანონით და საქართველოს პრეზიდენტის 2006 წლის 10 თებერვლის #11 ბრძანებულებით დამტკიცებული «საქართველოს სამხედრო ძალების საჯარისო სადისციპლინო წესდებით».

«საქართველოს სამხედრო ძალების საჯარისო სადისციპლინო წესდების» პირველი მუხლი განსაზღვრავს საქართველოს სამხედრო ძალების საჯარისო სადისციპლინო წესდების ამოცანებს და მიზნებს. ამავე წესდების 45-ე მუხლის თანახმად, სამხედრო მოსამსახურის მიმართ დისციპლინურ სასჯელად შეიძლება გამოყენებულ იქნეს სამსახურიდან დათხოვნა. კონკრეტულ შემთხვევაში, როგორც საქმეში წარდგენილი მასალებიდან ირკვეოდა, მ. ბ-ულის მიმართ არსებობდა სამხედრო პოლიციის მიერ თავდაცვის მინისტრის სახელზე წარდგენილი მოხსენება, რომელში მოყვანილი ფაქტებიც

გამოვლენილ იქნა მ. ბ-ულის იმ დროს დაქვემდებარებულ სამსახურში, რასაც მოჰყვა მისი შეიარაღებული ძალებიდან შეუფერებლობის გამო დათხოვნა.

აპელანტის აზრით, საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2006 წლის 2 ივნისის #1338 ბრძანება მ. ბ-ულის დათხოვნის შესახებ კანონიერი იყო, რადგან იგი გამოიცა «საქართველოს სამხედრო ძალების საჯარისო სადისციპლინო წესდების» 45-ე მუხლის, «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 98-ე მუხლის პირველი პუნქტის «ვ» ქვეპუნქტის, ამავე კანონის 99-ე მუხლისა და «სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ» საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის «დ» ქვეპუნქტის შესაბამისად.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 12 მარტის განჩინებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 9 ნოემბრის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლოს განჩინების მოტივები მდგომარეობს შემდეგში:

სააპელაციო სასამართლომ საქმეზე დადგენილად მიიჩნია, რომ მ. ბ-ული ეროვნული გვარდიის სარდლის 2006 წლის 31 იანვრის #18 ბრძანებით დაინიშნა ქ. თბილისის ისანი-სამგორის რაიონის სამობილიზაციო შტაბის უფროსის მოვალეობის დროებით შემსრულებლად, ხოლო 2006 წლის 17 თებერვალს - ამავე შტაბის უფროსის თანამდებობაზე. საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2006 წლის 2 ივნისის #1338 ბრძანებით იგი დათხოვნილ იქნა შეიარაღებული ძალების რიგებიდან და ჩაირიცხა რეზერვში «სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ» კანონის მე-2 თავის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის «დ» ქვეპუნქტის თანახმად, რასაც საფუძვლად დაედო სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის უფროსის მოხსენებითი ბარათი.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, მ. ბ-ულთან მიმართებაში სამსახურიდან დათხოვნის ბრძანება გამოცემული იყო საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებათა შეფასებისა და გამოკვლევის გარეშე. მოპასუხემ ვერ წარადგინა მტკიცებულებები, რომლებიც დაადასტურებდა გათავისუფლების პროცედურის კანონის შესაბამისად განხორციელებას. მ. ბ-ულის გათავისუფლება არ მომხდარა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 97-ე მუხლის პირველი პუნქტის დაცვით, რომლის მოთხოვნიდან გამომდინარე, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილი იყო, შეეგროვებინა ცნობები, მოესმინა დაინტერესებული მხარეებისათვის. ასევე არ მომხდარა მ. ბ-ულის მონაწილეობის უზრუნველყოფა ადმინისტრაციულ წარმოებაში ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 95-ე მუხლის შესაბამისად. მოსარჩელისათვის დისციპლინური სახდელის დადებისას ადმინისტრაციულ ორგანოს უნდა მიეღო ახსნა-განმარტება თავად მოსარჩელისაგან, გამოეკვლია საქმის არსებითი გარემოებები და ისე მიეღო გადაწყვეტილება.

ამდენად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ თავდაცვის მინისტრის 2006 წლის 2 ივნისის #1338 ბრძანება გამოცემული იყო არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების გარეშე, რის გამოც სასამართლო უფლებამოსილი იყო, გამოეყენებინა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილი.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღებით მოსარჩელისათვის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შემდეგი საფუძვლებით:

სამხედრო სამსახური არის სპეციალური სამსახური, რომელიც რეგულირდება სპეციალური კანონმდებლობით, კონკრეტულ შემთხვევაში «სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ» კანონით და საქართველოს პრეზიდენტის 2006 წლის 10 თებერვლის #11 ბრძანებულებით დამტკიცებული «საქართველოს სამხედრო ძალების საჯარისო სადისციპლინო წესდებით».

«საქართველოს სამხედრო ძალების საჯარისო სადისციპლინო წესდების» პირველი მუხლი განსაზღვრავს საქართველოს სამხედრო ძალების საჯარისო სადისციპლინო წესდების ამოცანებს და მიზნებს. ამავე წესდების 45-ე მუხლის თანახმად, სამხედრო მოსამსახურეს შეიძლება დაედოს დისციპლინურ ზომად სამსახურიდან დათხოვნა. კონკრეტულ შემთხვევაში, როგორც საქმეში წარდგენილი მასალებით ირკვევა, მ. ბ-ულის მიმართ არსებობს სამხედრო პოლიციის მიერ თავდაცვის მინისტრის სახელზე წარდგენილი მოხსენება, რომელში მოყვანილი ფაქტებიც გამოვლენილ იქნა მ. ბ-ულის იმ დროს დაქვემდებარებულ სამსახურში, რასაც მოყვა მისი შეიარაღებული ძალებიდან შეუფერებლობის გამო დათხოვნა.

საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2006 წლის 2 ივნისის #1338 ბრძანება მ. ბ-ულის დათხოვნის შესახებ კანონიერია, რადგან იგი გამოიცა «საქართველოს სამხედრო ძალების საჯარისო სადისციპლინო წესდების» 45-ე მუხლის, «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 98-ე მუხლის პირველი პუნქტის «ვ» ქვეპუნქტის, ამავე კანონის 99-ე მუხლისა და «სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ» საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის «დ» ქვეპუნქტის შესაბამისად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების გამოკვლევის შედეგად მიიჩნევს, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის

2007 წლის 12 მარტის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის გადაწყვეტისას ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის გამოყენების მართებულობა არ არის სათანადოდ დასაბუთებული.

სააპელაციო სასამართლო გასაჩივრებული განჩინებით სრულად იზიარებს რაიონული სასამართლოს დასკვნას მ. ბ-ულის შეიარაღებული ძალების რიგებიდან დათხოვნის შესახებ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2006 წლის 2 ივნისის #1338 ბრძანების საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების გარეშე მოცემის თაობაზე. ასეთი არსებითი მნიშვნელობის გარემოებებზე, რაც საჭიროებს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ გამოკვლევის გზით ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებულ განჩინებაში მითითებულია შემდეგი: მოპასუხემ ვერ წარადგინა მტკიცებულებები, რომლებიც დაადასტურებდნენ გათავისუფლების პროცედურის კანონის შესაბამისად განხორციელებას; მ. ბ-ულის გათავისუფლება არ მომხდარა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 97-ე მუხლის პირველი ნაწილის დაცვით, რომლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილი იყო, შეეგროვებინა ცნობები, მოესმინა დაინტერესებული მხარისათვის; ასევე არ მომხდარა მ. ბ-ულის მონაწილეობის უზრუნველყოფა ადმინისტრაციულ წარმოებაში ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 95-ე მუხლის შესაბამისად; მოსარჩელისათვის დისციპლინური სახდელის დადებისას ადმინისტრაციულ ორგანოს უნდა მიეღო ახსნა-განმარტება თავად მოსარჩელისაგან, გამოეკვლია საქმის არსებითი გარემოებები და ისე მიეღო გადაწყვეტილება. ამდენად, სააპელაციო სასამართლოს მიერ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის გამოყენების აუცილებლობა დასაბუთებულია მხოლოდ გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის პროცედურული დარღვევების არსებობით. ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 60¹ მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადებისა და გამოცემის პროცედურული დარღვევები აღნიშნული აქტის ბათილობის საფუძველად მიიჩნევა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი აღნიშნული დარღვევების არარსებობისას მოცემულ საკითხზე მიღებული იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილება.

საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2006 წლის 2 ივნისის #1338 სადავო ბრძანებით მოსარჩელე გათავისუფლებულია ისანი-სამგორის რაიონის სამობილიზაციო შტაბის უფროსის თანახმდებობიდან და დათხოვნილია საქართველოს შეიარაღებული ძალების რიგებიდან სამსახურებრივი შეუსაბამობის მოტივით. აღნიშნულ ბრძანებაში მოსარჩელის მიერ სამსახურებრივ მოვალეობათა დარღვევის დამადასტურებლად, რამაც მისი გათავისუფლება განაპირობა, მითითებულია ორი კონკრეტული ფაქტი: 1. 2006 წლის 17 მაისს, ისანი-სამგორის რაიონის სამობილიზაციო შტაბის შენობის #6 სამუშაო ოთახში შტაბის ყოფილმა თანამშრომელმა მ. ბ-შვილმა მოქალაქე დავით ნაზარაშვილს თაღლითური გზით გამოსძალა 150 ლარი, რაც გამოწვეული იყო მ. ბ-ულის მიერ სამსახურისადმი ზერელე დამოკიდებულებით და არაპროფესიონალური მიდგომით; 2. ისანი-სამგორის რაიონის სამობილიზაციო შტაბის უფროსად მუშაობისას მ. ბ-ული შტაბის პასუხისმგებელ შემსრულებელ თ. ბ-შვილთან (მ. ბ-შვილის ძმა) ერთად არაოფიციალურად სხვადასხვა სამუშაოებს ასრულებინებდა და ხელფასის სახით გარკვეულ თანხას უხდიდა სამოქალაქო პირებს - კარინა ოკონიანს და ინგა ნოზაძეს, რომლებიც არ იყვნენ დანიშნული რაიმე თანამდებობაზე. სააპელაციო სასამართლოს არ გამოურკვევია დასახელებული ფაქტები და არ მიუცია მათთვის შეფასება, არ უმსჯელია, სამხედრო სამსახურის, როგორც განსაკუთრებული სახელმწიფო სამსახურის თავისებურებების გათვალისწინებით, რამდენად იკვეთებოდა აღნიშნული ფაქტებიდან შტაბის უფროსის ბრალი და შტაბის უფროსის პასუხისმგებლობის საფუძველი. ამასთან, აღნიშნული გარემოებები არ განეკუთვნებოდა ისეთ გარემოებებს, რომლებიც სააპელაციო სასამართლოს ართმევდა საქმის არსებითად განხილვის შესაძლებლობას.

სააპელაციო სასამართლომ ხელახლა არსებითად უნდა განიხილოს აღნიშნული საქმე და გამოარკვიოს, საქმის მასალებით დასტურდება თუ არა საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2006 წლის 2 ივნისის სადავო #1338 ბრძანებაში დასახელებული ფაქტები, ეკისრებოდა თუ არა მ. ბ-ულს, როგორც სამობილიზაციო შტაბის უფროსს, შტაბის ბალანსზე არსებულ შენობაში გარეშე პირების მოძრაობის კონტროლი, მითითებული ფაქტებიდან იკვეთება თუ არა მისი ბრალი და მისი სამსახურიდან გათავისუფლების საფუძველი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის «ე1» ქვეპუნქტის, 412-ე მუხლის შესაბამისად, საკასაციო სასამართლო საქმეს ხელახლა განსახილველად უბრუნებს სააპელაციო სასამართლოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 412-ე მუხლით და

დაადგინა:

1. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 12 მარტის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვა

გადაწყვეტილება საქართველოს სახელით

#ბს-382-362(კ-07)

29 ნოემბერი, 2007 წ., თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ლ. ლაზარაშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

მ. ვაჩაძე,

ნ. სხირტლაძე

დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვა

აღწერილობითი ნაწილი:

2005 წლის 17 ნოემბერს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას სასარჩელო განცხადებით მიმართა ლ. ტურაშვილმა მოპასუხე განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 17 ოქტომბრის #566 ბრძანების ბათილად ცნობა, რომლითაც მას უარი ეთქვა სამხატვრო აკადემიაში ჩარიცხვის მოთხოვნით განცხადების დაკმაყოფილებაზე. მანვე მოითხოვა სამხატვრო აკადემიის რექტორისათვის მეორადი კონკურსის ჩატარების დავალება მისი მონაწილეობით.

მოსარჩელის მოთხოვნის საფუძველები მდგომარეობდა შემდეგში:

ლ. ტ-შვილმა მისაღები გამოცდები ჩააბარა შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის გორის ფილიალში და საერთო ჯამში მოაგროვა 131 ქულა, რის შედეგადაც კონკურსი გაიარა ა. ქუთათელაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში არქიტექტურის სპეციალობაზე, მაგრამ აღნიშნული სპეციალობით კონკურსში ვერ გავიდა. მოსარჩელეს ასევე შეტანილი ჰქონდა განაცხადი კომპიუტერული მულტიმედიის სპეციალობაზე. ამის შემდგომ 2005 წლის 22 სექტემბრის #01-607 წერილით აკადემიამ მიმართა შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრს ლ. ტ-შვილის მეორად კონკურსში ვაკანტურ ადგილებზე - არქიტექტურულ მეგლთა რესტავრაციისა და კომპიუტერული მულტიმედიის სპეციალობებზე დაშვების თაობაზე, თუმცა შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მითითებით ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩარიცხულ აბიტურიენტთა სია განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის #444 ბრძანებით უკვე დამტკიცებული იყო, აკადემიამ მას დროულად არ მიაწოდა შიდა ტურების ინფორმაცია და ამდენად, ჩარიცხვა მეორე ტურზე საერთოდ არ მოხდა. განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 17 ოქტომბრის #566 ბრძანებით ლ. ტ-შვილს უარი ეთქვა უმაღლეს სასწავლებელში ჩარიცხვაზე.

მოსარჩელემ განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ზემოაღნიშნული ბრძანება უკანონოდ მიიჩნია, რამდენადაც აკადემიის რექტორის წერილით ირკვეოდა, რომ მოსარჩელეს უფლება ჰქონდა მონაწილეობა მიეღო მეორად კონკურსში, რაც არ ჩატარებიათ. მისთვის გაუგებარია, რა მოტივით არ ჩატარდა მეორადი კონკურსი, რამდენადაც მოქმედი კანონმდებლობა პირდაპირ მიუთითებდა ანალოგიურ შემთხვევაში კონკურსის ჩატარებაზე, რაც განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს არ განუხორციელებია.

საქალაქო სასამართლოს მთავარ სხდომაზე ლ. ტ-შვილმა სარჩელი დააზუსტა და განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 17 ოქტომბრის #566 ბრძანების ბათილად ცნობასთან ერთად მოითხოვა სამხატვრო აკადემიისათვის კომპიუტერული მულტიმედიის სპეციალობაზე მისი ჩარიცხვის დავალება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 14 მარტის საოქმო განჩინებით მოცემულ საქმეში მესამე პირებად ჩაებნენ ა. ქუთათელაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია და შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 23 მაისის საოქმო განჩინებით ა. ქუთათელაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია მოცემული საქმიდან ამოირიცხა როგორც მესამე პირი და საქმეში ჩაება, როგორც მოპასუხე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 29 მაისის გადაწყვეტილებით ლ. ტ-შვილის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლომ საქმეზე დადგენილად მიიჩნია, რომ მოსარჩელემ გაიარა შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის გორის ფილიალში მისაღები გამოცდა შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის სერთიფიკატით. მან მიიღო 131 ქულა, რაც არასაკმარისი აღმოჩნდა უმაღლეს სასწავლებელში ჩარიცხვისათვის. მოსარჩელეს შეტანილი ჰქონდა ასევე განაცხადი კომპიუტერული მულტიმედიის სპეციალობაზე. 2005 წლის 22 სექტემბრის #01-607 წერილით თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიამ მიმართა გამოცდებისა და შეფასების ეროვნულ ცენტრს მოსარჩელის მეორად კონკურსში ვაკანტურ ადგილებზე - არქიტექტურულ ძეგლთა რესტავრაციისა და კომპიუტერული მულტიმედიის სპეციალობებზე დაშვების თაობაზე. 2005 წლის 17 ოქტომბრის #566 ბრძანებით მოსარჩელეს უარი ეთქვა უმაღლეს სასწავლებელში ჩარიცხვაზე.

საქალაქო სასამართლოს განმარტებით, განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 28 მარტის #127 ბრძანებით დამტკიცებული «ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულების» მე-8 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, აბიტურიენტები, რომლებიც სწავლის გაგრძელებას აპირებენ სახელოვნებო ან სასპორტო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სამემსრულებლო საგანმანათლებლო პროგრამით, ერთიან ეროვნულ გამოცდებზე გადიან შესაბამის კონკურსს სახელოვნებო ან სასპორტო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ დადგენილი წესით, რომლის შედეგები დაუყოვნებლივ ეგზავნება გამოცდების ეროვნულ ცენტრს.

განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის #444 ბრძანებით დასრულდა 2005 წელს აბიტურიენტთა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩარიცხვის პროცესი. სამხატვრო აკადემიამ შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრს ლ. ტ-შვილის მეორად კონკურსზე დაშვების თხოვნით მიმართა 2005 წლის 22 სექტემბერს, ანუ ჩარიცხვის პროცესის დასრულების შემდგომ. შესაბამისად, დადგენილ იქნა, რომ აკადემიამ დროულად არ მიაწოდა ინფორმაცია - შედეგი მოსარჩელის მიერ გავლილი კონკურსის თაობაზე შეფასებისა და ეროვნული გამოცდების ეროვნულ ცენტრს.

განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 28 მარტის #127 ბრძანებით დამტკიცებული «ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულების» მე-19 მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, თუ აბიტურიენტმა ვერ მოიპოვა სწავლის გაგრძელების უფლება მის მიერ შედგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების/დაწესებულებების ფაკულტეტების რეიტინგული ჩამონათვალის პირველ ფაკულტეტზე, მაშინ მისი საკითხი განიხილება ჩამონათვალში მითითებულ მეორე ფაკულტეტზე. ამავე ბრძანებით სასპორტო და სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულების აბიტურიენტთათვის მოქმედებს განსხვავებული წესი, რომელიც განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ბრალის გარეშე არ იქნა სამხატვრო აკადემიის მხრიდან დაცული. ამდენად, მოპასუხემ ბრძანება გამოსცა კანონის შესაბამისად და არ არსებობდა მისი ბათილად ცნობის სამართლებრივი საფუძველი.

რაც შეეხებოდა მოსარჩელის მოთხოვნას სამხატვრო აკადემიისათვის მისი კომპიუტერული მულტიმედიის სპეციალობაზე ჩარიცხვის დავალების თაობაზე, ამასთან დაკავშირებით საქალაქო სასამართლომ განმარტა, რომ განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 28 მარტის #127 ბრძანების მე-19 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, აბიტურიენტის ჩარიცხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ფაკულტეტზე ხორციელდება მის მიერ მიღებული სკალირებული ქულების, აბიტურიენტის მიერ არჩეული ფაკულტეტების რეიტინგული ჩამონათვალისა და ფაკულტეტების მიერ საგამოცდო საგნებისათვის მინიჭებული კოეფიციენტების საფუძველზე. ვინაიდან მოსარჩელემ ვერ გადალახა აღნიშნული მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნები (ვერ გაიმარჯვა კონკურსში), არ არსებობდა მისი საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვის საფუძველი.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გასაჩივრა ლ. ტ-შვილმა, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღებით მისი სარჩელის დაკმაყოფილება.

აპელანტის მოსაზრებით, საქალაქო სასამართლომ არასწორად განმარტა განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 28 მარტის #127 ბრძანების მე-19 მუხლის მე-7 პუნქტი, ვინაიდან აღნიშნული გულისხმობს იმ შემთხვევას, როდესაც აბიტურიენტმა ვერ მოიპოვა სწავლის გაგრძელების უფლება მის მიერ შედგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო სასწავლებლის რეიტინგულ ჩამონათვალში ორივე ფაკულტეტზე. მოცემულ შემთხვევაში აკადემიამ თვითონ არ მიაწოდა საკონკურსო ვაკანსიათა ჩამონათვალი შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრს. სასამართლომ არ გამოიყენა ზემოაღნიშნული ბრძანების მე-19 მუხლის მე-3 პუნქტის მითითება, სადაც ნათქვამია, რომ უმაღლესი სასწავლო დაწესებულება ვალდებულია სასწავლო წლის დასაწყისში აცნობოს ეროვნული გამოცდების ცენტრს თითოეული საგნისათვის მინიჭებული კოეფიციენტები მომდევნო გამოცდისათვის. ამ მოთხოვნით აკადემია ვალდებული იყო ეცნობებინა ეროვნული ცენტრისათვის ვაკანსიების შესახებ თავის დროზე, რასაც მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია. სასამართლომ ასევე არ გამოიყენა ბრძანების მე-20 მუხლის მე-2 პუნქტი, რომლის მიხედვით, ორი წელი ძალაში რჩება აბიტურიენტის მიერ მიღებული ქულების რაოდენობა და კონკურსში მონაწილეობის უფლება გამოცდების გარეშე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 13 მარტის განჩინებით ლ. ტ-შვილის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 29 მაისის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ მოცემულ შემთხვევაში ლ. ტ-შვილის სააპელაციო საჩივარში მითითებული გარემოებები არ ქმნიდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე და 394-ე მუხლებით გათვალისწინებულ შემადგენლობას და შესაბამისად, გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების პროცესუალურ-სამართლებრივ საფუძველს. სააპელაციო სასამართლო სრულად დაეთანხმა საქალაქო სასამართლოს შეფასებებსა და დასკვნებს საქმის ფაქტობრივ და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით, რის გამოც მიიჩნია, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება კანონიერი იყო და მისი გაუქმების საფუძველი არ არსებობდა.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ლ. ტ-შვილმა, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საქმის ხელახლა განსახილველად სააპელაციო სასამართლოსათვის დაბრუნება.

კასატორის მითითებით, ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოებმა სარჩელზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას არ მიუთითეს აღნიშნული უარის საფუძველები, შესაბამისად, მითითებული გადაწყვეტილებები დაუსაბუთებელია და სახეზეა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის «ე» ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევა. არც პირველი ინსტანციისა და არც სასამართლომ არ გამოიყენა განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 28 მარტის #127 ბრძანების მე-7 პუნქტის სავალდებულო მითითებები, სადაც ნათქვამია, რომ თუ აბიტურიენტმა ვერ მოიპოვა მის მიერ მითითებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ვერც ერთ ფაკულტეტზე სწავლის გაგრძელების უფლება და თუ უმაღლეს სასწავლებლებში აბიტურიენტების ჩარიცხვის შემდეგ დარჩა თავისუფალი ადგილები, მას უფლება აქვს ამ ადგილებზე კიდევ ერთხელ გააკეთოს განაცხადი, სადაც მისი საკითხის განხილვა მოხდება ამავე მუხლით დადგენილი წესით.

კასატორი მიუთითებს, რომ მან, როგორც აბიტურიენტმა, მოიპოვა ზემოაღნიშნული მე-7 პუნქტით გათვალისწინებული მეორედ კონკურსში გასვლის უფლება, მაგრამ როგორც გაირკვა, სამხატვრო აკადემიამ არ მიაწოდა ეროვნული გამოცდების ცენტრს დარჩენილ ვაკანსიათა სია, რის გამოც იგი ვერ ჩარიცხა. კასატორის მოსაზრებით, გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში სასამართლომ არ გამოიყენა განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ზემოაღნიშნული ბრძანების მე-19 მუხლის მე-7 პუნქტისა და ამავე ბრძანების მე-20 მუხლის მე-2 პუნქტის მითითებები.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის, საკასაციო საჩივრის საფუძველების გამოკვლევის შედეგად მიიჩნევს, რომ ლ. ტ-შვილის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 13 მარტის განჩინება და საკასაციო სასამართლოს მიერ მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, ლ. ტ-შვილის სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, სადავო საკითხის გადაწყვეტილად ბათილად იქნეს ცნობილი განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 17 ოქტომბრის #566 ბრძანება ლ. ტ-შვილის ნაწილში და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაევალოს საქმის გარემოებების სრულყოფილი გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა გადაწყვეტილების გადაცემიდან ერთი თვის ვადაში, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელიც სააპელაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა, დაუსაბუთებელია და შეიცავს ურთიერთსაწინააღმდეგო დასკვნებს. ერთი მხრივ, პირველი ინსტანციის სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიამ შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრს ლ. ტ-შვილის მეორად კონკურსზე დაშვების თხოვნით მიმართა 2005 წლის 22 სექტემბერს, სტუდენტთა ჩარიცხვის პროცესის დასრულების შემდგომ და აღნიშნული გარემოება სასამართლომ თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის მხრიდან განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 17 იანვრის #566 ბრძანებით დამტკიცებული დებულების დარღვევად შეაფასა. ამდენად, პირველი ინსტანციის სასამართლომ უდავოდ დადგენილად მიიჩნია ლ. ტ-შვილის უფლების დარღვევა თბილისის სამხატვრო აკადემიის მიერ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრისათვის ინფორმაციის დროულად მიუწოდებლობის გამო. მეორე მხრივ, ლ. ტ-შვილის აღნიშნული უფლების დარღვევის დადგენის პირობებში სრულიად დაუსაბუთებელია პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნა, რომ ვინაიდან მოსარჩელემ ვერ გადალახა 2005 წლის 17 იანვრის #566 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-19 მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნები - ვერ გაიმარჯვა კონკურსში, არ არსებობს მისი საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვის საფუძველი და სადავო ბრძანება გამოცემულია კანონშესაბამისად.

საკასაციო სასამართლო სრულად იზიარებს საქმეზე დადგენილ ზემოაღნიშნულ ფაქტობრივ გარემოებას, რომ თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიამ შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრს ლ. ტ-შვილის მეორად კონკურსზე დაშვების თხოვნით მიმართა აბიტურიენტთა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩარიცხვის პროცესის დასრულების შემდგომ. საქმეზე დადგენილია,

რომ ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე, მათ შორის, მეორადი ჩარიცხვების შედეგების გათვალისწინებით, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩარიცხულ აბიტურიენტთა სია დამტკიცდა განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის #444 ბრძანებით, სამხატვრო აკადემიამ კი ინფორმაცია-შედეგი ლ. ტ-შვილის მიერ გავლილი კონკურსის თაობაზე შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრს მიაწოდა მხოლოდ 2005 წლის 22 სექტემბერს. აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში საქმეში არ მოიპოვება მხარეთა მიერ, მათ შორის, მოპასუხე თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის მიერ წარდგენილი საწინააღმდეგო მტკიცებულება. სახელმწიფო სამხატვრო აკადემიას გამოცდების ეროვნული ცენტრისათვის აღნიშნული კონკურსის შედეგების დაუყოვნებლივ წარდგენას ავალდებულებდა განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 28 მარტის #127 ბრძანებით დამტკიცებული «ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულების» მე-8 მუხლის პირველი პუნქტი, რომლის თანახმად, აბიტურიენტები, რომლებიც სწავლის გაგრძელებას აპირებენ სახელოვნებო ან სასპორტო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში დაწესებულების საშემსრულებლო საგანმანათლებლო პროგრამით, ერთიან ეროვნულ გამოცდებამდე გადიან შესაბამის კონკურსს სახელოვნებო ან სასპორტო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ დადგენილი წესით, რომლის შედეგები დაუყოვნებლივ ეგზავნება გამოცდების ეროვნულ ცენტრს. ამდენად, საკასაციო სასამართლო იზიარებს ქვემოთხსენებულ ინსტანციის სასამართლოების მსჯელობას, რომ შედეგების დაგვიანებით წარდგენა გამოწვეული იყო თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ბრალით. შესაბამისად, დარღვეულია ლ. ტ-შვილის უფლება, აბიტურიენტთა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მისი ჩარიცხვის საკითხის გადაწყვეტისას გათვალისწინებული ყოფილიყო შემოქმედებითი ტურების გავლის შედეგი და მისი უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვის გადაწყვეტილება განათლებისა და მეცნიერების მინისტრს მიეღო სწორედ აღნიშნული შედეგის გათვალისწინებით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში განათლებისა და მეცნიერების მინისტრის სადავო ბრძანებით ლ. ტ-შვილის პრეტენზიის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა სრულიად დაუსაბუთებელია. დასახელებული ბრძანების ერთ-ერთ სამართლებრივ საფუძველად მითითებულია განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 28 მარტის #127 ბრძანებით დამტკიცებული «ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულების» მე-19 მუხლის პირველი პუნქტი, რომლის თანახმად, აბიტურიენტის ჩარიცხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ფაკულტეტზე ხორციელდება მის მიერ მიღებული სკალარული ქულების, აბიტურიენტის მიერ არჩეული ფაკულტეტების რეიტინგული ჩამონათვალისა და ფაკულტეტების მიერ საგამოცდო საგნებისათვის მინიჭებული კოეფიციენტების, ხოლო თუ კოეფიციენტები იდენტურია, აგრეთვე, საგნების პრიორიტეტულობის გათვალისწინების საფუძველზე, თუმცა ამავე მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, თუ აბიტურიენტმა ვერ მოიპოვა სწავლის გაგრძელების უფლება მის მიერ შედგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ფაკულტეტების რეიტინგული ჩამონათვალის პირველ ფაკულტეტზე, მაშინ მისი საკითხი განიხილება ჩამონათვალში მითითებულ მეორე ფაკულტეტზე და ა.შ., ხოლო მე-8 პუნქტის მიხედვით კი, თუ აბიტურიენტმა ვერ მოიპოვა მის მიერ მითითებულ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ვერც ერთ ფაკულტეტზე სწავლის გაგრძელების უფლება და თუ უმაღლეს სასწავლებელში აბიტურიენტების ჩარიცხვის შემდეგ დარჩა თავისუფალი ადგილები, მას უფლება აქვს ამ ადგილებზე კიდევ ერთხელ გააკეთოს განაცხადი, სადაც მისი საკითხის განხილვა მოხდება ამავე მუხლით დადგენილი წესის თანახმად.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სადავო ბრძანებაში არ არის დასაბუთებული და გამორკვეული, ლ. ტ-შვილის მიერ მიღებული ქულების რაოდენობა იყო თუ არა საკმარისი მისი კომპიუტერული მულტიმედიის სპეციალობაზე ჩასარიცხად იმ შემთხვევაში, თუკი სამხატვრო აკადემია მოსარჩელის მიერ კონკურსის გავლის შესახებ ინფორმაცია-შედეგს შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრს თავის დროზე აცნობებდა, არსებობდა თუ არა ვაკანსიები კომპიუტერული მულტიმედიის სპეციალობაზე, აღნიშნული ვაკანსიების არსებობის შემთხვევაში რამდენად იყო შესაძლებელი აღნიშნულ ფაკულტეტზე მოსარჩელის ჩარიცხვა სახელმწიფო სამხატვრო აკადემიისაგან შიდა კონკურსზე შესაბამისი ქულების მიღების დამადასტურებელი დოკუმენტის დროულად წარდგენის პირობებში.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგებთან დაკავშირებული აბიტურიენტის პრეტენზიის დანიშნულებაა პირის წარსულში დარღვეული უფლების აღდგენა და მხოლოდ ის გარემოება, რომ უმაღლეს სასწავლებელში ჩარიცხვის შედეგები უკვე შეჯამებულია, არ წარმოადგენს აბიტურიენტის პრეტენზიის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველს.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5 მუხლისა და 96-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ ორგანოს არ აქვს უფლება კანონმდებლობის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება, მათ შორის, გამოსცეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევა-შეფასების გარეშე.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის თანახმად, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი უნდა გამოიცეს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოების გამოკვლევის გზით და სავალდებულოა შეიცავდეს წერილობით

დასაბუთებას. იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ადმინისტრაციული ორგანო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას მოქმედებს დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის წერილობით დასაბუთებაში უნდა მიეთითოს ყველა ის ფაქტობრივი გარემოება, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას. სადავო ბრძანება არ შეიცავს მითითებულ დასაბუთებას, კერძოდ, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს არ დაუსაბუთებია, რატომ გამოირიცხებოდა ლ. ტ-შვილის კომპიუტერული მულტიმედიის სპეციალობაზე ჩარიცხვა, არსებობდა თუ არა ვაკანსიები აღნიშნულ ფაკულტეტზე, მის მიერ მიღებული ქულების რაოდენობა იყო თუ არა საკმარისი კომპიუტერული მულტიმედიის სპეციალობაზე ჩასარიცხად, ვაკანსიების არსებობის შემთხვევაში ლ. ტ-შვილი დააკმაყოფილებდა თუ არა აღნიშნულ ფაკულტეტზე ჩარიცხვის პირობებს სამხატვრო აკადემიისაგან შიდა კონკურსზე შესაბამისი ქულების მიღების დამადასტურებელი დოკუმენტის დროულად წარდგენის პირობებში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სადავო აქტი გამოცემულია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევის გარეშე. ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ ადმინისტრაციული აქტი გამოცემულია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების გარეშე, იგი უფლებამოსილია, სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად ცნოს ადმინისტრაციული აქტი და დაევალოს ადმინისტრაციულ ორგანოს, ამ გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შედეგად გამოსცეს ახალი ადმინისტრაციული აქტი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 17 ოქტომბრის #566 ბრძანება ბათილად უნდა იქნეს ცნობილი სადავო საკითხის გადაწყვეტლად, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს უნდა დაევალოს ახალი ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტის გამოცემა საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში.

რაც შეეხება ლ. ტ-შვილის მოთხოვნას სახელმწიფო სამხატვრო აკადემიისათვის კომპიუტერული მულტიმედიის სპეციალობაზე მისი ჩარიცხვის დავალდებულების შესახებ, აღნიშნულ ნაწილში საკასაციო სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას, დააკმაყოფილოს სარჩელი, რამდენადაც განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 17 ოქტომბრის #566 ბრძანება ბათილად არის ცნობილი სადავო საკითხის გადაწყვეტლად. ლ. ტ-შვილის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვის თაობაზე განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შესაბამისი ბრძანების არარსებობის პირობებში, სადავო საკითხის გადაწყვეტამდე, შეუძლებელია გადაწყდეს, ექვემდებარება თუ არა იგი სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში ჩარიცხვას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, 34-ე მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

გადაწყვეტა:

1. ლ. ტ-შვილის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 13 მარტის განჩინება და საკასაციო სასამართლოს მიერ მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. ლ. ტ-შვილის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;
4. სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად იქნეს ცნობილი განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 17 ოქტომბრის #566 ბრძანება ლ. ტ-შვილის ნაწილში და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაევალოს საქმის გარემოებების სრულყოფილი გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა გადაწყვეტილების გაცემიდან ერთი თვის ვადაში;
5. დანარჩენ ნაწილში ლ. ტ-შვილის სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;
6. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

2. ადმინისტრაციული აქტის ბათილად ცნობა

იურიდიული პირის უფლებაუნარიანობა

განჩინება*

#ბს-1123-701(კ-05)

25 ივლისი, 2006 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. წკეპლაძე (თავმჯდომარე),
ლ. ლაზარაშვილი (მომხსენებელი),
ნ. სხირტლაძე

დავის საგანი: «ბავშვთა კვებისა და სპეციალური დანიშნულების პროდუქტთა ლაბორატორიის შესახებ» სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის 1997 წლის 15 დეკემბრის #23 ბრძანების ბათილად ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

2000 წლის 12 ივლისს თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონულ სასამართლოს სასარჩელო განცხადებით მიმართა დ. ლ-ძემ მოპასუხე სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა «ბავშვთა კვებისა და სპეციალური დანიშნულების პროდუქტთა ლაბორატორიის შესახებ» სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის 1997 წლის 15 დეკემბრის #23 ბრძანების ბათილად ცნობა და ზიანის ანაზღაურება. რაიონულ სასამართლოში საქმის განხილვისას მოსარჩელემ მოხსნა მოთხოვნა ზიანის ანაზღაურების შესახებ.

მოსარჩელის მოთხოვნის საფუძველები მდგომარეობდა შემდეგში:

სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს 1997 წლის 20 ნოემბრის #1-3/706 ბრძანების საფუძველზე სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს ბავშვთა კვების ლაბორატორია გადავიდა სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის დაქვემდებარებაში. სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიამ 1997 წლის 15 დეკემბრის #23 ბრძანებით გააუქმა აღნიშნული ლაბორატორია და დაუქვემდებარა კვების მრეწველობის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს როგორც დამოუკიდებელი ბალანსის არმქონე სტრუქტურული ერთეული. მოსარჩელის მოსაზრებით, აღნიშნული ბრძანება ექვემდებარებოდა ბათილად ცნობას, ვინაიდან რეგისტრირებული იურიდიული პირის - ბავშვთა კვების ლაბორატორიის გაუქმება ამ ბრძანების საფუძველზე დაუშვებელი იყო.

თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2000 წლის 8 სექტემბრის გადაწყვეტილებით დ. ლ-ძის სარჩელი ხანდაზმულობისა და დაუსაბუთებლობის მოტივით არ დაკმაყოფილდა. რაიონულმა სასამართლომ არსებული სამართლებრივი მოწესრიგების საფუძველზე ლაბორატორიის არსებობა დადგენილად მიიჩნია სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სტრუქტურაში. სადავო ბრძანების გამოცემის უფლებამოსილება, რაიონული სასამართლოს მოსაზრებით, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიას გააჩნდა თავისი წესდების 45-ე მუხლის მე-8 აზნაცის, 75-ე მუხლის მე-2 აზნაცის საფუძველზე. ამასთან, სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის მოსაზრება, რომ სადავო ბრძანების გამოცემა მიზნად ისახავდა ლაბორატორიის ლიკვიდაციას და ნ. ბ-ურის დანაშაულის კვალის დაფარვას, რადგან აღნიშნული ბრძანება ლიკვიდაციის დადგენილებას არ შეიცავდა და სისხლის სამართლის საქმეც ნ. ბ-ურის მიმართ შეწყვეტილი იყო მის ქმედებაში დანაშაულის შემადგენლობის არარსებობის გამო.

რაიონული სასამართლოს ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა დ. ლ-ძემ. აპელანტმა მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით მისი სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილება.

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა პალატის 2001 წლის 1 ივნისის განჩინებით აპელანტის შუამდგომლობის საფუძველზე საქმეში მესამე პირად ჩაბმულ იქნა სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო.

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა პალატის 2002 წლის 26 აპრილის გადაწყვეტილებით დ. ლ-ძის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2000 წლის 8 სექტემბრის გადაწყვეტილება და საქმეზე მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, დ. ლ-ძის სარჩელი დაკმაყოფილდა - ბათილად იქნა ცნობილი სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის 1997 წლის 15 დეკემბრის #23 ბრძანება «ბავშვთა კვებისა და სპეციალური დანიშნულების პროდუქტთა ლაბორატორიის შესახებ».

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიამ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით დ. ლ-ძის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2003 წლის 13 თებერვლის განჩინებით სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის საკასაციო საჩივარი

დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, გაუქმდა თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა პალატის 2002 წლის 26 აპრილის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა პალატის 2004 წლის 6 ივლისის განჩინები, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, საქმეში მესამე პირებად ჩაბმულ იქნენ საქართველოს კვების მრეწველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი და სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტრო.

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა პალატის 2005 წლის 9 მარტის გადაწყვეტილებით დ. ლ-ძის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, გაუქმდა თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2000 წლის 8 სექტემბრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, დ. ლ-ძის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, ბათილად იქნა ცნობილი «ბავშვთა კვებისა და სპეციალური დანიშნულების პროდუქტთა ლაბორატორიის შესახებ» საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის 1997 წლის 15 დეკემბრის #23 ბრძანების მე-2, მე-3 პუნქტები, დანარჩენ ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ საქმეზე დადგენილად მიიჩნია, რომ საქართველოს კვებისა და გამამუშავებელი მრეწველობის მინისტრის მოვალეობის შემსრულებლის 1992 წლის 23 ოქტომბრის #337 ბრძანების მე-2 პუნქტის თანახმად, კვების მრეწველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სპეციალური დანიშნულების პროდუქტთა განყოფილების ბაზაზე სამეურნეო ანგარიშზე შეიქმნა ბავშვთა კვებისა და სპეციალური დანიშნულების კვების პროდუქტების კვლევის ლაბორატორია. საქართველოს უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლოს 1992 წლის 9 დეკემბრის დადგენილებით არ დაკმაყოფილდა კვების მრეწველობის სამეურნეო კვლევითი ინსტიტუტის მოთხოვნა სამინისტროს მითითებული ბრძანების ბათილად ცნობის თაობაზე. თბილისის ნაძალადევის რაიონის გამგეობის 1992 წლის 4 ნოემბრის განკარგულებით რეგისტრაციაში გატარდა ბავშვთა კვებისა და სპეციალური დანიშნულების პროდუქტების წარმოების ლაბორატორიის წესდება, რომლითაც ლაბორატორიის ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმად განისაზღვრა სახელმწიფო საწარმო. შესაბამისად, ამ მომენტიდან ლაბორატორია წარმოდგენდა დამოუკიდებელი სტატუსის მქონე იურიდიულ პირს. სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს 1997 წლის 20 ნოემბრის #1-3/706 ბრძანებით, ბავშვთა კვებისა და სპეციალური დანიშნულების პროდუქტთა ლაბორატორია გადავიდა სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის დაქვემდებარებაში. ამ ბრძანების შესრულების მიზნით, სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს 1997 წლის 17 დეკემბრის #2-433 ბრძანებით ლაბორატორიის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის დაქვემდებარებაში გადასაცემად შეიქმნა კომისია, ხოლო აკადემიას ეთხოვა შეექმნა კომისია ლაბორატორიის მისაღებად, რომელსაც დაევალებოდა მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება და არსებული წესით სამინისტროში მისი წარდგენა. მოსარჩელე არ ასაჩივრებდა ამ აქტებს და შესაბამისად, დაუსაბუთებელი იყო მისი მოთხოვნა სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის გასაჩივრებელი ბრძანების სრულად ბათილად ცნობის შესახებ. ბრძანება, გარდა მე-2 და მე-3 პუნქტებისა, რომლებიც ადგენდნენ ლაბორატორიის, როგორც დამოუკიდებელი ბალანსის არმქონე სტრუქტურული ერთეულის კვების მრეწველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დაქვემდებარებაში გადაცემას და მისი სპეციალიზაციისა და თანამშრომელთა დასაქმების საკითხის გადაწყვეტას, შეიცავდა პირველ, მე-4, მე-5 პუნქტებსაც, რომლებითაც დადგენილი იყო სახელმწიფო ქონების მართვის მინისტრის 1997 წლის 20 ნოემბრის #1-3/706 ბრძანების სახელმძღვანელოდ და შესასრულებლად მიღება, ლაბორატორიის დადგენილი წესით მიღება-ჩაბარებისათვის კომისიის შექმნა, კომისიის პერსონალური შემადგენლობა და ბრძანების შესრულებაზე კონტროლის განხორციელება. ეს პუნქტები უშუალოდ გამომდინარეობდა სახელმწიფო ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს ზემოაღნიშნული გაუსაჩივრებელი ბრძანებებიდან და ამ უკანასკნელთა ძალაში ყოფნის ვითარებაში დაუშვებელი იყო მათ საფუძველზე და შესასრულებლად მიღებული დანაწესების გაუქმება. მართალია, სადავო ბრძანების გამოცემის მომენტში ძალაში მყოფი «მეწარმეთა შესახებ» საქართველოს რესპუბლიკის კანონის თაობაზე» პარლამენტის 1994 წლის 28 ოქტომბრის დადგენილების მე-2 მუხლის თანახმად, კანონის ამოქმედებამდე კერძო სამართლებრივი წესით შექმნილი საწარმოები 1996 წლის 1 სექტემბრამდე ექვემდებარებოდნენ ხელახალ რეგისტრაციას, მაგრამ ამავე დადგენილების მე-4 მუხლისა და «მეწარმეთა შესახებ» კანონის 5.8 მუხლის თანახმად, თუ რეგისტრირებული საწარმო არ აკმაყოფილებდა რეგისტრაციის პირობებს ან ეს პირობები მოგვიანებით ისპობოდა, რეგისტრაცია უქმდებოდა, თუმცა რეგისტრაციის გაუქმებამდე შეცდომით რეგისტრირებული საწარმო განიხილებოდა უშეცდომოდ რეგისტრირებულად. მართალია, ბავშვთა კვებისა და სპეციალური დანიშნულების ლაბორატორიას არ გაუვლია ხელახალი რეგისტრაცია, მაგრამ მისი პირვანდელი რეგისტრაციის გაუქმების ფიქსაციის დამადასტურებელი მტკიცებულება მოპასუხემ ვერ წარადგინა და მისი არარსებობის გამო იგი ვერც სასამართლომ მოიპოვა. 1997 წლის 15 დეკემბრის შემდეგ ლაბორატორიის, როგორც დამოუკიდებელი იურიდიული პირის არსებობა შინაარსობრივად დადასტურებული იყო სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს 1997 წლის 17 დეკემბრის #2-433 ბრძანებითაც. მასში ლაბორატორია მიჩნეული იყო დამოუკიდებელი სტატუსის მქონე საწარმოდ. მართალია, სადავო ბრძანების მე-2 პუნქტის პირველი წინადადების - ლაბორატორიის ინსტიტუტის დაქვემდებარებაში გადაცემის შესახებ მართლწოდებულად ეჭვს არ იწვევდა, მაგრამ ვინაიდან შინაარსობრივად იგი

განყოფილი იყო ამ წინადადების შემდგომი ნაწილისაგან, რომლითაც ლაბორატორია დამოუკიდებელი ბალანსის არმქონე სტრუქტურულ ერთეულად იყო მიჩნეული, სააპელაციო სასამართლომ საჭიროდ მიიჩნია დასახელებული პუნქტის სრულად ბათილად ცნობა. ამასთან, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის 1997 წლის 15 დეკემბრის #23 ბრძანების მე-2 პუნქტთან ორგანულად იყო დაკავშირებული ამავე ბრძანების მე-3 პუნქტი. იგი ეხებოდა ლაბორატორიას, როგორც ახალ, ე.ი. დამოუკიდებელი ბალანსის არმქონე სტრუქტურულ ერთეულს, მაგრამ ლაბორატორიის ამგვარი სტატუსის დამდგენი პუნქტის ბათილად მიჩნევასთან ერთად ბათილი იყო სადავო ბრძანების მისგან გამომდინარე მე-3 პუნქტიც. სააპელაციო სასამართლომ მართებულად არ მიიჩნია რაიონული სასამართლოს დასკვნა მოსარჩელის მიერ ადმინისტრაციული აქტის გასაჩივრებისათვის დადგენილი ექსტოვიანი ვადის გაშვების თაობაზე. თავისი არსით გასაჩივრებული ბრძანება მიმართული იყო დამოუკიდებელი იურიდიული პირის სტატუსის მქონე საწარმოს ლიკვიდაციისაკენ და წარმოადგენდა გარიგებას, ხოლო «მწარმეთა შესახებ» კანონის მე-15 მუხლის თანახმად, ამ სახის პრეტენზიების ვადა 5 წელს შეადგენდა. შესაბამისად, დ. ლ-მეს 1997 წლის 15 დეკემბრის ბრძანების ბათილად ცნობის მოთხოვნით სარჩელის 2000 წლის 12 ივლისის სასამართლოში წარდგენით იგი არ დაურღვევია.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გასაჩივრა სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიამ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღებით მოსარჩელისათვის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

კასატორის მითითებით, საქმეში არსებული მასალებით დასტურდებოდა, რომ სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს 1997 წლის 20 ნოემბრის #1-3/706 ბრძანების საფუძველზე სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს ბავშვთა კვების ლაბორატორია გადავიდა სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის დაქვემდებარებაში, როგორც საკუთარი ქონების არმქონე სტრუქტურული ერთეული. აქედან გამომდინარე, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიამ 1997 წლის 15 დეკემბრის ბრძანებით ლაბორატორია გააუქმა და როგორც დამოუკიდებელი ბალანსის არმქონე სტრუქტურული ერთეული დაუქვემდებარა კვების მრეწველობის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს.

კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა საქმესთან დაკავშირებით საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ მიცემული მითითებები. საკასაციო სასამართლომ სააპელაციო პალატას დაავალა, ემსჯელა იმის შესახებ, თუ რა დანიშნულება და სამართლებრივი შედეგი ექნებოდა დამოუკიდებელი სტატუსის მქონე ლაბორატორიას სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის დაქვემდებარებაში. აკადემიის დაქვემდებარებაში არსებული 18 ინსტიტუტიდან არც ერთი არ წარმოადგენდა იურიდიულ პირს, ვინაიდან თავად აკადემია იყო იურიდიული პირი და მის დაქვემდებარებაში არ შეიძლება სამოქალაქო კოდექსის 24-ე მუხლით განსაზღვრული იურიდიული პირის არსებობა. გარდა ამისა, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიას მის სისტემაში არსებული ორგანიზაციების ქონება «საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შესახებ» კანონის შესაბამისად გადაცემული ჰქონდა უზუფრუქტის უფლებით და სამოქალაქო კოდექსის 242-ე მუხლი მას უკრძალავდა ამ ქონების მესამე პირზე გადაცემას და მისით სარგებლობას. აქედან გამომდინარე, აკადემიის დაქვემდებარებაში არსებულ ინსტიტუტებს საკუთარი ქონება არ გააჩნდათ და არ წარმოადგენდნენ იურიდიულ პირებს.

კასატორის მითითებით, უზენაესი სასამართლოს ასევე საჭიროდ მიაჩნდა იმის გამორკვევა, თუ ვის მიიჩნევდა სააპელაციო სასამართლო სადავო ბრძანების გამოცემისას ლაბორატორიის დამფუძნებლად, მისი ლიკვიდაციის უფლებამოსილ პირად, ვინაიდან დამფუძნებლის გადაწყვეტილებად ბრძანების მიჩნევის შემთხვევაში ბრძანება იქცეოდა ლაბორატორიის გაუქმების საფუძველად. სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია ის გარემოება, რომ საქართველოს ქონების მართვის სამინისტროს 1997 წლის 20 ნოემბრის #1-3/706 ბრძანებით ბავშვთა კვებისა და სპეციალური დანიშნულების პროდუქტთა ლაბორატორია გადავიდა სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის დაქვემდებარებაში. ამდენად, ამ ბრძანების გამოცემის შემდეგ აკადემია გახდა ლაბორატორიის დამფუძნებლის უფლება-მონაცვლე, რაც უზენაესი სასამართლოს მოსაზრებიდან გამომდინარე, მიუთითებდა იმაზე, რომ სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიას, როგორც ლაბორატორიის დამფუძნებლის - სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს უფლებამონაცვლეს, ამავე ლაბორატორიის წესდების შესაბამისად, ჰქონდა ამ ორგანიზაციის ლიკვიდაციის უფლება.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, კასატორი მიიჩნევდა, რომ სააპელაციო სასამართლომ გადაწყვეტილების მიღებისას მხედველობაში არ მიიღო საქმეში არსებული იმის დამადასტურებელი მასალები, რომ: ა) ბავშვთა კვების ლაბორატორიას სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში გადაცემის მომენტისათვის არავითარი ქონება არ გააჩნდა და ამდენად, ის არ იყო იურიდიული პირი; ბ) სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია ვერ მიიღებდა თავის დაქვემდებარებაში ლაბორატორიას, როგორც იურიდიულ პირს, რადგანაც მისი გადაწყვეტილება ამ შემთხვევაში გახდებოდა იურიდიულად დაუსაბუთებელი გადაწყვეტილება; გ) ლაბორატორია იურიდიული პირიც რომ ყოფილიყო და ჰქონოდა რეგისტრაცია, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიას, როგორც ლაბორატორიის დამფუძნებლის უფლებამონაცვლეს, შეეძლო გაუქმებინა ეს რეგისტრაცია და სწორედ რეგისტრაციის გაუქმების საფუძველი იქნებოდა მის მიერ გამოცემული სადავო ბრძანება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების გამოკვლევის შედეგად მიიჩნევს, რომ სოფლის მეურნეობათა მეცნიერებათა აკადემიის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, უცვლელად დარჩეს თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა პალატის 2005 წლის 9 მარტის გადაწყვეტილება, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეზე დადგენილია:

საქართველოს რესპუბლიკის კვებისა და გადამამუშავებელი მრეწველობის სამინისტროს 1992 წლის 23 ოქტომბრის #337 ბრძანებით საქართველოს რესპუბლიკის კვების მრეწველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სპეციალური დანიშნულების პროდუქტთა განყოფილების ბაზაზე შეიქმნა ბავშვთა კვებისა და სპეციალური დანიშნულების კვების პროდუქტების კვლევის ლაბორატორია სამეურნეო ანგარიშზე, ლაბორატორიას გადაეცა სპეცდანიშნულების განყოფილების მიერ 1992 წლის 1 სექტემბრამდე დაკავებული ფართობი, აგრეთვე მასზე რიცხული მოწყობილობები და დანადგარები;

თბილისის ნაძალადევის რაიონის გამგეობის 1992 წლის 4 ნოემბრის განკარგულებით ბავშვთა კვებისა და სპეციალური დანიშნულების პროდუქტების წარმოების ლაბორატორია გატარდა სახელმწიფო რეგისტრაციაში, ლაბორატორიის ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმად განისაზღვრა სახელმწიფო საწარმო;

სახელმწიფო ქონების მართვის მინისტრის 1997 წლის 20 ნოემბრის #1-3/706 ბრძანებით სოფლის მეურნეობისა და სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი ბავშვთა კვებისა და სპეციალური დანიშნულების პროდუქტთა ლაბორატორია დაქვემდებარებაში გადაეცა სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიას;

სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს 1997 წლის 17 დეკემბრის #2-433 ბრძანებით ლაბორატორიის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის დაქვემდებარებაში გადასაცემად შეიქმნა კომისია, აკადემიის ეთხოვა შეექმნა კომისია ლაბორატორიის მისაღებად, რომელსაც დაევალებოდა მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება და არსებული წესით სამინისტროში წარდგენა;

სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის 1997 წლის 15 დეკემბრის #26 ბრძანებით ლაბორატორია დაექვემდებარა სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის კვების მრეწველობის ინსტიტუტს, როგორც დამოუკიდებელი ბალანსის არმქონე სტრუქტურული ერთეული, რისთვისაც ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს დაევალა ახალი სტრუქტურული ერთეულის სპეციალიზაციისა და თანამშრომელთა დასაქმების საკითხის გადაწყვეტა (ბრძანების მე-2-3 პუნქტები).

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს სამართლებრივ შეფასებას, რომ თბილისის ნაძალადევის რაიონის გამგეობაში 1992 წელს სახელმწიფო რეგისტრაციის მომენტიდან ლაბორატორია წარმოადგენდა დამოუკიდებელი სტატუსის მქონე იურიდიულ პირს. საკასაციო სასამართლო ასევე იზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნას იმის თაობაზე, რომ არც სახელმწიფო ქონების მართვის მინისტრის და არც სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს ზემოაღნიშნული ბრძანებებით არ დადგენილა ბავშვთა კვებისა და სპეციალური დანიშნულების პროდუქტთა ლაბორატორიის ლიკვიდაცია. მართალია, ლაბორატორიას არ გაუვლია ხელახალი რეგისტრაცია, მაგრამ საქმის მასალებით დადგენილია, რომ მისი პირვანდელი რეგისტრაცია არ გაუქმებულა და მისი ლიკვიდაცია არ მომხდარა.

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს კასატორის მოსაზრებას, რომ ვინაიდან აკადემია თავად არის იურიდიული პირი და აკადემიის დაქვემდებარებაში არსებული ინსტიტუტებიდან არც ერთი არ წარმოადგენს იურიდიულ პირს, ამიტომ ლაბორატორია ვერ იქნებოდა იურიდიული პირი, აღნიშნული არგუმენტი ვერ აქარწყლებს ფაქტობრივად საქმეზე არსებულ ვითარებას, რომ ლაბორატორიის, როგორც იურიდიული პირის სტატუსი იურიდიულად შენარჩუნდა აკადემიის დაქვემდებარებაში გადასვლის შემდეგაც და არ მომხდარა მისი, როგორც იურიდიული პირის ლიკვიდაცია კანონით დადგენილი წესით.

საკასაციო სასამართლო ასევე ვერ გაიზიარებს კასატორის არგუმენტს ლაბორატორიის როგორც იურიდიული პირის სტატუსის არქონის თაობაზე იქიდან გამომდინარე, რომ მას არ გააჩნდა არანაირი ქონება. ლაბორატორიის შექმნის შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კვებისა და გადამამუშავებელი მრეწველობის სამინისტროს 1992 წლის 23 ოქტომბრის #337 ბრძანებით ლაბორატორიას გადაეცა სპეცდანიშნულების განყოფილების მიერ 1992 წლის 1 სექტემბრამდე დაკავებული ფართობი, აგრეთვე მასზე რიცხული მოწყობილობები და დანადგარები, ხოლო საკასაციო საჩივარი ვერ აქარწყლებს მითითებულ ბრძანებას. ამასთან, საკასაციო სასამართლო სამოქალაქო კოდექსის 24-ე მუხლის პირველი ნაწილის მოთხოვნიდან გამომდინარე განმარტავს, რომ მართალია, საკუთარი ქონება იურიდიული პირის ერთ-ერთი დამაფუძნებელი ნიშანია, მაგრამ აღნიშნული არ გამორიცხავს იურიდიული პირის მიერ ამ ქონების საჭიროებისამებრ მოხმარებას და არ ნიშნავს შემცირების ან დახარჯვის შემთხვევაში იურიდიული პირის როგორც სამართლის სუბიექტის გაუქმებას. იურიდიული პირი, როგორც სამართლებრივი ურთიერთობების მონაწილე, ჩვეულებრივ, მოიხმარს საკუთარ ქონებას თავისი მიზნებისათვის, რაც არ გამორიცხავს ამ ქონების გახარჯვის შესაძლებლობას და შემდგომში შესაბამის შევსებას.

საკასაციო სასამართლო ასევე ვერ დაეთანხმება კასატორის მოსაზრებას, რომ სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სადავო ბრძანება შეიძლება განხილულ იქნეს როგორც ლაბორატორიის რეგისტრაციის გაუქმების იურიდიული საფუძველი. სადავო ბრძანებით კვების მრეწველობის ინსტიტუტს ლაბორატორია გადაეცა როგორც დამოუკიდებელი სტატუსისა და საკუთარი უფლებაუნარიანობის არმქონე სტრუქტურული ერთეული, ისე, რომ მანამდე არ მომხდარა მისი უფლებაუნარიანობის შეწყვეტა. სამოქალაქო კოდექსის 25-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, იურიდიული პირის უფლებაუნარიანობა წარმოიშობა მისი რეგისტრაციის მომენტიდან და წყდება მისი ლიკვიდაციის დამთავრების შესახებ რეგისტრაციის მომენტიდან. აღნიშნული ლაბორატორიის, როგორც იურიდიული პირის ლიკვიდაციისა და მისი უფლებაუნარიანობის შეწყვეტის დამდგენი აქტი საქმის მასალებში არ მოიპოვება, აღნიშნულის გარეშე კი იურიდიული პირის განხილვა უფლებაუნარიანობის არმქონე ერთეულად, როგორც ეს სადავო ბრძანებაშია, დაუშვებელია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ არ არსებობს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე და 394-ე მუხლებით გათვალისწინებული საკასაციო საჩივრის საფუძველები, რის გამოც უცვლელად უნდა დარჩეს გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და დაადგინა:

1. სოფლის მეურნეობათა მეცნიერებათა აკადემიის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა პალატის 2005 წლის 9 მარტის გადაწყვეტილება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსის მინიჭება

განჩინება*

#ბს-1277-852(კ-05) 12 აპრილი, 2006 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა საკასაციო პალატა

**შემადგენლობა: ნ. წკეპლაძე (თავმჯდომარე),
ლ. ლაზარაშვილი (მომხსენებელი),
ნ. სხირტლაძე**

დავის საგანი - ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლება

აღწერილობითი ნაწილი:

2000 წლის 13 ნოემბერს ხაშურის რაიონულ სასამართლოს სასარჩელო განცხადებით მიმართა ბ. ბ-მემ მოპასუხე ხაშურის რაიონის 25-ე საშუალო სკოლის ადმინისტრაციის მიმართ სამუშაოზე აღდგენისა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურების მოთხოვნით.

ხაშურის რაიონული სასამართლოს 2002 წლის 20 მაისის გადაწყვეტილებით ბ. ბ-მის სარჩელი არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლობის გამო.

ხაშურის რაიონული სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ბ. ბ-მემ.

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2002 წლის 29 ნოემბრის განჩინებით ბ. ბ-მის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა ხაშურის რაიონული სასამართლოს 2002 წლის 20 მაისის გადაწყვეტილება.

თბილისის საოლქო სასამართლოს აღნიშნული განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ბ. ბ-მემ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2003 წლის 16 მაისის განჩინებით ბ. ბ-მის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2002 წლის 29 ნოემბრის განჩინება.

2005 წლის 18 თებერვალს ბ. ბ-მემ ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო განცხადებით მიმართა ხაშურის რაიონულ სასამართლოს და მოითხოვა ამავე სასამართლოს 2002 წლის 20 მაისის გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის წარმოების განახლება შემდეგი საფუძველებით:

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2005 წლის 11 თებერვლის წერილით მისთვის ცნობილი გახდა, რომ ხაშურის მე-9 (ყოფილი 25-ე) საშუალო სკოლა არ იყო დაფუძნებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის სახით, შესაბამისად, აღნიშნული სკოლის მასწავლებელი არ წარმოადგენდა საჯარო მოსამსახურეს, რომლის სამართლებრივი მდგომარეობა რეგულირდებოდა «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონით, რის გამოც მისი შრომითი ურთიერთობა უნდა მოწესრიგებულიყო საქართველოს შრომის კანონთა კოდექსით, რასაც ადგილი არ ჰქონია. განმცხადებლის განმარტებით, მე-9 საშუალო სკოლის ადმინისტრაციას პროფკომიტეტმა თანხმობა განუცხადა «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის 98-ე მუხლის შესაბამისად, რაც კანონსაწინააღმდეგო იყო. განმცხადებლის აზრით, სკოლის სტატუსი სწორად რომ გარკვეულიყო სასამართლოს მიერ, მიღებული იქნებოდა მისთვის სასარგებლო გადაწყვეტილება. აღნიშნულიდან გამომდინარე, ბ. ბ-მემ მოითხოვა ხაშურის რაიონული სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის წარმოების განახლება.

ხაშურის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 14 მარტის განჩინებით ბ. ბ-მის განცხადება არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლოების გამო. სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ხაშურის მე-9 საშუალო სკოლა თავის დროზე სასარგებლო წარმოებით საქმის განხილვის დაწყების დროისათვის და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო განცხადების განხილვის დროსაც წარმოადგენდა საბიუჯეტო დაწესებულებას. იგი ფინანსდებოდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან და «საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ» კანონის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, წარმოადგენდა სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებას. რაიონული სასამართლოს მითითებით, განმცხადებლის მოსაზრება, რომ მის მიერ ახლად აღმოჩენილ გარემოებად მიჩნეული ფაქტის რაიონული სასამართლოს მიერ ცოდნის შემთხვევაში დადგებოდა მისთვის სასარგებლო გადაწყვეტილება, არ იყო დასაბუთებული, ვინაიდან სკოლის ადმინისტრაცია მოქმედებდა თავისი უფლებამოსილების ფარგლებში, როგორც სახელმწიფო საბიუჯეტო დაწესებულება.

ხაშურის რაიონული სასამართლოს ზემოაღნიშნული განჩინება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ბ. ბ-მემ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საქმის წარმოების განახლება შემდეგი საფუძვლებით: ხაშურის მე-9 საშუალო სკოლა არ იყო დაფუძნებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის სახით. რაიონულმა სასამართლომ არ იმსჯელა მის მიერ წარდგენილ მტკიცებულებებზე და არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ მოპასუხის სტატუსის სწორად გარკვევის შემთხვევაში ნათელი გახდებოდა, რომ მისი სამუშაოდან დათხოვნა უკანონოდ მოხდა.

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა პალატის 2005 წლის 5 ივლისის საოქმო განჩინებით არ დაკმაყოფილდა ბ. ბ-მის შუამდგომლობა მოსამართლე ნ. ჭ-მის აცილების შესახებ.

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა პალატის 2005 წლის 5 ივლისის განჩინებით ბ. ბ-მის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა ხაშურის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 14 მარტის განჩინება შემდეგი მოტივით: განმცხადებლის მიერ დასახელებული გარემოება, რომ საქმის რაიონულ სასამართლოში განხილვისას საშუალო სკოლა არ წარმოადგენდა საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, არ შეიძლებოდა განხილულიყო ახლად აღმოჩენილ გარემოებად საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის პირველი ნაწილის «ვ» პუნქტის შესაბამისად, მით უფრო, იმ პირობებში, როდესაც აღნიშნულ საკითხზე მსჯელობა მიმდინარეობდა საქართველოს უზენაეს სასამართლოში. ამასთან, მხარე არც ერთი ინსტანციის სასამართლოში არ იყო შეზღუდული, წარედგინა განცხადებაში დასახელებული გარემოების დამადასტურებელი მტკიცებულება. მიუხედავად ამისა, ბ. ბ-მეს კიდევ რომ დაესახელებინა განცხადებაში მითითებული ახლად აღმოჩენილი გარემოებები, აღნიშნული ვერ გამოიწვევდა მოსარჩელისათვის ხელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანას, ვინაიდან საქმის განხილვის დროისათვის საშუალო სკოლა წარმოადგენდა საბიუჯეტო დაწესებულებას და საჯარო სამართლის იურიდიულ პირად დაფუძნების არარსებობა არ ცვლიდა საქმის ვითარებას, ვერ მოახდენდა არსებით გავლენას კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებაზე.

თბილისის საოლქო სასამართლოს 2005 წლის 5 ივლისის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ბ. ბ-მემ, რომელმაც მოითხოვა აღნიშნული განჩინების, ასევე, მოსამართლე ნ. ჭ-მის აცილებაზე უარის თქმის შესახებ სააპელაციო სასამართლოს 2005 წლის 5 ივლისის საოქმო განჩინების გაუქმება და საქმის ხელახლა განსახილველად სააპელაციო სასამართლოსათვის დაბრუნება შემდეგი საფუძვლებით:

საქმეზე ახლად აღმოჩენილ გარემოებას წარმოადგენდა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წერილი, რომლითაც დასტურდებოდა, რომ ქ. ხაშურის მე-9 საშუალო სკოლა არ იყო დაფუძნებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის სახით. «საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ» კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საჯარო სამართლის იურიდიული პირი წარმოიშობოდა წესდების დამტკიცების მომენტიდან, რაც მოცემულ შემთხვევაში არ არსებობდა. ასეთ ვითარებაში, როდესაც ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის წესდება დამტკიცებული და რეესტრში გატარებული არ ყოფილა, ვერ მიიჩნეოდა მისთვის საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსის მინიჭება. შესაბამისად, პედაგოგი არ ითვლებოდა საჯარო მოხელედ და მისი შრომითი ურთიერთობა სკოლასთან საქართველოს შრომის კანონთა კოდექსით უნდა დარეგულირებულიყო.

კასატორი უთითებდა, რომ სასამართლომ დაარღვია საქმის განსჯადობის წესები, ვინაიდან «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის მე-4 მუხლის თანახმად, საჯარო მოსამსახურეს განეკუთვნებოდა პირი,

რომელიც ეწეოდა ანაზღაურებად საქმიანობას სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის დაწესებულებაში, ამავე კანონის მე-2 მუხლი შეიცავდა სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის დაწესებულებების ჩამონათვალს, სადაც სასკოლო დაწესებულება არ შედიოდა. ამდენად, მასწავლებელი არ წარმოადგენდა საჯარო მოხელეს, რის გამოც არასწორი იყო სკოლის დირექციის ადმინისტრაციულ ორგანოდ, ხოლო საქმის ადმინისტრაციულ დავად მიჩნევა.

კასატორი არ დაეთანხმა სააპელაციო სასამართლოს მითითებას, რომ მას სარჩელის განხილვისას სამივე ინსტანციის სასამართლოში შეეძლო მტკიცებულებათა წარდგენა. კასატორმა მიუთითა, რომ აღნიშნულის შესაძლებლობა არ ჰქონდა, ვინაიდან ეყრდნობოდა 1997 წლის კანონს «განათლების შესახებ».

კასატორმა სააპელაციო სასამართლოს ზემოაღნიშნულ განჩინებასთან ერთად სადავოდ გახადა მოსამართლე ნ. ჭ-მის აცილებაზე უარის თქმის შესახებ სააპელაციო სასამართლოს 2005 წლის 5 ივლისის საოქმო განჩინება იმ მოტივით, რომ ნ. ჭ-მე სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 31-ე მუხლის «დ» ქვეპუნქტის საფუძველზე პირდაპირ და არაპირდაპირ დაინტერესებული იყო საქმის შედეგით. აღნიშნულს, კასატორის მოსაზრებით, ადასტურებდა ის გარემოება, რომ სასამართლო სხდომის ოქმში სხვაგვარად იყო ასახული მოსამართლის ნათქვამი, ასევე, მოსამართლემ არ დააკმაყოფილა მისი შუამდგომლობა შრომის წიგნაკის გადაცემის შესახებ, მოსამართლემ მისი სააპელაციო საჩივარი თავდაპირველად განუხილველად დატოვა გასაჩივრების ვადის გაშვების მოტივით, რაზედაც იძულებული გახდა კერძო საჩივარი შეეტანა, ასევე, საჩივრის განხილვის დროს იგი აყენებდა მოთხოვნას დოკუმენტის გამცემი ორგანოს – განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარმომადგენლის მოწვევის შესახებ სასამართლოსათვის განმარტების მისაცემად, რაც მოსამართლემ ასევე არ დააკმაყოფილა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ბ. ბ-მის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, უცვლელად დარჩეს თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2005 წლის 5 ივლისის განჩინებები, შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის პირველი ნაწილის «ვ» ქვეპუნქტი ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლებას უკავშირებს მხოლოდ ისეთი გარემოებების ან მტკიცებულებების არსებობას, რომლებიც ადრე რომ ყოფილიყო წარდგენილი სასამართლოში საქმის განხილვის დროს, გამოიწვევდა განმცხადებლისათვის ხელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანას. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, მითითებული წანამძღვრით საქმის განახლება დასაშვებია, თუ მხარეს თავისი ბრალის გარეშე არ ჰქონდა შესაძლებლობა, საქმეზე წარმოების დასრულებამდე მიეთითებინა ასეთ გარემოებებსა და მტკიცებულებებზე.

მოცემულ შემთხვევაში კასატორი საქმეზე ახლად აღმოჩენილ გარემოებად მიიჩნევს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წერილს, რომელშიც მითითებულია, რომ ქ. ხაშურის მე-9 საშუალო სკოლას არ ჰქონდა რეგისტრირებული წესდება და არ ყოფილა დაფუძნებული საჯარო სამართლის იურიდიულ პირად. აქედან გამომდინარე, კასატორი სადავოდ ხდის მე-9 საშუალო სკოლის, როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსს და მიაჩნია, რომ მისი სარჩელის სასამართლო განხილვის დროს აღნიშნული გარემოების ცოდნა გამოიწვევდა მისთვის ხელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანას, იმდენად, რამდენადაც საქმე არ განიხილებოდა ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით და სასამართლო იხელმძღვანელებდა შრომის კანონთა კოდექსის ნორმებით.

«საჯარო სამსახურის შესახებ» კანონი ითვალისწინებს საჯარო სამართლის იურიდიული პირის შექმნის სხვადასხვა საფუძველს, მათ შორის, აღნიშნული კანონის მე-2 მუხლისა და მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის «ა» ქვეპუნქტის თანახმად, საჯარო სამართლის იურიდიული პირი შესაძლებელია შეიქმნას კანონის საფუძველზე. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნის არსებობა ვერ მოახდენს გავლენას კონკრეტული ორგანიზაციის, როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირის კანონით განსაზღვრულ ობიექტურ სტატუსზე. მოცემულ შემთხვევაში ხაშურის მე-9 საშუალო სკოლა საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსის მატარებელია სადავო პერიოდში მოქმედი «განათლების შესახებ» კანონის თანახმად, რომელიც ითვალისწინებს, რომ სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც არ არის შექმნილი კერძო სამართლის იურიდიული პირის ფორმით, წარმოადგენს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს (24-ე მუხლის მე-2 ნაწილი). დადგენილია და არ არის სადავო, რომ ხაშურის მე-9 საშუალო სკოლა არ განეკუთვნებოდა კერძო სამართლის იურიდიულ პირს და წარმოადგენდა საბიუჯეტო დაწესებულებას. ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ, მიუხედავად მე-9 საშუალო სკოლის მიერ სათანადო წესდების რეგისტრაციის არქონისა, აღნიშნული სკოლა ვერ გახდებოდა კერძო სამართლის სუბიექტი და შესაბამისად, აღნიშნული გავლენას ვერ მოახდენდა სკოლის მიერ კანონით მინიჭებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსის ობიექტურად ქონაზე.

საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ თავად კასატორი საკასაციო საჩივარში მიუთითებს, რომ თავის დროზე საქართველოს უზენაეს სასამართლოში საქმის განხილვის წინა პერიოდში გაეცნო და საკასაციო სასამართლოში წარადგინა «სახელმწიფო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებათა ტიპური დებულების დამტკიცებისა და თანმდევ ღონისძიებათა შესახებ» განათლების მინისტრის 2003 წლის 25 თებერვლის

#16 ბრძანება, რომლის შესაბამისად, სკოლებს მიეცათ ვადა განათლების სამინისტროში საკუთარი წესდების წარსადგენად და დასამტკიცებლად. განმცხადებელს, რომელიც იცნობდა «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის მე-5 მუხლის პირველი ნაწილის მოთხოვნას, სრული შესაძლებლობა ჰქონდა, საქმის განხილვის პერიოდშივე მიემართა განცხადებით განათლების სამინისტროსათვის და გაერკვია მითითებული მუხლის მოთხოვნის შესრულების საკითხი. ამდენად, საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას, რომ განმცხადებელს შეეძლო, მისი სარჩელის განხილვის პროცესში მოეხდინა აპელირება განცხადებაში დასახელებულ გარემოებაზე, თუმცა აღნიშნული ვერ მოახდინდა გავლენას ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის, როგორც საჯარო სამართლის სუბიექტის სტატუსის ქონასა და საქმის ადმინისტრაციული წესით განსჯადობაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კასატორი ვერ ადასტურებს თავის განცხადებაში სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის პირველი ნაწილის «ვ» პუნქტის შესაბამისად საქმის წარმოების განახლების წანამდგრების არსებობას.

რაც შეეხება კასატორის მოთხოვნას მოსამართლე ნ. ჭ-მის აცილებაზე უარის თქმის თაობაზე სააპელაციო სასამართლოს 2005 წლის 5 ივლისის საოქმო განჩინების გაუქმების შესახებ, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ აღნიშნული მოთხოვნა სრულიად დაუსაბუთებელია. მოცემულ მოთხოვნას კასატორი მთლიანად აფუძნებს სააპელაციო სასამართლოს მიერ სხვადასხვა საპროცესო მოქმედების არასწორად განხორციელებაზე და ვერ მიუთითებს საქმეზე კოლეგიური შემადგენლობის კონკრეტული მოსამართლის პირდაპირი ან არაპირდაპირი დაინტერესების დამადასტურებელ რაიმე რეალურ გარემოებაზე, რაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 31-ე მუხლის «დ» ქვეპუნქტის თანახმად მოსამართლის აცილების საფუძველი იქნებოდა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს საკასაციო საჩივრის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე-394-ე მუხლებით გათვალისწინებული საფუძველები, წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი სრულიად უსაფუძველოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 39-ე მუხლის პირველი ნაწილის «ვ» ქვეპუნქტის თანახმად, კასატორს (განმცხადებელს) უნდა დაეკისროს სახელმწიფო ბაჟის სახით 100 ლარის გადახდა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 39-ე მუხლის პირველი ნაწილის «ვ» ქვეპუნქტით, 399-ე მუხლით, 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 410-ე მუხლით და

დაადგინა:

1. ბ. ბ-მის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. უცვლელად დარჩეს თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა პალატის 2005 წლის 5 ივლისის განჩინებები.
3. ბ. ბ-მეს დაეკისროს სახელმწიფო ბაჟის სახით 100 ლარის გადახდა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ;
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ზიანის ანაზღაურება; მინდობილობა

განჩინება

#ბს-335-319(კ-06)

1 ნოემბერი, 2006 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა

**შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე),
ნ. ქადაგიძე (მომხსენებელი),
ნ. წკეპლაძე**

დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

2004 წლის 24 სექტემბერს დ. ხ-შვილმა სასარჩელო განცხადებით მიმართა დუშეთის რაიონულ სასამართლოს მოპასუხე მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტის დუშეთის სამმართველოს მიმართ ზიანის ანაზღაურების თაობაზე.

მოსარჩელე სასარჩელო განცხადებაში მიუთითებდა, რომ 2004 წლის 25 მაისს მიწის ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების საფუძველზე მისმა მარწმუნებელმა, ე. ს-ავამ, ი. ვ-იან-რ-ინასაგან შეიძინა მიწის ნაკვეთი, თვითონ კი წავიდა სამუშაოდ საბერძნეთში. ვინაიდან, ე. ს-ავას მისი ვალი ჰქონდა და გამგზავრებისათვის ესაჭიროებოდა გარკვეული თანხა, მან მინდობილობით საკუთრებაში (სრული განკარგვის უფლებით) გადასცა მიწის ნაკვეთი სახლით (ნაგებობით). მოსარჩელის განმარტებით, მან 2003 წლის გაზაფხულ-ზაფხულში ჩაატარა სახლის სარემონტო სამუშაოები და 2004 წელს მიმართა დუშეთის რაიონის მიწის მართვის სამმართველოს, რომელმაც სათანადო სარეგისტრაციო გადასახადის გადახდის შემდგომ, ქონება რეგისტრაციაში მის სახელზე გაატარა და მიიღო საკუთრების საჯარო რეესტრის ამონაწერი საკადასტრო რუკით და საკუთრების სარეგისტრაციო მოწმობით #38/04 03.02.04წ. ამის შემდგომ, როდესაც მივიდა აღნიშნულ სახლში, იქ დახვდა სხვა მოქალაქე - ს. ლ-ინა, რომელსაც იმავე მიწის ნაკვეთი სხვა ნუმერაციით შეუძენია ვ. რ-ინამდე არსებული მესაკუთრის, თ. გ-ელის რწმუნებულის - ს. მ-ძისგან (მიწის ნაკვეთის რეგისტრაციის #0-35/13/028), მაშინ, როდესაც იგივე ნაკვეთი ნაგებობით მის საკუთრებად ისევე იყო რეგისტრირებული (#77/31028), როგორც - ვ-იან-რ-ინაზე.

მოსარჩელის მითითებით, ზემოაღნიშნულ ფაქტზე მიწის მართვის დუშეთის სამმართველომ პასუხი არ გასცა და ბოლოს, მისი მარწმუნებლის დაჟინებული მოთხოვნის შემდეგ, დუშეთის მიწის მართვის სამმართველომ აცნობა, რომ მისი საკუთრების რეგისტრაცია არასწორად იყო წარმოებული, იგი გაუქმებას ექვემდებარებოდა და ეს პასუხი მიღებული უნდა ყოფილიყო ცნობის სახით. ამ დროს კი მიწის ნაკვეთსა და სახლში გადაიხადა 6000 აშშ დოლარი, სახლს ჩაუტარა სარემონტო სამუშაოები და მთელი წლის განმავლობაში ცდილობდა აღნიშნული საკითხის გარკვევას.

მოსარჩელის განმარტებით, მიწის მართვის დუშეთის სამმართველოს უფროსის პასუხი არ შეესაბამება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის არც ერთი მუხლის მოთხოვნებს. სამმართველოში არსებულმა დარღვევებმა, არასწორმა ნუმერაციამ, საჯარო მონაცემების საფუძველზე მიღებულმა არასწორმა ინფორმაციამ მიაყენა მატერიალური და მორალური ზიანი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელე ითხოვდა მიწის მართვის დეპარტამენტის დუშეთის სამმართველოს მიერ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გაუქმებით მიღებული ზარალის - 8500 აშშ დოლარის მის სასარგებლოდ ანაზღაურებას.

დუშეთის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 9 ნოემბრის განჩინებით მოპასუხე მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტის დუშეთის სამმართველო შეიცვალა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოთი.

დუშეთის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 23 დეკემბრის გადაწყვეტილებით დ. ხ-შვილის სასარჩელო განცხადება დაკმაყოფილდა; მოპასუხე - საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 8500 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის ანაზღაურება.

რაიონული სასამართლო გადაწყვეტილებაში მიუთითებდა, რომ «მიწის რეგისტრაციის შესახებ» საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, მიწისა და სხვა უძრავ ქონებაზე გაიცემა მხოლოდ ერთი სარეგისტრაციო მოწმობა. ამავე კანონის 36-ე მუხლის თანახმად, რეგისტრატორს არასრულყოფილი მონაცემების არსებობისას მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლია შესაწოროს დოკუმენტი თუ მატერიალურ ზეგავლენას არ ახდენს მესაკუთრის ინტერესებზე. სასამართლოს განმარტებით, დ. ხ-შვილს ისე გაუუქმეს საკუთრების უფლების რეგისტრაცია, რომ მისთვის არც უცნობებიათ. აღნიშნულის თაობაზე მოსარჩელისათვის მას შემდეგ გახდა ცნობილი, როცა მას უკვე ჩატარებული ჰქონდა სარემონტო სამუშაოები, რის შემდეგაც მან მიიღო მატერიალური ზარალი.

მითითებული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ.

აპელანტი სააპელაციო საჩივარში მიუთითებდა, რომ სასამართლო გადაწყვეტილებაში არ უთითებს იმ მტკიცებულებასა და გარემოებაზე, აგრეთვე იმ ნორმატიულ აქტზე, თუ საიდან გამოთვალეს დაკისრებული თანხა - 8500 ლარი და სააგენტოს რატომ დააკისრეს, მაშინ, როცა სსკ-ის 249-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში უნდა აღნიშნოს სასამართლოს მიერ დადგენილი გარემოებანი, მტკიცებულებები, რომლებსაც ემყარება სასამართლოს დასკვნები. მოსაზრებანი, რომლებითაც უარყოფს ამა თუ იმ მტკიცებულებებს და კანონებს, რომლითაც სასამართლო ხელმძღვანელობდა.

აპელანტის განმარტებით, რაიონული სასამართლო თავის გადაწყვეტილებას თანხის დაკისრების თაობაზე საფუძვლად უდებს იმ ფაქტს, რომ, თითქოს რეგისტრაცია დ. ხ-შვილზე გაუქმდა და მას აღნიშნულით მატერიალური ზიანი მიადგა, რაც სინამდვილეს არ შეესაბამება, ვინაიდან საკუთრების უფლების რეგისტრაცია არ განხორციელებულა. აღნიშნულთან დაკავშირებით, დუშეთის სარეგისტრაციო სამსახურში საადრიცხო ბარათი არ გახსნილა. «მიწის რეგისტრაციის შესახებ» საქართველოს კანონის მე-7 მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, ყოველ რეგისტრატურაში ინახება მიწის და სხვა უძრავი ქონების საადრიცხო (სარეგისტრაციო) ბარათები და სარეგისტრაციო რუკები. საადრიცხო ბარათზე მოცემული ჩანაწერები არის აღნიშნულ ქონებასთან დაკავშირებით სამართლებრივი მდგომარეობის განსაზღვრის ძირითადი იურიდიული საფუძველი. ამდენად, აპელანტის მითითებით, მოსარჩელეს საკუთრების უფლება არ წარმოშობია და, შესაბამისად, მისი გაუქმებაც უსაფუძვლოა. ამასთან,

გადაწყვეტილებიდან არ ჩანს, რა მატერიალური ზარალი განიცადა მხარემ და არც საქმეში მოიპოვება შესაბამისი მტკიცებულებები.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, აპელანტი ითხოვდა დუშეთის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 23 დეკემბრის გადაწყვეტილების გაუქმებასა და ახალი გადაწყვეტილებით მოსარჩელისათვის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2006 წლის 17 მარტის გადაწყვეტილებით საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; გაუქმდა დუშეთის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 23 დეკემბრის გადაწყვეტილება და ახალი გადაწყვეტილებით დ. ხ-შვილის სასარჩელო განცხადება არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლო გადაწყვეტილებაში მიუთითებდა, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 158-ე მუხლის შესაბამისად, ივარაუდება, რომ ნივთის მფლობელი არის მისი მესაკუთრე, ეს წესი არ მოქმედებს იმ შემთხვევაში, როცა ნივთზე საკუთრებითი ურთიერთობის ხასიათი ვლინდება საჯარო რეესტრიდან. ამავე კოდექსის 183-ე მუხლის თანახმად კი უძრავი ნივთის შესაძენად აუცილებელია სანოტარო წესით დამოწმებული საბუთი და შემძენის რეგისტრაცია საჯარო რეესტრში. ე. ს-ავაზე საჯარო რეესტრში სადავო ქონება რეგისტრირებული არ ყოფილა. აქედან გამომდინარე, იგი არ წარმოადგენდა სადავო მიწის ნაკვეთისა და შენობა-ნაგებობების მესაკუთრეს.

პალატის განმარტებით, სარჩელს ახლავს 2003 წლის 28 ნოემბრის მინდობილობის დაუმოწმებელი ქსეროასლი, სადაც აღნიშნულია, რომ ე. ს-ავა უფლებამოსილებას ანიჭებს დ. ხ-შვილს, დაბადებულს 1953 წელს ქ. ბათუმში, მცხოვრებს ბათუმში, ... ქ. #11-ში. აღნიშნული მინდობილობის საფუძველზე მის განკარგულებაშია მისი უძრავი საკუთრება, რომელიც შედგება მიწის ნაკვეთისა და შენობისაგან და მდებარეობს რეგისტრირებულ ზონაში - ... რაიონში, კოდი-71, სექტორი - ... საკრებულო, კოდი - 13, მეოთხედი #07, მიწის ნაკვეთი - #..., ფართობი - 594 კვ.მ, მისამართი - ... უფლება-საკუთრება, ძირითადი ფუნქცია - სასოფლო-სამეურნეო; ზემოაღნიშნულ პიროვნებას უფლება აქვს, საკუთრება მისი შეხედულებისამებრ გაყიდოს, გააჩუქოს, გააქირავოს, საკუთარი სარგებლობისათვის გამოიყენოს. მინდობილობაში მითითებული არ არის, რომ დ. ხ-შვილს უფლება აქვს, იგი თავის საკუთრებად აქციოს.

«საქართველოს საკონსულო დაწესებულებათა შესახებ» კანონის 55-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, ე. ს-ავას მიერ გაცემული მინდობილობა ლეგალიზებული არ არის საკონსულო დაწესებულების მიერ, რის გამოც საქართველოს დაწესებულებაში იგი არ მიიღება და საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედ დოკუმენტად ვერ განიხილება.

ის გარემოება, რომ დ. ხ-შვილი მესაკუთრედ იქნა რეგისტრირებული საჯარო რეესტრში, სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა, ვინაიდან, ჯერ ერთი, მის მიერ წარმოდგენილი საჯარო რეესტრის ამონაწერის თანახმად, იგი (ამონაწერი) თავად წარმოადგენს ქსეროასლს, რომელზედაც, მართალია, დასმულია მრგვალი ბეჭედი, მაგრამ არ აქვს რეგისტრატორის ხელმოწერა და აღნიშნული აუცილებელი რეკვიზიტის გარეშე კი იგი არ წარმოადგენს დასრულებულ საბუთს. მეორეც, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლის განმარტების თანახმად, დ. ხ-შვილის სახელზე საადრიცხვო ბარათი არ არსებობს, მასალების მიხედვით, იგი რეგისტრირებული არ ყოფილა, საადრიცხვო ბარათი არ არსებობს არც გაუქმებული სახით. აქედან გამომდინარე, ის გარემოება, რომ დ. ხ-შვილის სახელზე განხორციელდა საკუთრების რეგისტრაცია და გაიხსნა საადრიცხვო ბარათი, არ დასტურდება, მით უფრო, რომ საქმის მასალების თანახმად, ასეთი რეგისტრაციის განხორციელების არანაირი სამართლებრივი საფუძველი არ არსებობდა.

აქედან გამომდინარე, დ. ხ-შვილს მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოსაგან მატერიალური ზიანი ვერ მიადგებოდა. ამასთან, დ. ხ-შვილს ზიანის არსებობის რაიმე დამადასტურებელი საბუთი სასამართლოსათვის არ წარუდგენია.

მითითებული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა დ. ხ-შვილმა.

კასატორი საკასაციო საჩივარში მიუთითებდა, რომ აპელანტის მიერ გაშვებული იყო აპელაციის შეტანის ერთოვანი ვადა, რასაც ადასტურებს დუშეთის რაიონული სასამართლოს გზავნილთა რეესტრი, რომლითაც დასტურდება, რომ აპელანტს გადაწყვეტილება გაეგზავნა 2004 წლის 28 დეკემბერს, ხოლო აპელაცია წარადგინა 2005 წლის 4 აპრილს, რითაც დაირღვა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 389-ე მუხლის მოთხოვნები.

კასატორის განმარტებით, სააპელაციო პალატამ გადაწყვეტილების გამოტანის დროს მთლიანად გაიზიარა აპელანტის მიერ წარმოდგენილი არგუმენტი იმის თაობაზე, რომ დ. ხ-შვილის საკუთრების უფლების რეგისტრაცია არ განხორციელებულა, რადგან დუშეთის სარეგისტრაციო სამსახურში საადრიცხვო ბარათი არ არის გახსნილი. კასატორის მოსაზრებით, ეს არგუმენტი სინამდვილეს არ შეესაბამება, ვინაიდან მის მიერ წარდგენილ სარჩელს საფუძვლად უდევს მაშინდელი მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტის დუშეთის სამმართველოს მიერ გაცემული მიწის სარეგისტრაციო მოწმობა და ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, რომლის არსებობა-გაუქმებას ადასტურებს სამმართველოს მაშინდელი ხელმძღვანელის - ნ. კ-შვილის წერილი, ხოლო, რაც შეეხება საადრიცხვო ბარათს, ის უნდა შეევესო დუშეთის რაიონული სამმართველოს ხელმძღვანელს და არა მოსარჩელეს.

კასატორის მითითებით, საქმეში არის მტკიცებულება სხდომის ოქმის სახით, რომ სასამართლოს სხდომა რვაჯერ გადაიდო მოპასუხე - აპელანტის გამოუცხადებლობის გამო, არ წარმოადგინა შეპასუხება, მიუხედავად იმისა, რომ ისინი პირადად აზარებდნენ სასამართლო უწყებას. აპელანტმა მხოლოდ სააპელაციო სასამართლოში წარმოადგინა ის მტკიცებულება, რომელიც რაიონული სასამართლოსთვის არ იყო ცნობილი.

ამასთან, მოსარჩელეს ჰქონდა რა კანონიერი ნდობა ადმინისტრაციული ორგანოსადმი, მიმართა მას საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების რეგისტრაციის შესახებ და თუ მოსარჩელეს არ გააჩნდა საამისოდ კანონით გათვალისწინებული დოკუმენტები, დუშეთის სარეგისტრაციო სამსახურს უარი უნდა ეთქვა რეგისტრაციაზე და განემარტა კანონის მოთხოვნები, მოპასუხეს არ უნდა გამოეყენებინა მისი ნდობა ბოროტად; მოსარჩელეს ექვი არ შეჰპარვია სარეგისტრაციო მოწმობის სისწორეში, ვინაიდან იგი გაცემული იყო სახელმწიფო მოხელის მიერ და არ იყო ვალდებული, შეემოწმებინა, ვინაიდან ადმინისტრაციული წარმოება უნდა შეესრულებინა სახელმწიფო მოსამსახურეს და არა მოქალაქეს, გამომდინარე აქედან, სააპელაციო პალატას უნდა გამოეყენებინა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 1005-ე მუხლი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორი ითხოვდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2006 წლის 17 მარტის გადაწყვეტილების ბათილად ცნობასა და ახალი გადაწყვეტილებით მისი სასარჩელო განცხადების დაკმაყოფილებას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ დ. ხ-შვილის საკასაციო საჩივარი უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

კასატორ დ. ხ-შვილის საკასაციო საჩივრის დასაშვებობის ძირითად საფუძვლად საკასაციო სასამართლოს მიერ მიჩნეულ იქნა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34.3 მუხლის «გ» პუნქტი, კერძოდ, კასატორი მიუთითებდა, რომ საქმე განხილული იყო მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევით, რამაც არსებითად იმოქმედა საქმის განხილვის შედეგზე. კასატორი თვლიდა, რომ აპელანტის - საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მხრიდან გაშვებული იყო გადაწყვეტილების გასაჩივრების კანონით განსაზღვრული ვადა.

კასატორის პრეტენზიის საფუძველზე საკასაციო სასამართლომ შეამოწმა ზემოაღნიშნული დარღვევის არსებობის ფაქტი, რის შედეგადაც საკასაციო სასამართლო თვლის, რომ კასატორის პრეტენზია უსაფუძვლოა და არ ექვემდებარება გაზიარებას.

საქმეში წარმოდგენილია რეესტრის ამონაწერი, რომელშიც მოწინააღმდეგე მხარისათვის დუშეთის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილების ჩაბარების თარიღად მითითებულია 2005 წლის 10 იანვარი, საგულისხმოა, რომ დუშეთის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ სააპელაციო საჩივრით გასაჩივრა 2005 წლის 11 აპრილს. საკასაციო სასამართლო სარეგისტრაციო ყურნალის შემოწმების შედეგად, სრულად იზიარებს მოწინააღმდეგე მხარის განმარტებას და თვლის, რომ სარეგისტრაციო ყურნალში ჩანაწერი განხორციელდა აშკარა შეცდომის საფუძველზე, კერძოდ, დ. ხ-შვილის გადაწყვეტილების ჩაბარების თაობაზე გაკეთებულ ჩანაწერამდე და მას შემდეგ წარმოებული ყველა მასალა თარიღდება 2005 წლის თებერვლით, რაც, სარეგისტრაციო ყურნალის უწყვეტი ნუმერაციის მხედველობაში მიღებით, გამორიცხავს იანვარში შემოსული კორესპონდენციის მითითებული ნომრით რეგისტრაციის შესაძლებლობას. ამასთან საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს საფოსტო გზავნილის არარსებობის ფაქტს, რაც საკასაციო სასამართლოს ართმევს დამატებითი მტკიცებულების გაანალიზების შესაძლებლობას.

რაც შეეხება გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერებას, საკასაციო სასამართლო ასევე უსაფუძვლოდ მიიჩნევს კასატორის პრეტენზიას და თვლის, რომ არ არსებობს მისი გაზიარების მატერიალურ-პროცესუალური საფუძველი.

როგორც საქმის მასალებით დასტურდება, დ. ხ-შვილის მოთხოვნას წარმოადგენს ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის გაუქმების საფუძველზე მისთვის ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 207-ე მუხლის შესაბამისად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურებისას გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესი.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005.2 მუხლის შესაბამისად, ზიანის ანაზღაურების ვალდებულება არ წარმოიშობა, თუ დაზარალებული განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით არ შეეცადა სამართლებრივი გზებით თავიდან აეცილებინა ზიანი.

კასატორი საჯარო რეესტრში მიწის ნაკვეთის რეგისტრაციის საფუძვლად მიუთითებს ი. ვ-იან-რ-ინასა და ე. ს-ავას შორის გაფორმებულ მიწის ნაყიდობის ხელშეკრულებასა და ვალის სანაცვლოდ ე. ს-ავასგან მისთვის, კასატორისათვის, ქონების მინდობილობის საფუძველზე საკუთრებაში გადაცემის ფაქტს.

საკასაციო სასამართლო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის საფუძველზე დადგინდად მიიჩნევს, რომ ი. ვ-იან-რ-ინსა და ე. ს-ავას შორის დადებული მიწის ნასყიდობის ხელშეკრულება, საჯარო რეესტრში კანონით დადგენილი წესით რეგისტრირებული არ ყოფილა, შესაბამისად, მიწის ნაკვეთიც არ აღრიცხულა ე. ს-ავას სახელზე.

მითითებული ფაქტობრივი გარემოება საკასაციო სასამართლოს აძლევს საფუძველს დაადასტუროს სააპელაციო სასამართლოს მხრიდან სამოქალაქო კოდექსის 158-ე, 183-ე მუხლების გამოყენების მართებულობა და თვლის, რომ კასატორისათვის იმთავითვე უნდა ყოფილიყო ცნობილი, რომ ე. ს-ავა არ წარმოადგენდა მიწის ნაკვეთისა და შენობა-ნაგებობების მესაკუთრეს.

იმ შემთხვევაშიც კი, თუ სასამართლო დადგინდად მიიჩნევდა ქონებაზე ე. ს-ავას საკუთრების უფლებას, აღნიშნული ვერ იქცეოდა მითითებული ქონების დ. ხ-შვილის სახელზე რეგისტრაციის საფუძველად. რა თვალსაზრისითაც საკასაციო სასამართლო სრულად იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მითითებას მინდობილობის იურიდიული ძალის არქონის თაობაზე და აქვე ყურადღებას მიაქცევს სამოქალაქო კოდექსის 114-ე მუხლს, რომლის შესაბამისადაც, თუ თანხმობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, წარმომადგენელს არ შეუძლია წარმოდგენილი პირის სახელით საკუთარ თავთან თავისი სახელით ან, როგორც მე-3 პირის წარმომადგენელმა, დადოს გარიგება, გარდა იმ შემთხვევისა, როცა გარიგება უკვე არსებობს რაიმე ვალდებულების შესასრულებლად. მითითებული მუხლის დებულებები იმთავითვე გამორიცხავდა შესაძლებლობას, კასატორს ქონება დაერეგისტრირებინა საკუთარ სახელზე.

ყოველივე აღნიშნული საკასაციო სასამართლოს აძლევს საფუძველს უდავოდ მიიჩნიოს, რომ ზიანის არსებობის შემთხვევაშიც კი (საყურადღებოა, რომ მხარე ვერ ადასტურებს ზიანის ფაქტს), მითითებული ზიანი ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან არ დაექვემდებარებოდა ანაზღაურებას, ვინაიდან ზიანის გამოწვევა განპირობებული იქნებოდა თავად კასატორის კანონშეუსაბამო ქმედებით.

რაც შეეხება კასატორის მსჯელობას მიწის რეგისტრაციის გაუქმების საკითხთან მიმართებაში, საკასაციო სასამართლო ამ ნაწილშიც ადასტურებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობის მართებულობას და აღნიშნავს, რომ საქმეში წარმოდგენილი საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტი არ შეიცავს კანონით ამ დოკუმენტისათვის დადგენილ რეკვიზიტებს, შესაბამისად, ეს დოკუმენტი მხარისათვის არ წარმოშობდა არანაირ სამართლებრივ შედეგს, ამასთან, იმის გათვალისწინებით, რომ კასატორის მიერ საქმის განხილვის არც ერთ ეტაპზე წარმოდგენილი არ არის თავად რეგისტრაციის სამართლებრივი სა-ფუძველი, აღნიშნული საეჭვოს ხდის თავად საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტის არსებობის ფაქტს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

დაადგინა:

1. დ. ხ-შვილის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2006 წლის 17 მარტის გადაწყვეტილება;
3. დ. ხ-შვილს გადახდეს სახელმწიფო ბაჟი 800 ლარის ოდენობით;
4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ნასყიდობის ხელშეკრულება

განჩინება

საქმე #ბს-977-931(კ-06) 29 მაისი, 2007 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა

**შემადგენლობა: ნ. წკებლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ნ. ქადაგიძე**

დავის საგანი: ნასყიდობის ხელშეკრულების გაუქმება, ადმინისტრაციული აქტის ბათილად ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

2006 წლის 12 იანვარს ხელვაჩაურის რაიონის გამგეობამ სარჩელი აღძრა ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში მოპასუხის - ხ. კ-ძის მიმართ, რომლითაც მოითხოვა ხელვაჩაურის რაიონის გამგეობასა

და ხ. კ-ძეს შორის 2005 წლის 18 ნოემბერს გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა.

საქმის გარემოებები:

«სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვისა და განკარგვის რაიონული კომისიის 2005 წლის 5 ოქტომბრის (ოქმი #13) დადგენილების დამტკიცების შესახებ» ხელვაჩაურის რაიონის გამგეობის 2005 წლის 19 ოქტომბრის #119 გადაწყვეტილების საფუძველზე, მოსარჩელე ხ. კ-ძეს საკუთრებაში გადაეცა დაბა . . . , რესტორან «მახინჯაურის» მიმდებარედ 1000 კვ/მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობი, სავაჭრო და მომსახურების ობიექტების მოსაწყობად. ხელვაჩაურის რაიონის გამგეობასა და მოქალაქე ხ. კ-ძეს შორის ნასყიდობის ხელშეკრულება გაფორმდა 2005 წლის 18 ნოემბერს.

სარჩელის ფაქტობრივი საფუძვლები:

ზემომოთხრობულ ტერიტორიაზე არ იყო ჩამოყალიბებული საკონკურსო პირობები, იმ პერიოდისათვის არ არსებობდა კონკრეტული კომპეტენტური უწყებების, კერძოდ: საავტომობილო გზების დეპარტამენტის, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს, «საქნაპირდაცვის», ტურიზმისა და კურორტების სახელმწიფო დეპარტამენტის თანხმობები. შესაბამისად, ვინაიდან არ არსებობდა უფლებამოსილი უწყებების სავალდებულო თანხმობები, ხელვაჩაურის რაიონის გამგეობის 2005 წლის 19 ოქტომბრის #119 გადაწყვეტილება კანონის მოთხოვნების დარღვევით იქნა მიღებული. ამდენად, 2005 წლის 18 ნოემბერს ხელვაჩაურის რაიონის გამგეობასა და მოქალაქე ხ. კ-ძეს შორის გაფორმებული უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულება ექვემდებარებოდა ბათილად ცნობას.

2006 წლის 25 იანვარს ხ. კ-ძემ აღძრა სარჩელი ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში მოპასუხე - ხელვაჩაურის რაიონის გამგეობის მიმართ, რომლითაც მოითხოვა ხელვაჩაურის რაიონის გამგეობის 2005 წლის 27 დეკემბრის #162 გადაწყვეტილების 2.6. პუნქტის ბათილად ცნობა და სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვისა და განკარგვის კომისიის 2005 წლის 5 ოქტომბრის #13 საოქმო გადაწყვეტილებისა და ხელვაჩაურის რაიონის გამგეობის 2005 წლის 19 ოქტომბრის #119 გადაწყვეტილების 1-ლი პუნქტის «ა», «ვ» ქვეპუნქტების ძალაში დატოვება.

საქმის გარემოებები:

მოსარჩელის სახელზე საკუთრების უფლებით ირიცხება არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, მდებარე ხელვაჩაურის რაიონის დაბა აღნიშნულ ქონებაზე საკუთრების უფლება მოსარჩელემ მოიპოვა 2005 წლის 18 ნოემბერს გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე და მისი საკუთრების უფლება რეგისტრირებულია საჯარო რეესტრში. მოსარჩელემ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლება მოიპოვა საკონკურსო პირობების დაცვით, კერძოდ, მიწის ნაკვეთზე მოპასუხემ გამოაცხადა კონკურსი, სადაც მოსარჩელემ ერთპიროვნულად გაიმარჯვა და სრულად გადაიხადა განსაზღვრული სავალდებულება. სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვისა და განკარგვის რაიონული კომისიის 05.10.05წ. #13 ოქმის თანახმად, კომისიამ კონკურსში გამარჯვებულად აღიარა მოსარჩელე და მას დაევალი ერთი თვის ვადაში შესაბამის საბანკო ანგარიშზე 14 400 ლარის გადახდა, რომელიც მოსარჩელემ გადაიხადა ვადაზე ადრე. მოპასუხემ 19.10.2005წ. მიიღო #119 გადაწყვეტილება, რომლითაც დამტკიცდა აღნიშნული კომისიის საოქმო დადგენილება; მითითებულ გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ მოსარჩელეს საკუთრებაში გადაუფორმდებოდა მიწის ნაკვეთი. მოპასუხის 2005 წლის 27 დეკემბრის #162 გადაწყვეტილებით გაუქმდა ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც მოსარჩელემ საკუთრების უფლება მოიპოვა მიწის ნაკვეთზე. ამავე გადაწყვეტილებით გაუქმდა ის ადმინისტრაციული აქტი, რომელიც გამოცემული იყო მიწის ნაკვეთზე.

სარჩელის სამართლებრივი საფუძვლები:

მოსარჩელემ მიუთითა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე, 56-ე 95.2, 97-ე, 98-ე მუხლებზე და განმარტა, რომ სადავო ადმინისტრაციული აქტის გამოცემით მოპასუხემ არ უზრუნველყო მოსარჩელის ინტერესების დაცვა, კერძოდ, არ აწარმოვა ადმინისტრაციული წარმოება, კმაშინ, როცა ამავე კოდექსის 96-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია, ადმინისტრაციული წარმოებისას გამოიკვილოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე. დაუშვებელია, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას საფუძვლად დაედოს ისეთი გარემოება ან ფაქტი, რომელიც კანონით დადგენილი წესით არ არის გამოკვლეული ადმინისტრაციული ორგანოს მიერ. მოცემულ შემთხვევაში მოპასუხემ საერთოდ არ გამოიკვლია საჭირო გარემოებები და დაარღვია მოსარჩელის უფლებები.

მოსარჩელის მოსაზრებით, ადმინისტრაციულმა ორგანომ არასწორად გამოიყენა და, შესაბამისად, არასწორად განმარტა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61.2 «გ» მუხლი, რამდენადაც მოსარჩელემ შესარულა ყველა ვალდებულება, რაც მოპასუხემ დაადგინა და რაც კონკურსით იყო განსაზღვრული. მან დროულად შეიტანა განცხადება და საბუთები; დროულად გადაიხადა ბე და მთლიანი ღირებულება, ასევე კანონის შესაბამისად, მასთან 2005 წლის 18 ნოემბერს სანოტარო აქტით გაფორმებულია ნასყიდობის ხელშეკრულება. ამასთან, მოსარჩელემ აღნიშნა, რომ სადავო ადმინისტრაციული აქტი

წარმოადგენს აღმჭურველ ადმინისტრაციულ აქტს, შესაბამისად, მისი გაუქმების სამართლებრივი საფუძველი არ არსებობდა.

რაიონული სასამართლოს 2006 წლის 2 მარტის საოქმო განჩინებით ზემოაღნიშნული სარჩელები გაერთიანდა ერთ წარმოებად.

რაიონული სასამართლოს 2006 წლის 2 მარტის გადაწყვეტილებით ხ. კ-ძის სარჩელი დაკმაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი ხელვაჩაურის რაიონის გამგეობის 2005 წლის 27 დეკემბრის #162 გადაწყვეტილების 2.6. პუნქტი, რომელიც ეხებოდა მოსარჩელე ხ. კ-ძის უფლებებს; ძალაში დარჩა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვისა და განკარგვის ხელვაჩაურის რაიონული კომისიის 2005 წლის 5 ოქტომბრის #13 საოქმო გადაწყვეტილება და ხელვაჩაურის რაიონის გამგეობის 2005 წლის 19 ოქტომბრის #119 გადაწყვეტილების 1-ლი პუნქტის «ა» ვ» ქვეპუნქტები, რომლითაც დამტკიცდა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვისა და განკარგვის რაიონული კომისიის 2005 წლის 5 ოქტომბრის #13 საოქმო გადაწყვეტილება და მოსარჩელეს საკუთრებაში გადაეცა დაბა ... მდებარე 1000 კვ.მ მიწის ნაკვეთი, ხოლო ხელვაჩაურის რაიონის გამგეობის სარჩელი არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლობის გამო, რაც რაიონულმა სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

რაიონულმა სასამართლომ დადგინდად მიიჩნია შემდეგი ფაქტები:

მოსარჩელე ხ. კ-ძის სახელზე საკუთრების უფლებით ირიცხება არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, მდებარე ხელვაჩაურის რაიონის დაბა ... აღნიშნულ ქონებაზე მან საკუთრების უფლება მოიპოვა 2005 წლის 18 ნოემბერს გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე და მისი საკუთრების უფლება რეგისტრირებულია საჯარო რეესტრში. ხელვაჩაურის რაიონის გამგეობის მიერ აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე გამოცხადდა საჯარო კონკურსი, რის თაობაზეც ოფიციალურად გამოქვეყნდა ადგილობრივ გაზეთ «კახაბერში». გაზეთში გამოქვეყნდა ასევე კონკურსის პირობებიც. ხ. კ-ძემ განსაზღვრულ დროში, 2005 წლის 20 სექტემბერს ბეს სახით შეიტანა 700 ლარი და მონაწილეობა მიიღო კონკურსში. სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვისა და განკარგვის რაიონული კომისიის 2005 წლის 5 ოქტომბრის #13 ოქმის თანახმად, კონკურსში გამარჯვებულად გამოცხადდა ხ. კ-ძე, რომელსაც დაევალა საბანკო ანგარიშზე ერთი თვის ვადაში 14400 ლარის შეტანა. საოქმო გადაწყვეტილების საფუძველზე, ხელვაჩაურის რაიონის გამგეობამ 2005 წლის 19 ოქტომბერს მიიღო #119 გადაწყვეტილება, რომლის პირველი პუნქტის «ა», «ვ» ქვეპუნქტების თანახმად, ხ. კ-ძეს დაბა ... რესტორან «მახინჯაურის» მიმდებარედ, საკუთრებაში გადაეცა 1000 კვ.მ მიწის ნაკვეთი სავაჭრო და მომსახურების ობიექტების მოსაწყობად. ამავე გადაწყვეტილების მე-2 პუნქტის «ბ» ქვეპუნქტის თანახმად, ხ. კ-ძეს დაევალა ერთი თვის ვადაში უზრუნველყო კონკურსზე საბოლოოდ დადგინილი თანხის შესაბამის ანგარიშზე გადახდა. ხ. კ-ძემ 2005 წლის 15 ნოემბერს შესაბამის ანგარიშზე გადაიხადა აღნიშნული მიწის საპრივატიზაციო გადასახადი 13700 ლარი და შეასრულა ის ვალდებულებები, რაც ხელვაჩაურის რაიონის გამგეობამ 2005 წლის 19 ოქტომბრის #119 გადაწყვეტილებით განსაზღვრა. აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე 2005 წლის 18 ნოემბერს მხარეთა შორის გაფორმდა უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება, რომელიც დამოწმებულია ხელვაჩაურის რაიონის ნოტარიუს თ. ჩამბას მიერ და ხელშეკრულება რეგისტრირებულია საჯარო რეესტრში. აღნიშნული ხელშეკრულების საფუძველზე ხ. კ-ძე რეგისტრირებულია მიწის ნაკვეთის მესაკუთრედ. მოსარჩელემ სარჩელით მოითხოვა ხელვაჩაურის რაიონის გამგეობის მიერ 2005 წლის 27 დეკემბერს მიღებული #162 გადაწყვეტილების იმ ნაწილების ბათილად ცნობა, რომლითაც მისი კანონიერი ინტერესები ირღვევა.

სასამართლოს შეფასებით, სადავო გადაწყვეტილება წარმოადგენდა ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, ხოლო ხ. კ-ძე, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 «ბ» მუხლის თანახმად, ითვლება დაინტერესებულ მხარედ, რამდენადაც გასაჩივრებული #162 ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი უშუალო და პირდაპირ გავლენას ახდენდა მის კანონიერ ინტერესებზე. სასამართლოს დასკვნით, ხელვაჩაურის რაიონის გამგეობას 2005 წლის 27 დეკემბრის #162 გადაწყვეტილების მიღების დროს არ ჩაუტარებია ადმინისტრაციული წარმოება. შესაბამისად, სასამართლომ გაიზიარა მოსარჩელე ხ. კ-ძის წარმომადგენლის მოსაზრება, რომ მოპასუხე ხელვაჩაურის რაიონის გამგეობამ სადავო აქტის გამოცემის დროს დაარღვია ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის «ბ» პუნქტის, მე-3, 53-ე, 56-ე, 95.2, 96-ე, 97-ე მუხლების მოთხოვნები, შესაბამისად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ეწინააღმდეგებოდა მოქმედ კანონმდებლობას, ამასთან დარღვეული იყო მისი მომზადებისა და გამოცემის წესები. ხელვაჩაურის რაიონის გამგეობამ 27.12.2005წ. #162 გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივ საფუძველად მიუთითა სზაკ-ის 61.2 «გ» მუხლზე, რომლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილი არ არის, ძალადაკარგულად გამოაცხადოს კანონის შესაბამისად გამოცემული, აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, გარდა იმ შემთხვევისა, თუ დაინტერესებულმა მხარემ არ შეასრულა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგინილი ვალდებულება, რომლის შეუსრულებლობაც კანონმდებლობის შესაბამისად, შეიძლება გახდეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების საფუძველი.

სასამართლოს განმარტებით, სასამართლოს მთავარ სხდომაზე მოპასუხის - ხელვაჩაურის რაიონის გამგეობის წარმომადგენლებმა დაადასტურეს ის გარემოება, რომ ხ. კ-ძეს ჯეროვნად ჰქონდა შესრულებული ყველა ის ვალდებულება, რაც სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო

დანიშნულების მიწის მართვისა და განკარგვის ხელვაჩაურის რაიონული კომისიის 05.10.2005წ. #13 ოქმით და ხელვაჩაურის რაიონის გამგეობის 19.10.2005წ. #119 გადაწყვეტილებით იქნა დადგენილი. შესაბამისად, სასამართლოს შეფასებით, აღნიშნული გარემოებები აბსოლუტური საფუძველი იყო გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათლად გამოცხადებისათვის, რადგან მისი შინაარსი ეწინააღმდეგებოდა კანონს და დარღვეული იყო მისი მომზადებისა და გამოცემის წესები.

სასამართლოს შეფასებით, ხელვაჩაურის რაიონის გამგეობის მიერ გასაჩივრებული 2005 წლის 18 ნოემბრის ნასყიდობის ხელშეკრულება წარმოადგენდა ადმინისტრაციულ ხელშეკრულებას. მოცემულ შემთხვევაში მხარეთა შორის 2005 წლის 18 ნოემბერს ნასყიდობის ხელშეკრულების დადებისას დაცული იყო საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, კერძოდ, 70.1. მუხლის მოთხოვნა. ხელვაჩაურის რაიონის გამგეობა მოითხოვდა 2005 წლის 18 ნოემბრის ნასყიდობის ხელშეკრულების ბათლად ცნობას იმ საფუძველით, რომ აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე კონკურსის გაცემისას არ არსებობდა საავტომობილო გზების, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს, «საქნაპირდაცვის», ტურიზმისა და კურორტების სახელმწიფო დეპარტამენტის თანხმობები, ხოლო, სასამართლოს დასკვნით, მსგავსი საფუძველით საქართველოს სამოქალაქო კოდექსი არ ითვალისწინებს უძრავ ნივთზე დადებული ხელშეკრულების ბათლად ცნობას.

რაიონულმა სასამართლომ გამოიყენა «სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრებაში ან სარგებლობაში განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ» იუსტიციის მინისტრის 2000 წლის 10 მაისის #65 ბრძანების 1.6 მუხლი და განმარტა, რომ სასარგებლო წიაღისეულისა და დაცული ტერიტორიების, წიაღით სარგებლობის ობიექტებზე მიწის მინაკუთვნის, იშვიათი და უნიკალური არქეოლოგიური, კულტურული და ისტორიული ძეგლების გავრცელების, აგრეთვე, საავტომობილო გზების პერსპექტიული განვითარების საზღვრებში, კურორტებისა და საკურორტო ადგილების სანიტარულ ზონებში სახელმწიფო მიწა განიკარგება მხოლოდ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს, კულტურის სამინისტროს, გეოლოგიის სახელმწიფო დეპარტამენტისა და მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის თანხმობით და შეიძლება დაექვემდებაროს ისეთ შეზღუდვებს, რომლებიც სახელმწიფო მიწის განკარგვის დროისათვის არსებული კანონებისა და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების საფუძველზე შეუძლიათ დააწესონ ამ ორგანიზაციებმა. სასამართლოს შეფასებით, სადავო მიწის ნაკვეთის ფუნქცია არის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების, ამასთან, კონკურსის გამოცხადების დროისათვის არ არსებობდა რაიმე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი ანდა სპეციალური კანონი, რითაც განსაზღვრული იქნებოდა აღნიშნული ორგანიზაციების მიერ თანხმობების გაცემის წესი. შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია, რომ აღნიშნული ტერიტორია წარმოადგენდა ჩვეულებრივი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთს და ამ მიწის ნაკვეთზე კონკურსის გამოცხადების დროს არ იყო საჭირო მითითებული ორგანიზაციების თანხმობები. ამასთან, ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმება მოხდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მოთხოვნების დაცვით და მისი ბათლად ცნობის სამართლებრივი საფუძველები არ არსებობდა.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გასაჩივრა ხელვაჩაურის რაიონის გამგეობამ, რომლითაც მოითხოვა რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება და სააპელაციო სასამართლოს მიერ ახალი გადაწყვეტილების მიღებით ხელვაჩაურის რაიონის გამგეობის სარჩელის დაკმაყოფილება, შემდეგი მოტივით:

ხელვაჩაურის რაიონის გამგეობამ 2005 წლის 23 აგვისტოს ხელვაჩაურის რაიონის გაზეთ «კახაბერში» გამოაცხადა კონკურსი რაიონის ტერიტორიაზე არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების საკუთრებაში იჯარა გამოსყიდვისა და იჯარით გაცემის თაობაზე. იუსტიციის მინისტრის 2000 წლის 10 მაისის #65 ბრძანებით დამტკიცებულ იქნა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრებაში ან სარგებლობაში განკარგვის წესები. აღნიშნული წესებისა და «სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვისა და განკარგვის შესახებ» საქართველოს კანონის თანახმად, რაიონის მმართველობის ორგანოები არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის კერძო მფლობელობაში ან დროებით სარგებლობაში განკარგვას უზრუნველყოფენ აუქციონისა და კონკურსის წესით. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის განკარგვა, აღნიშნული წესების თანახმად, აუქციონისა და კონკურსისათვის ადგენს სპეციალურ პირობებს, კერძოდ: აუქციონის ჩატარების დროს ყურადღება უნდა გამახვილდეს უშუალოდ გადასახდელ თანხაზე (ფასზე), ხოლო კონკურსის დროს - შემოთავაზებულ საუკეთესო წინადადებაზე, საუკეთესო ინტერესებზე. სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვისა და განკარგვის ხელვაჩაურის რაიონული კომისიის 2005 წლის 5 ოქტომბრის სხდომაზე, რომელიც ატარებდა კონკურსს მიწის ნაკვეთის გასხვისების თაობაზე, ფაქტობრივად ჩატარდა აუქციონი, რითაც დაირღვა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრებაში ან სარგებლობაში განკარგვის წესების მთელი რიგი ნორმატიული დებულებები, ვინაიდან მოსარჩელე ხ. კ-მის მიერ არ იყო წარმოდგენილი საკონკურსო წინადადებები, ჩამოყალიბებული რაიმე პროექტის ან გეგმის სახით და ფაქტობრივად, მხოლოდ ფინანსური ნაწილის (გადახდის) უზრუნველყოფით მიღებულ იქნა გადაწყვეტილება კონკურსში გამარჯვების თაობაზე.

აპელანტის მითითებით, იუსტიციის მინისტრის 2000 წლის 10 მაისის #65 ბრძანებით დამტკიცებული სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრებაში ან სარგებლობაში განკარგვის წესების ზოგადი ნაწილის მე-6 პუნქტი ადგენს, რომ: «სასარგებლო წიაღისეულისა და დაცული ტერიტორიების, წიაღით სარგებლობის ობიექტებზე მიწის მინაკუთვნის, იშვიათი და უნიკალური არქეოლოგიური, კულტურული და ისტორიული ძეგლების გავრცელების, აგრეთვე საავტომობილო გზების პერსპექტიული განვითარების საზღვრებში, კურორტებისა და საკურორტო ადგილების სანიტარულ ზონებში სახელმწიფო მიწა განიკარგება მხოლოდ გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს, კულტურის სამინისტროს, გეოლოგიის სახელმწიფო დეპარტამენტისა და მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის თანხმობით და შეიძლება დაექვემდებაროს ისეთ შეზღუდვებს, რომლებიც სახელმწიფო მიწის განკარგვის დროისათვის არსებული კანონებისა და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების საფუძველზე შეუძლიათ დააწესონ ამ ორგანიზაციებმა». აღნიშნული მიწის ნაკვეთი მდებარეობს დაბა . . . , ბათუმი-ქობულეთის ცენტრალური საავტომობილო მაგისტრალის გასწვრივ. ეს ტერიტორია მიეკუთვნება აჭარის ა/რ საზღვაო საკურორტო ზოლს. მოსარჩელე ხ. კ-მეზე მიწის ნაკვეთის განკარგვისათვის, ზემოთ აღნიშნული პუნქტის თანახმად, სავალდებულო იყო საავტომობილო გზების დეპარტამენტის, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს თანხმობა, რაც კონკურსის ორგანიზებისა და ჩატარების პერიოდისათვის არ არსებობდა.

აპელანტის მითითებით, ხელვაჩაურის რაიონის გამგებლის 2005 წლის 27 დეკემბრის #162 გადაწყვეტილებით ძალადაკარგულად გამოცხადდა მთელი რიგი და მათ შორის, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვისა და განკარგვის რაიონული კომისიის დადგენილებების დამტკიცების შესახებ ხელვაჩაურის რაიონის გამგეობის 2005 წლის 19 ოქტომბრის #119 გადაწყვეტილება. აღნიშნული გადაწყვეტილების მიღების საფუძველად გამოყენებული იყო სზაკ-ის 61.2 «გ» ქვეპუნქტი, რომლის თანახმად, ძალადაკარგულად შესაძლებელია გამოცხადდეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი თუ დაინტერესებულმა მხარემ არ შეასრულა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილი ვალდებულება, რომლის შეუსრულებლობა, კანონმდებლობის შესაბამისად, შეიძლება გახდეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების საფუძველი. აპელანტის მოსაზრებით, დაინტერესებული მხარის ვალდებულებების შეუსრულებლობაში იგულისხმება ადმინისტრაციული ორგანოს, როგორც სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე ერთ-ერთი მხარის, უფლებამოსილება და, შესაბამისად, ვალდებულებების არაჯეროვნად შესრულება, რომელიც უშუალოდ მოქმედებს და ზიანს აყენებს სხვა ადმინისტრაციული ორგანოების კანონიერ ინტერესებს. დღევანდელი მდგომარეობით, მიმდინარეობს ბათუმი-ქობულეთის საავტომობილო გზის საერთაშორისო საავტომობილო მაგისტრალის სტატუსით მშენებლობა. აღნიშნული მშენებლობის განხორციელების უზრუნველყოფის პერიოდში ასათვისებელი იქნება მთელი რიგი ახალი ტერიტორიები, რომლებიც უშუალოდ სადავო მიწის ნაკვეთის ნაწილზეც შეიძლება გავრცელდეს. იმ გარემოების გამო, რომ მიწის ნაკვეთის განკარგვის პერიოდში არ იყო დაცული სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრებაში ან სარგებლობაში განკარგვის წესები, აღნიშნულით შეილახა სხვა ადმინისტრაციული ორგანოს ინტერესები.

აპელანტმა მიუთითა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლზე და განმარტა, რომ ბათილია გარიგება, რომელიც არღვევს კანონით დადგენილ წესსა და აკრძალვებს, ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს ან ზნეობის ნორმებს. შესაბამისად, ძალადაკარგულად ან ბათილად უნდა ჩაითვალოს ყველა ის გარიგება, რომლებიც არ აკმაყოფილებს სამართლებრივი ნორმების მოთხოვნებს. ამასთან, აპელანტის მითითებით, სადავო მიწის ნაკვეთი უფლებრივი ნაკლის მქონე ნივთთა კატეგორიას მიეკუთვნება, ვინაიდან მისი გასხვისების დროს სავალდებულო იყო ზემოხსენებული კომპეტენტური უწყებების (ადმინისტრაციული ორგანოების სავალდებულო თანხმობები).

სააპელაციო სასამართლოს 2006 წლის 18 სექტემბრის განჩინებით ხელვაჩაურის რაიონის გამგეობის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, შესაბამისად, უცვლელად დარჩა რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება, რაც სააპელაციო სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

სააპელაციო სასამართლომ დადგინილად მიიჩნია შემდეგი ფაქტები:

გაზეთ «კახაბერში» გამოქვეყნდა ცნობა . . . 1000 მ² მიწის ნაკვეთზე კონკურსის შესახებ, რითაც დაცულ იქნა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრებაში ან სარგებლობაში გაცემაზე კონკურსის ჩატარების წესის მე-2 მუხლის მე-8 პუნქტის მოთხოვნა, რომლის თანახმად, საკონკურსო კომისია ადგილობრივ პრესაში ან გაზეთ «საქართველოს რესპუბლიკაში» აქვეყნებს ინფორმაციას. სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვისა და განკარგვის რაიონული კომისიის 2005 წლის 5 ოქტომბრის #13 ოქმის თანახმად, მხოლოდ ხ. კ-მის ერთი განაცხადი იყო შესული, რომელიც გამოცხადდა გამარჯვებულად, რითაც დაცულ იქნა ზემოაღნიშნული ნორმის მე-2 მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტების მოთხოვნები, კერძოდ, გადაწყვეტილება მიღებულ იქნა ხმათა უმრავლესობით. #13 ოქმი დამტკიცდა ხელვაჩაურის რაიონის გამგეობის 2005 წლის 19 ოქტომბრის #119 გადაწყვეტილებით. 2005 წლის 18 ნოემბერს გაფორმდა ხ. კ-მესთან ნასყიდობის ხელშეკრულება, რომელიც გატარდა საჯარო რეესტრში.

ხელვაჩაურის რაიონის გამგეობის 2005 წლის 27 დეკემბრის #162 გადაწყვეტილებით ძალადაკარგულად გამოცხადდა 2005 წლის 19 ოქტომბრის #119 გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ გამოიყენა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 95.2 მუხლი და განმარტა, რომ ხელვაჩაურის რაიონის გამგეობას არ ჩაუტარებია ადმინისტრაციული წარმოება, რის გამოც ხ. კ-მეს არ მიეცა შესაძლებლობა, გამოეთქვა თავისი აზრი და გასცნობოდა ადმინისტრაციული წარმოების მასალებს, რითაც დაირღვა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 98-ე და 99-ე მუხლების მოთხოვნები. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს დასკვნით, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹.1. და მე-2 ნაწილების მიხედვით, ამგვარი აქტი ექვემდებარება ბათილად ცნობას.

სააპელაციო სასამართლომ გამოიყენა «სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრებაში ან სარგებლობაში განკარგვის წესის» პირველი თავის მე-6 პუნქტი და განმარტა, რომ სასარგებლო წიაღისეულის და დაცული ტერიტორიების, წიაღით სარგებლობის ობიექტებზე საჭიროა შესაბამისი სამსახურების თანხმობა. მოცემულ შემთხვევაში კი საქმის მასალებით არ დასტურდებოდა, რომ სადავო ნაკვეთი ამგვარ კატეგორიას მიეკუთვნებოდა.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ხელვაჩაურის რაიონის გამგეობამ, რომელმაც მოითხოვა სააპელაციო სასამართლოს განჩინების გაუქმება და ხელვაჩაურის რაიონის გამგეობის სარჩელის დაკმაყოფილება.

კასაციის მოტივი:

იუსტიციის მინისტრის 2000 წლის 10 მაისის #65 ბრძანებით დამტკიცდა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრებაში ან სარგებლობაში განკარგვის წესები. აღნიშნული წესებისა და «სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვისა და განკარგვის შესახებ საქართველოს კანონის თანახმად, რაიონის მმართველობის ორგანოები არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის კერძო მფლობელობაში ან დროებით სარგებლობაში განკარგვას უზრუნველყოფენ აუქციონისა და კონკურსის წესით. აღნიშნული წესების თანახმად, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის განკარგვის მიმდინარეობისას აუქციონისა და კონკურსისათვის დადგენილია სპეციალური პირობები, კერძოდ: აუქციონის ჩატარების დროს ყურადღება უნდა გამახვილდეს უშუალოდ გადასახდელ თანხაზე (ფასზე), ხოლო კონკურსის დროს - შემოთავაზებულ საუკეთესო წინადადებაზე, საუკეთესო ინტერესებზე. სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვისა და განკარგვის ხელვაჩაურის რაიონული კომისიის 2005 წლის 5 ოქტომბრის სხდომაზე, რომელიც ატარებდა კონკურსის მიწის ნაკვეთის გასხვისების თაობაზე, ფაქტობრივად ჩატარდა აუქციონი, რითაც დაირღვა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრებაში ან სარგებლობაში განკარგვის წესების მთელი რიგი ნორმატიული დებულებები, ფაქტობრივად, მხოლოდ ფინანსური ნაწილის (უბრალოდ გადახდის) უზრუნველყოფით მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ხ. კ-მის კონკურსში გამარჯვების თაობაზე.

კასატორმა მიუთითა იუსტიციის მინისტრის 2000 წლის 10 მაისის #65 ბრძანებით დამტკიცებულ - სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრებაში ან სარგებლობაში განკარგვის წესების ზოგადი ნაწილის მე-6 პუნქტზე და განმარტა, რომ: «სასარგებლო წიაღისეულისა და დაცული ტერიტორიების, წიაღით სარგებლობის ობიექტებზე მიწის მინაკუთვნის იშვიათი და უნიკალური არქეოლოგიური, კულტურული და ისტორიული ძეგლების გავრცელების, აგრეთვე საავტომობილო გზების პერსპექტიული განვითარების საზღვრებში, კურორტებისა და საკურორტო ადგილების სანიტარულ ზონებში სახელმწიფო მიწა განიკარგება მხოლოდ გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს, კულტურის სამინისტროს, გეოლოგიის სახელმწიფო დეპარტამენტისა და მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის თანხმობით და შეიძლება დაექვემდებაროს ისეთ შეზღუდვებს, რომლებიც სახელმწიფო მიწის განკარგვის დროისათვის არსებული კანონებისა და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების საფუძველზე შეუძლიათ დააწესონ ამ ორგანიზაციებმა». სადავო მიწის ნაკვეთი მდებარეობს დაბა ..., ბათუმი-ქობულეთის ცენტრალური საავტომობილო მაგისტრალის გასწვრივ. ეს ტერიტორია - «საქართველოს კუროტებისა და საკურორტო ადგილების ნუსხის შესახებ» საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 22 ივლისის #655 ბრძანებულებით მიეკუთვნება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ ერთ-ერთ კურორტს. შესაბამისად, ხ. კ-მეზე მიწის ნაკვეთის განკარგვისათვის (გადაცემისათვის), ზემოაღნიშნული ნორმის თანახმად, სავალდებულო იყო გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამსახურისა და საავტომობილო გზების დეპარტამენტის თანხმობა.

კასატორის მითითებით, კონკურსის ორგანიზებისა და ჩატარების პერიოდისათვის არ არსებობდა ზემოაღნიშნული უწყებების სათანადო ნებართვები, რის გამოც დაირღვა იუსტიციის მინისტრის 2000 წლის 10 მაისის #65 ბრძანებით დამტკიცებული - სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრებაში ან სარგებლობაში განკარგვის წესების მოთხოვნები.

კასატორის მითითებით, ხელვაჩაურის რაიონის 2005 წლის 27 დეკემბრის #162 გადაწყვეტილების მიღებამდე, ზემოაღნიშნული და სხვა მიწის ნაკვეთების განკარგვის კანონიერების შესწავლის მიზნით, ხელვაჩაურის რაიონის გამგებლის 2005 წლის 5 დეკემბრის #188 განკარგულებით შეიქმნა შიდაუწყებრივი კომისია, რომელსაც დაევალა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-

სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობების იჯარითა და საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებული პროცესების კანონიერების საკითხის შესწავლა. აღნიშნული კომისიის მიერ ხელვაჩაურის გამგებელს წარედგინა მოხსენებითი ბარათი, რომელმაც, ფაქტობრივად, დაადასტურა მოსარჩელე ხ. კ-მისა და სხვა არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების განკარგვის არაკანონიერების საკითხი. აღნიშნულის გათვალისწინებით, ხელვაჩაურის რაიონის გამგეობამ მიზანშეწონილად მიიჩნია, როგორც კანონის მოთხოვნათა დარღვევით განხორციელებული სამართლებრივი ურთიერთობები, გამოცხადებულიყო ბათილად. ამდენად, კასატორის მოსაზრებით, სადავო აქტები სრულად აკმაყოფილებს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე, 56-ე, 951. 95.2., 96-ე და 97-ე მუხლების მოთხოვნებს და ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისათვის ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებულ პირობებს.

კასატორის მითითებით, ხელვაჩაურის რაიონის გამგებლის 2005 წლის 27 დეკემბრის #162 გადაწყვეტილებით ძალადაკარგულად გამოცხადდა მთელი რიგი და მათ შორის, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვისა და განკარგვის რაიონული კომისიის დადგენილებების დამტკიცების შესახებ ხელვაჩაურის რაიონის გამგეობის 2005 წლის 19 ოქტომბრის #119 გადაწყვეტილება. აღნიშნული გადაწყვეტილების მიღების საფუძველს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის მეორე ნაწილის «გ» ქვეპუნქტი წარმოადგენს, რომლის თანახმად ძალადაკარგულად შესაძლებელია გამოცხადდეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილი ვალდებულება, რომლის შეუსრულებლობა, კანონმდებლობის შესაბამისად, შეიძლება გახდეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების საფუძველი. დღევანდელი მდგომარეობით, მიმდინარეობს ბათუმი-ქობულეთის საავტომობილო გზის საერთაშორისო საავტომობილო მაგისტრალის სტატუსით მშენებლობა. აღნიშნული მშენებლობის განხორციელების უზრუნველყოფის პერიოდში ასათვისებელი იქნება მთელი რიგი ახალი ტერიტორიები, რომელიც უშუალოდ, სადავო მიწის ნაკვეთის ნაწილზე შეიძლება გავრცელდეს. იმ მოტივით, რომ მიწის ნაკვეთის განკარგვის პერიოდში დროულად არ იქნა დაცული ზემოთ აღნიშნული სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრებაში ან სარგებლობაში განკარგვის წესები, ყოველივე ამით შეილახა სხვა ადმინისტრაციული ორგანოს ინტერესები, კერძოდ, საგზაო დეპარტამენტის, რამდენადაც არ არსებობდა ამ უკანასკნელის თანხმობა სადავო მიწის ნაკვეთის გასხვისების დროს.

კასატორმა მიუთითა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლზე, რომლის თანახმად, ბათილია გარიგება, რომელიც არღვევს კანონით დადგენილ წესსა და აკრძალვებს, ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს ან ზნეობის ნორმებს და განმარტა, რომ სადავო მიწის ნაკვეთი უფლებრივი ნაკლის მქონე ნივთთა კატეგორიას მიეკუთვნებოდა, ვინაიდან მისი გასხვისების (გაყიდვის) დროისათვის სავალდებულო იყო ზემოაღნიშნული კომპეტენტური უწყებების (ადმინისტრაციული ორგანოების) სავალდებულო თანხმობები. ამასთან, კასატორის მოსაზრებით, სამოქალაქო სამართლის პრინციპების თანახმად, თუ გარკვეული მოქმედებები არ შეესაბამება სამართლებრივ პრინციპებს, იგი უნდა იქნეს ძალადაკარგულად ან ბათილად ცნობილი და ამგვარ ვითარებაში არ უნდა გამახვილდეს ყურადღება იმ გარემოებაზე, თუ სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე რომელმა მხარემ არ შეასრულა კანონით გათვალისწინებული მოთხოვნები, მით უფრო, რომ მხარის ბრალით გამოწვეული მოქმედებების შეუსრულებლობა წარმოშობს დელიქტურ ვალდებულებებს.

საკასაციო სასამართლოს 2007 წლის 23 აპრილის განჩინებით ხელვაჩაურის რაიონის გამგეობის საკასაციო საჩივარი ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34.3. მუხლის «გ» პუნქტის საფუძველზე მიჩნეულ იქნა დასაშვებად /პროცესუალური კასაცია/.

საკასაციო სასამართლოს მთავარ სხდომაზე კასატორმა - ხელვაჩაურის რაიონის გამგეობის წარმომადგენელმა მოითხოვა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2006 წლის 18 სექტემბრის განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით ხ. კ-მის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

მოწინააღმდეგე მხარემ - ხ. კ-მის წარმომადგენელმა მოითხოვა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების ძალაში დატოვება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის მოტივების საფუძველიანობის, გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმებისა და საქმის სასამართლო განხილვის შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს უსაფუძველობის გამო და უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2006 წლის 18 სექტემბრის განჩინება შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ კანონის სწორად გამოყენებისა და განმარტების შედეგად, საქმეზე არსებითად სწორი განჩინება მიიღო, საკასაციო საჩივარში მითითებული დარღვევები არ დასტურდება, რის გამოც არ არსებობს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების სამართლებრივი საფუძველი.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ როგორც რაიონული, ასევე სააპელაციო სასამართლოების მიერ მართებულად ეთქვა უარი ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობას სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, კერძოდ, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობასა და ხ. კ-ძეს შორის 2005 წლის 18 ნოემბერს გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულების გაუქმებაზე. აღნიშნულთან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლო იზიარებს სასამართლოთა დასკვნას მითითებული ნასყიდობის ხელშეკრულების ადმინისტრაციულ ხელშეკრულებად მიჩნევის შესახებ და განმარტავს, რომ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 2.1 მუხლის «ზ» ქვეპუნქტის თანახმად, ადმინისტრაციული ხელშეკრულება არის ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით, ფიზიკურ ან იურიდიულ პირთან, ასევე სხვა ადმინისტრაციულ ორგანოსთან დადებული სამოქალაქო სამართლებრივი ხელშეკრულება. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ მართებულად არ გაიზიარა მხარეებს შორის დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის საფუძველად «სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრებაში ან სარგებლობაში განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ» იუსტიციის მინისტრის 2000 წლის 10 მაისის #65 ბრძანების პირველი მუხლის მე-6 პუნქტის დარღვევაზე მითითება, რადგან აღნიშნული ნორმა შესაბამისი სახელმწიფო ორგანოების თანხმობას სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის განკარგვისათვის აწესებს, თუ მიწა მდებარეობს კურორტებისა და საკურორტო ადგილების სანიტარულ ზონაში. მოცემულ შემთხვევაში, არ დასტურდება ხ. კ-ძისათვის საკუთრებაში გადაცემული 1000 კვ.მ მიწის ნაკვეთის კურორტის ან საკურორტო ადგილის სანიტარულ ზონაში მდებარეობა. აღნიშნულთან დაკავშირებით უსაფუძვლოა კასატორის მითითება «საქართველოს კურორტებისა და საკურორტო ადგილების ნუსხის შესახებ» საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 22 ივლისის #655 ბრძანებულებაზე, რადგან მითითებული ბრძანებულებით კურორტების ნუსხაში იქნა შეტანილი . . . , რაც არ ადასტურებს იმას, რომ ხ. კ-ძისათვის გადაცემული ხელვაჩაურის რაიონის, დაბა . . . მდებარე 1000 კვ.მ მიწის ნაკვეთი განეკუთვნება ზემოთ აღნიშნული #65 ბრძანების პირველი მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებულ კურორტის სანიტარულ ზონას.

ამდენად, საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნას, რომ მოცემულ შემთხვევაში არ დასტურდება, რომ ნასყიდობის ხელშეკრულებით ხ. კ-ძისათვის გადაცემული ნაკვეთი წარმოადგენს იუსტიციის მინისტრის 2000 წლის 10 მაისის #65 ბრძანების პირველი მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებულ მიწის ნაკვეთს და მისი განკარგვისათვის ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობას ესაჭიროებოდა შესაბამისი სახელმწიფო ორგანოს თანხმობა, მით უფრო, იმ ვითარებაში, როცა ეს ორგანოები სადავოდ არ ხდიან ხ. კ-ძისათვის კონკურსის შედეგად მიწის ნაკვეთის გადაცემის კანონიერებას.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს გასაჩივრებელი ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის სამართლებრივი საფუძველი და მართებულად არ იქნა გაზიარებული ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის მოსაზრება სამოქალაქო კოდექსის 70-ე მუხლით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო გარიგების არსებობის თაობაზე.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ მართებულად დააკმაყოფილა ხ. კ-ძის მოთხოვნა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2005 წლის 27 დეკემბრის #162 გადაწყვეტილების მე-2 პუნქტის მე-6 ქვეპუნქტის ბათილად ცნობის შესახებ. აღნიშნულთან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის სადავო გადაწყვეტილება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 2.1 მუხლის «დ» ქვეპუნქტის შესაბამისად, წარმოადგენს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 72.2 მუხლის შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანო ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს ამზადებს ადმინისტრაციული წარმოების მეშვეობით. საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნას ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ სადავო აქტის გამოცემისას ადმინისტრაციული წარმოების წესების, კერძოდ, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე, 56-ე მუხლების, ამავე კოდექსის 95.1 მუხლის მოთხოვნების დარღვევის შესახებ. აღნიშნულთან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორის არგუმენტს, რომ გამგეობის მიერ დაცულ იქნა კანონით დადგენილი მოთხოვნები აქტის გამოცემისას, რის დასადასტურებლადაც კასატორი უთითებს იმ გარემოებაზე, რომ სადავო აქტის გამოცემამდე, მიწის ნაკვეთების განკარგვის კანონიერების შესწავლის მიზნით, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2005 წლის 5 დეკემბრის #188 განკარგულებით შეიქმნა შიდაუწყებრივი კომისია და ამ უკანასკნელის მიერ წარდგენილმა მოხსენებითმა ბარათმა ცხადყო ხ. კ-ძეზე გადაცემული მიწის ნაკვეთის კანონიერების საკითხები. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ აღნიშნული არგუმენტი უსაფუძვლოა გამო ვერ იქნება გაზიარებული, რადგან მხოლოდ კომისიის შექმნა არ ნიშნავს ადმინისტრაციული წარმოებისათვის კანონით დადგენილი მოთხოვნების შესრულებას. მოსარჩელე ხ. კ-ძე სასარჩელო განცხადებით უთითებდა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე, 56-ე მუხლების, 95.2 მუხლის მოთხოვნების დარღვევაზე, რომელთა თანახმად, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომელიც უნდა შეიცავდეს წერილობით დასაბუთებას, უნდა გამოქვეყნდეს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესით, ასევე ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია, ადმინისტრაციული წარმოების შესახებ აცნობოს დაინტერესებულ მხარეს, თუ აქტით შეიძლება გაუარესდეს მისი სამართლებრივი მდგომარეობა და უზრუნველყოს მისი მონაწილეობა ადმინისტრაციულ

წარმოებაში. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში დარღვეულია ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებული მოთხოვნები.

საკასაციო სასამართლო ასევე ვერ გაიზიარებს კასატორის არგუმენტს იმის თაობაზე, რომ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობა, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61.2 მუხლის «გ» ქვეპუნქტის შესაბამისად, უფლებამოსილი იყო ძალადაკარგულად ეცნო ხელვაჩაურის რაიონის გამგეობის 2005 წლის 29 ივლისის #80, 10 აგვისტოს #93, 11 აგვისტოს #109 და 10 ოქტომბრის #119 გადაწყვეტილებები, რადგან მითითებული ნორმის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო არ არის უფლებამოსილი, ძალადაკარგულად გამოაცხადოს კანონის შესაბამისად გამოცემული აღმქურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დაინტერესებულმა მხარემ არ შეასრულა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილი ვალდებულება, რომლის შეუსრულებლობაც კანონმდებლობის შესაბამისად, შეიძლება გახდეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების საფუძველი. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61.2 მუხლის «გ» ქვეპუნქტი ადმინისტრაციულ ორგანოს ანიჭებს აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების უფლებამოსილებას, თუ დაინტერესებული მხარე - ადმინისტრაციული აქტის ადრესატი არ შეასრულებს ამავე აქტით დადგენილ ვალდებულებას. აღნიშნულთან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორის შეფასებას, რომ 61.2 მუხლის «გ» ქვეპუნქტი დაინტერესებულ მხარეში გულისხმობს ადმინისტრაციული აქტის გამომცემ ორგანოს და აქტის ძალადაკარგულად ცნობისათვის მნიშვნელობა არა აქვს ურთიერთობის მონაწილე რომელი მხარე არ შეასრულებს კანონით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. კასატორის ამგვარი მსჯელობა არ შეესაბამება ზემოთ მითითებული ნორმის შინაარსს, რადგან იგი გულისხმობს არა კანონით გათვალისწინებული, არამედ თავად აქტით მისი ადრესატისათვის, ანუ იმ პირისათვის, რომელსაც ეს აქტი ანიჭებს რაიმე უფლებას ან სარგებელს, დაკისრებული ვალდებულების შეუსრულებლობას და სწორედ ამ გარემოებების არსებობის პირობებში ეძლევა ადმინისტრაციულ ორგანოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების უფლებამოსილება.

აღნიშნულთან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლოს ასევე უსაფუძვლოდ მიაჩნია კასატორის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ კონკურსის კანონით დადგენილი მოთხოვნების დარღვევით ჩატარებისას ზიანი ადგება სხვა ადმინისტრაციულ ორგანოს, რითაც კასატორი ფაქტობრივად ამართლებს აღმქურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ძალადაკარგულად გამოცხადებას. საკასაციო სასამართლოს აღნიშნული არგუმენტი მიაჩნია სამართლებრივად უსაფუძვლოდ და იგი ვერ ასაბუთებს კასატორის მოთხოვნას, რადგან ამგვარი არგუმენტი არ შეესაბამება დისპოზიციურობის პრინციპს, რომლის თანახმად, ნებისმიერ პირს შეუძლია იდავოს მხოლოდ თავისი დარღვეული თუ სადავოდ ქცეული უფლებებისა და კანონით გათვალისწინებული ინტერესების დასაცავად.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ რაიონულმა და სააპელაციო ინსტანციების სასამართლოებმა მართებულად დააკმაყოფილეს ხ. კ.-მის სასარჩელო მოთხოვნა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2005 წლის 27 დეკემბრის #162 გადაწყვეტილების მე-2 პუნქტის მე-6 ქვეპუნქტის ბათილად ცნობის შესახებ, რადგან მითითებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოიცა აქტის წარმოებისათვის ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი მოთხოვნების არსებითი დარღვევით.

შესაბამისად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ კასატორის მიერ წამოყენებული საკასაციო პრეტენზიები დაუსაბუთებელია, სააპელაციო სასამართლოს მიერ განჩინების მიღებისას არ დასტურდება საკასაციო საჩივარში მითითებული დარღვევა. შესაბამისად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ სადავო სამართალური თეორიის სწორად შეფარდა სამართლის ნორმა.

ამდენად, არ არსებობს საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების და გასაჩივრებული განჩინების გაუქმების სამართლებრივი საფუძველები.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე, 399-ე, 410-ე მუხლებით და

დაადგინა:

1. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2006 წლის 18 სექტემბრის განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ლიცენზია; ნებართვა

გადაწყვეტილება საქართველოს სახელით

#ბს-545-131(2კ-კს-05)

13 ოქტომბერი, 2005 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. წკეპლაძე (თავმჯდომარე),
ჯ. გაბოკიძე (მომხსენებელი),
ი. ლეგაშვილი

დავის საგანი: ადმინისტრაციული აქტის ნაწილობრივ ბათილად ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

2004 წლის 1 ივლისს შპს «პატარა კახმა», სს «გორგოტამ» და გ. ა-კის ინდუსტრიული «ფერმერმა» სარჩელი აღძრეს თბილისის საოლქო სასამართლოში ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მიმართ და მოითხოვეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60 მუხლის პირველი ნაწილის «დ» პუნქტისა და ამავე მუხლის მე-2 ნაწილის, «დამოუკიდებელი ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ» კანონის მე-4 მუხლის მე-5 ნაწილის, ამავე კანონის მე-16 მუხლის მე-4 ნაწილისა და საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის შესაბამისად, ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2004 წლის 23 ივნისის #11/1 გადაწყვეტილების ბათილად ცნობა მათთვის ლიცენზიის გაუქმების ნაწილში.

მოსარჩელეთა განმარტებით, ენერგეტიკის მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ მითითებული გადაწყვეტილება მიიღო მოქმედი კანონმდებლობის დარღვევით. «სამეწარმეო საქმიანობის ლიცენზიისა და ნებართვის გაცემის საფუძვლების შესახებ» კანონის მე-10 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ლიცენზიებთან დაკავშირებული გადაწყვეტილება წარმოადგენს ადმინისტრაციულ აქტს და იგი უნდა შეესაბამებოდეს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილ მოთხოვნებს. მოსარჩელეთა მითითებით, დაირღვა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 115-ე მუხლის მე-2 ნაწილი, 117-ე, 118-ე, 166-ე მუხლები, ასევე, «დამოუკიდებელი ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ» კანონის მე-16 მუხლის მე-4 ნაწილი, «სამეწარმეო საქმიანობის ლიცენზიისა და ნებართვის გაცემის საფუძვლების შესახებ» კანონის მე-10 მუხლის პირველი ნაწილი, რადგან ენერგეტიკის მარეგულირებელ ეროვნულ კომისიას გადაწყვეტილება უნდა მიეღო საჯარო ადმინისტრაციული წარმოების წესით, ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ ცნობა არ გამოქვეყნებულა არც ერთ გაზეთში, ასევე დაირღვა კომისიის 2003 წლის 7 აგვისტოს #12 დადგენილებით დამტკიცებული «ენერგეტიკის მარეგულირებელი კომისიის მიერ ადმინისტრაციული წარმოების განხორციელების დებულების» მოთხოვნები.

გარდა ამისა, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის «ვ» ქვეპუნქტის თანახმად, ლიცენზია წარმოადგენს აღმკურველ ადმინისტრაციულ აქტს, შესაბამისად, იგი თავისი ბუნებით ინდივიდუალურია, რის გამოც გადაწყვეტილება ლიცენზიის გაცემის, მოდიფიცირების, შეჩერებისა თუ ჩამორთმევის შესახებ მიღებულ უნდა იქნეს ინდივიდუალურად, ყოველი ლიცენზიანტის მიმართ, რაც არ გაითვალისწინა ენერგეტიკის მარეგულირებელმა კომისიამ.

მოსარჩელეთა მითითებით, კომისიამ დაარღვია ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-13 მუხლი, რადგან დაინტერესებულ პირებს არ აცნობა ლიცენზიების ჩამორთმევის შესახებ საკითხის განხილვის თაობაზე სხდომის ჩატარების დღე. ასევე დაირღვა დღის წესრიგის შესახებ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნები, რადგან გამოცხადებული დღის წესრიგის თანახმად, უნდა მოესმინა ინფორმაცია სს «საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის», სს «თელასისა» და სს «კახეთის ენერგოდისტრიბუციის» სამოქმედო ტერიტორიაზე არსებული ელექტროენერჯის განაწილების ლიცენზიანტების საქმიანობის შესახებ», კომისიამ კი განიხილა სულ სხვა საკითხი, რომელიც შეტანილი უნდა ყოფილიყო დღის წესრიგში და უნდა გამოქვეყნებულიყო.

მოსარჩელის მითითებით, სინამდვილეს არ შეესაბამება სადავო გადაწყვეტილებაში მითითება იმის შესახებ, რომ კომისიამ 2003-2004 წლებში გადაამოწმა ლიცენზიანტების საქმიანობა, ხოლო გადა-
მოწმების შედეგებმა აჩვენა, რომ ისინი ვერ ასრულებდნენ ლიცენზიით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. მოსარჩელეთა მითითებით, 2002 წლის შემდეგ არ შემოწმებულა ლიცენზიის დაცვის პირობები და არც შესაბამისი ოქმები, აქტები ან რაიმე მგავსი ხასიათის დოკუმენტები არ შედგენილია, რაც შეიძლებოდა გამხდარიყო კომისიის მსჯელობის საგანი. ასევე არ შეესაბამება სინამდვილეს მცირე ლიცენზიანტების უმრავლესობის გამოსვლა მოქმედების არეალიდან. მოსარჩელეთა განმარტებით, კომისია გადაწყვეტილებაში არასწორად მიუთითებს, რომ მცირე ლიცენზიანტების უმრავლესობა სხვა კომპანიის მომხმარებელთა გადაყვანისათვის მოსახლეობისაგან იღებს ზედმეტ თანხას და ახდენს სემეკის მიერ დადგენილ ტარიფებზე გადაცილებით მაღალ საფასურს. მოსარჩელეთა მითითებით, აღნიშნულით კომისია ბრალს დებს მათ დანაშაულის ჩადენაში, მაგრამ აღნიშნულის დამადასტურებელი ფაქტების

არსებობის შემთხვევაში, იგი ვალდებულია, კონკრეტული ლიცენზიანტი საწარმოს მიმართ დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება სალიცენზიო პირობების დარღვევის გამო.

კომისიამ გადაწყვეტილების დასასაბუთებლად მოიყვანა სახელმწიფო პოლიტიკა ელექტროენერჯის დარგში «განაწილების სექტორის გამსხვილების შესახებ», თუმცა, მოსარჩელეთა მითითებით, საქართველოში არ არსებობს არც ერთი ნორმატიული აქტი ელექტროენერჯეტიკისა და ბუნებრივი გაზის სექტორში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითად მიმართულებების შესახებ, რადგან «ელექტროენერჯეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ» კანონის მე-3 მუხლის პირველ ნაწილში ერთმნიშვნელოვნადაა აღნიშნული, რომ ენერჯეტიკის სამინისტრო ამუშავებს ამ დარგში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს და შემუშავებული პოლიტიკა უნდა დამტკიცდეს საქართველოს პარლამენტის მიერ, პარლამენტს კი ასეთი გადაწყვეტილება არ მიუღია.

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის 2005 წლის 31 იანვრის განჩინებით, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, საქმეში მესამე პირად იქნა ჩაბმული შპს «ენერჯია», ამავე სასამართლოს 2005 წლის 25 თებერვლის საოქმო განჩინებით ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მესამე პირებად იქნენ ჩართულნი სს «თელასი» და საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერჯოკომპანია.

შპს «პატარა კახის», სს «გორგოტასა» და გ. ა-კის ი/ს «ფერმერის» სარჩელი არ ცნო ენერჯეტიკის მარეგულირებელმა კომისიამ.

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის 2005 წლის 4 მარტის გადაწყვეტილებით შპს «პატარა კახის», სს «გორგოტასა» და გ. ა-კის ი/ს «ფერმერის» სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, საკითხის გადაწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი ენერჯეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2004 წლის 23 ივნისის #11/1 გადაწყვეტილება შპს «პატარა კახის», სს «გორგოტას», გ. ა-კის ი/ს «ფერმერის» და შპს «ენერჯის» ელექტროენერჯის განაწილების ლიცენზიების გაუქმების ნაწილში და ენერჯეტიკის მარეგულირებელ ეროვნულ კომისიას დაევალა საქმის გარემოებათა სრულყოფილი გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ ახალი ადმინისტრაციული აქტის გამოცემა.

სასამართლო კოლეგიის მითითებით, გაურკვეველია, როდის დაიწყო მოპასუხემ საჯარო ადმინისტრაციული წარმოება, აღნიშნულს თავად მოპასუხეც ვერ ადასტურებს, ამასთან, იგი არათანმიმდევრულია ამ საკითხთან მიმართებაში, რადგან შესაგებელში ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თარიღად მითითებულია 2004 წლის თებერვალი, ხოლო სასამართლოს მთავარ სხდომაზე, მოპასუხის განმარტებით, შპს «პატარა კახთან» მიმართებაში ადმინისტრაციული წარმოება დაიწყო 2002 წლის 15 ივლისს, სს «გორგოტასთან» დაკავშირებით - 2004 წლის 26 თებერვალს, ის «ფერმერთან» მიმართებაში - 2004 წლის 15 იანვარს, ხოლო შპს «ენერჯიასთან» დაკავშირებით საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების ფაქტზე მოპასუხეს არანაირი პოზიცია არ დაუფიქსირებია. სასამართლო კოლეგიის აზრით, ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თარიღად 2004 წლის თებერვლის მიჩნევის შემთხვევაშიც, დარღვეულია ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-100 მუხლით დადგენილი ადმინისტრაციული აქტის გამოცემის როგორც ერთთვიანი, ასევე სამთვიანი ვადა.

სასამართლო კოლეგიამ დადასტურებულად ცნო, რომ მოპასუხის მიერ არ იქნა დაცული საჯარო გაცნობისათვის დოკუმენტების წარდგენის შესახებ ცნობის გამოქვეყნების ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი მოთხოვნები, კერძოდ, ამავე კოდექსის 56-ე მუხლის მე-2 ნაწილი და 116-ე მუხლი.

სასამართლო კოლეგიამ ასევე დადგენილად ცნო, რომ მოპასუხის მიერ არ იქნა დაცული ადმინისტრაციული წარმოების შესახებ მოსარჩელებისა და მესამე პირის ინფორმირების ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი მოთხოვნები, რითაც დაირღვა ამავე კოდექსის 117-ე მუხლი. ასევე, არ იქნა დაცული ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 120-ე, 110-ე, 111-ე მუხლების მოთხოვნები.

სასამართლო კოლეგიის აზრით, მოპასუხემ სადავო ადმინისტრაციული აქტი გამოსცა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებათა სრულყოფილი გამოკვლევისა და შეფასების გარეშე. ამასთან, არსებობს ადმინისტრაციული აქტის ბათილად ცნობისათვის მოსარჩელის გადაუდებელი კანონიერი ინტერესი.

ამდენად, სასამართლო კოლეგიის მითითებით, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, იგი უფლებამოსილია, სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად ცნოს ადმინისტრაციული აქტი.

თბილისის საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრეს შპს «პატარა კახმა», სს «გორგოტამ», გ. ა-კის ი/ს «ფერმერმა» და შპს «ენერჯიამ» და მოითხოვეს თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის 2005 წლის 4 მარტის გადაწყვეტილების შეცვლით ახალი გადაწყვეტილების მიღება და სემეკის 2004 წლის 23 ივნისის #11/1 გადაწყვეტილების ბათილად ცნობა შპს «პატარა კახის», შპს «ენერჯის», გ. ა-კის ის «ფერმერის» და სს «გორგოტას» ლიცენზიის გაუქმების ნაწილში.

კასატორების მითითებით, სასამართლო კოლეგიაში საქმის განხილვისას მათ მიერ განმარტებულ იქნა, რომ მოპასუხის მიერ არ იყო წარმოდგენილი კანონის შესაბამისი ადმინისტრაციული წარმოების

მასალები, წარმოდგენილი იყო ყოველგვარი ფორმის დაუცველად შედგენილი ქაღალდები, რის გამოც მოსარჩელები არ განიხილავდნენ ადმინისტრაციული აქტის დასაბუთებულობას, მსჯელობის საგანი მიმართული იყო სემკვის მიერ სადავო ადმინისტრაციული აქტის გამოცემის პროცესში დაშვებულ დარღვევებზე, რაც სრული საფუძველი იყო 2004 წლის 23 ივნისის #11/1 გადაწყვეტილების ბათილად ცნობისათვის. კასატორთა მითითებით, დავის საგანი იყო არა სადავო ადმინისტრაციული აქტის დასაბუთებულობა და მასში აღნიშნულ არსებით გარემოებათა სრულყოფილი გამოკვლევისა და შეფასების არსებობა, არამედ გამოცემის დროს დაშვებული არსებითი დარღვევები. სასამართლო კოლეგიას არ უმსჯელია სასარჩელო განცხადებაში მითითებულ სხვა დარღვევებზე, ასევე, იყო თუ არა ადმინისტრაციული აქტი გამოცემული საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის გარემოებათა სრულყოფილი გამოკვლევისა და შეფასების საფუძველზე.

კასატორთა მითითებით, სასამართლო კოლეგიამ არ გამოიყენა «დამოუკიდებელი ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ» კანონის მე-16 მუხლი, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60 მუხლის პირველი ნაწილის «დ» პუნქტი, ამავე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილები, ამავე კოდექსის მე-13, მე-100, 103-ე, 105-ე, 115-120-ე მუხლები და შედეგად ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილი. კასატორთა მითითებით, სადავო ადმინისტრაციული აქტის გამოცემისას დაირღვა ადმინისტრაციული წარმოების საჯაროობის პრინციპი, რაც სრული საფუძველია სადავო ადმინისტრაციული აქტის ბათილად ცნობისათვის.

კასატორთა მითითებით, სასამართლო კოლეგიის მიერ არ იქნა გამოკვლეული კომისიის წევრთა მიერ უფლებამოსილების გადამეტების ფაქტი. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად და სადავო გადაწყვეტილებაზე ხელმოწერა რაოდენობა მოწმობს, რომ სხდომას არ ესწრებოდა კომისიის სამი წევრი, რის გამოც იგი არ იყო უფლებამოსილი, მიეღო გადაწყვეტილება, რაც ასევე წარმოადგენს გადაწყვეტილების ბათილად ცნობის მოტივს.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა საქმის მასალების გაცნობის, მხარეთა განმარტებების მოსმენის, საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ შპს «პატარა კახის», სს «გორგოტას», გ. ა-კის ი/ს «ფერმერის» და შპს «ენერჯის» საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის 2005 წლის 4 მარტის გადაწყვეტილება და გამოტანილ იქნეს ახალი გადაწყვეტილება შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა დადგენილად მიიჩნევს, რომ თბილისის საოლქო სასამართლოს კოლეგიამ მოცემული დავის გადაწყვეტისას, რომლის დროსაც მოსარჩელები მოითხოვდნენ ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2004 წლის 23 ივნისის #11/1 გადაწყვეტილების ბათილად ცნობას, არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა და გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, არასწორად განმარტა კანონი, რაც გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველია.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, საოლქო სასამართლოს ან კოლეგიის მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის.

საკასაციო პალატა იზიარებს საოლქო სასამართლოს დასკვნებს იმის თაობაზე, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 115-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ლიცენზირებასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული აქტის გამოცემისას არ გამოიყენება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მეცხრე თავით დადგენილი წესები. ამასთან, «დამოუკიდებელი ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ» საქართველოს კანონის მე-16 მუხლის მე-4 ნაწილი იმპერატიულად მოითხოვს დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოსაგან ლიცენზიების გაუქმების თაობაზე მოაწყოს საჯარო განხილვები და იხელმძღვანელოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-9 თავით დადგენილი წესებით. სასამართლო კოლეგიამ სწორად მიიჩნია, რომ, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-17 მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული აქტის ბათილად ცნობის შესახებ სარჩელის წარდგენის შემთხვევაში მტკიცების ტვირთი ეკისრება ადმინისტრაციულ ორგანოს, რომელმაც გამოსცა ეს აქტი, საქმის მასალებით გაურკვეველია, როდის, რა ვითარებაში დაიწყო ენერგეტიკის მარეგულირებელმა კომისიამ მოსარჩელებისათვის ლიცენზიების გაუქმების თაობაზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოება. მათ მიერ დასახელებული სხვადასხვა ვადები, კერძოდ, 2002 წლის 15 ივლისი, 2004 წლის იანვარ-თებერვალი პირდაპირ მიუთითებენ, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ 2004 წლის 23 ივნისს მიღებული გადაწყვეტილება გამოცემულია ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-100 მუხლის უხეში დარღვევით და უგულბებლყოფილია ამ მუხლის მესამე ნაწილით დადგენილი მაქსიმალური სამთვიანი ვადა.

საკასაციო სასამართლომ საფუძვლიანად მიიჩნია კასატორების პრეტენზია, რომ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის «ვ» პუნქტის თანახმად, ლიცენზია წარმოადგენს აღმჭურველ ადმინისტრაციულ აქტს, შესაბამისად, იგი თავისი ბუნებით ინდივიდუალურია, რის გამოც სემკვის გადაწყვეტილება ლიცენზიის გაუქმების შესახებ მიღებული უნდა ყოფილიყო ინდივიდუალურად, ყოველი ლიცენზიანტის მიმართ ცალ-ცალკე და არა ერთი გადაწყვეტილებით.

საკასაციო პალატა იზიარებს აგრეთვე სასამართლო კოლეგიის მითითებას იმის თაობაზე, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-13 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება აქვს განიხილოს და გადაწყვიტოს საკითხი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაინტერესებულ მხარეს, რომლის უფლება ან კანონიერი ინტერესი იზღუდება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, მიეცა საკუთარი მოსაზრების წარდგენის შესაძლებლობა, რაც ასევე უხეზად იქნა დარღვეული ადმინისტრაციული ორგანოს - სემეკ-ის მიერ. საოლქო სასამართლოს კოლეგიას სრული სამართლებრივი საფუძველი ჰქონდა, როცა დადგენილად მიიჩნია, რომ ადმინისტრაციული ორგანოს - სემეკ-ის მიერ #11/1 გადაწყვეტილების გამოტანისას დარღვეულ იქნა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 110-ე, 111-ე, 112-ე, 117-ე, 118-ე და 120-ე მუხლები, ვინაიდან მოსარჩელებს არ მიეცათ უფლება, სადავო საკითხებთან დაკავშირებით წარედგინათ თავისიანთი მოსაზრებები წერილობით, ისინი არ ყოფილან ინფორმირებული საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ და შესაბამისად, არ ყოფილან მიწვეული ლიცენზიების გაუქმების საფუძვლის განხილვისას ზეპირ მოსმენაში მონაწილეობის მისაღებად. ამ გარემოებებზე დაყრდნობით თბილისის საოლქო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილით და მიიჩნია, რომ ადმინისტრაციული აქტი გამოცემულია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების გარეშე, რის გამოც სასამართლომ სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად ცნო ადმინისტრაციული აქტი და დაავალა ენერგეტიკის მარეგულირებელ ეროვნულ კომისიას ამ გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ გამოსცეს ახალი ადმინისტრაციული აქტი.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ საოლქო სასამართლოს კოლეგიის მიერ გაკეთებული დასკვნები იმის შესახებ, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული აქტების მომზადებისა და გამოცემისას დარღვეულია კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, არ აძლევდა საფუძველს 2004 წლის 23 ივნისის #11/1 გადაწყვეტილება ეცნო ბათილად საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე.

საკასაციო პალატა ამასთან დაკავშირებით განმარტავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე სასამართლო მხოლოდ იმ შემთხვევაშია უფლებამოსილი, სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად ცნოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტი და დაავალოს ადმინისტრაციულ ორგანოს ახალი აქტის გამოცემა თუ ეს უკანასკნელი გამოცემულია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების გარეშე.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2004 წლის 23 ივნისის გადაწყვეტილების, როგორც მომზადების, ისე გამოცემისას უხეზადაა დარღვეული საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-9 თავისა და «დამოუკიდებელი ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ» საქართველოს კანონით გათვალისწინებული პროცედურები და ეს სადავოდ არც მოწინააღმდეგე მხარეს - ენერგეტიკის მარეგულირებელ ეროვნულ კომისიას გაუხდია. აქედან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მიერ სადავო ადმინისტრაციული აქტი გამოცემულია არა მარტო საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის გარემოებათა სრულყოფილი გამოკვლევისა და შეფასების გარეშე, არამედ უხეზადაა დარღვეული კანონმდებლობით დადგენილი ადმინისტრაციული აქტის მომზადებისა და გამოცემის წესი. ამასთან დაკავშირებით, კასატორების მიერ წარმოდგენილი საკასაციო პრეტენზია სავსებით საფუძვლიანია და დასაბუთებული და საკასაციო პალატა იზიარებს მას.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის (2000 წლის რედაქცია) მე-60 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს, ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების, ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები.

ამასთან, საკასაციო პალატა თვლის, რომ ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2004 წლის 23 ივნისის გადაწყვეტილება, რომლითაც კასატორებს: შპს «პატარა კახს», სს «გორგოტას», გ. ა-კის ინდუსტრიული «ფერმერს», შპს «ენერჯიას» გაუუქმდათ ელექტროენერჯის განაწილების ლიცენზიები, ეწინააღმდეგება კანონს, ამასთან, პირდაპირ და უშუალო ზიანს აყენებს ამ უკანასკნელთა კანონიერ უფლებას და ინტერესს და ზღუდავს მათ, რის გამოც, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, უნდა იქნეს ცნობილი ბათილად.

ამდენად, თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიამ გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა და გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, რის გამოც შპს «პატარა კახის», სს «გორგოტას», გ. აბელაკის ი/ს «ფერმერისა» და შპს ენერჯიის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის 2005 წლის 4 მარტის გადაწყვეტილება და ახალი გადაწყვეტილებით შპს «პატარა კახის», სს «გორგოტას», გ. ა-კის ი/ს «ფერმერისა» და შპს ენერჯიის სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს სრულად, ბათილად იქნეს ცნობილი სემეკის 2004 წლის 23 ივნისის #11/1 გადაწყვეტილება შპს «პატარა კახის», სს «გორგოტას», გ. ა-კის ი/ს «ფერმერისა» და შპს ენერჯისათვის ელექტროენერჯის განაწილების ლიცენზიების გაუქმების ნაწილში.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, 32-ე მუხლის პირველი ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-2 ნაწილით, 411-ე მუხლით და

გადაწყვეტა:

1. შპს «პატარა კახის», სს «გორგოტას», გ. ა-კის ინდსაწარმო «ფერმერის» და შპს «ენერჯის» საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის 2005 წლის 4 მარტის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. შპს «პატარა კახის», სს «გორგოტას», გ. ა-კის ინდსაწარმო «ფერმერის» სარჩელი დაკმაყოფილდეს;
4. ბათილად იქნეს ცნობილი ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2004 წლის 23 ივნისის #11/1 გადაწყვეტილება შპს «პატარა კახის», სს «გორგოტას», გ. ა-კის ინდსაწარმო «ფერმერისა» და შპს «ენერჯისათვის» ელექტროენერჯის განაწილების ლიცენზიების გაუქმების ნაწილში;
5. ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის დაეკისროს კასატორთა სასარგებლოდ ამ უკანასკნელთა მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის (480+300) 780 ლარის გადახდა;
6. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ლიცენზიის გაუქმება, შეჩერება

განჩინება

#ბს-805-392(კ-05)

19 ოქტომბერი, 2005 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა

**შემადგენლობა: ნ. წკეპლაძე (თავმჯდომარე),
ი. ლეგაშვილი (მომხსენებელი),
ჯ. გაბოკიძე**

დავის საგანი: ადმინისტრაციული აქტის ბათილად ცნობა და ადმინისტრაციული აქტის გამოცემის დავალება

აღწერილობითი ნაწილი:

შპს «ვეროპამ» სარჩელით მიმართა სასამართლოს მოპასუხე კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიმართ და მოითხოვა შპს «ვეროპისთვის» #478 ლიცენზიის გაუქმების შესახებ მოპასუხის 2004 წლის 10 სექტემბრის #462/4 გადაწყვეტილების ბათილად ცნობა; მოპასუხის დავალდებულება, მოეხდინა #478 ლიცენზიის მოდიფიცირება - 500 ვტ-დან 2 კვტ-მდე სიმძლავრის გაზრდის შესახებ შემდეგი საფუძველებით:

2004 წლის 10 სექტემბერს სკეკმა მიიღო გადაწყვეტილება #462/4, რომლითაც შპს «ვეროპას» გაუქმა #478 ლიცენზია. აღნიშნული გადაწყვეტილება უკანონო იყო და ბათილად უნდა ყოფილიყო ცნობილი.

კავშირგაბმულობისა და ფოსტის სამინისტროს მიერ 17.04.1998წ. გაცა ლიცენზია #478 სს «ქვემო ქართლის ტელერადიოკომპანიის» სახელზე, რომელიც ითვალისწინებდა ქ. თბილისში სატელევიზიო მაუწყებლობას 38-ე სატელევიზიო არხზე 500 კვტ სიმძლავრის გადამცემის გამოყენებით. სს «ქვემო ქართლის ტელერადიოკომპანიამ» კომისიის (30.03.01წ.) გადაწყვეტილებით, კავშირგაბმულობისა და ფოსტის შესახებ» კანონის 54-ე მუხლისა და «კავშირგაბმულობისა და ფოსტის სფეროში საქმიანობის ლიცენზიის მფლობელთა ხელახალი რეგისტრაციისა და პირობების შესახებ» დადგენილების მე-2 მუხლის შესაბამისად, გაიარა ხელახალი რეგისტრაცია კომისიაში და მისი მონაცემები შეტანილია კომისიის უწყებრივ სალიცენზიო რეესტრში. კომისიის 2003 წლის 26 დეკემბრის #652 გადაწყვეტილებით, სს «ქვემო ქართლის ტელერადიოკომპანიის» #478 ლიცენზიას გაუგრძელდა მოქმედების ვადა. ქ. რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2005 წლის 5 აგვისტოს დადგენილებით (რეგისტრაციის #5ბ-264) სს «ქვემო ქართლის ტელერადიოკომპანიიდან» ნატურით გამოყოფის შედეგად მისი უფლებამონაცვლე #478 ლიცენზიის ფლობისა და გამოყენების საკითხებში გახდა შპს «ვეროპა».

სკეკ-მა თავის 2004 წლის 10 სექტემბრის #462/4 გადაწყვეტილებას საფუძველად დაუდო იმავე წლის 18-19 აგვისტოს ჩატარებული მონიტორინგის შედეგები და ელექტრომაგნიტურ თავსებადობასა და ხელშემლახე დაკვირვების სამსახურის 25.06.04წლის #383/2 წერილი. მონიტორინგის შედეგების თანახმად, დაკვირვების სამსახური სკეკს ატყობინებდა, რომ სს «ქვემო ქართლის ტელერადიოკომპანიისთვის» მინიჭებულ 38-ე სატელევიზიო არხზე 2003 წლიდან მაუწყებლობა

ხორციელდებოდა პერიოდულად, ხოლო ბოლო სამი თვის განმავლობაში შეჩერებული იყო, რაც არ შეესაბამებოდა სინამდვილეს. იმავე სამსახურის მონაცემებით, 38-ე სატელევიზიო არხზე მაუწყებლობა მიმდინარეობდა არა სამი თვის განმავლობაში, არამედ 2004 წლის 25 ივნისიდან 28 ივნისის ჩათვლით მთელი დღის განმავლობაში, 14 ივლისიდან -20 ივლისის ჩათვლით, ხოლო 3 და 6 ივლისს ჩართული იყო სს «ქვემო ქართლის ტელერადიოკომპანიის» არხი-ტიხარი მაუწყებლობის გარეშე, ანუ წარდგენილი იყო ურთიერთგამომრიცხავი შინაარსის დოკუმენტები, რის გამოც არ შეიძლებოდა ადმინისტრაციულ ორგანოს გაეზიარებინა.

ელექტრომაგნიტურ თავსებადობასა და ხელშეშლვებზე დაკვირვების სამსახურის წერილის საწინააღმდეგოდ, სკეკში წარდგენილ იქნა შპს «საქართველოს ტელერადიოცენტრის» ხელმძღვანელობის 07.09.2004წ. #09/296 წერილი, რომლის თანახმად, 38-ე სიხშირის ტელეარხზე 2004 წლის აპრილში, მაისსა და ივნისში თბილისის სატელევიზიო არხიდან ხორციელდებოდა მაუწყებლობა რეგულარულად. მხოლოდ 10 აპრილიდან 25 ივნისამდე პერიოდში, ანტენის დაზიანების გამო, მუშაობა მიმდინარეობდა შემცირებული სიმძლავრით.

სკეკ-ის 12.07.2004 წლის #02/1084-04 წერილით ეცნობა სს «ქვემო ქართლის ტელერადიოკომპანიას», რომ კომისიას არ დაუწყია ადმინისტრაციული წარმოება #478 ლიცენზიის გაუქმების შესახებ.

მოსარჩელის აზრით, თუ კომისიაში საჯარო ადმინისტრაციული წარმოება დაიწყო შპს «ელექტრომაგნიტური თავსებადობისა და ხელშეშლვებზე დაკვირვების სამსახურის 25.06.04 წერილის საფუძველზე, მაშინ 12.07.2004 წლისათვის საჯარო ადმინისტრაციული წარმოება დაწყებული უნდა ყოფილიყო, თანახმად «საქმიანობის მარეგულირებელი წესების» მე-4 და მე-6 მუხლებისა. 13.07.2004 წელს დაიწყო საჯარო ადმინისტრაციული წარმოება, რის შესახებაც ტელერადიოკომპანიის ხელმძღვანელობისათვის ცნობილი გახდა მხოლოდ ერთი თვის შემდეგ. სკეკის საქმიანობის მარეგულირებელი წესების მე-11 მუხლის თანახმად, თუ კომისია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას მოქმედებდა დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში, წერილობით დასაბუთებაში უნდა მიეთითებინა ყველა იმ ფაქტობრივ გარემოებაზე, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას. აღნიშნული დასაბუთება კომისიას არ გაუკეთებია.

01.07.2004 წ. სს «ქვემო ქართლის ტელერადიოკომპანიამ» მიმართა სკეკს განცხადებით #478 ლიცენზიის მოდიფიცირების შესახებ «კავშირგაბმულობისა და ფოსტის შესახებ» კანონის 39-ე მუხლის საფუძველზე. კომპანია აპირებდა მაუწყებლობის გამდიერებაზე, საპასუხოდ კი სკეკ-მა გააუქმა ლიცენზია.

ზაკ-ის 177-ე მუხლის მიხედვით, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისათვის დადგენილი ვადის დარღვევა ჩაითვლება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემაზე უარის თქმად და ექვემდებარება გასაჩივრებას. მოსარჩელეს მიაჩნდა, რომ სკეკ-მა მიიღო უკანონო გადაწყვეტილება, რადგან იმ შემთხვევაშიც კი, თუ სკეკი მიიჩნევდა, რომ მაუწყებლობა გადიოდა არარეგულარულად, მაშინ უნდა შეეჩერებინა ლიცენზიის მოქმედება და არ გაეუქმებინა.

სკეკმა სასამართლოში წარდგენილ წერილობით შესაგებელში არ ცნო შპს «ევროპის» სარჩელი და მიუთითა, რომ კომისიის გადაწყვეტილების სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენდა «კავშირგაბმულობისა და ფოსტის შესახებ» კანონის პირველი პუნქტის «გ» ქვეპუნქტი, მე-40 მუხლის პირველი პუნქტის «დ» ქვეპუნქტი და ზაკ-ის 115-ე მუხლი.

25.06.05წ. შპს «ელექტრომაგნიტურ თავსებადობასა და ხელშეშლვებზე დაკვირვების სამსახურმა» #384/2 წერილით კომისიას აცნობა, რომ კომისიის მიმართვის საფუძველზე ინსპექტირებისა და რადიოკონტროლის მობილურმა ჯგუფმა 24 ივნისს ჩაატარა სს «ქვემო ქართლის ტელერადიოკომპანიისათვის» #478 ლიცენზიის საფუძველზე მინიჭებული სატელევიზიო არხების რადიოსაკონტროლო გაზომვადი სამუშაოები, რა დროსაც გამოვლინდა, რომ სს «ქვემო ქართლის ტელერადიოკომპანია» 38-ე სატელევიზიო არხზე 2003 წლიდან მაუწყებლობას ახორციელებდა პერიოდულად, ხოლო ბოლო სამი თვის მანძილზე შეწყვეტილი ჰქონდა მაუწყებლობა. «კავშირგაბმულობისა და ფოსტის შესახებ» კანონის მე-40 მუხლის პირველი ნაწილის «დ» ქვეპუნქტის თანახმად, ლიცენზიით განსაზღვრული საქმიანობის შეწყვეტა ლიცენზიის გაუქმების საფუძველს წარმოადგენს.

«კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საქმიანობის მარეგულირებელი წესების» მე-12 მუხლის შესაბამისად, საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებათა გამოკვლევისას კომისიამ იხელმძღვანელა ზეპირი მოსმენის სხდომაზე დაინტერესებულ პირთა მიერ გამოთქმული მოსაზრებებითა და საქმეზე თანდართული მასალებით, რა დროსაც დადასტურებულად მიიჩნია 38-ე სატელევიზიო არხზე მაუწყებლობის არარეგულარულად და არასისტემურად მიმდინარეობის ფაქტი და, შესაბამისად, გააუქმა ლიცენზია.

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის 2005 წლის 7 აპრილის გადაწყვეტილებით არ დაკმაყოფილდა შპს «ევროპის» სარჩელი.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია სს «ქვემო ქართლის ტელერადიოკომპანიის» მიერ ლიცენზიით ნებადართული საქმიანობის არაერთი შეწყვეტის ფაქტი, რაც დასტურდებოდა რადიომონიტორინგის

ჯგუფის 09.08.2004წ. მონიტორინგის შედეგებით და ელექტრომაგნიტურ თავსებადობასა და ხელშეშლებზე დაკვირვების სამსახურის 25.06.2004წ. #384/2 წერილით.

სასამართლო კოლეგიამ არ გაიზიარა მოსარჩელის პოზიცია იმის თაობაზე, რომ სკეკს არსებული დარღვევების გამო უნდა დაეწყო ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის წარმოება «კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საქმიანობის მარეგულირებელი წესების მე-6 თავისა და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 262-ე და 144¹-ე მუხლების საფუძველზე და მიიჩნია, რომ აღნიშნული ნორმები აწესრიგებს მხოლოდ სამართალდარღვევის გამოვლენას, სამართალდარღვევის გამო საქმის წარმოების და შემდგომ სახდელის დაკისრების საკითხებს, ხოლო კონკრეტულ შემთხვევაში საქმე ეხებოდა «კავშირგაბმულობისა და ფოსტის შესახებ» კანონის მე-40 მუხლის პირველი ნაწილის «დ» პუნქტით გათვალისწინებული ლიცენზიის მფლობელის მიერ ლიცენზიით ნებადართული საქმიანობის შეწყვეტას და აღნიშნული ნორმების საფუძველზე ლიცენზიით ნებადართული საქმიანობის შეწყვეტა წარმოადგენდა ლიცენზიის გაუქმების საფუძველს.

სასამართლომ ასევე არ გაიზიარა მოსარჩელის მსჯელობა იმის თაობაზე, რომ გასაჩივრებული აქტი ეწინააღმდეგება კანონს და გამოცემულია ადმინისტრაციული აქტის მომზადებისა და გამოცემისათვის დადგენილი მოთხოვნების დარღვევით და მიუთითა, რომ სკეკმა საჯარო ადმინისტრაციული წარმოება დაიწყო, განახორციელა და დაამთავრა ზეპირი მოსმენით, რომელსაც ესწრებოდნენ მოსარჩელის წარმომადგენლები. შესაბამისად, მხარეს სრულად ჰქონდა შესაძლებლობა, დაეფიქსირებინა თავისი მოსაზრებები, წარედგინა დოკუმენტაცია და დაეცვა საკუთარი ინტერესები.

საოლქო სასამართლოს 2005 წლის 7 აპრილის გადაწყვეტილება საკასაციო საჩივრით გასაჩივრეს შპს «ევროპამ» და სს «ქვემო ქართლის ტელერადიოკომპანია», რომლებიც ითხოვენ გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებას და სარჩელის დაკმაყოფილებას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა საქმის მასალების გაცნობის, გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასაბუთებულობა-კანონიერების შემოწმების, საკასაციო საჩივრის მოტივების შესწავლისა და მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის შედეგად მიიჩნევს, რომ შპს «ევროპისა» და სს «ქვემო ქართლის ტელერადიოკომპანიის» საკასაციო საჩივრები ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის 2005 წლის 7 აპრილის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ თბილისის საოლქო სასამართლოს 07.04.2005 წლის გადაწყვეტილება მიღებულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლით და 394-ე მუხლის «ე» ქვეპუნქტით გათვალისწინებული დარღვევებით. სასამართლოს მიერ არ არის გამორკვეული საქმის ფაქტობრივი გარემოებები. გადაწყვეტილება იურიდიულად იმდენად დაუსაბუთებელია, რომ შეუძლებელია გადაწყვეტილების სამართლებრივი საფუძვლების შემოწმება.

კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 10.09.2004წ. #462/4 გადაწყვეტილებით შპს «ევროპას» გაუქმდა #478 ლიცენზია. აღნიშნულ გადაწყვეტილებას საფუძვლად დაედო შპს «ელექტრომაგნიტურ თავსებადობასა და ხელშეშლებზე დაკვირვების სამსახურის» 25.06.2004წ. #384/2 წერილი, რომლითაც კომისიას ეცნობა, რომ კომისიის მიმართვის საფუძველზე, ინსპექტირებისა და რადიოკონტროლის მობილურმა ჯგუფმა 2004 წლის 24 ივნისს ჩაატარა სს «ქვემო ქართლის ტელერადიოკომპანიისათვის» #478 ლიცენზიის საფუძველზე მინიჭებული სატელევიზიო არხების რადიოსაკონტროლო გაზომვითი სამუშაოები, რა დროსაც გამოვლინდა, რომ სს «ქვემო ქართლის ტელერადიოკომპანია» 38-ე სატელევიზიო არხზე 2003 წლიდან მაუწყებლობას ახორციელებდა პერიოდულად, ხოლო ბოლო სამი თვის მანძილზე შეწყვეტილი ჰქონდა. მითითებული დასკვნის საფუძველზე, სკეკმა «კავშირგაბმულობისა და ფოსტის შესახებ» კანონის მე-40 მუხლის პირველი პუნქტის «დ» ქვეპუნქტის საფუძველზე შპს «ევროპას» გაუქმა #478 ლიცენზია.

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიამ გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში დადგინილად მიიჩნია, რომ შპს «ევროპის» მიერ #478 ლიცენზიით ნებადართული საქმიანობის შეწყვეტა წარმოადგენდა ლიცენზიის გაუქმებისა და შპს «ევროპის» სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველს. საოლქო სასამართლოს აღნიშნულ მოსაზრებას ვერ გაიზიარებს საკასაციო სასამართლო, რადგან მიაჩნია, რომ საქმის ფაქტობრივი გარემოებები არ არის სრულყოფილად გამორკვეული, კერძოდ, სკეკის გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში #478 ლიცენზიის გაუქმების საფუძვლად მითითებულია შპს «ელექტრომაგნიტურ თავსებადობასა და ხელშეშლებზე დაკვირვების სამსახურის» 25.06.2004წ. #384/2 წერილზე, რომელიც ადასტურებს სს «ქვემო ქართლის ტელერადიოკომპანიის» მიერ ლიცენზიით ნებადართული საქმიანობის შეწყვეტას. საოლქო სასამართლომ არ გაარკვია, რა დროიდან გახდა შპს «ევროპა» #478 ლიცენზიის მფლობელი და რა უფლება-მოვალეობები გადაეცა მას, კერძოდ, სასამართლომ არ გაარკვია, ეკისრებოდა თუ არა შპს «ევროპას» პასუხისმგებლობა ადრინდელი ლიცენზიანტის დარღვევებზე. საქმის მასალებში წარმოდგენილი არ არის შპს «ევროპას» წესდება და ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან, რის გამოც საკასაციო პალატა მოკლებულია შესაძლებლობას, შეამოწმოს სკეკის 10.09.2004წ. #462/4

გადაწყვეტილების საფუძვლიანობა. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა იზიარებს კასატორების მოსაზრებას გასაჩივრებული გადაწყვეტილების იურიდიულად დაუსაბუთებლობის შესახებ.

საოლქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია სს «ქვემო ქართლის ტელერადიოკომპანიის» მხრიდან ლიცენზიით ნებადართული საქმიანობის არაერთი შეწყვეტის ფაქტი, რაც «კავშირგაბმულობისა და ფოსტის შესახებ» კანონის მე-40 მუხლის პირველი პუნქტის «დ» ქვეპუნქტის საფუძველზე ლიცენზიის გაუქმების საფუძველს წარმოადგენდა.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ საქმეში არსებული მტკიცებულებები საოლქო სასამართლოს არ აძლევდა ასეთი დასკვნის გაკეთების საფუძველს, რამდენადაც საქმის მასალებში წარმოდგენილი არ არის #478 ლიცენზია და მისი დანართი და, შესაბამისად, უცნობია სასამართლოსათვის, რა პირობებს ითვალისწინებდა #478 ლიცენზია.

«კავშირგაბმულობისა და ფოსტის შესახებ» კანონის მე-40 მუხლის პირველი პუნქტის «დ» ქვეპუნქტის თანახმად, ლიცენზიის მფლობელის მიერ ლიცენზიით ნებადართული საქმიანობის შეწყვეტა წარმოადგენს ლიცენზიის გაუქმების საფუძველს, ხოლო ამავე კანონის 39-ე მუხლის მე-2 პუნქტის «ა» ქვეპუნქტის თანახმად, ლიცენზიის მფლობელის მიერ ლიცენზიის პირობების შეუსრულებლობა წარმოადგენს ლიცენზიის მოქმედების შეჩერების საფუძველს. საოლქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ სს «ქვემო ქართლის ტელერადიოკომპანიის» მიერ ადგილი ჰქონდა ლიცენზიით ნებადართული საქმიანობის შეწყვეტას, თუმცა არ იმსჯელა იმის შესახებ, თუ რა იგულისხმებოდა საქმიანობის შეწყვეტაში, კერძოდ, საზოგადოების მიერ არასისტემატური მაუწყებლობა, რაც დასტურდებოდა შპს «ელექტრომაგნიტურ თავსებადობასა და ხელშეშლვებზე სამსახურის» დასკვნით, წარმოადგენდა საქმიანობის შეწყვეტას, თუ უნდა განხილულიყო, როგორც ლიცენზიის მფლობელის მიერ, ლიცენზიის პირობების შეუსრულებლობა, რაც სამართლებრივად განსხვავებულ შედეგს (ლიცენზიის შეჩერებას) იწვევდა.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება მოსარჩელის მეორე მოთხოვნის - მოდიფიცირებული ლიცენზიის გაცემის დავალების ნაწილში, სრულიად დაუსაბუთებელია. სასამართლომ მიუთითა მხოლოდ სკეკის 10.09.2004 წლის #462/4 გადაწყვეტილებაზე, რომლითაც შპს «ევროპას» გაუქმდა ლიცენზია და არ შეაფასა საქმეში არსებული მასალები, კერძოდ, საქმის მასალებში არ მოიპოვება შპს «ევროპის» განცხადება ლიცენზიის მოდიფიცირების თაობაზე. ის გარემოება, რომ სკეკს აღნიშნულის თაობაზე განცხადებით მიმართა სს «ქვემო ქართლის ტელერადიოკომპანიამ», აძლევდა თუ არა შპს «ევროპას» უფლებას, მიეჩნია, რომ სს «ქვემო ქართლის ტელერადიოკომპანიის» განცხადების საფუძველზე მას უნდა მიეღო მოდიფიცირებული ლიცენზია, რადგან საქმის მასალებში წარმოდგენილი არ არის შპს «ევროპის» განცხადება სკეკის მიმართ, რომლითაც მან მოითხოვა სს «ქვემო ქართლის ტელერადიოკომპანიის» განცხადების საფუძველზე მის მიმართ ადმინისტრაციული წარმოების დაწყება.

საკასაციო პალატა იზიარებს კასატორთა მსჯელობას იმის თაობაზე, რომ სზაკ-ის 177-ე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისათვის დადგენილი ვადის დარღვევა ჩაითვლება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემაზე უარის თქმად და იგი საჩივრდება კანონით დადგენილი წესით, მაგრამ კონკრეტულ შემთხვევაში დავის სპეციფიკურობიდან გამომდინარე და იმის გათვალისწინებით, რომ შპს «ევროპის» მოთხოვნას წარმოადგენს #478 ლიცენზიის სიმძლავრის გაზრდა 500 ვტ-დან 2 კვტ-მდე, ხოლო «კავშირგაბმულობისა და ფოსტის შესახებ» კანონის 39-ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, იკრძალება სიხშირული სპექტრის გამოყენებით საქმიანობაზე ლიცენზიის პირობების იმგვარად მოდიფიცირება, რაც გამოიწვევს ლიცენზიის სახის არსობრივ შეცვლას ან სამოქმედო ზონის ცვლილებას და ასეთ შემთხვევაში უნდა გაიცეს ახალი ლიცენზია კანონით დადგენილი წესით, საქმის ხელახლა განმხილველმა სასამართლომ უნდა იმსჯელოს, სასკის 23-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, რამდენად დასაშვებია შპს «ევროპის» მოთხოვნა წარმოდგენილი ფორმულირებით, რადგან ლიცენზიის მოდიფიცირების თაობაზე სკეკს არ მიუღია გადაწყვეტილება.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ განჩინებაში მითითებული გარემოებები საჭიროებს გამოკვლევას, რის გამოც საკასაციო სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას, სსკ-ის 411-ე მუხლის საფუძველზე მიიღოს ახალი გადაწყვეტილება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

დაადგინა:

1. სს «ქვემო ქართლის ტელერადიოკომპანიისა» და შპს «ევროპის» საკასაციო საჩივრები დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

2. გაუქმდეს თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის 2005 წლის 7 აპრილის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად გადაეცეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას;

3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

გარემოს დაცვითი ნებართვის გაცემა

გადაწყვეტილება საქართველოს სახელით

#ბს-586-172(კ-05)

2 ნოემბერი, 2005 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა

შედადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე),
ნ. ქადაგიძე (მომხსენებელი),
ბ. კობერიძე

დავის საგანი - ადმინისტრაციული აქტის ბათილად ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

2004 წლის 2 აგვისტოს ა. დ-მემ, მ. დ-მემ, ნ. გ-მემ და გ. თ-მემ სასარჩელო განცხადებით მიმართეს აჭარის ა/რ უმაღლეს სასამართლოს მოპასუხე აჭარის ა/რ გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამმართველოს მიმართ აჭარის ა/რ გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს 2004 წლის 2 თებერვლის ადმინისტრაციული აქტის ბათილად ცნობის თაობაზე.

მოსარჩელები სასარჩელო განცხადებაში მიუთითებდნენ, რომ 2004 წლის 2 თებერვალს აჭარის ა/რ გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ მიღებულ იქნა ადმინისტრაციული აქტი, რომლითაც ი/მ «ი. გ-მეს» მიეცა გარემოსდაცვითი ნებართვა შუახევის რაიონის სოფ. ტბეთში მრგვალი ხე-ტყის სახერხი საამქროს მოწყობის თაობაზე, რითიც დაირღვა მათი კანონიერი ინტერესები, კერძოდ, ზემოაღნიშნული ადმინისტრაციული აქტის მიღებისას აჭარის ა/რ გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს უნდა ეხელმძღვანელა «გარემოსდაცვითი ნებართვების შესახებ» კანონით, რომელიც გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ფაქტობრივად არ გამოუყენებია.

მოსარჩელების განმარტებით, ზემოაღნიშნული აქტის გამოცემისას არ არის დაცული სანიტარული ნორმები სოფლის მაცხოვრებლებთან მიმართებაში, რაც გამოიხატება იქ არსებული სასმელი წყლის მოსალოდნელ დაზიანებასა და ზომაზე მეტ ხმაურში, რაც შეიძლება გამოწვეული იყოს საამქროს ექსპლუატაციით. ასევე არ არის დაცული უსაფრთხოების ზომები, ვინაიდან სახერხი მდებარეობს სოფლის სამანქანე გზიდან 2-3 მეტრის დაშორებით.

მოსარჩელების განმარტებით, აჭარის ა/რ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველომ არ გაითვალისწინა აჭარის საპარლამენტო კომისიის 2002 წლის 27 აგვისტოს დასკვნა, რომელიც დაუშვებლად მიიჩნევდა იმ ადგილში სახერხი დაზვის ჩადგმას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელები ითხოვდნენ აჭარის ა/რ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს მიერ 2004 წლის 2 თებერვალს გაცემული #0001 გარემოსდაცვითი ნებართვის ბათილად ცნობას.

აჭარის ა/რ უმაღლესი სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის 2004 წლის 26 ოქტომბრის განჩინებით ი. გ-მის განცხადება დაკმაყოფილდა და საქმეში მესამე პირად ჩაება ი/მ «ი. გ-მე».

მოპასუხე - აჭარის ა/რ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს წარმომადგენელმა სარჩელი არ ცნო უსაფუძვლობის მოტივით და მოითხოვა მოსარჩელებისათვის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

აჭარის ა/რ უმაღლესი სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის 2005 წლის 10 თებერვლის გადაწყვეტილებით ა. დ-მის, მ. დ-მის, ნ. გ-მისა და გ. თ-მის სასარჩელო განცხადება არ დაკმაყოფილდა.

სასამართლო კოლეგია გადაწყვეტილებაში მიუთითებდა, რომ «გარემოსდაცვითი ნებართვის შესახებ» კანონის 1-ლი და მე-2 მუხლების შესაბამისად, საქმიანობის განხორციელების პროცესში დაცული უნდა იქნეს ადამიანის ჯანმრთელობა და ბუნებრივი გარემო. ამავე კოდექსის მე-4 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, საქმიანობა, რომელიც ინდემწარმე «ი. გ-მემ» წამოიწყო, განეკუთვნება მეოთხე კატეგორიის საქმიანობას, რადგანაც ხის სახერხი საამქრო, რომელიც მან უნდა ააშენოს, არის 900 მ³-მდე წარმადობისა წელიწადში, რის გამოც კანონის მე-4 მუხლის 1 ნაწილის თანახმად, გამოიწვევს უმნიშვნელო ზემოქმედებას გარემოზე, ამიტომ ასეთი საქმიანობისთვის ნებართვას «გარემოსდაცვითი ნებართვის შესახებ» კანონის მე-5 მუხლის მე-3 აზნაცის შესაბამისად, გასცემს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს რეგიონალური ან ადგილობრივი ორგანო.

«გარემოსდაცვითი ნებართვის შესახებ» კანონის მე-10 მუხლის შესაბამისად, მე-4 კატეგორიის საქმიანობაზე გარემოსდაცვითი ნებართვის გაცემისთვის საჭიროა. რეგიონალურ ორგანოში დაინტერესებული პირის განაცხადის შეტანა, რომლის საფუძველზეც ტარდება სახელმწიფო ეკოლოგიური

ექსპერტიზა, ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე მიიღება გადაწყვეტილება გარემოსდაცვითი ნებართვის გაცემის თაობაზე.

«გარემოსდაცვითი ნებართვის შესახებ» კანონის მე-11 და მე-12 მუხლები აწესრიგებს გარემოსდაცვითი ნებართვის გაცემაზე უარის თქმის საფუძველზე, სადაც ამომწურავადა ჩამოთვლილი გარემოსდაცვითი ნებართვის მისაღებად საჭირო დოკუმენტების წარდგენის აუცილებლობა.

სასამართლო კოლეგიის განმარტებით, ი/მ «ი. გ-მეს» აჭარის ა/რ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოში წარმოდგენილი ჰქონდა ზემოთ მითითებული ყველა დოკუმენტი. ამასთან, სასამართლოს მითითებით, ჯერ სახერხი საამქრო ექსპლოატაციაში არ არის შესული, არც სანიტარული განაშენიანების გეგმით გათვალისწინებული სამუშაოებია დამთავრებული, ამიტომ ხმაურს არ შეეძლო შეეწუხებინა მოსარჩელები და არც წყაროს წყალი დაბინძურებულა, ვინაიდან სახერხის სანიტარული მოწყობა-განაშენიანება ითვალისწინებს სახერხისათვის სპეციალური ბეტონის ორმოს მოწყობას და ნახერხის გადაზიდვას სხვა ტერიტორიაზე.

«გარემოსდაცვითი ნებართვის შესახებ» საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-2 პუნქტი ითვალისწინებს იმ გარემოებასაც, რომ, თუ საქმის განხორციელების შედეგად ადგილზე ირღვევა გარემოსდაცვითი კანონმდებლობა, მაშინ საწარმოს მიეცემა ვადა სხვა ახალი ნორმების დასაცავად.

სასამართლო კოლეგია ასევე მიუთითებს, რომ «გარემოსდაცვითი ნებართვის შესახებ» კანონის მე-12 მუხლის 1-ლი პუნქტის «დ» ქვეპუნქტის შესაბამისად, საქმიანობაზე ნებართვის გაცემის ერთ-ერთი საფუძველია სახელმწიფო სანიტარული ზედამხედველობის სამსახურის მიერ დასკვნის გაცემა «სანიტარულ-ჰიგიენურ წესებს და ნორმებთან საქმიანობის შესაბამისობის შესახებ», ე.ი. სანიტარული ზედამხედველობის სამსახურის დასკვნა საჭიროა არა იმისთვის, რომ ნება მიეცეს საწარმოს ამა თუ იმ ადგილზე მშენებლობისათვის, არამედ ამ სამსახურის ნებართვის გაცემის საგანია თვითონ საქმიანობის შესაბამისობა სანიტარულ-ჰიგიენურ ნორმებსა და წესებთან. რაც შეეხება გარემოს დაცვას და მისი დაბინძურებისაგან დაცვის საკითხს, სასამართლოს განმარტებით, მთავარმა სახელმწიფო სანიტარულმა ექიმმა 2005 წლის 20 იანვარს სწორად ცნო ბათილად შუახევის მთავარი სანიტარული ექიმის 2002 წლის 23 მაისის აქტი, რომლითაც, იგი ფაქტობრივად მშენებლობის ნებართვას აძლევდა მეწარმეს და ამით იჭრებოდა სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის საქმიანობაში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლო კოლეგია მიუთითებს, რომ ი/მ «ი. გ-მე» არ იყო ვალდებული, სცოდნოდა თუ რამდენად კომპეტენტურად და პროფესიულად ასრულებდნენ თავიანთ მოვალეობას სახელმწიფო მოხელეები. მან, როგორც მეწარმე, გარემოსდაცვითი ნებართვის მისაღებად მასზე მოთხოვნილი ყველა პირობა შეასრულა და წარადგინა საჭირო დოკუმენტები გარემოს დაცვის სამინისტროში, შემდეგ მიიღო რა გარემოსდაცვითი ნებართვა და განახორციელა საჭირო ინვესტიციები პროექტის შესასრულებლად, ისარგებლა ამ ნებართვით და სახელმწიფო მოხელეთა მიერ გაცემული სხვადასხვა ადმინისტრაციული აქტებიდან გამომდინარე კანონიერი ნდობის უფლებით (ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-9 მუხლი).

მითითებული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრეს ა. დ-მემ, მ. დ-მემ, ნ. გ-მემ და გ. თ-მემ.

კასატორები საკასაციო საჩივარში მიუთითებდა, რომ აჭარის ა/რ გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ გაცემული 2004 წლის 2 თებერვლის გარემოსდაცვითი ნებართვა #0001 შუახევის რაიონის სოფ. ტბეთში მრგვალი ხის სახერხი საამქროს მშენებლობაზე, არის უკანონო, ვინაიდან «გარემოსდაცვითი ნებართვის შესახებ» საქართველოს კანონის მე-11 მუხლის შესაბამისად, სახერხის ფუქნციონირების შემთხვევაში დაირღვევა საქართველოში მოქმედი სანიტარულ-ჰიგიენური წესები და ნორმები, საფრთხე შეექმნება ადამიანის ჯანმრთელობას. «საწარმოების, ნაგებობებისა და სხვა ობიექტების სანიტარული დაცვის ზონებისა და სანიტარული კლასიფიკაციის დამტკიცების შესახებ» ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2003 წლის 6 ოქტომბრის #234/ნ ბრძანების შესაბამისად, სანიტარული დაცვის ზონა ესაა - მოსახლეობის ჯანმრთელობაზე მავნე საწარმოო ფაქტორების ზემოქმედების შემცირების მიზნით დადგენილი დაცვის ზონა, რომელიც წარმოადგენს დაცვების ტერიტორიას სამრეწველო მოედნებს, მასალებს, რეაგენტებს, დახურული საწყობებსა და საცხოვრებელი განაშენიანების ზონებს შორის. ამავე ბრძანების 41-ე მუხლის შესაბამისად, აღნიშნული საამქრო წარმოადგენს IV კლასის საწარმოს, რა შემთხვევაშიც სანიტარული დაცვის ზონის სიდიდე არანაკლებ 100 მეტრია. კონკრეტულ შემთხვევაში ეს მანძილი 90 მეტრს არ აღემატება.

აჭარის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სანიტარული ზედამხედველობის დეპარტამენტის აქტივით დგინდება, რომ მფლობელს არ გააჩნია სანიტარული დაცვისა და მშენებლობის ზონის სიდიდის დასაბუთების პროექტი, ხოლო მავნე ფაქტორების შესაძლო ზეგავლენის განმსაზღვრელი ლაბორატორიულ-საცდელი გამოკვლევები ჩატარებული არ არის.

კასატორების განმარტებით, სასამართლომ არ შეაფასა აჭარის ა/რ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სახელმწიფო სანიტარული ზედამხედველობის დეპარტამენტის თავმჯდომარის წერილი, რომლის შესაბამისად, სადავო ხის სახერხი საამქროს მშენებლობა ექვემდებარებოდა დაუყოვნებლივ შეჩერებას. ასევე შედარების მიღმა დარჩა საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს დასკვნა, რომლის შესაბამისადაც, სახერხის მოწყობისას ი/მ «ი. გ-მის» მიერ აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნაში მითითებული შენიშვნები. ობიექტის ექსპლუატაციაში გაშვებამდე მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული

მოსახლეობის აზრი. სასამართლომ ასევე არ გაიზიარა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2003 წლის 6 აგვისტოს #234/6 ბრძანების 21-ე მუხლი, რომლის შესაბამისად, მათი საცხოვრებელი მიმდებარე ტერიტორია განეკუთვნება წყალმომარაგების, წყლის ობიექტების სანიტარული დაცვის ზონის პირველ სარტყელს, რაც მკაცრი რეჟიმის ზონაა და აკრძალულია ნებისმიერი სახის მშენებლობა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორები ითხოვდნენ აჭარის ა/რ უმაღლესი სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის 2005 წლის 10 თებერვლის გადაწყვეტილების გაუქმებასა და ახალი გადაწყვეტილებით მათი სასარგელო განცხადების დაკმაყოფილებას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ა. დ-მისა და სხვათა საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

წინამდებარე დაცვის საგანს წარმოადგენს აჭარის ა/რ გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს 2004 წლის 2 თებერვლის გარემოსდაცვითი ნებართვა #0001.

კასატორები ზემოაღნიშნულ ნებართვას მიიჩნევენ კანონდარღვევით გამოცემულად და თვლიან, რომ მითითებული ადმინისტრაციული აქტის კანონიერების შემოწმებისას და გადაწყვეტილების მიღებისას აჭარის ა/რ უმაღლესი სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის მიერ დარღვეულია «გარემოსდაცვითი ნებართვის შესახებ» კანონისა და «საწარმოების, ნაგებობების და სხვა ობიექტების სანიტარული დაცვის ზონებისა და სანიტარული კლასიფიკაციის დამტკიცების შესახებ» ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2003 წლის 6 ოქტომბრის #234/6 ბრძანების მოთხოვნები.

ზემოაღნიშნული პრეტენზიის შესწავლის შედეგად საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ პრეტენზია რიგ გარემოებებთან მიმართებაში საფუძვლიანია და ექვემდებარება გაზიარებას.

საკასაციო სასამართლო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე დადგენილად მიიჩნევს, რომ ი. გ-მის კუთვნილი ხის საამქრო მიეკუთვნება წელიწადში 900 მ³-მდე წარმადობის მქონე საწარმოს, რის საფუძველზეც ი. გ-მის საქმიანობა «გარემოსდაცვითი ნებართვის შესახებ» კანონის 4. 5 მუხლის შესაბამისად, მიეკუთვნება მე-4 კატეგორიას განკუთვნილ საქმიანობას.

«საწარმოს, ნაგებობისა და სხვა ობიექტების სანიტარული დაცვის ზონებისა და სანიტარული კვალიფიკაციის დამტკიცების შესახებ» შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის #234/6 ბრძანებით დამტკიცებული ნორმების 41-ე მუხლის შესაბამისად, მერქნის დამამუშავებელი მე-4 კლასის წარმოებისათვის სანიტარული დაცვის ზონის სიდიდე შეადგენს არანაკლებ 100მეტრს.

ამავე ბრძანების 2.4 მუხლის შესაბამისად, სანიტარული დაცვის ზონა წარმოადგენს მოსახლეობის ჯანმრთელობაზე მავნე საწარმოო ფაქტორების ზემოქმედების შემცირების მიზნით დადგენილ დაცვის ზონას, რომლის არსებობის სავალდებულობასაც ადგენს ამავე ბრძანების 5.1 მუხლი.

ამდენად, უდავოა, რომ ნებისმიერი საწარმოსათვის, რომელიც წარმოადგენს გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე ქიმიური, ბიოლოგიური და ფიზიკური ფაქტორების ზემოქმედების წყაროს, სავალდებულოა დაცვის ზონისათვის დადგენილი პარამეტრების დაცვა.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ #0001 გარემოსდაცვითი ნებართვის გაცემისას არ მომხდარა ზემოაღნიშნული ზონისათვის განსაზღვრული პარამეტრების შემოწმება, რითაც დარღვეულია ზემოაღნიშნული ნორმატიული აქტის მოთხოვნები.

«გარემოსდაცვითი ნებართვის შესახებ» კანონის მე-12 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, საქართველოს გარემოს და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო, მისი რეგიონალური ან ადგილობრივი ორგანოები და აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოსა და ბინებრივი რესურსების დაცვის სამინისტროები გასცემენ საქმიანობაზე ნებართვას იმ შემთხვევაში, თუ:

- ა) საქმიანობის განხორციელების შემთხვევაში არ დაირღვა საქართველოს კანონმდებლობა;
- ბ) საქმიანობის განხორციელების შემთხვევაში არ დაირღვა საქართველოში მოქმედი გარემოს დაცვის ნორმები;
- გ) საქმიანობის განხორციელება მიზანშეწონილი იქნება მისი განლაგების, შინაარსის ან მასშტაბების გამო;

დ) სახელმწიფო სანიტარული ზედამხედველობის სამსახურის მიერ გაცემულია დასკვნა სანიტარულ-ჰიგიენურ წესებთან და ნორმებთან საქმიანობის შესაბამისობის შესახებ.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს ამ უკანასკნელ დებულებას და აღნიშნავს, რომ საქართველოს მთავარი სანიტარული ექიმის 2005 წლის 20 იანვრის #1 დადგენილებით ბათილადაა ცნობილი შუახვევის მთავარი სახელმწიფო სანიტარული ექიმის ის აქტი, რომელიც საფუძვლად დაედო ნებართვის გაცემას.

ამდენად, მიმდინარე დავის განხილვის პროცესში ბათილადაა ცნობილი ნებართვის გაცემის ერთ-ერთი საფუძველი, რაც ნიშნავს იმას, რომ დაუდგენილია, რამდენად შეესაბამება საწარმოს საქმიანობა სანიტარულ-ჰიგიენურ წესებსა და ნორმებს.

ყოველივე აღნიშნული კი, საკასაციო სასამართლოს აძლევს საფუძველს მიიჩნიოს, რომ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტი - #0001 ნებართვა - გამოცემულია არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების გარეშე, რის გამოც ბათილად უნდა იქნეს ცნობილი ზემოაღნიშნული ნებართვა და აჭარის ა/რ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს დაევალოს ახალი აქტის გამოცემა «გარემოსდაცვითი ნებართვების შესახებ» კანონის მე-12 მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნათა დაცვით.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, 32-ე მუხლის მე-4 ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 411-ე მუხლით და

გადაწყვეტა:

1. ა. დ-ძის, მ. დ-ძის, ნ. გ-ძისა და გ. თ-ძის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

2. გაუქმდეს აჭარის ა/რ უმაღლესი სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის 2005 წლის 10 თებერვლის გადაწყვეტილება და საქმეზე მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;

3. ა. დ-ძის, მ. დ-ძის, ნ. გ-ძისა და გ. თ-ძის სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

4. სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად იქნეს ცნობილი აჭარის ა/რ გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს 2004 წლის 2 თებერვლის გარემოსდაცვითი ნებართვა #0001 და ადმინისტრაციულ ორგანოს დაევალოს არსებითი მნიშვნელობის გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ გამოსცეს ახალი აქტი;

5. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

იარაღის ტარებისა და ფლობის შენარჩუნება

განჩინება

#ბს-1452-1027(კ-05)

18 იანვარი, 2006 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა

**შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე),
ნ. ქადაგიძე (მომხსენებელი),
ნ. სხირტლაძე**

დავის საგანი: ადმინისტრაციული აქტის ბათილად ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

2005 წლის 11 მაისს ზ. ჯ-ავამ სასარჩელო განცხადებით მიმართა ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე საქართველოს გენერალური პროკურატურის მიმართ ადმინისტრაციული აქტის ბათილად ცნობისა და ახალი ადმინისტრაციული აქტის გამოცემის თაობაზე.

მოსარჩელე სასარჩელო განცხადებაში მიუთითებდა, რომ 1984 წლის 27 ივლისიდან 2004 წლის 4 ნოემბრამდე მუშაობდა აფხაზეთის ა/რ პროკურატურაში სხვადასხვა თანამდებობაზე, საიდანაც გათავისუფლდა შატატების შემცირებისა და რეორგანიზაციის შედეგად.

მოსარჩელის განმარტებით, 1997 წლის 17 ივლისიდან მასზე გაპიროვნებული იყო სამსახურებრივი საშტატო იარაღი «მაკაროვის» სისტემის #ოტ-366 პისტოლეტი, 1962 წლის, რომელიც საქართველოს გენერალური პროკურორის მიერ 2003 წლის 18 დეკემბრის #034 ნებართვით გადაეცა უვადოდ ტარება-შენახვის უფლებით. საქართველოს გენერალური პროკურორის 2003 წლის 27 ივნისის #8-ჩ ბრძანებით მას მიენიჭა იუსტიციის მრჩეველის სპეციალური წოდება.

სამსახურებრივი უფლებამოსილების გასვლის შემდეგ, «იარაღის შესახებ» საქართველოს კანონის მესამე თავის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, მასზე გაპიროვნებულ იარაღზე უნდა შენარჩუნებოდა ტარების უფლება, რაც არ განხორციელებულა და ამიტომ მან 2005 წლის 31 მარტს განცხადებით მიმართა საქართველოს გენერალურ პროკურატურას, საიდანაც 2005 წლის 11 აპრილის

#02-6-2034 წერილით მიიღო უარი, რამაც პირდაპირი და უშუალო ზიანი მიაყენა მის კანონიერ უფლებას და ინტერესს.

მოსარჩელის მოსაზრებით, ზემოაღნიშნული ადმინისტრაციული აქტი არის უკანონო, ვინაიდან, «იარაღის შესახებ» საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, სამსახურებრივი უფლებამოსილების გასვლის შემდეგ სამსახურებრივ-საშტატო იარაღის ტარების უფლება უნარჩუნდება ამავე მუხლის მე-2 პუნქტის «რ» ქვეპუნქტით გათვალისწინებულ პირებს, აგრეთვე, პროკურატურის თანამშრომლებსაც, რომელთაც საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული აქვთ უფროსი და უმაღლესი სპეციალური წოდებები და ჰქონდათ სამსახურებრივი საშტატო იარაღის ტარების უფლება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ისინი გადაიან საქართველოს მოქალაქეებიდან, შედიან უცხო სახელმწიფოს სამსახურში ან/და დათხოვნილ იქნენ სამსახურიდან დისციპლინური ან სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობის გამო.

მოსარჩელის მითითებით, პროკურატურის ადმინისტრაციულ აქტში მითითებულია, რომ მისი თხოვნა ვერ დაკმაყოფილდება, ვინაიდან მასზე გაპიროვნებული იარაღი იმყოფება პროკურატურის ბალანსზე და იგი, როგორც პროკურატურის კუთვნილი მატერიალური ფასეულობა, სამსახურებრივი უფლებამოსილების ვადით ეძლევა პროკურატურის მუშაკებს. აღნიშნული. მოსარჩელის განმარტებით, ეწინააღმდეგება ზემოაღნიშნული კანონის მითითებულ მუხლს, რადგან იმავე კანონის მე-10 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, პროკურატურის თანამშრომლებს სამსახურებრივ-საშტატო იარაღის ტარების უფლება უნარჩუნდებათ მხოლოდ მასზე გაპიროვნებულ და არა რომელიმე სხვა იარაღზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელე ითხოვდა საქართველოს გენერალური პროკურატურის საკადრო უზრუნველყოფის დეპარტამენტის 2005 წლის 11 აპრილის #02-6-2034ჯ ადმინისტრაციული აქტის ბათილად ცნობასა და სასამართლოს მიერ ადმინისტრაციული აქტის გამოცემას, მასზე გაპიროვნებული სამსახურებრივ-საშტატო იარაღის ტარების უფლების მისთვის შენარჩუნების თაობაზე.

მოპასუხე - საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ სასარჩელო განცხადება არ ცნო და მიუთითა, რომ «იარაღის შესახებ» საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, სამსახურებრივი უფლებამოსილების გასვლის შემდეგ პირს უნარჩუნდება იარაღის ტარების უფლება და არა თავად საშტატო იარაღის მფლობელობასა და სარგებლობაში დატოვების უფლება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2005 წლის 1 ივნისის გადაწყვეტილებით ზ. ჯ-ავას სასარჩელო განცხადება არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლო გადაწყვეტილებაში მიუთითებდა, რომ «იარაღის შესახებ» საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-3 ნაწილის დებულება იმის შესახებ, რომ სამსახურებრივი უფლებამოსილების ვადის გასვლის შემდეგ სამსახურებრივ-საშტატო იარაღის ტარების უფლება უნარჩუნდება პროკურატურის თანამშრომლებს, მიუთითებს სამსახურიდან დათხოვნილი პირების უფლებაზე, შეინარჩუნონ იარაღის ტარებისა და ფლობის უფლება და არა თავად იარაღი - პირად სარგებლობასა და მფლობელობაში.

რაც შეეხება სასამართლოს მიერ ადმინისტრაციული აქტის გამოცემას, სასამართლოს განმარტებით, სარჩელის არსიდან გამომდინარე, მოსარჩელემ სასამართლოს მიერ ახალი ადმინისტრაციული აქტის გამოცემა დაუკავშირა იმავე საკითხს (იარაღის მფლობელობაში დატოვებას), გენერალური პროკურატურის მიერ გამოცემული ადმინისტრაციული აქტის ბათილობას, რაზეც მოსარჩელეს უარი ეთქვა.

მითითებული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ზ. ჯ-ავამ.

აპელანტი სააპელაციო საჩივარში მიუთითებდა, რომ საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება უკანონო და დაუსაბუთებელია, ვინაიდან «იარაღის შესახებ» საქართველოს კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, სამსახურებრივ-საშტატო იარაღის ტარების უფლება აქვთ ამ მუხლით განსაზღვრულ პირებს მათ მიერ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ უფლებამოსილებათა განსახორციელებლად, ხოლო მეორე პუნქტი განსაზღვრავს სამსახურებრივ-საშტატო იარაღის ტარების უფლების მქონე პირთა წრეს. ამავე კანონის მე-10 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, სამსახურებრივ-საშტატო იარაღი ამ კანონის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ პირებს გადაეცემა სარგებლობაში ტარების უფლებით, ხოლო მე-2 პუნქტის შესაბამისად, სამსახურებრივი უფლებამოსილების პერიოდში სამსახურებრივ-საშტატო იარაღის სტატუსი შეიძლება მიენიჭოს ამ კანონის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული პირების მიერ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შეძენილ იარაღს, თუ სახელმწიფო ვერ უზრუნველყოფს მათთვის სამსახურებრივ-საშტატო იარაღის გაცემას. სამსახურებრივი უფლებამოსილების გასვლის შემდეგ ასეთ იარაღს ეხსნება სამსახურებრივ-საშტატო იარაღის სტატუსი და შესაბამისი პირი იძენს შენახვის უფლებას.

აპელანტის განმარტებით, «იარაღის შესახებ» საქართველოს კანონის 9.3 მუხლის შესაბამისად, სამსახურებრივი უფლებამოსილების გასვლის შემდეგ სამსახურებრივი საშტატო იარაღის ტარების უფლება უნარჩუნდება ამ მუხლის მე-2 პუნქტის «რ» ქვეპუნქტით გათვალისწინებულ პირებს, აგრეთვე პროკურატურის თანამშრომლებს, რომელთაც საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული აქვთ უფროსი და უმაღლესი სპეციალური წოდებები და ჰქონდათ სამსახურებრივი-საშტატო იარაღის ტარების უფლება. ამრიგად, კანონის შინაარსიდან გამომდინარე, კანონის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში სამსახურიდან დათხოვნისას საკუთრებაში მყოფ იარაღზე (როგორც მოქალაქეს) პირს უნარჩუნდება შენახვის უფლება, ხოლო მე-9 მუხლის მე-3 პუნქტში კანონმდებლობამ დაუშვა გამონაკლისი და სამსახურებრივი უფლებამოსილების გასვლის შემდეგ სამსახურებრივ-საშტატო იარაღის

ტარების უფლება (როგორც მოსარგებლის) შეუნარჩუნა პროკურატურიდან დათხოვნილ მუშაკებს მხოლოდ კანონში ჩამოთვლილი განსაკუთრებული პირობების არსებობისას, მაგრამ, აპელანტის განმარტებით, სასამართლომ გადაწყვეტილებაში მიუთითა, რომ «იარაღის შესახებ» საქართველოს კანონის მე-9 მუხლის შესაბამისად ნაწილის დებულება იმის თაობაზე, რომ სამსახურებრივი უფლებამოსილების ვადის გასვლის შემდეგ სამსახურებრივ-სამშტატო იარაღის ტარების უფლება უნარჩუნდება პროკურატურის თანამშრომლებს, მიუთითებს სამსახურიდან დათხოვნილი პირის უფლებაზე, შეინარჩუნოს იარაღის ტარებისა და ფლობის უფლება და არა თავად იარაღი პირად სარგებლობასა და მფლობელობაში, მაგრამ რომელი იარაღის, არ მიუთითა და ეს უფლება აღიარა იარაღის გარეშე, რაც არამართებულია, ვინაიდან უფლება არ არის იარაღის გარეშე და იარაღი უფლების გარეშე.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, აპელანტი ითხოვდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2005 წლის 1 ივნისის გადაწყვეტილების გაუქმებასა და ახალი გადაწყვეტილებით მისი სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებას.

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2005 წლის 14 სექტემბრის განჩინებით ზ. ჯ-ავას სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2005 წლის 1 ივნისის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლო განჩინებაში მიუთითებდა, რომ «იარაღის შესახებ» საქართველოს კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, სამსახურებრივ-სამშტატო იარაღის ტარების უფლება აქვთ ამ მუხლით განსაზღვრულ პირებს, მხოლოდ მათ მიერ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელების მიზნით, ხოლო ამავე მუხლის მე-2 პუნქტის «ი» ქვეპუნქტის შესაბამისად, სამსახურებრივ-სამშტატო იარაღის ტარების უფლება აქვთ პროკურატურის უფლებამოსილ მოხელეებს. ამავე კანონის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, სამსახურებრივი უფლებამოსილების პერიოდში სამსახურებრივ-სამშტატო იარაღის სტატუსი შეიძლება მიენიჭოს ამ კანონის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ პირებს მათ მიერ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შეძენილ იარაღზე, თუ სახელმწიფო ვერ უზრუნველყოფს მათთვის სამსახურებრივ-სამშტატო იარაღის გადაცემას. სამსახურებრივი უფლებამოსილების გასვლის შემდეგ ასეთ იარაღს ეხსნება სამსახურებრივ-სამშტატო იარაღის სტატუსი და შესაბამისი პირი ამ კანონით განსაზღვრული წესით იძენს მისი შენახვის უფლებას. ამავე კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტი აწესებს გამონაკლისს და სამსახურებრივი უფლებამოსილების გასვლის შემდეგ სამსახურებრივ-სამშტატო იარაღის ტარების უფლებას უნარჩუნებს მასში მითითებულ პირებს, მათ შორის, პროკურატურის თანამშრომლებს, რომელთაც მინიჭებული აქვთ უფროსი სპეციალისტის წოდებები და ჰქონდათ სამსახურებრივ-სამშტატო იარაღის ტარების უფლება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ისინი გადიან საქართველოს მოქალაქეობიდან, შედიან უცხო სახელმწიფოს სამსახურში ან დათხოვნილ იქნენ სამსახურიდან დისციპლინური ან სამსახურებრივი პასუხისმგებლობის გამო.

სააპელაციო პალატის განმარტებით, მართალია, ზ. ჯ-ავა სრულად აკმაყოფილებს ზემოთ მითითებულ პირობებს, მაგრამ იგი პროკურატურიდან დათხოვნამდე სამსახურებრივ-სამშტატო იარაღის სტატუსით ატარებდა სახელმწიფოს კუთვნილ და არა მის მიერ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შეძენილ იარაღს. «მაკაროვის» სისტემის #ოტ-366 პისტოლეტი წარმოადგენს სახელმწიფოს საკუთრებას, იგი იმყოფება პროკურატურის ბალანსზე და სამსახურებრივ-სამშტატო იარაღის სტატუსით გაიცემა პროკურატურის უფლებამოსილ მოხელეებზე. ამასთან, «იარაღის შესახებ» საქართველოს კანონის პირველი მუხლის შესაბამისად, ეს კანონი არეგულირებს იარაღის ბრუნვასთან და მასზე კონტროლის გახორციელებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს, იარაღის ბრუნვის მონაწილეთა უფლებებს და მოვალეობებს. აღნიშნული კანონის არც ერთ მუხლი მოწინააღმდეგე მხარეს, რომლის წარმომადგენლის განმარტებითაც მას ცეცხლსასროლი იარაღის დეფიციტი ისედაც გააჩნია, არ ავალდებულებს სახელმწიფოს, საკუთრებაში არსებული ცეცხლსასროლი იარაღი გადასცეს მოსარჩელეს მფლობელობაში.

მითითებული განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ზ. ჯ-ავამ.

კასატორი საკასაციო საჩივრით ითხოვდა თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2005 წლის 14 სექტემბრის განჩინების გაუქმებასა და ახალი გადაწყვეტილებით მისი სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებას.

კასატორი საკასაციო საჩივარს ძირითადად აფუძნებდა იმავე გარემოებებზე, რაზეც მიუთითებდა სააპელაციო საჩივარში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებლობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, საკასაციო სასამართლო დადგენილად მიიჩნევს შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს:

ზ. ჯ-ავა 1984 წლის 27 ივლისიდან 2004 წლის 4 ნოემბრამდე მუშაობდა აფხაზეთის ა/რ პროკურატურაში სხვადასხვა თანამდებობაზე, საიდანაც გათავისუფლდა შტატების შემცირებისა და რეორგანიზაციის შედეგად.

საქართველოს გენერალური პროკურორის 2005 წლის 27 ივნისის #8-ჩ ბრძანებით, «სახელმწიფო სპეციალური წოდების შესახებ» საქართველოს კანონისა და «საქართველოს პროკურატურაში სახელმწიფო სპეციალური წოდებების მინიჭებისა და ჩამორთმევის წესის შესახებ» დებულების შესაბამისად, ზ. ჯ-ავას – ტყვარჩელის საქალაქო და გულირიფშის რაიონულ პროკუროროს მიენიჭა იუსტიციის მრჩეველის წოდება, ხოლო 2003 წლის 18 დეკემბერს საქართველოს გენერალური პროკურორის მიერ გაცემული #034 ნებართვის საფუძველზე, მას, როგორც პროკურატურის მუშაკს მიენიჭა ცეცხლსასროლი იარაღის შენახვისა და ტარების უფლება.

საქართველოს გენერალური პროკურორის 2004 წლის 4 ნოემბრის #448 ბრძანებით «პროკურატურის შესახებ» ორგანული კანონის 34-ე მუხლის პირველი პუნქტის «ვ» ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მეორე პუნქტის საფუძველზე, კადრების განკარგულებაში მყოფი ზ. ჯ-ავა დათხოვნილ იქნა პროკურატურიდან.

ზ. ჯ-ავამ 2005 წლის 31 მარტს განცხადებით მიმართა საქართველოს გენერალურ პროკურორს და მოითხოვა «მაკაროვის» სისტემის #ოტ-366 სამსახურებრივ-საშტატო იარაღის ტარება-შენახვის უფლების შენარჩუნება, რაზედაც საქართველოს გენერალური პროკურატურიდან მიიღო უარი იმ მოტივზე მითითებით, რომ მასზე გაპროვინებული პისტოლეტი იმყოფება პროკურატურის ბალანსზე, წარმოადგენდა პროკურატურის კუთვნილ მატერიალურ ფასეულობას, რომელიც სამსახურებრივი უფლებამოსილების ვადით ეძლეოდათ მხოლოდ პროკურატურის მუშაკებს.

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს კასატორის მითითებას სააპელაციო სასამართლოს მხრიდან «იარაღის შესახებ» საქართველოს კანონის შესაბამისი ნორმების არასწორი განმარტების თაობაზე და კასატორის ყურადღებას მიაქცევს ამავე კანონის მეცხრე მუხლის პირველ პუნქტზე, რომელიც განსაზღვრავს სამსახურებრივ-საშტატო იარაღის ცნებას. საყურადღებოა, რომ მითითებული მუხლის შესაბამისად სამსახურებრივ-საშტატო იარაღს მიეკუთვნება ის იარაღი, რომლის ტარების უფლება აქვთ ამ მუხლით განსაზღვრულ პირებს, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ უფლებათა განსახორციელებლად. ამავე კანონის მე-10 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, სამსახურებრივი უფლებამოსილების პერიოდში სამსახურებრივ-საშტატო იარაღის სტატუსი შეიძლება მიენიჭოს ამ კანონის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული პირების მიერ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შეძენილ იარაღს, თუ სახელმწიფო ვერ უზრუნველყოფს მათთვის სამსახურებრივ-საშტატო იარაღის გადაცემას. სამსახურებრივი უფლებამოსილების გასვლის შემდეგ ასეთ იარაღს ეხსნება სამსახურებრივ-საშტატო იარაღის სტატუსი და შესაბამისი პირი ამ კანონით განსაზღვრული წესით იძენს მისი შენახვის უფლებას.

საგულისხმოა, რომ ამავე კანონის მე-9 მუხლის მე-3 ნაწილი აწესებს გამონაკლისს და აღნიშნულის შესაბამისად, სამსახურებრივი უფლებამოსილების გასვლის შემდეგ სამსახურებრივ-საშტატო იარაღის ტარების უფლება უნარჩუნდებათ ამ მუხლის მე-2 პუნქტის «რ» ქვეპუნქტით გათვალისწინებულ პირებს, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებს, აგრეთვე საქართველოს შინაგან საქმეთა და თავდაცვის სამინისტროების, საგარეო დაზვერვის სპეციალური სამსახურისა და პროკურატურის თანამშრომლებს, რომელთაც საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული აქვთ უფროსი და უმაღლესი სპეციალური წოდებები და აქვთ სამსახურებრივ-საშტატო იარაღის ტარების უფლება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ისინი გადიან საქართველოს მოქალაქეობიდან, შედიან უცხო სახელმწიფოს სამსახურში ან/და დათხოვნილ იქნენ სამსახურიდან დისციპლინური ან/და სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობის გამო.

საკასაციო პალატა დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებზე დაყრდნობით ადასტურებს, რომ ზ. ჯ-ავა მართლაც წარმოადგენს პირს, რომელსაც «იარაღის შესახებ» საქართველოს კანონის 9.3 მუხლის შესაბამისად, უნარჩუნდება იარაღის ტარების უფლება, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ ზ. ჯ-ავა პროკურატურიდან დათხოვნამდე სამსახურებრივ-საშტატო იარაღის სტატუსით ატარებდა სახელმწიფოს კუთვნილ და არა მის მიერ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შეძენილ იარაღს, აღნიშნული უკვე წარმოადგენს სახელმწიფოს საკუთრებას, იმყოფება პროკურატურის ბალანსზე და მისი გაცემა შეიძლება მხოლოდ პროკურატურის მოქმედ თანამშრომლებზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ «იარაღის შესახებ» საქართველოს კანონის 9.2 «რ» ქვეპუნქტით გათვალისწინებულ პირებს, სამსახურებრივი უფლებამოსილების ვადის გასვლის შემდეგ, უნარჩუნდება იარაღის ტარებისა და ფლობის და არა შესაბამისი ორგანოების ბალანსზე რიცხული იარაღის პირად სარგებლობაში დატოვების უფლება, რაც, თავის მხრივ, საკასაციო სასამართლოს აძლევს საფუძველს სააპელაციო სასამართლოს მოტივაცია მიიჩნიოს კანონშესაბამისად და უარი უთხრას კასატორს საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 410-ე მუხლით და



დაადგინა:

1. ზ. ჯ-ავას საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2005 წლის 14 სექტემბრის განჩინება;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

დაინტერესებული მხარის მონაწილეობა ადმინისტრაციულ წარმოებაში

შემოქმედებითი კავშირის ბალანსზე რიცხული უძრავი ქონების საკუთრების უფლება

განჩინება

#ბს-289-228(კ-05)

15 მარტი, 2006 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე),
 ნ. ქადაგიძე (მომხსენებელი),
 ნ. სხირტლაძე

დავის საგანი: ადმინისტრაციული აქტის ბათილად ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

2004 წლის 21 ივლისს მწერალთა შემოქმედებითა კავშირმა სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიას მოპასუხე საქართველოს მთავრობის მიმართ საქართველოს მთავრობის 2004 წლის 12 ივნისის #50 განკარგულების ბათილად ცნობის თაობაზე.

მოსარჩელე სასარჩელო განცხადებაში მიუთითებდა, რომ გასული საუკუნის დასაწყისიდან მწერალთა კავშირი განთავსებულია თბილისში, ... ქ. #13-ში მდებარე მწერალთა სასახლეში. თავდაპირველად, აღნიშნული შენობის მწერლებისათვის გადაცემის შესახებ გადაწყვეტილება მიიღო საქართველოს რევოლუციურმა კომიტეტმა - 1921 წლის 23 თებერვალს.

1991 წელს ... ქ. #11-ში მდებარე შენობაც გადაეცა მწერალთა კავშირს - საქართველოს უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით.

მოსარჩელის განცხადებით, ... ქ. #11-ში მდებარე შენობაზე მწერალთა კავშირის საკუთრება აღიარებულია აგრეთვე თბილისის მუნიციპალიტეტის კაზინეტის 1997 წლის დადგენილებითაც. 2001 წელს მწერალთა კავშირმა გაიარა ხელახალი რეგისტრაცია იუსტიციის სამინისტროში, როგორც შემოქმედებითა კავშირმა. აღნიშნული აქტების საფუძველზე ორივე შენობა ტექნიურს მიერ აღრიცხული იყო მწერალთა კავშირის სახელზე. ამასთან, მოსარჩელის განმარტებით, კავშირი ფაქტობრივად ფლობდა ორივე შენობას, რაც აღიარებულია სახელმწიფო ორგანოების მიერაც, ამასთან, არც ერთი შენობა არ ყოფილა აღრიცხული სახელმწიფო ქონებად, რასაც არ უარყოფს ეკონომიკის სამინისტროც.

2004 წლის 12 ივნისს საქართველოს მთავრობამ გამოსცა #50 განკარგულება, რომლის საფუძველზეც მწერალთა კავშირის ორივე შენობა გადაეცა კულტურის სამინისტროს.

მოსარჩელის განმარტებით, მითითებული განკარგულება ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას, კერძოდ, განკარგულება ეწინააღმდეგება «შემოქმედ მუშაკთა და შემოქმედებითი კავშირების შესახებ» კანონის 30-ე მუხლის მე-5 პუნქტს, რომლის შესაბამისადაც, ის ქონება, რომელიც ადრე ირიცხებოდა ამა თუ იმ ფორმით შემოქმედებით კავშირზე, გადაცემულია მათ საკუთრებაში, ასევე, საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის 1-ლი პუნქტი, სამოქალაქო კოდექსის III კარის და კერძო საკუთრების შესახებ საყოველთაოდ აღიარებულ სამართლებრივ პრინციპებს, რამდენადაც ხდება იმ ქონების განკარგვა, რომელზეც არ არსებობს სახელმწიფოს მხრიდან საკუთრების, მფლობელობის და არც რაიმე სხვა სანივთო უფლება. განკარგულებაში არ არის მითითებული არც ის ნორმატიული აქტი, რომლის საფუძველზეც გამოიცა ადმინისტრაციული აქტი და არც მისი გასაჩივრების წესი, რაც ეწინააღმდეგება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე და 53-ე მუხლებს.

განკარგულება გამოცემულია ასევე ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 95-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 96-99-ე მუხლებისა და 115-ე მუხლის მე-2 პუნქტის დარღვევით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელე ითხოვდა საქართველოს მთავრობის 2004 წლის 12 ივნისის #80 განკარგულების ბათილად ცნობას და მითითებულ საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე სადავო განკარგულების მოქმედების შეჩერებას.

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის 2004 წლის 22 ივლისის განჩინებით საქმეში მესამე პირებად ჩაეზნენ საქართველოს ეკონომიკის სამინისტრო და საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო.

ამავე სასამართლოს ამავე განჩინებით მოსარჩელის მოთხოვნა სარჩელის უზრუნველყოფის სახით საქართველოს მთავრობის 2004 წლის 12 ივნისის #80 განკარგულების მოქმედების შეჩერების ნაწილში არ დაკმაყოფილდა.

მითითებული განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა მწერალთა და შემოქმედებითა კავშირმა და მოითხოვა თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის 2004 წლის 22 ივლისის განჩინების, სარჩელის უზრუნველყოფის სახით სადავო აქტის მოქმედების შეჩერებაზე უარის თქმის ნაწილში, გაუქმება და სადავო განკარგულების მოქმედების შეჩერება პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე.

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის 2004 წლის 17 აგვისტოს განჩინებით მწერალთა შემოქმედებითი კავშირის კერძო საჩივარი დაკმაყოფილდა. გაუქმდა თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის 2004 წლის 22 ივლისის განჩინება სარჩელის უზრუნველყოფის სახით სადავო აქტის მოქმედების შეჩერების თაობაზე და საქართველოს ადმინისტრაციული კოდექსის 29-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, შეჩერდა მითითებული აქტის მოქმედება პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე.

მოპასუხე საქართველოს მთავრობამ სასარჩელო განცხადება არ ცნო და მიუთითა, რომ სადავო შენობები (მდებარე ქ. თბილისში, ... ქ. #11-ისა და #13-ში) არ წარმოადგენს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის საკუთრებას. მწერალთა შემოქმედებითი კავშირს არ განუხორციელებია სადავო განკარგულებაში მითითებული შენობის მოსარჩელეთა საკუთრებაში გადასვლა. სადავო შენობები არ არის რეგისტრირებული მოსარჩელის სახელზე.

მოპასუხის განმარტებით, ... #13-ში მდებარე სადავო შენობა წარმოადგენს ძველი სტატუსის მქონე კულტურულ ობიექტს და «კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ» კანონის 28-ე მუხლის მიხედვით, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საკუთრების უფლების ნებისმიერი მოტივით გადაცემა (გასხვისება) აკრძალულია. ეს ძეგლი შეიძლება გადაცემულ იქნეს მხოლოდ ფლობისა და სარგებლობის უფლებით, განსაზღვრული ან განუსაზღვრელი ვადით, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მოპასუხის მითითებით, სადავო იმ დოკუმენტების შინაარსი, რომლებიც მტკიცებულებების სახით წარმოადგინა მოსარჩელემ. იგი არ თვლის დადგენილად იმ გარემოებას, რომ დღეს მოქმედი მწერალთა შემოქმედებითი კავშირი არის 1917 წელს შექმნილი ორგანიზაციის და შემდგომი ორგანიზაციების სამართალმემკვიდრე, რომლებიც წლების განმავლობაში ფლობდნენ და სარგებლობდნენ სადავო შენობით. აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ უნდა იმსჯელოს სარჩელის დაუმცებლობაზე.

მოპასუხის მითითებით, სადავო განკარგულება არ ეწინააღმდეგება «შემოქმედებით მუშაკთა და შემოქმედებითი კავშირების შესახებ» კანონის 340-ე მუხლის მე-5 პუნქტს, ვინაიდან მითითებული ნორმის შესაბამისად, ქონება არ წარმოადგენს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის საკუთრებას. საქართველოს მთავრობა იყო აღჭურვილი უფლებამოსილებით, «საქართველოს მთავრობის, სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ» კანონის მე-5 მუხლის «ი» პუნქტის შესაბამისად, გადაეცა საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროსათვის სადავო ნაგებობები.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, მოპასუხე ითხოვდა მოსარჩელისათვის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმას.

2004 წლის 8 სექტემბერს მოსარჩელე - მწერალთა შემოქმედებითი კავშირმა დაზუსტებული სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საოლქო სასამართლოს და მიუთითა, რომ საქმის განხილვის მოსამზადებელ სტადიაზე ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ გამოსცა 2004 წლის 1 სექტემბრის #1-1183 ბრძანება, «მწერალთა შემოქმედებითი კავშირის ბალანსზე რიცხული შენობების საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროსათვის უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის შესახებ». მითითებული ბრძანება საქართველოს მთავრობის მიერ გამოცა სადავო განკარგულების საფუძველზე, მისი აღსრულების მიზნით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელე დაზუსტებული სარჩელით ითხოვდა ეკონომიკური განვითარების სამინისტროს 2004 წლის 1 სექტემბრის #1-1183 ბრძანების ბათილად ცნობასა და ამ აქტის მოქმედების შეჩერებას.

2004 წლის 14 სექტემბერს მოსარჩელემ კვლავ დააზუსტა სარჩელი და მოითხოვა საქართველოს მთავრობის 2004 წლის 12 ივნისის #80 განკარგულებისა და ეკონომიკური განვითარების სამინისტროს 2004 წლის 1 სექტემბრის #1-1183 ბრძანების ბათილად ცნობა.

2004 წლის 9 ნოემბერს სასამართლოს მთავარ სხდომაზე მოსარჩელემ წერილობითი ფორმით წარმოადგინა დამატებითი სასარჩელო განცხადება, სადაც პირველ მოპასუხედ მითითებული იყო საქართველოს მთავრობა, მეორე მოპასუხედ - ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, ხოლო მესამე მოპასუხედ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახური.

მოსარჩელემ გაზარდა სასარჩელო მოთხოვნა და მოითხოვა საქართველოს მთავრობის, ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ორი სადავო აქტის ბათილად ცნობის გარდა, საჯარო რეესტრში 2004 წლის 29 ივნისს, თბილისში . . . ქ.#11-სა და #13-ში მდებარე შენობების მიმართ შესრულებული ჩანაწერების ბათილად ცნობა, ამასთან, ეკონომიკური განვითარების სამინისტროს დავალებოდა მითითებული შენობები საკუთრების უფლებით გადასცემოდა მწერალთა შემოქმედებით კავშირს «შემოქმედებით მუშაკთა და შემოქმედებითი კავშირის შესახებ» კანონის 30-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად.

მოპასუხეებმა უარი განაცხადეს საბოლოო მოთხოვნის გაზრდაზე. სასამართლო კოლეგიამ მწერალთა შემოქმედებითი კავშირს უარი უთხრა 09.11.04 წლის დამატებითი სასარჩელო განცხადების მიღებასა და მის არსებით განხილვაზე.

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის 2004 წლის 9 ნოემბრის გადაწყვეტილებით მწერალთა შემოქმედებითი კავშირის სასარჩელო განცხადება არ დაკმაყოფილდა.

სასამართლო კოლეგია გადაწყვეტილებაში მიუთითებდა, რომ «შემოქმედ მუშაკთა და შემოქმედებითი კავშირის შესახებ» კანონის მე-11 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, შემოქმედებითი კავშირი წესდების რეგისტრაციის დღიდან საჯარო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირია. ამავე კანონის მე-9 თავით განისაზღვრა შემდეგი ქცევის წესი. ამ კანონის ამოქმედებამდე საქართველოს სამოქალაქო კოდექსის საფუძველზე შექმნილი შემოქმედებითი კავშირები 6 თვის ვადაში ექვემდებარებოდნენ ხელახალ რეგისტრაციას იუსტიციის სამინისტროში. შემოქმედებითი კავშირი, რომელიც გაივლიდა ხელახალ რეგისტრაციას, ჩათვლებოდა რეგისტრირებული შესაბამისი იურიდიული პირის უფლებამონაცვლედ.

«შემოქმედ მუშაკთა და შემოქმედებითი კავშირის შესახებ» კანონის 30-ე მუხლის მე-5 პუნქტი ადგენდა ქცევის შემდეგ წესს: უძრავი ქონება, რომელიც შემოქმედებითი კავშირის ან ამ კავშირის მიერ დაფუნდებული სამეწარმეო (კომერციული) იურიდიული პირის ბალანსზე ირიცხებოდა 25.11.1997 წლამდე (ანუ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ძალაში შესვლამდე) და ამჟამად ირიცხება შემოქმედებითი კავშირის ან სამეწარმეო (კომერციული) იურიდიული პირის ბალანსზე, გადაეცემათ შემოქმედებითი კავშირებს საკუთრებაში კანონმდებლობით დადგენილი წესით, ხოლო ამავე კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტი ადგენდა, რომ საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს უნდა უზრუნველყო 2 თვის ვადაში ამ კანონის შესაბამისად რეგისტრირებული შემოქმედებითი კავშირისათვის «შემოქმედ მუშაკთა და შემოქმედებითი კავშირების შესახებ» კანონის 30-ე მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული ქონების საკუთრებაში გადაცემა.

სასამართლო კოლეგიამ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ მწერალთა შემოქმედებითი კავშირს არ მოუთხოვია დადგენილი წესით ამ კავშირის საკუთრებაში იმ ქონების გადაცემა, რომელიც 25.11.1997 წლამდე და ამჟამად ირიცხება მის ბალანსზე.

სასამართლომ მიუთითა, რომ სადავო აქტი გამოცემული იყო უფლებამოსილი პირის მიერ, კერძოდ, საქართველოს მთავრობა, კანონის საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ მე-5 მუხლის «ი» პუნქტების თანახმად, უფლებამოსილი იყო გამოეცა სადავო განკარგულება (თავისი ბუნებით ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი) და მწერალთა შემოქმედებითი კავშირის ბალანსზე რიცხული შენობები, რომელთა მისამართებია: თბილისი, . . . ქ.#11 და #13, კანონით დადგენილი წესით გადაეცა საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროსათვის. შესაბამისად, სასამართლომ ჩათვალა, რომ არ არსებობდა საქართველოს მთავრობის 12.06.2004წ. #50 განკარგულების ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60 მუხლის პირველი ნაწილის «ა», «ბ», «გ» პუნქტებით განსაზღვრული ბათილობის სამართლებრივი საფუძველი.

რაც შეეხება მეორე სადავო აქტს, სასამართლომ მიუთითა, რომ ეკონომიკური განვითარების სამინისტროს 01.09.2004წ. #1-1/83 ბრძანება ასევე გამოცემული იყო სამინისტროს უფლებამოსილებისა და კომპეტენციის ფარგლებში და ამდენად, არ არსებობდა მისი ბათილობის საფუძველი. აქვე სასამართლომ მიუთითა, რომ ამ სადავო აქტების გამოცემისას არ ყოფილა დარღვეული არსებითად მისი მომზადებისა და გამოცემის წესი.

მითითებული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა მწერალთა შემოქმედებითი კავშირმა.

კასატორი საკასაციო საჩივარში მიუთითებს, რომ სასამართლო კოლეგიამ არასწორად განმარტა «შემოქმედ მუშაკთა და შემოქმედებითი კავშირების შესახებ» კანონი. ამ კანონის 30-ე მუხლის მე-5 ნაწილი ადგენს: «უძრავი ქონება, რომელიც შემოქმედებითი კავშირის ან ამ კავშირის მიერ დაფუნდებული სამეწარმეო (კომერციული) იურიდიული პირის ბალანსზე ირიცხებოდა 1997 წლის 25 ნოემბრამდე (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ძალაში შესვლამდე) და ამჟამად ირიცხება შემოქმედებითი კავშირის ან სამეწარმეო (კომერციული) იურიდიული პირის ბალანსზე, გადაეცემა მათ საკუთრებაში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით». სასამართლოს არც ამ მუხლის შინაარსი გაუთვალისწინებია და, მით უმეტეს, არაფერია ნათქვამი ამავე მუხლის მე-6 პუნქტით დამკვიდრებულ წესზე, რომ «საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრომ 2 თვის ვადაში უზრუნველყოს ამ კანონის შესაბამისად რეგისტრირებული შემოქმედებითი კავშირებისათვის ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული ქონების საკუთრებაში გადაცემა». კანონის ზემოაღნიშნულ მოთხოვნებს სასამართლომ ძირითად მოტივად ის «დაუპირისპირა», რომ მწერალთა შემოქმედებით

კავშირს აღნიშნული ქონება არ მოუთხოვია, თუმცა იმის ფონზე, რასაც ამ კანონის 30-ე მუხლის მე-6 პუნქტი ადგენს, ეს მსჯელობა ყოველად უსუსური და უსაფუძვლოა, მაშინ, როცა სახელმწიფო, ანუ ქონების მართვის სამინისტრო თავად იყო ვალდებული, აღესრულებინა ეს კანონი, რომელიც 1999 წელსაა მიღებული და დღემდე ძალაშია. შესაბამისად, ძალაშია მწერალთა კავშირის უფლება, საკუთრებაში მიიღოს ... ქ.#11-სა და #13-ში მდებარე შენობები და სახელმწიფო ვალდებულია, კანონით დადგენილი წესით გადასცეს მწერალთა კავშირს ეს შენობები საკუთრებაში. ამ ყველაფრის გათვალისწინებით, გასაგები ხდება, თუ რატომ უნდა იქნეს ბათილად ცნობილი მთავრობის და შესაბამისად, ეკონომიკური განვითარების მინისტრის ადმინისტრაციული აქტები - ისინი ეწინააღმდეგება «შემოქმედ მუშაკთა და შემოქმედებითი კავშირების შესახებ» კანონს. ასევე, სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, როცა მსჯელობდა შესაბამისი აქტების ბათილობის საკითხებზე, კერძოდ, საუბარია, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-13 მუხლის 1-ლი ნაწილის მოთხოვნაზე, რომლის თანახმადაც: «ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება აქვს განიხილოს და გადაწყვიტოს საკითხი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაინტერესებულ მხარეს, რომლის უფლება ან კანონიერი ინტერესი იზღუდება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, მიეცეს საკუთარი მოსაზრების წარდგენის შესაძლებლობა», რაც არ მომხდარა, ანუ, მაშინ, როცა მთავრობა მსჯელობდა აღნიშნული შენობების ბედზე, მწერალთა კავშირი მხოლოდ სტატისტიკის მდგომარეობაში იყო.

სასამართლო ასევე არ დაეყრდნო ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის იმ მოთხოვნებს, რომლებიც განსაზღვრულია 95-ე მუხლის მე-2 ნაწილით, 96-ე მუხლის პირველი ნაწილით და 98-ე მუხლით, რომელთა თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ აცნობოს დაინტერესებულ მხარეს, თუ ადმინისტრაციული აქტით შეიძლება გაუარესდეს მისი სამართლებრივი მდგომარეობა და უზრუნველყოს მისი მონაწილეობა ადმინისტრაციულ წარმოებაში (მუხლი 95, 1-ლი ნაწილი). მხარე არათუ მონაწილეობს ადმინისტრაციულ წარმოებაში, არამედ კანონით აღჭურვილია უფლებით, «წარადგინოს მტკიცებულებები, აგრეთვე შუამდგომლობები საქმის გარემოებათა გამოკვლევის თხოვნით» (მუხლი 98). მხარის უფლება, ესარგებლა ამ საშუალებით, მთავრობამ და ეკონომიკის სამინისტრომ არ გაითვალისწინეს, რაც სასამართლო კოლეგიამ იმით ახსნა, რომ მთავრობის სხდომებზე დასწრება რეგლამენტით შეზღუდულია. სასამართლოს მსჯელობა ამ ნაწილში იმდენად სუსტია, რომ მისი გაქარწყლება არც არის საჭირო.

შესაბამისად, ყოველივე ამის გათვალისწინებით, ადმინისტრაციული აქტების მიღებისას დაირღვა წესი, რომელსაც ასევე განსაზღვრავს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომლის თანახმადაც ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია, ადმინისტრაციული წარმოებისას გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე. სასამართლო შემადგენლობამ არც ეს მუხლი გაითვალისწინა და მიიჩნია, რომ არ არსებობდა სასარჩელო მოთხოვნების დაკმაყოფილების საფუძველი.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორი ითხოვდას საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის 2004 წლის 9 ნოემბრის გადაწყვეტილების გაუქმებას და ახალი გადაწყვეტილებით მისი სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ მწერალთა შემოქმედებითი კავშირის საკასაციო საჩივარი საფუძვლიანია და ექვემდებარება ნაწილობრივ დაკმაყოფილებას შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სახეზეა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის «ე» პუნქტით განსაზღვრული აბსოლუტური საფუძველი, კერძოდ, გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ შეუძლებელია გადაწყვეტილების სამართლებრივი საფუძვლების შემოწმება, რის გამოც, საქმე შემდგომი განხილვა-გამოკვლევის მიზნით უნდა დაუბრუნდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების მოტივაცია ძირითადად შემოიფარგლება საქართველოს მთავრობისა და ეკონომიკური განვითარების სამინისტროს უფლებამოსილების შემოწმებით, მაშინ, როდესაც სასამართლოს არ შეუფასებია ის სამართლებრივი საფუძვლები, რასაც წარმოდგენილი სასარჩელო განცხადება ემყარება და სამართლებრივად არ გაუნაღიზებია.

საკასაციო სასამართლო, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, სავალდებულოდ მიიჩნევს საოლქო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებას იმის თაობაზე, რომ საქართველოს მთავრობის 2004 წლის 12 ივნისის #50 სადავო განკარგულებაში მითითებული ქონება 25.11.1997 წლამდე ირიცხებოდა და საქმის განხილვის მომენტისათვისაც ირიცხება მწერალთა შემოქმედებითი კავშირის ბალანსზე. ამდენად, დადგენილია, რომ მითითებული განკარგულება უშუალოდ ეხება კასატორის ინტერესებს.

«საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილების და საქმიანობის წესის შესახებ» კანონის მე-6 მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, მთავრობა საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს კანონებისა და საქართველოს პრეზიდენტის ნორმატიული აქტების საფუძველზე იღებს დადგენილებებსა და განკარგულებებს, ხოლო ამავე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, მითითებული აქტები მიეკუთვნება სამართლებრივ აქტებს.

უდავოა, რომ საქართველოს მთავრობის 2004 წლის 12 ივნისის #50 განკარგულება წარმოადგენს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, რომელზედაც, მისი სამართლებრივი ბუნებიდან გამომდინარე, სრული მოცულობით ვრცელდება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნები.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-13 მუხლის შესაბამისად, ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება აქვს, განიხილოს და გადაწყვიტოს საკითხი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაინტერესებულ მხარეს, რომლის უფლება ან კანონიერი ინტერესი იზღუდება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, მიეცა საკუთარი მოსაზრებების წარდგენის შესაძლებლობა. გამონაკლისს ადგენს კანონი.

საკასაციო სასამართლო განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევს მითითებული მუხლის დებულებებს და განმარტავს, რომ აღნიშნულ მუხლში დეკლარირებული ნორმები მიეკუთვნება ადმინისტრაციული სამართლის უმნიშვნელოვანეს პრინციპს, რომლის მიზანსაც წარმოადგენს იმ პირის ინტერესების მაქსიმალური დაცვა, რომლის უფლებებსაც შესაძლოა მითითებული აქტი შეეხოს. აღნიშნული პირები უფლებამოსილი არიან, მონაწილეობა მიიღონ ამ აქტის გამოცემასთან დაკავშირებულ ადმინისტრაციული წარმოების პროცესში და გავლენა მოახდინონ ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილებაზე, რაც ხელს შეუწყობს არა მხოლოდ დაინტერესებული მხარის უფლებების დაცვას, არამედ არსებითად სწორი გადაწყვეტილების მიღებას. მითითებული ნორმიდან გამონაკლისი დასაშვებია მხოლოდ კანონის საფუძველზე.

საკასაციო სასამართლო გადაწყვეტილების მიღების პროცესში არსებითად მიიჩნევს, სასამართლოს მხრიდან დადგენილ და გამოკვლეულ იქნეს, დაცულია თუ არა სადავო აქტის გამოცემისას ზემოაღნიშნული მუხლის დებულებები. წინააღმდეგ შემთხვევაში, არსებობს თუ არა კანონით განსაზღვრული საგამონაკლისო ხასიათის ნორმა, რომელიც ადმინისტრაციულ ორგანოს მისცემდა ამ ნორმებისაგან გადახვევის კანონისმიერ საფუძველს.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს რა ზემოაღნიშნულ მუხლზე, იმავდროულად განმარტავს, რომ აღნიშნული მუხლი წარმოადგენს ზოგად ნორმას და მასში წარმოდგენილი პრინციპის გამოყენება უზრუნველყოფილია იმავე ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 95-ე მუხლით, რომლის მე-2 ნაწილის თანახმადაც, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია, ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ აცნობოს დაინტერესებულ მხარეს, თუ ადმინისტრაციული აქტით შეიძლება გაუარესდეს მისი სამართლებრივი მდგომარეობა და უზრუნველყოს მისი მონაწილეობა ადმინისტრაციულ წარმოებაში.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს რა გასაჩივრებული აქტის შინაარსსა და ზემოაღნიშნული ნორმის იმპერატიულ ხასიათს, არსებითად მიიჩნევს იმ გარემოების გამოკვლევას, უზრუნველყოფილ იქნა თუ არა ადმინისტრაციული წარმოების პროცესში კასატორის მიმართ კანონით დადგენილი გარანტიები.

საყურადღებოა, რომ დაინტერესებული მხარის უფლებათა დაცვის მიზნით, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი არ შემოიფარგლება მხოლოდ მხარის უფლებით, გაეცნოს ადმინისტრაციული წარმოების მასალებს. მას უფლება აქვს, მონაწილეობა მიიღოს ადმინისტრაციული წარმოების პროცესში, რაც გულისხმობს პირის უფლებას, წარადგინოს მტკიცებულებები, დააყენოს შუამდგომლობები და ა.შ. აღნიშნული რეგლამენტირებულია ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 98-99-ე მუხლებით, რაც ასევე უნდა იქცეს სასამართლო მსჯელობისა და შეფასების საგნად.

ამდენად, ყოველივე აღნიშნულის საფუძველზე საკასაციო სასამართლო მნიშვნელოვნად მიიჩნევს იმ გარემოების დადგენა-გამოკვლევას, დაცულია თუ არა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნები, კერძოდ: ეცნობა თუ არა ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე დაინტერესებულ მხარეს, მიეცა თუ არა ამ უკანასკნელს საკუთარი აზრის გამოთქმის შესაძლებლობა და გამოკვლეულია თუ არა ადმინისტრაციული წარმოების პროცესში საქმის გარემოებები. შესაბამისად, არის თუ არა სახეზე ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60 მუხლით (მხედველობაშია სადავო აქტის გამოცემის მომენტში არსებული რედაქცია) აქტის ბათილობისათვის დადგენილი აბსოლუტური საფუძველები.

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ მითითებული გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების გარეშე მიღებული გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება დაუსაბუთებლად და გახდება გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი.

საკასაციო სასამართლო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე ასევე დადგენილად მიიჩნევს, რომ მწერალთა შემოქმედებითი კავშირი «შემოქმედ მუშაკთა და შემოქმედებითი კავშირის შესახებ» კანონის 30.1 მუხლის შესაბამისად, რეგისტრირებულია იუსტიციის სამინისტროში და წარმოადგენს მთაწმინდის რაიონულ სასამართლოში 1998 წლის 29 დეკემბერს და 2001 წლის 5 იანვარს იუსტიციის სამინისტროში რეგისტრირებული იურიდიული პირის

უფლებამონაცვლეს. «შემოქმედ მუშაკთა და შემოქმედებითი კავშირის შესახებ» კანონის მე-3 და მე-11 მუხლების თანახმად, მწერალთა შემოქმედებითი კავშირი არის საჯარო სამართლის არასამეწარმეო იურიდიული პირი. ამდენად, კასატორზე, როგორც ზემოაღნიშნული კანონის საფუძველზე შექმნილ პირზე, სრული მოცულობით ვრცელდება ზემოაღნიშნული კანონის მოქმედება.

«შემოქმედ მუშაკთა და შემოქმედებითი კავშირის შესახებ» კანონის 30.5 მუხლის შესაბამისად, უძრავი ქონება, რომელიც შემოქმედებითი კავშირის ან ამ კავშირის მიერ დაფუძნებულ სამეწარმეო (კომერციული) იურიდიული პირის ბალანსზე ირიცხებოდა 1997 წლის 25 ნოემბრამდე და ამჟამად ირიცხება შემოქმედებითი კავშირის ან სამეწარმეო (კომერციული) იურიდიული პირის ბალანსზე, გადაეცემა მათ საკუთრებაში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ხოლო ამავე მუხლის მე-6 ნაწილის შესაბამისად, საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს დაევა 2 თვის ვადაში უზრუნველყო ამ კანონის შესაბამისად რეგისტრირებული შემოქმედებითი კავშირების ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული ქონების გადაცემა.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს ამ უკანასკნელ ნორმას, რომელიც თავისი შინაარსით წარმოადგენს მავალდებულებელი ხასიათის ნორმას და მითითებულის გათვალისწინებით არსებითად მიიჩნევს მსჯელობას იმის თაობაზე, წარმოუშვა თუ არა მწერალთა შემოქმედებით კავშირს სადავო ქონებაზე კანონისმიერი საკუთრების უფლება და თავისთავად ის გარემოება, რომ მას ქონების გადაცემის მოთხოვნით არ მიუმართავს შესაბამისი ორგანოსათვის, იძლევა თუ არა ამ უფლების გაქარწყლების საკმარის სამართლებრივ საფუძველს.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება მიღებულია საქმის გარემოებების ყოველმხრივი გამოკვლევისა და შეფასების გარეშე, რის გამოც, გადაწყვეტილება ექვემდებარება გაუქმებას და საქმის ხელახალი გამოკვლევის მიზნით თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში დაბრუნებას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

დაადგინა:

1. მწერალთა შემოქმედებითი კავშირის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის 2004 წლის 9 ნოემბრის გადაწყვეტილება და საქმე განხილვისათვის დაუბრუნდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.
3. მხარეთათვის სახელმწიფო ბაჟის დაკისრების საკითხი გადაწყდეს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას;
4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

დაინტერესებული მხარის მონაწილეობა ადმინისტრაციულ წარმოებაში

განჩინება

#ბს-1091-670(კ-05)

28 მარტი, 2006 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა

**შემადგენლობა: ნ. წიკვაძე (თავმჯდომარე),
ლ. ლაზარაშვილი (მომხსენებელი),
ნ. სხირტლაძე**

დავის საგანი: ადმინისტრაციული აქტის ბათილად ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

2004 წლის 16 სექტემბერს ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სასარჩელო განცხადებით მიმართა ნ. კ-შვილმა მოპასუხე ქ. ქუთაისის მერიის მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა:

ა. ქ. ქუთაისის მერიის 2004 წლის 18 აგვისტოს #440 განკარგულების მისი თანმხლები აქტებით ბათილად ცნობა;

ბ. ქ. ქუთაისის მერიის ტექადრიცხვის ტერიტორიული სამსახურის უფროსისათვის მის მიერ შეტანილი ცვლილებების გაუქმების დავალება.

მოსარჩელის მოთხოვნის საფუძველები მდგომარეობდა შემდეგში:

ქ. ქუთაისის მერიის 2004 წლის 18 აგვისტოს #440 განკარგულებით დამტკიცდა სახელმწიფო მიწები კომისიის 2004 წლის 12 აგვისტოს #125 აქტი თ. კ-შვილის სახელზე რიცხულ საცხოვრებელ

სახლზე მიშენება-რეკონსტრუქციის, ეზოში მდგომი სათავისა და ავტოფარეხის ექსპლუატაციაში მიღების შესახებ. აღნიშნული აქტით დასტურდებოდა, რომ მიშენება-რეკონსტრუქციის სამუშაოები აწარმოვა თ. კ-შვილმა, მაშინ, როდესაც აღნიშნული სამუშაოები სინამდვილეში შესრულებული ჰქონდა მოსარჩელეს. ამ საკითხზე დავა მიმდინარეობდა 1993 წლიდან. საბოლოოდ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2002 წლის 19 ივლისის გადაწყვეტილებით თ. კ-შვილს უარი ეთქვა იმ სათავის მიკუთვნებაზე, რომელიც ქ. ქუთაისის მერიამ სადავო განკარგულებით მიაკუთვნა. მოსარჩელემ სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2, მე-5, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 243-ე, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60 მუხლების საფუძველზე.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2004 წლის 15 დეკემბრის განჩინებით საქმეში მესამე პირად ჩაბმულ იქნა თ. კ-შვილი, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე.

2005 წლის 28 თებერვალს ქუთაისის საქალაქო სასამართლოს დამატებითი სასარჩელო განცხადებით მიმართა ნ. კ-შვილმა მოპასუხეების - ქ. ქუთაისის მერიის, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქუთაისის სარეგისტრაციო სამსახურის, მესამე პირის - თ. კ-შვილის მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა:

ა. ქ. ქუთაისის მერიის 2004 წლის 18 აგვისტოს #440 განკარგულების ბათილად ცნობა;

ბ. ქ. ქუთაისის სახელმწიფო მიმღები კომისიის 2004 წლის 12 აგვისტოს #125 აქტის ბათილად ცნობა;

ბ. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქუთაისის სარეგისტრაციო სამსახურისათვის ქ. ქუთაისის მერიის ტექლრიცხვის ტერიტორიული სამსახურის უფროს გ. კ-ანის მიერ შეტანილი ცვლილებების გაუქმების დავალება.

მოსარჩელის დამატებითი სასარჩელო განცხადების საფუძველები მდგომარეობდა შემდეგში:

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2003 წლის 2 სექტემბრის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ნაწილობრივ დაკმაყოფილდა თ. კ-შვილის აღიარებითი სარჩელი და იგი ცნობილ იქნა აწ გარდაცვლილ ვ. კ-შვილთან ერთად ქ. ქუთაისში, ... ქ.#12-ში მდებარე 19,14კვ.მ, 12,25კვ.მ, 1,35კვ.მ, 2,43კვ.მ სათავსების, მათ წინ მდებარე გასასვლელის, მათ ქვეშ მდებარე სარდაფის, ეზოში მდებარე ბოსლისა და ორკარიანი ავტოფარეხის ნახევრის ამშენებლად. ამავე გადაწყვეტილებით თ. კ-შვილს უარი ეთქვა სადავო ფართის მართლობიერ მფლობელად ცნობასა და საჯარო რეესტრში დამხმარე სათავსების მესაკუთრედ აღრიცხვის თაობაზე.

ქ. ქუთაისის სახელმწიფო მიმღები კომისიის 2004 წლის 12 აგვისტოს #125 აქტით ზემოაღნიშნული დამხმარე ფართები უკანონოდ ჩაითვალა ... ქ.#12-ში მდებარე საცხოვრებელ სახლზე ნაწარმოებ მიშენება-რეკონსტრუქციად და უკანონოდ იქნა ექსპლუატაციაში მიღებული. ამავე აქტით, ექსპლუატაციაში იქნა გაშვებული დამხმარე სათავსები, სარდაფის სათავსი, ბაქნები, შესასვლელი კიბეები, ეზოში მდგომი სათავსი და ავტოფარეხის ნახევარი.

ქ. ქუთაისის სახელმწიფო მიმღები კომისიის 2004 წლის 12 აგვისტოს #125 აქტი კანონიერი საფუძვლის გარეშე დამტკიცებულ იქნა ქ. ქუთაისის მერიის 2004 წლის 18 აგვისტოს #440 განკარგულებით.

ექსპლუატაციაში მიღების დროს სახელმწიფო კომისია დაეყრდნო მხოლოდ ერთ დოკუმენტს - ქ. ქუთაისის ტექლრიცხვის ტერიტორიული სამსახურის მიერ 2004 წლის 28 ივნისს გაცემულ გეგმა-ანაზომს, რომელშიც მთელი დამხმარე ფართი უკანონოდ იყო აღრიცხული მისი ძმის - თ. კ-შვილის სახელზე, მაშინ, როდესაც სასამართლო გადაწყვეტილებით იგი ითვლებოდა არა მფლობელად ან მესაკუთრედ, არამედ - ამშენებლად აწ გარდაცვლილ მამასთან ერთად.

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქუთაისის სარეგისტრაციო სამსახურის 2004 წლის 25 ნოემბრის #59 წერილით მოსარჩელეს ეცნობა, რომ ქ. ქუთაისის სახელმწიფო მიმღები კომისიის 2004 წლის 12 აგვისტოს #125 აქტით და ქ. ქუთაისის მერიის 2004 წლის 18 აგვისტოს #440 განკარგულებით ექსპლუატაციაში მიღებული იყო ქ. ქუთაისში, ... ქ.#12-ში თ. კ-შვილის სახელზე რიცხულ საცხოვრებელ სახლზე ნაწარმოები მიშენება-რეკონსტრუქცია - სარდაფის სათავსი, დამხმარე ოთახები, გასასვლელი კიბეები, ეზოში მდგომი სათავსი. ავტოფარეხი თანაბარ უფლებებში იყო თ. და ნ. კ-შვილებს შორის. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აღნიშნული ჩანაწერიც უკანონო იყო და უნდა გაუქმებულიყო.

მოპასუხე ქ. ქუთაისის მერიამ სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ არ არსებობდა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60 მუხლით გათვალისწინებული სადავო ადმინისტრაციული აქტების ბათილად ცნობის საფუძველი. სინამდვილეს არ შეესაბამებოდა მოსარჩელის მსჯელობა, თითქოსდა უკანონო ნაგებობების ექსპლუატაციაში მიღებისას კომისია დაეყრდნო მხოლოდ გეგმა-ანაზომს. კომისიას ხელთ ჰქონდა კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილება, რომლითაც სადავო ფართების ამშენებლად თ. კ-შვილი იქნა აღიარებული და სწორედ თ. კ-შვილის განცხადების საფუძველზე დაიწყო ადმინისტრაციული წარმოება, რომელიც «საქართველოს სს რესპუბლიკაში ინდივიდუალური საბინაო მშენებლობის მოწესრიგების ღონისძიებათა შესახებ» საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს #806 დადგენილების მოთხოვნათა დაცვით დასრულდა დავის საგნად ქცეული ადმინისტრაციული აქტების მიღებით.

სარჩელი ასევე არ ცნო მესამე პირმა თ. კ-შვილმა და განმარტა, რომ ნ. კ-შვილის მიერ წარდგენილ ტექტიურის ცნობაში აღნიშნული იყო, რომ სადავო ფართები ნ. კ-შვილის სახელზე

აღრიცხული იყო როგორც დაუკანონებელი, ე.ი. როგორც უკანონო, მაგრამ არა როგორც მისი აშენებული. არ არსებობდა გასაჩივრებული აქტების ბათილად ცნობის იურიდიული საფუძველი.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2005 წლის 9 მარტის გადაწყვეტილებით ნ. კ-შვილის სარჩელი არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლობის გამო. საქალაქო სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის მსჯელობა იმის თაობაზე, რომ იგი განეკუთვნებოდა სადავო ფართების ამშენებელს. მართალია, საქართველოს უზენაესი სასამართლოს 1996 წლის 29 მაისის გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში მითითებული იყო, რომ ნ. კ-შვილმა აწარმოვა უნებართვო მშენებლობა და ქ. ქუთაისში, ... ქ.#12-ში მდებარე საცხოვრებელ სახლს, ნაცვლად ერთი ოთახისა, მიაშენა ექვსი საცხოვრებელი ოთახი დამხმარე სათავსებით, მაგრამ გადაწყვეტილების აღნიშნული მითითებით ნ. კ-შვილი არ შეიძლება მიჩნეულიყო სადავო დამხმარე სათავსოების მესაკუთრედ. კანონიერ ძალაში შესული ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2003 წლის 2 სექტემბრის გადაწყვეტილებით, რომელსაც პრეიუდიციული მნიშვნელობა ჰქონდა განსახილველ საქმეზე, ერთმნიშვნელოვნად დადგინდა სადავო სათავსოების ამშენებლად თ. კ-შვილი.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა, რომ «საქართველოს სს რესპუბლიკაში ინდივიდუალური საბინაო მშენებლობის მოწესრიგების ღონისძიებათა შესახებ» საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1983 წლის 23 დეკემბრის #806 დადგენილებისა და მასში 1994 წლის 16 მარტის #156 დადგენილებით შეტანილი ცვლილებების შესაბამისად, სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოების აღმასკომებს უფლება მიეცათ, როგორც გამონაკლისი, მოეხდინათ თვითნებურად აშენებული ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების სამართლებრივი რეგისტრაცია თვითნებური ამშენებლებისათვის. აღნიშნულის საფუძველზე, ნ. კ-შვილს, როგორც კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილებით ცნობილ სადავო სათავსოების ამშენებელს, სრული უფლება ჰქონდა, მიემართა სათანადო ორგანოსათვის აშენებული სათავსოების ექსპლუატაციაში მიღების მოთხოვნით.

საქალაქო სასამართლოს ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ნ. კ-შვილმა, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღებით მისი სარჩელის დაკმაყოფილება შემდეგი მოტივებით:

საქალაქო სასამართლომ სრულიად უსაფუძვლოდ მიანიჭა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2003 წლის 2 სექტემბრის გადაწყვეტილებას პრეიუდიციული ძალა, მაშინ, როდესაც ამავე გადაწყვეტილებით თ. კ-შვილს უარი ეთქვა საჯარო რეესტრში ზემოაღნიშნული დამხმარე სათავსოების მის საკუთრებად აღიარებაზე უსაფუძვლობის გამო, ასევე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2003 წლის 2 სექტემბრის გადაწყვეტილებით არ დაკმაყოფილდა თ. კ-შვილის სარჩელი მფლობელად ცნობის შესახებ. სწორედ აღნიშნული გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე, სადავო ადმინისტრაციული აქტები გამოცემული იყო კანონდარღვევით და ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60 მუხლის საფუძველზე ექვემდებარებოდა ბათილად ცნობას. საქალაქო სასამართლომ არასწორად არ დააკმაყოფილა მისი შუამდგომლობები სადავო #125 აქტის შემდგენი კომისიის თავმჯდომარის მოწმედ დაკითხვის თაობაზე, უსაფუძვლოდ არ ჩათვალა საჭიროდ, სხდომაზე მოსულიყო საჯარო რეესტრის სამსახურიდან სპეციალისტი, იგნორირება გაუკეთა მის მიერ წარდგენილ მტკიცებულებებს, რომლითაც დასტურდებოდა, რომ პროექტი, რომლის საფუძველზეც მოხდა დამხმარე ნაგებობების მშენებლობა, გაცემული იყო მის სახელზე, სასამართლომ მტკიცებულებები არ შეაფასა შინაგანი რწმენით და მიიღო ნაჩქარევი გადაწყვეტილება.

ქუთაისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა პალატის 2005 წლის 30 მაისის განჩინებით ნ. კ-შვილის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2005 წლის 9 მარტის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების მოტივები მდგომარეობს შემდეგში:

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია შემდეგი გარემოებები: ქუთაისში, ... ქ.#12-ში მდებარე სადავო დამხმარე ნაგებობები აშენებული იყო 1962 წელს, რასაც არ უარყოფდა თავად ნ. კ-შვილიც; აღნიშნული სათავსოები, გარდა ავტოფარების ნაწილისა, ფაქტობრივად, დაკავებული ჰქონდა თ. კ-შვილს; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2002 წლის 19 ივლისის გადაწყვეტილებით უცვლელად დარჩა ქუთაისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2000 წლის 3 ივლისის გადაწყვეტილება, რომლითაც ნ. კ-შვილის სარჩელი სადავო დამხმარე სათავსოებიდან თ. კ-შვილის გამოსახლების შესახებ არ დაკმაყოფილდა; სადავო სათავსოები, გარდა ავტოფარებისა, იზოლირებული იყო ნ. კ-შვილის საცხოვრებელი სახლის ნაწილისაგან და წარმოადგენდა დამხმარე სათავსოებს: საკუჭნაოს, სააბაზანოს, ტუალეტსა და სარდაფს. აღნიშნული სათავსოებით სარგებლობდა თ. კ-შვილი და ასეთი დანიშნულების სხვა ფართი მის საცხოვრებელ სახლს არ გააჩნდა.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის განმარტება იმის თაობაზე, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 1996 წლის 28 მაისის გადაწყვეტილებით იგი ცნობილი იქნა სადავო ობიექტების ამშენებლად და მესაკუთრედ. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ აღნიშნული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში საუბარი არ ყოფილა სადავო სათავსოების კუთვნილებაზე, აღნიშნული გადაწყვეტილებიდან სარჩელში მოყვანილი ციტატით, რომ ნ. კ-შვილმა მამის სიცოცხლეში მისივე დახმარებით სახლს მიაშენა ახალი სახლი, არ დასტურდებოდა, რომ საუბარი იყო სადავო ანუ პირველ სართულში განთავსებულ სათავსოებზე. ამასთან, აღნიშნულ გადაწყვეტილებაში საუბარიც რომ

ყოფილიყო სადავო ობიექტებზე, მოცემული ციტატით მაინც არ დასტურდებოდა, რომ ნ. კ-შვილი იყო მათი მესაკუთრე.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2003 წლის 2 სექტემბრის გადაწყვეტილებით ქ. ქუთაისში, ... ქ.#12-ში მდებარე 19,14კვ.მ, 12,25კვ.მ, 1,35კვ.მ, 2,42კვ.მ სათავსების, მათ წინ მდებარე გასასვლელის, მათ ქვეშ მდებარე სარდაფის, ეზოში მდებარე ბოსელისა და ორკარიანი ავტოფარეხის ნახევრის ამშენებლად ცნობილ იქნა თ. კ-შვილი ვ. კ-შვილთან ერთად. მაშასადამე, სადავო აქტების მიღებამდე დადგინდა, რომ სადავო ნაგებობების ამშენებელი ვ. კ-შვილთან ერთად იყო თ. კ-შვილიც, ვისაც, ფაქტობრივად, დაკავებული ჰქონდა სათავსები.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო ადმინისტრაციული აქტები მიღებული იყო კანონის მოთხოვნათა დაცვით, რასაც სწორი სამართლებრივი შეფასება მისცა პირველი ინსტანციის სასამართლომ. საქართველოს მინისტრთა საბჭოს 1983 წლის 23 დეკემბრის #806 დადგენილებისა და მასში 1994 წლის 16 მარტის #156 დადგენილებით შეტანილი ცვლილებებით სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოების აღმასკომებს უფლება მიეცათ, როგორც გამონაკლისი, მოეხდინათ თვითნებურად აშენებული ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების (მათი ნაწილების) სამართლებრივი რეგისტრაცია თვითნებურ ამშენებელზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან სადავო სათავსები წარმოადგენდა 1962 წელს თვითნებურად აშენებულ ნაგებობებს, დასაშვები იყო მათი დაკანონება ამშენებლის სახელზე. ამშენებლად კი კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილებით ცნობილი იყო თ. კ-შვილი ვ. კ-შვილთან ერთად.

სადავო არ იყო, რომ ვ. კ-შვილის სახელზე რიცხული სახლი მთლიანად საკუთრებაში გადავიდა თ. კ-შვილზე, ამდენად, ქ. ქუთაისის მერიას სრული უფლება ჰქონდა, ამ უკანასკნელის სახელზე დაეკანონებინა სადავო დამხმარე სათავსები, ხოლო ავტოფარეხის ნახევარი ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2003 წლის 2 სექტემბრის გადაწყვეტილების შესაბამისად დაუკანონდა ნ. კ-შვილს, როგორც ამშენებელსა და ფაქტობრივ მფლობელს.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ნ. კ-შვილმა, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით მისი სარჩელის დაკმაყოფილება შემდეგი საფუძვლებით:

კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება იურიდიულად დაუსაბუთებელი იყო, სააპელაციო სასამართლომ არასწორად მიიჩნია სადავო აქტები კანონის მოთხოვნათა დაცვით გამოცემულად.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2003 წლის 2 სექტემბრის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ნაწილობრივ დაკმაყოფილდა თ. კ-შვილის აღიარებითი სარჩელი და იგი ცნობილ იქნა აწ გარდაცვლილ ვ. კ-შვილთან ერთად ქ. ქუთაისში, ... ქ.#12-ში მდებარე 19,14კვ.მ, 12,25კვ.მ, 1,35კვ.მ, 2,43კვ.მ სათავსების, მათ წინ მდებარე გასასვლელის, მათ ქვეშ მდებარე სარდაფის, ეზოში მდებარე ბოსლისა და ორკარიანი ავტოფარეხის ნახევრის მშენებლად. ამავე გადაწყვეტილებით თ. კ-შვილს უარი ეთქვა სადავო ფართის მართლზომიერ მფლობელად ცნობისა და საჯარო რეესტრში დამხმარე სათავსების მესაკუთრედ აღრიცხვის თაობაზე უსაფუძვლოების გამო. კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ მოახდინა აღნიშნული გადაწყვეტილების არასწორი ინტერპრეტაცია, რომლის ძალითაც თ. კ-შვილი ცნობილ იქნა ამშენებლად არა მთლიან ფართზე, არამედ - მხოლოდ მის ნახევარზე.

სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60 მუხლის პირველი ნაწილი, რომ ადმინისტრაციული აქტი ბათილად უნდა გამოცხადდეს, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადებისა და გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები. კასატორის მოსაზრებით, როგორც სახელმწიფო მიმღებმა კომისიამ, ისე ქუთაისის მერიამ სადავო აქტების გამოტანისას დაარღვიეს ადმინისტრაციული აქტის გამოცემის პროცედურა, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 95-ე მუხლის პირველი ნაწილის მოთხოვნები, რომ ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია, ადმინისტრაციულ წარმოებაში ჩააბას დაინტერესებული მხარე. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია, ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ აცნობოს დაინტერესებულ მხარეს, თუ ადმინისტრაციული აქტით შეიძლება გაუარესდეს მისი სამართლებრივი მდგომარეობა და უზრუნველყოს მისი მონაწილეობა ადმინისტრაციულ წარმოებაში. კასატორის მოსაზრებით, აღნიშნული ნორმების მოთხოვნები მოცემულ შემთხვევაში დარღვეული იყო, ვინაიდან იგი არ იქნა მიწვეული ადმინისტრაციულ წარმოებაში და არ მიეცა შესაძლებლობა, ამავე კოდექსის 98-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, წარედგინა მტკიცებულებები, შუამდგომლობები საქმის გამოკვლევის მოთხოვნით, გასცნობოდა ადმინისტრაციული წარმოების მასალებს. მხოლოდ ამის შემდეგ ჰქონდა ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება, გამოეცა ადმინისტრაციული აქტი ან უარი ეთქვა მის გამოცემაზე.

ექსპლუატაციაში მიღების დროს მიმღები სახელმწიფო კომისია დაეყრდნო მხოლოდ ქუთაისის მერიის ტექადრიცხვის ტერიტორიული სამსახურის მიერ 2004 წლის 28 ივნისს გაცემულ გეგმა-ანაზომს, რომელშიც დამხმარე სათავსები უკანონოდ აღირიცხა თ. კ-შვილის სახელზე, მაშინ, როდესაც იგი არც მფლობელად და არც მესაკუთრედ, არამედ მხოლოდ ამშენებლად იქნა ცნობილი აწ გარდაცვლილ ვ. კ-

შვილთან ერთად სადავო ფართების ნახევარზე, ხოლო მეორე ნახევარს 2003 წლის 3 სექტემბრის გადაწყვეტილებაში ასახვა არ უპოვია.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების გამოკვლევის შედეგად მიიჩნევს, რომ ნ. კ-შვილის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, უცვლელად დარჩეს ქუთაისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა პალატის 2005 წლის 30 მაისის განჩინება, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს: ქუთაისში, ... ქ.#12-ში მდებარე სადავო დამხმარე ნაგებობები აშენებულია 1962 წელს; აღნიშნული სათავსები, გარდა ავტოფარების ნაწილისა, ფაქტობრივად, დაკავებული აქვს თ. კ-შვილს; სადავო სათავსები, გარდა ავტოფარებისა, იზოლირებულია ნ. კ-შვილის საცხოვრებელი სახლის ნაწილისაგან და წარმოადგენს დამხმარე ფართს: საკუჭნაოს, სააბაზანოს, ტუალეტსა და სარდაფს. აღნიშნული სათავსებით სარგებლობს თ. კ-შვილი და ასეთი დანიშნულების სხვა ფართი მის საცხოვრებელ სახლს არ გააჩნია.

დადგენილია, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2002 წლის 19 ივლისის გადაწყვეტილებით უცვლელად დარჩა ქუთაისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გავოტრების საქმეთა პალატის 2000 წლის 3 ივლისის გადაწყვეტილება, რომლითაც ნ. კ-შვილის სარჩელი სადავო დამხმარე სათავსებიდან თ. კ-შვილის გამოსახლების შესახებ არ დაკმაყოფილდა. ამავე გადაწყვეტილებით არ დაკმაყოფილდა თ. კ-შვილის შეგებებული სარჩელი ქ. ქუთაისში, ... ქ.#12-ში მდებარე 19,14კვ.მ, 12,2კვ.მ, 1,25კვ.მ, 2,43კვ.მ სათავსების, მათ ქვეშ მდებარე სარდაფის, ეზოში მდებარე ბოსლისა და ავტოფარების ნახევრის მფლობელად ცნობის შესახებ, იმ საფუძველით, რომ მფლობელობის მართლზომიერად აღიარებისათვის საჭირო იყო სამართლებრივი საფუძველი, რაც თ. კ-შვილს ამჟამად არ გააჩნდა, ვინაიდან ეს სათავსები ვ. კ-შვილის საკუთრებად აღრიცხული არ ყოფილა.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2003 წლის 2 სექტემბრის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ნაწილობრივ დაკმაყოფილდა თ. კ-შვილის აღიარებითი სარჩელი და იგი ცნობილ იქნა აწ გარდაცვლილ ვ. კ-შვილთან ერთად ქ. ქუთაისში, ... ქ.#12-ში მდებარე 19,14კვ.მ, 12,25კვ.მ, 1,35კვ.მ, 2,43კვ.მ სათავსების, მათ წინ მდებარე გასასვლელის, მათ ქვეშ მდებარე სარდაფის, ეზოში მდებარე ბოსლისა და ორკარიანი ავტოფარების ნახევრის მშენებლად; უარი ეთქვა თ. კ-შვილს ტექნიკური ბიუროსა და საჯარო რეესტრში ზემოაღნიშნული დამხმარე სათავსების მესაკუთრედ დაფიქსირებაზე; ამავე გადაწყვეტილებით არ დაკმაყოფილდა ნ. კულუაშვილის სარჩელი ქ. ქუთაისში, ... ქ.#12-ში მდებარე 19,14კვ.მ, 12,25კვ.მ, 1,35კვ.მ, 2,43კვ.მ სათავსების, მათ ქვეშ მდებარე სარდაფის, ეზოში მდებარე ბოსლისა და ავტოფარების მის საკუთრებად ცნობის, თ. კ-შვილისათვის ამ სათავსების სარგებლობის უფლებით დატოვებაზე უარის თქმის და მისი ამ სათავსებიდან გამოსახლების შესახებ.

მოცემულ შემთხვევაში სადავო აქტები - ქ. ქუთაისის სახელმწიფო მიმღები კომისიის 2004 წლის 12 აგვისტოს #125 აქტი და ქ. ქუთაისის მერიის 2004 წლის 18 აგვისტოს #440 განკარგულება გამოცემულია ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2003 წლის 2 სექტემბრის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების საფუძველზე და მის აღსასრულებლად.

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს კასატორის მოსაზრებას, რომ სააპელაციო სასამართლომ მოახდინა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2003 წლის 2 სექტემბრის გადაწყვეტილების არასწორი ინტერპრეტაცია, რომლის ძალითაც თ. კ-შვილი ცნობილ იქნა ამშენებლად არა მთლიან ფართზე, არამედ მხოლოდ მის ნახევარზე. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2003 წლის 2 სექტემბრის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში გარკვევით არის მითითებული, რომ თ. კ-შვილი ცნობილია ნახევარ ფართზე ამშენებლად მხოლოდ ავტოფარებთან მიმართებაში, ხოლო დანარჩენ სათავსებზე - მთლიან ფართზე. აღნიშნულ საკითხზე გადაწყვეტილება არ არის ბუნდოვანი და ორზნოვანი და არ იძლევა სხვაგვარი დასკვნის შესაძლებლობას.

საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორის არგუმენტს იმის თაობაზე, რომ იგი წარმოადგენდა დაინტერესებულ მხარეს, ანუ პირს, რომელსაც შეიძლება იურიდიული ინტერესი ჰქონოდა ადმინისტრაციული წარმოების მიმართ, ვინაიდან აღნიშნული წარმოების მიზანი იყო მასთან თანაბარ უფლებებში არსებული ავტოფარების ექსპლუატაციაში მიღების საკითხის გადაწყვეტა. იმავდროულად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კასატორი ვერ ასაბუთებს, თუ რამდენად აუცილებელი იყო მისი მონაწილეობა ადმინისტრაციულ წარმოებაში, რომ ასეთ შემთხვევაში ადმინისტრაციული ორგანო სადავო სათავსებთან დაკავშირებით მიიღებდა სხვაგვარ გადაწყვეტილებას და აღარ მოხდებოდა სადავო ადმინისტრაციული აქტების გამოცემა. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კასატორი ასევე ვერ ასაბუთებს, თუ რაში გამოიხატა აღნიშნული სათავსების ექსპლუატაციაში მიღებით მისი სამართლებრივი მდგომარეობის გაუარესება, რაც ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 95-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე დაინტერესებული მხარის ადმინისტრაციულ წარმოებაში სავალდებულო მონაწილეობის წინაპირობას წარმოადგენდა.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული აქტის გამოცემა, თუნდაც პროცედურული დარღვევით, ყოველთვის არ იწვევს ადმინისტრაციული აქტის ბათილად ცნობას. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-601 მუხლის მე-2 ნაწილი ადმინისტრაციული აქტის ბათილად გამოცხადებას უკავშირებს მხოლოდ ისეთ პროცედურულ დარღვევას, რომლის არარსებობის შემთხვევაში მოცემულ საკითხზე მიღებული იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილება. მოცემულ შემთხვევაში, კასატორის მტკიცებით, მისი, როგორც დაინტერესებული მხარის უფლების დარღვევა, ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობის მიუღებლობის გამო, მდგომარეობდა იმაში, რომ მას მოესპო გარკვეული მტკიცებულებების წარდგენის, საკუთარი მოსაზრების გამოთქმის საშუალება, არ მიეცა შესაძლებლობა, ამავე კოდექსის 98-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, წარედგინა მტკიცებულებები, შუამდგომლობები საქმის გამოკვლევის მოთხოვნით, გასცნობოდა ადმინისტრაციული წარმოების მასალებს. კასატორი ვერ ასაბუთებს, თუ რამდენად განაპირობებდა მისი მონაწილეობა ადმინისტრაციულ წარმოებაში სხვაგვარი ადმინისტრაციული აქტის გამოცემას, ვერ უთითებს კონკრეტულ მტკიცებულებებსა და შუამდგომლობებზე, რომლებიც გამოიწვევდა ადმინისტრაციულ ორგანოს მიერ სხვაგვარი გადაწყვეტილების მიღებას. ამასთან, კასატორი მონაწილეობდა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2003 წელის 2 სექტემბრის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით თ. კ-შვილის აღიარებითი სარჩელისა და ნ. კ-შვილის სარჩელის განხილვაში, სადაც მოახდინა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე შესაბამისი დოკუმენტების წარდგენის უფლების რეალიზება, ხოლო სადავო ადმინისტრაციული წარმოება ემყარებოდა სწორედ სასამართლოს აღნიშნულ გადაწყვეტილებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი სრულიად დაუსაბუთებელია, კასატორი ვერ ასაბუთებს სააპელაციო სასამართლოს მიერ კანონის ისეთ დარღვევას, რაც საქმეზე სხვაგვარი გადაწყვეტილების მიღებას განაპირობებდა. შესაბამისად, არ არსებობს საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული საფუძვლები (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე, 394-ე მუხლები).

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კასატორს, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, უნდა დაეკისროს სახელმწიფო ბაჟის სახით 100 ლარის გადახდა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 410-ე მუხლებით და

დაადგინა:

1. ნ. კ-შვილის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს ქუთაისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა პალატის 2005 წლის 30 მაისის განჩინება;
3. ნ. კ-შვილს დაეკისროს სახელმწიფო ბაჟის სახით 100 ლარის გადახდა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ;
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

დაინტერესებული მხარის მონაწილეობა ადმინისტრაციულ წარმოებაში

განჩინება

#ბს-118-111(კ-06)

26 ივლისი, 2006 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა

**შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე),
ნ. ქადაგიძე (მომხსენებელი),
ნ. სხირტლაძე**

დავის საგანი: ადმინისტრაციული აქტის ბათილად ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

2004 წლის 28 მაისს ნ. მ-მემ სასარჩელო განცხადებით მიმართა გორის რაიონულ სასამართლოს მოპასუხეების - გორის რაიონის გამგეობისა და სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო მიწის იჯარით გამცემი კომისიის მიმართ ადმინისტრაციული აქტის ბათილად ცნობის თაობაზე.

მოსარჩელე სასარჩელო განცხადებაში მიუთითებდა, რომ გორის მერიის კოლეგიის 1997 წლის 23 მაისის #123 გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა სახაზინო საწარმო ქვემო ხვითის სასოფლო-სამეურნეო

კოოპერატივის შრომითი კოლექტივის მოთხოვნა და 9 წლით იჯარით გადაეცათ 200 ჰა მიწის ნაკვეთი. ხელშეკრულებას ხელი მოაწერა თვითონ კანონის სრული დაცვით, როგორც შრომითი კოლექტივისაგან უფლებამოსილმა პირმა.

გორის რაიონის გამგეობამ 2004 წლის 24 ივლისს მიიღო #137 დადგენილება «გორის მერიის კოლექტივის 1997 წლის 23 მაისის გადაწყვეტილებისა და ამ გადაწყვეტილების საფუძველზე დადებული 1997 წლის 20 ნოემბრის საიჯარო ხელშეკრულების გაუქმების შესახებ», რომელიც, მოსარჩელის მითითებით, გამოტანილია ადმინისტრაციულ და სამოქალაქო კანონმდებლობათა დარღვევით, ვინაიდან დადგენილებაში მითითებული იყო, რომ ხელშეკრულება გაფორმდა ერთ პირზე და არა კოოპერატივის წევრებზე, «მიწის შესახებ» კანონის მე-13 მუხლის «ე» პუნქტის დარღვევით. მოსარჩელის განმარტებით, მითითებული კანონი არ არსებობს, სავარაუდოდ, იგულისხმება «სასოფლო-სამეურნეო მიწის იჯარის შესახებ» 1996 წლის 28 ივნისის საქართველოს კანონი, რაც აღარ მოქმედებს და ძალადაკარგულია 1997 წლის 25 ნოემბრიდან, სამოქალაქო კოდექსის ამოქმედებიდან. აღნიშნული მუხლი მოქმედებს მათ სასარგებლოდ და არა მათი ინტერესების საპირისპიროდ.

მოსარჩელის მითითებით, ასევე არასწორადაა განმარტებული გასაჩივრებული აქტის მეორე აზვაცი, რომლის შესაბამისადაც: «სახაზინო საწარმოს შრომითი კოლექტივის წევრები ვალდებული იყვნენ ეწარმოებინათ მარცვლეული კულტურის თესვები». ამგვარ მოვალეობას მათ არ აკისრებდა 23.05.1997წ. #123 დადგენილება და არც მის საფუძველზე დადგენილი ხელშეკრულება. მარცვლეული კულტურების არმოყვანა არ ნიშნავს მიწის არასამეურნეო დანიშნულებისამებრ გამოყენებას.

მოსარჩელის განმარტებით, ის გარემოება, რომ საიჯარო ხელშეკრულება რეგისტრირებულია მოგვიანებით, არ შეიძლება გახდეს ხელშეკრულების გაუქმების საფუძველი, ვინაიდან «მიწის რეგისტრაციის შესახებ» კანონის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, რეგისტრაციის დაგვიანებისათვის გათვალისწინებულია საჯარიმო სანქცია და არა ხელშეკრულების გაუქმება, ხოლო, რაც შეეხება გასაჩივრებულ ადმინისტრაციულ აქტში მითითებულ უზუსტობას ფართობსა და აზომვის შედეგად მიღებულ ფაქტობრივ მონაცემებს შორის, რომელიც შეადგენს 32,6 ჰა სახნავს და 1 ჰა მრავალწლიან ნარგავს, მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტის გორის რაიონის მიწის მართვის სამმართველოს 25.05.2004წ. #262 ცნობის შესაბამისად, «გამოწვეულია არხისპირა გზების ნაკვეთების მიმდებარე გზებისა და განადგურებული ქარსაფარი ზოლების ნაწილის დამუშავების შედეგად». ამასთან, მოსარჩელის მითითებით, გორის რაიონის მიწის მართვის სამმართველომ იჯარით გაცემული ფართობების ხელმეორედ აზომვა აწარმოვა უკანონოდ, მოიჯარეების წარმომადგენლის გარეშე, აზომვას ესწრებოდა მასთან დაპირისპირებული მხარე. მოსარჩელის მოსაზრებით, გორის რაიონის გამგეობამ აღნიშნული გარემოება დაადგინა უკანონოდ და მას, როგორც უკანონოდ მოპოვებულ მტკიცებულებას, არ აქვს იურიდიული ძალა.

მოსარჩელის განმარტებით, გორის რაიონის გამგეობამ საიჯარო ფართობი მიამაგრა შპს «სალთვისი 2-ს» და მისცა სიტყვიერი მითითება კუთვნილი მოსავლის აღებაზე, რითაც დარღვა საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლით აღიარებული და განმტკიცებული მათი საკუთრების უფლება.

სამოქალაქო კოდექსის მე-60 მუხლის შესაბამისად, კანონით დადგენილ ვადაზე ადრე საიჯარო ხელშეკრულების შეწყვეტა დასაშვებია საიჯარო წლის დამთავრებისას.

მოსარჩელის მითითებით, გორის რაიონის გამგეობამ ძალადაკარგულად გამოაცხადა გორის მერიის კოლექტივის 1997 წლის 23 მაისის #123 გადაწყვეტილება, რომელიც აღმჭურველი ადმინისტრაციული აქტია და მისი ძალადაკარგულად გამოცხადება აკრძალულია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 პუნქტით, გათვალისწინებული გამოწვევების გარდა, რომელსაც გააჩნია კანონიერი ნდობა ძალადაკარგულად გამოცხადებული ადმინისტრაციული აქტის მიმართ. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60.5. მუხლისა და ამავე კოდექსის 218.2-ე მუხლის შესაბამისად, არ შეიძლება ამ კოდექსის ამოქმედებამდე გამოცემული აღმჭურველი ადმინისტრაციული აქტის ბათილად ან ძალადაკარგულად გამოცხადება, თუ პირმა განახორციელა იურიდიული მნიშვნელობის რაიმე ქმედება ამ აქტის საფუძველზე, გარდა 61.2. «ა», «ბ» და «გ» მუხლებით გათვალისწინებული შემთხვევებისა. მოხდა იურიდიული მნიშვნელობის ქმედება, ვინაიდან ამ აქტის საფუძველზე გაფორმდა საიჯარო ხელშეკრულება.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელე ითხოვდა გორის რაიონის გამგეობის 2004 წლის 21 ივლისის #147 დადგენილების თანახმად, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო მიწის იჯარით გაცემის კომისიის 2004 წლის 3 ივლისის #6 ოქმის ნაწილის, რომელიც ეხება მათ საიჯარო ხელშეკრულებას, ბათილად ცნობასა და ასევე, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29.1-ე მუხლების და სსსკ-ის 198-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ვ» პუნქტის შესაბამისად, სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით, ზემოაღნიშნული ადმინისტრაციული აქტის მოქმედების შეჩერებას, ვინაიდან გადაუდებელი აღსრულება არსებით ზიანს მიაყენებდა მათ.

გორის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 15 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ნ. მ-მის სასარჩელო განცხადება არ დაკმაყოფილდა; უარი ეთქვა მოსარჩელეს გორის რაიონის გამგეობის 2004 წლის 21 ივლისის #147 დადგენილებისა და მიწის იჯარით გამცემი კომისიის 2004 წლის #6 ოქმის ბათილად ცნობაზე.

2004 წლის 22 ოქტომბერს გორის რაიონის გამგეობამ განცხადებით მიმართა გორის რაიონულ სასამართლოს, რომლითაც მოითხოვა ამავე სასამართლოს 2004 წლის 15 ოქტომბრის გადაწყვეტილების

დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიეცევა იმ მოტივით, რომ გვიანდებოდა სადავო მიწის ფართობის დამუშავება.

გორის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 27 ოქტომბრის განჩინებით დაკმაყოფილდა გორის გამგეობის განცხადება და გორის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 15 ოქტომბრის გადაწყვეტილება მიეცა დაუყოვნებლივ აღსრულებაში.

მითითებული განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა ნ. მ-მემ, რომელმაც მოითხოვა გორის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 27 ოქტომბრის განჩინების გაუქმება.

გორის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 2 ნოემბრის განჩინებით ნ. მ-მის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და საქმის მასალებთან ერთად განსახილველად გადაიგზავნა თბილისის საოლქო სასამართლოში.

გორის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 1 ნოემბრის განჩინებით შესწორება შევიდა გორის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 15 ოქტომბრის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში და დასაბუთებულ გადაწყვეტილებაში ჩაიწერა 2004 წლის 18 ოქტომბერი.

გორის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 18 ოქტომბრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ნ. მ-მემ.

აპელანტი სააპელაციო საჩივარში მიუთითებდა, რომ გორის რაიონის სოფ. ქვემო ხვითის სახელმწიფო მეურნეობაში წლების მანძილზე ფუნქციონირებდა საიჯარო ბრიგადა, რომელსაც ხელმძღვანეობდა მამამისი - შ. მ-მე. მეურნეობამ რამდენჯერმე შეიცვალა სახელი და ამჟამად რეგისტრირებულია, როგორც შპს «სალთვისი-2». გორის მერიის კოლეგიის 1996 წლის 10 ოქტომბრის #79 გადაწყვეტილებით სოფ. ქვემო ხვითის სასოფლო-სამეურნეო სახაზინო საწარმოს (იგივე შპს «სალთვისი-2») იჯარით მიემარა 444 ჰა სასოფლო-სამეურნეო სავარგული. საიჯარო ხელშეკრულების გაფორმებისას გათვალისწინებული არ ყოფილა ზემოაღნიშნული ბრიგადა-კოოპერატივის ინტერესები. საწარმოს ხელმძღვანელობისა და ბრიგადის წევრთა თხოვნით, გორის მერიამ სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრის თანხმობის საფუძველზე, 1997 წლის 23 მაისის #123 გადაწყვეტილებით, ბრიგადა-კოოპერატივს 9 წლის ვადით იჯარით გამოუყო 200 ჰა სასოფლო-სამეურნეო სავარგული, ხოლო საიჯარო ხელშეკრულება გაფორმდა 230 ჰა ფართობზე. ხელშეკრულებას ხელი მოაწერა მოსარჩელემ, როგორც ბრიგადა-კოოპერატივის უფლებამონაცვლე პირმა, ვინაიდან წლების განმავლობაში დასაქმებული იყო აღნიშნულ კოოპერატივში. ხელშეკრულება გაფორმდა 1997 წლის 20 ნოემბერს. აპელანტის განმარტებით, სახელმწიფო გადასახადებს იხდიდნენ სრულად. გორის რაიონის გამგეობამ 2004 წლის 21 ივლისს მიიღო დადგენილება #147 «გორის კოლეგიის 1997 წლის 23 მაისის #123 გადაწყვეტილებისა და 1997 წლის 20 ნოემბრის საიჯარო ხელშეკრულების გაუქმების შესახებ», რომელიც ეწინააღმდეგებოდა ადმინისტრაციულ და სამოქალაქო კანონმდებლობას.

აპელანტის მითითებით, გამგეობამ კანონიერ ძალაში არშესული #147 დადგენილების საფუძველზე გამოაცხადა კონკურსი გაზეთ «გორის მოამბის» 2004 წლის 10-16 სექტემბრის ნომერში მათ საიჯარო ფართზე. აღნიშნულის თაობაზე მან მიმართა სასამართლოს და მოითხოვა კონკურსის შეჩერება, რაც დაკმაყოფილდა გორის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 13 სექტემბრის განჩინებით.

გორის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება უკანონოა და უნდა გაუქმდეს, ვინაიდან გასაჩივრებულ დადგენილებაში არასწორად მიეთითა «მიწის შესახებ» კანონის მე-13 მუხლის «გ» მუხლი, ასეთი კანონი არ არსებობს, სავარაუდოდ, იგულისხმება «სასოფლო-სამეურნეო მიწის იჯარის შესახებ» 1996 წლის 28 ივნისის კანონი, რაც 1997 წლის 25 ნოემბრიდან, სამოქალაქო კოდექსის ამოქმედებასთან დაკავშირებით, ძალადაკარგულია. აღნიშნული მუხლი მოქმედებს მოიჯარეების სასარგებლოდ და არა მათ წინააღმდეგ, რადგან ამ მუხლით მათ ჰქონდათ უპირატესობა, როგორც მიწით მოსარგებლე ბრიგადა-კოოპერატივს. არასწორია დადგენილების მე-2 აზვაციის განმარტება, რომ მოიჯარეები ვალდებული იყვნენ, ეწარმოებინათ ბოსტნეული კულტურების თესვები. ასეთ ვალდებულებას გორის მერიის კოლეგიის 1997 წლის 23 მაისის #12 გადაწყვეტილებით და 1997 წლის 20 ნოემბრის საიჯარო ხელშეკრულებით მათ არ ეკისრებოდათ. პროდუქციაზე მოთხოვნა რეგულირდებოდა საბაზრო ეკონომიკის კანონებით, რადგან მოთხოვნილება იყო არა ბოსტნეული კულტურების თესვებზე, არამედ ხორბალზე, ამიტომ მოჰყავდათ ხორბალი, რაც არ ნიშნავს მიწის არასასოფლო სამეურნეო დანიშნულებით გამოყენებას.

ასევე არამართებულია დადგენილებაში მითითება იმის თაობაზე, რომ მოიჯარეების მიერ დარღვეულია «მიწის რეგისტრაციის კანონის» 8.1 მუხლი, ვინაიდან მათ მიერ საიჯარო ხელშეკრულება რეგისტრირებულია 1997 წლის 20 ნოემბერს და საიჯარო ხელშეკრულების მოგვიანებით რეგისტრაცია არ არის ხელშეკრულების გაუქმების საფუძველი. ამავე კანონის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, დაგვიანებული რეგისტრაციისათვის გათვალისწინებულია საჯარიმო სანქცია და არა ხელშეკრულების გაუქმება. გამგეობის მიერ დაირღვა საიჯარო ხელშეკრულების 4.3.4. მუხლი, რომლითაც მეიჯარე ვალდებულია, წერილობით შეატყობინოს მოიჯარეს ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის თაობაზე, რაც აღნიშნულ შემთხვევაში არ მომხდარა და მათ არათუ შეატყობინეს ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე, არამედ მონაწილეობაც კი არ მიაღებინეს გასაჩივრებული ადმინისტრაციული აქტის მომზადების პროცესში. რითაც დაირღვა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 95-ე მუხლი. აპელანტის განმარტებით, გამგეობამ უგულებელყო სამოქალაქო კოდექსის მე-60, 60.2. მუხლების მოთხოვნები. გორის მერიის კოლეგიის 1997 წლის 23

მაისის #123 გადაწყვეტილება არის აღმჭურველი ადმინისტრაციული აქტი და მისი ძალადაკარგულად გამოცხადება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61.2. მუხლით გათვალისწინებული გამოწვევის გარდა, პირდაპირ არის აკრძალული. მათ გააჩნიათ კანონიერი ნდობა ძალადაკარგულად გამოცხადებული ადმინისტრაციული აქტის მიმართ ამავე კოდექსის 60.5. მუხლის თანახმად, ხოლო ამავე კოდექსის 218-ე მუხლით არ შეიძლება ამ კოდექსის ამოქმედებამდე გამოცემული აღმჭურველი ადმინისტრაციული აქტის ბათილად ან ძალადაკარგულად გამოცხადება, თუ პირმა განახორციელა იურიდიული მნიშვნელობის რაიმე ქმედება ამ აქტის საფუძველზე, გარდა 61.2. «ა» «ბ», «გ» მუხლებით გათვალისწინებული შემთხვევებისა. იურიდიული მნიშვნელობის ქმედება სახეზეა, რადგან ამ აქტის საფუძველზე გაფორმდა საიჯარო ხელშეკრულება. გასაჩივრებული გადაწყვეტილება არ პასუხობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 249-ე მუხლის მოთხოვნებს. შეუძლებელია გადაწყვეტილების აღწერილობითი და სამოტივაციო ნაწილების ერთმანეთისაგან გამოიჯვანა. გაუგებარია, სასამართლოს მიერ სარჩელის რომელი გარემოებანი და მტკიცებულებანი იქნა შეფასებული, რომელი გაიზიარა ან უარყო და რატომ. სასამართლომ მიიჩნია, რომ საიჯარო ხელშეკრულებით გადაეცათ სახნავი მიწა. ფაქტობრივად, აზომვის შედეგად კი აღმოჩნდა, რომ მათ მფლობელობაშია 30 ჰა-თი მეტი, ვიდრე ეს იჯარის ხელშეკრულებით იყო გათვალისწინებული. საქმის განხილვისას დააყენეს შუამდგომლობა საიჯარო მიწის ფართის აზომვისა და გადამოწმების შესახებ, რაზედაც სასამართლომ უარი თქვა და საქმეზე ჭეშმარიტების დასადგენად არაარსებითად მიიჩნია ეს მტკიცებულება, ხოლო სარჩელზე უარი დააყენა ამ მტკიცებულებას. გორის მიწის მართვის სამმართველოს სპეციალისტებმა აზომვა დაიწყეს გორის რაიონის სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამმართველოს უფროსის მიმართებით, მასთან შეუთანხმებლად. აზომვას არც ერთი მოიჯარე არ დასწრებია, რითაც დაირღვა საიჯარო ხელშეკრულების 4.1.1. პუნქტი. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 103-ე მუხლით აღნიშნულ მტკიცებულებას, როგორც უკანონოს, იურიდიული ძალა არა აქვს. სასამართლომ დადასტურებულად მიიჩნია ის ფაქტი, რომ გაუქმებული საიჯარო ხელშეკრულება გაფორმდა ნ. მ-მესთან, როგორც შრომითი კოლექტივის წარმომადგენელთან, მაგრამ, ფაქტობრივად, იჯარით გაცემულ მიწის ფართობს ფლობს და განკარგავს ნ. მ-მის ოჯახი, რაც არასწორია. სასამართლოს არ დაუკითხავს არც ერთი მოიჯარე. საქმეშია მოიჯარეთა წერილი სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამმართველოს უფროსის სახელზე. ასევე არასწორია მითითება იმ გარემოებაზე, თითქოს სოფელს არ გააჩნია სარეზერვო ფონდი, რითაც დაკმაყოფილებოდა მოსახლეობის ის უდიდესი ნაწილი, რომელიც მიწის ფართობს გარეშეა დარჩენილი. აღნიშნულით დასტურდება, რომ სასამართლომ არ იხელმძღვანელა კანონით. სოფელ ხვიტში მათზე გადაცემული ფართობის გარდა, კიდევ დარჩენილია 220 ჰა-მდე სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო სავარგული. მიწის საკუთრებაში გადაცემა და მიწის რეფორმა დასრულდა 1999 წლის 1 იანვარს «სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ კანონის ამოქმედების თაობაზე» საქართველოს 1997 წლის 15 მაისის კანონის თანახმად. სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, რაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლით სასამართლო გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძველია. სასამართლო გადაწყვეტილებაში მითითებულია, რომ სასამართლომ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლით, რომელიც არეგულირებს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის ან ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე სარჩელის დაკმაყოფილების წესს და არა სარჩელზე უარის თქმას, სასამართლომ არ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 244-ე მუხლით.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, აპელანტი ითხოვდა გორის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 18 ოქტომბრის გადაწყვეტილების გაუქმებასა და ახალი გადაწყვეტილებით მისი სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებას.

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2005 წლის 5 ივლისის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 16.2. მუხლის შესაბამისად საქმეში მესამე პირად ჩაება შპს «სალთვისი-2».

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე აპელანტმა შეამცირა სარჩელი და მოითხოვა სააპელაციო საჩივარში მითითებული საფუძველებით დაკმაყოფილებინა მისი სასარჩელო მოთხოვნა, ბათილად ეცნო გორის რაიონის გამგეობის 2004 წლის 21 ივლისის #147 დადგენილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2005 წლის 29 დეკემბრის გადაწყვეტილებით ნ. მ-მის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; გაუქმდა გორის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 18 ოქტომბრის გადაწყვეტილება და ახალი გადაწყვეტილებით ნ. მ-მის სასარჩელო განცხადება დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; სადავო საკითხის გადაწყვეტლად, ბათილად იქნა ცნობილი გორის რაიონის გამგეობის 2004 წლის 21 ივლისის #147 დადგენილება და გორის რაიონის გამგეობას დაევალა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ გამოეცა ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

სააპელაციო სასამართლო გადაწყვეტილებაში მიუთითებდა, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად (2005 წლის 15 ივლისამდე მოქმედი რედაქციით), სარჩელი შეიძლება აღიძრას ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის ან ძალადაკარგულად გამოცხადების მოთხოვნით. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, სარჩელი დასაშვებია, იმ შემთხვევაში თუ ადმინისტრაციულ-

სამართლებრივი აქტი ან მისი ნაწილი პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს, ან უკანონოდ ზღუდავს მის უფლებას, ხოლო მესამე ნაწილით სარჩელი სასამართლოს უნდა წარედგინოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ან ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებული გადაწყვეტილების გაცნობიდან ექვსი თვის ვადაში.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, სადავო ადმინისტრაციული აქტით იზღუდება მოსარჩელე ნ. მ-ძის, როგორც საიჯარო ხელშეკრულების მონაწილე პირის, უფლებები და ინტერესები.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, ნ. მ-ძის მიერ სარჩელი აღიძრა ორი მოპასუხის - გორის რ/ნ გამგეობისა და სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის იჯარით გამცემი კომისიის მიმართ. მოსარჩელე ითხოვდა ბათილად ყოფილიყო ცნობილი გორის რაიონის გამგეობის 2004 წლის 21 ივლისის #147 დადგენილება და სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო მიწის იჯარით გამცემი კომისიის 2004 წლის 9 ივლისის #6 ოქმის ნაწილი.

რაიონულმა სასამართლომ სადავო გადაწყვეტილების გამოტანისას ასევე არ განიხილა და საერთოდ არ იმსჯელა მეორე სასარჩელო მოთხოვნის - სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო მიწის იჯარით გამცემი კომისიის 2004 წლის 9 ივლისის #6 ოქმის ნ. მ-ძის ნაწილში ბათილად ცნობის თაობაზე. საქმეში არ მოიპოვება სადავო ოქმის დედანი ან მისი სათანადო წესით დადასტურებული ასლი. ამასთან, სააპელაციო სასამართლოს მითითებით, სააპელაციო სასამართლოში აპელანტმა ნ. მ-ძემ შეამცირა მოთხოვნა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის იჯარით გამცემი კომისიის 2004 წლის 9 ივლისის #6 ოქმის ნაწილში ბათილად ცნობის შესახებ, რის გამოც სასამართლო მოკლებული იყო უფლებამოსილებას, განეხილა და გამოეტანა გადაწყვეტილება აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ხოლო, რაც შეეხება გორის მერიის გამგეობის 2004 წლის 21 ივლისის #147 დადგენილების გაუქმებას, საპელაციო სასამართლოს განმარტებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96.1. მუხლის შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია, ადმინისტრაციული წარმოებისას გამოიკვილოს საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, რომლის გარეშე ამავე მუხლის მეორე ნაწილით, დაუშვებელია ადმინისტრაციული აქტის გამოცემა. ამავე კოდექსის 95.2. მუხლის მიხედვით, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია, ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ აცნობოს დაინტერესებულ მხარეს თუ ადმინისტრაციული აქტით შეიძლება გაუარესდეს მისი სამართლებრივი მდგომარეობა და უზრუნველყოს მისი მონაწილეობა ადმინისტრაციულ წარმოებაში.

სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ იქნა, რომ გორის მერიის კოლეგიის 1997 წლის 23 მაისის #123/6 დადგენილებისა და მისგან გამომდინარე შედეგების თაობაზე გამოიცა გორის რაიონის გამგეობის 2004 წლის 17 მარტის #47 განკარგულება ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ, მაგრამ საქმეზე ადმინისტრაციული წარმოება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესით არ ჩატარებულა, რაც დასტურდება გორის რაიონის გამგეობის 2004 წლის 21 ივლისის სხდომის #7 ოქმითაც. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 75-ე, 84-ე, 95.2 მუხლების მოთხოვნათა შესაბამისად (2005 წლის 15 ივლისამდე მოქმედი რედაქცია) ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობის მისაღებად არ იქნა მიწვეული უშუალოდ სახაზინო საწარმო «ქვემო ხვითში» არსებული სასოფლო-სამეურნეო საწარმო კოპერატივის შრომითი კოლექტივის წევრები (ფიზიკური პირები) ან მათი წარმომადგენელი, ნ. მ-ძე, აგრეთვე, სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს (რომლის თანხმობითაც გამოიცა ძალადაკარგულად გამოცხადებული აქტი) უფლებამონაცვლე სოფლის მეურნეობის სამინისტრო. ამრიგად, დაინტერესებულ მხარეებს არ მიეცათ შესაძლებლობა, კანონმდებლობით დადგენილი წესით მიეღოთ მონაწილეობა ადმინისტრაციულ წარმოებაში, წარედგინათ თავიანთი მოსაზრებები, მტკიცებულებები, მიეცათ ახსნა-განმარტებები, დაეყენებინათ შუამდგომლობები და ა. შ. სააპელაციო სასამართლო თვლის, რომ აღნიშნულის გარეშე ადმინისტრაციული ორგანო მოკლებული იქნებოდა შესაძლებლობას, შეეგროვებინა, გამოეკვლია საქმისათვის მნიშვნელოვანი ყველა ინფორმაცია და მტკიცებულება. შესაბამისად, სადავო ადმინისტრაციული აქტი, გორის რაიონის გამგეობის #147 დადგენილება, გამოცემულ იქნა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოების გამოკვლევისა და შეფასების გარეშე, რითაც არსებითად დარღვეულია მისი მომზადებისა და გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები და, ამდენად, კანონშეუსაბამოა.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60.1. «დ» მუხლით (2005 წლის 15 ივლისამდე მოქმედი რედაქცია) ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილად უნდა გამოცხადდეს თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების, ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32.4. მუხლის თანახმად, თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ ადმინისტრაციული აქტი გამოცემულია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოების გამოკვლევისა და შეფასების გარეშე, იგი უფლებამოსილია, სადავო საკითხის გადაუწყვეტლად, ბათილად ცნოს ადმინისტრაციული აქტი და დაავალოს ადმინისტრაციულ ორგანოს, ამ გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ გამოსცეს ახალი ადმინისტრაციული აქტი. სასამართლო ამ გადაწყვეტილებას იღებს თუ არსებობს მხარის გადაუდებელი კანონიერი ინტერესი.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში არსებობს მოსარჩელე მხარის, ნ. მ-ძის, კანონიერი ინტერესი, რადგან სადავო ადმინისტრაციული აქტით იზღუდება მისი, როგორც მოიჯარის, უფლებები.

მითითებული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა გორის რაიონის გამგეობამ.

კასატორი საკასაციო საჩივარში მიუთითებდა, რომ სააპელაციო სასამართლოს მითითება იმის თაობაზე, რომ გორის რაიონის გამგეობის მიერ სადავო დადგენილების მიღებისას არ იყო დაცული ადმინისტრაციული საპროცესო ნორმები, არამართებულია, ვინაიდან საქმეში არის ადმინისტრაციული წარმოების დასაწყებად არსებული მიმართვები და განცხადებები, როგორც ფიზიკური ისე იურიდიული პირების მხრიდან, გადმოგზავნილი ქვემდებარეობით, რის საფუძველზეც გორის რაიონის გამგეობამ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 76-ე მუხლის შესაბამისად, უზრუნველყო ადმინისტრაციული წარმოების დაწყება და ამავე კოდექსის 95-ე მუხლის მე-4 ნაწილის გათვალისწინებით, ვინაიდან დაინტერესებულ მხარეთა რაოდენობა ორმოცდაათს აღემატებოდა, 2004 წლის 17 მარტის #47 განკარგულება წარმოების დაწყების შესახებ გამოაქვეყნა საჯაროდ. მოსარჩელე ნ. მ-ძე კი, კასატორის მოსაზრებით, შეგნებულად არ იღებდა მონაწილეობას ადმინისტრაციული წარმოების პროცესში.

სააპელაციო სასამართლომ ყურადღება არ მიაქცია გორის რაიონის გამგეობის 2004 წლის 21 ივლისის #147 დადგენილებით გათვალისწინებულ იმ გარემოებას, რომ მიწის ფართობები მოიჯარე მხარეს უნდა გამოეყენებინა დანიშნულებისამებრ, რამდენადაც გორის რაიონის გამგეობის 1997 წლის 23 მაისის #123/6 გადაწყვეტილებაში მოყვანილი პირობების გამო მოხდა საიჯარო ხელშეკრულების გაფორმება და 1997 წლის 20 ნოემბრის #30 ხელშეკრულების მე-3 მუხლის 3-1 პუნქტის შესაბამისად, მოიჯარე ვალდებული იყო, დაეცვა მიწის გამოყენებისათვის სპეციალურად დაწესებული რეჟიმი. ამდენად, სააპელაციო სასამართლომ არ იმსჯელა მათ უფლებებზე აღნიშნული გარემოების მიმართ.

კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ ასევე არ იმსჯელა გორის რაიონის გამგეობის 2004 წლის 21 ივლისის #147/7 დადგენილებით გავალისწინებულ იმ ძირითად გარემოებაზე, რომელმაც საიჯარო ხელშეკრულების გაუქმება უზრუნველყო, კერძოდ, მოიჯარე მხარეს კანონის დარღვევით ჰქონდა გაფორმებული საიჯარო ხელშეკრულება, რადგან გორის რაიონის გამგეობის 1997 წლის 23 მაისის #123/6 დადგენილებით მიწა გამოეყო ყოფილი სახაზინო საწარმო ქვემო ხვითის შრომით კოლექტივს (კოოპერატივის წევრებს), ხოლო ხელშეკრულება გაფორმდა ფიზიკურ პირ ნ. მ-ძესთან, როდესაც მოიჯარე ნ. მ-ძე შრომითი კოლექტივის-კოოპერატივის წევრი არც ყოფილა ამ კონკრეტულ პერიოდში და არც დელეგირებული ჰქონდა ის უფლება, რომ თავის თავზე გაეფორმებინა იჯარა. ამდენად, სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა «სასოფლო-სამეურნეო მიწის იჯარის შესახებ» 1996 წლის 28 ივნისის #329 კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის «გ» ქვეპუნქტი. აღნიშნული კანონი ამ კონკრეტულ პერიოდში აწესრიგებდა სახელმწიფო საკუთრების სასოფლო-სამეურნეო მიწების საიჯარო სარგებლობაში მისაღებად კონკურსში თანაბარი პირობების შემთხვევაში უპირატესობას. ამდენად, თუ სახაზინო საწარმოს შრომით კოლექტივს ჰქონდა ის უპირატესი საიჯარო უფლება კონკურსში უნდა გამოვლენილიყო, ხოლო თუ მოიჯარე ფიზიკური პირია, უნდა ჰქონოდა კოლექტივისგან რაიმე დელეგირებული უფლება.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორი ითხოვდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2005 წლის 29 დეკემბრის გადაწყვეტილების გაუქმებასა და ახალი გადაწყვეტილებით მოსარჩელისათვის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ გორის რაიონის გამგეობის საკასაციო საჩივარი უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლომ საქმეზე დადგენილად ცნო შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

გორის მერიის კოლეგიის 1996 წლის 10 ოქტომბრის #76 გადაწყვეტილებით მუნიციპალურ სახაზინო საწარმო «ქვემო ხვითს» გაუფორმდა სასოფლო სამეურნეო მიწის იჯარა მის ადრინდელ მფლობელობაში არსებულ 444 ჰა სასოფლო-სამეურნეო სავარგულზე, მათ შორის იყო 411 ჰა სახნავი და 33 ჰა მრავალწლიანი ნარგავები.

გორის მერიის კოლეგიის 1997 წლის 23 მაისის #123 გადაწყვეტილებით ნაწილობრივი ცვლილება შევიდა გორის მერიის კოლეგიის 1996 წლის 10 ოქტომბრის #79 გადაწყვეტილებაში. სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს თანხმობით, დაკმაყოფილდა სახაზინო საწარმო «ქვემო ხვითში» არსებული სასოფლო-სამეურნეო საწარმოო კოოპერატივის შრომითი კოლექტივის წევრების მოთხოვნა და იჯარით 9 წლის ვადით შრომით კოლექტივს გამოეყო მის სარგებლობაში არსებული 200 ჰა სასოფლო-სამეურნეო სავარგული. გორის მიწის მართვის სამმართველოს დაევალია მიწის საიჯარო ხელშეკრულების მომზადება, გაფორმება, რეგისტრაციაში გატარება.

1997 წლის 20 ნოემბერს გორის მერიასა და ნ. მ-ძეს შორის დაიდო სასოფლო-სამეურნეო მიწის იჯარის ხელშეკრულება #30. ხელშეკრულების თანახმად, მოიჯარე ნ. მ-ძეს 9 წლის ვადით დაევა

230 ჰა სასოფლო-სამაჟრნეო მიწა. ხელშეკრულებით განისაზღვრა საიჯარო ქირა, ქირის გადახდისა და ხელშეკრულების გაუქმების პირობები.

გორის რაიონის გამგეობის 2004 წლის 21 ივლისის #147 დადგენილებით ძალადაკარგულად ჩაითვალა გორის მერიის კოლეგიის 1997 წლის 23 მაისის #123 გადაწყვეტილება და ამ გადაწყვეტილების საფუძველზე 1997 წლის 20 ნოემბერს გაფორმებული საიჯარო ხელშეკრულება ნ. მ-ძის სახელზე. მიწის მართვის სამმართველოს მიერ აღმოჩენილ სხვაობაზე მიწის ფართობთან დაკავშირებით, გორის საოლქო საგადასახადო ინსპექციას დაევალა რეაგირების მოხდენა. მითითებულ ფართობზე გამოცხადდა კონკურსი და დროებით, კონკურსის გამართვამდე, მიწა მიემაგრა შპს «სალოვისი-2-ს». განმარტებულ იქნა დადგენილების გასაჩივრების წესი და ვადა.

ზემოაღნიშნულ ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით კასატორის მიერ საკასაციო პრეტენზია წარმოდგენილი არ არის, რისი გათვალისწინებითაც საკასაციო სასამართლო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილზე დაყრდნობით სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ გარემოებებს მიიჩნევს დადასტურებულად.

სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილებით ბათილად იქნა ცნობილი გორის რაიონის გამგეობის 2004 წლის 21 ივლისის #147 დადგენილება და გორის რაიონის გამგეობას დაევალა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ გამოეცა ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. სააპელაციო სასამართლომ აქტის ბათილობის ძირითად სამართლებრივ საფუძველად მიიჩნია გორის რაიონის გამგეობის მხრიდან საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96.1 და 95.2 მუხლების მოთხოვნათა დარღვევა, რასაც კასატორი არ ეთანხმება და თვლის, რომ მისი მხრიდან აქტის გამოცემისას დაცულია მითითებული მუხლის მოთხოვნები.

საკასაციო სასამართლომ, კასატორის პრეტენზიის საფუძველზე, შეამოწმა სააპელაციო სასამართლოს მხრიდან ზემოაღნიშნული ნორმების გამოყენების მართებულება და თვლის, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღებისას კანონის მოთხოვნები არ დარღვეულა.

დადგენილია, რომ გორის რაიონის გამგეობის მიერ 2004 წლის 17 მარტს მიღებულ იქნა #47 განკარგულება ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ, მაგრამ საქმეში არ მოიძიება და ვერც კასატორი ვერ უთითებს ვერც ერთ იმ მტკიცებულებაზე, რომელიც დაადასტურებდა ადმინისტრაციულ წარმოებაში დაინტერესებული პირის მოწვევის ან მონაწილეობის ფაქტს.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-13 მუხლის შესაბამისად, ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება აქვს, განიხილოს და გადაწყვიტოს საკითხი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაინტერესებულ მხარეს, რომლის უფლება ან კანონიერი ინტერესი იზღუდება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, მიეცა საკუთარი მოსაზრებების წარდგენის შესაძლებლობა. გამოწვევის ადგენს კანონი.

საკასაციო სასამართლო განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევს მითითებული მუხლის დებულებებს და განმარტავს, რომ აღნიშნულ მუხლში დეკლარირებული ნორმები მიეკუთვნება ადმინისტრაციული სამართლის უმნიშვნელოვანეს პრინციპს, რომლის მიზანსაც წარმოადგენს იმ პირის ინტერესების მაქსიმალური დაცვა, რომლის უფლებებსაც შესაძლოა მითითებული აქტი შეეხოს. აღნიშნული პირები უფლებამოსილი არიან მონაწილეობა მიიღონ ამ აქტის გამოცემასთან დაკავშირებულ ადმინისტრაციული წარმოების პროცესში და თავისი გავლენა მოახდინონ ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილებაზე, რაც ხელს უწყობს არა მხოლოდ დაინტერესებული მხარის უფლებების დაცვას, არამედ არსებითად სწორი გადაწყვეტილების მიღებას. მითითებული ნორმიდან გამონაკლისი დასაშვებია მხოლოდ კანონის საფუძველზე.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს რა ზემოაღნიშნულ მუხლზე, იმავდროულად განმარტავს, რომ აღნიშნული მუხლი წარმოადგენს ზოგად ნორმას და მასში წარმოდგენილი პრინციპის გამოყენება უზრუნველყოფილია იმავე ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 95-ე მუხლით, რომლის მე-2 ნაწილის თანახმადაც, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია, ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ აცნობოს დაინტერესებულ მხარეს, თუ ადმინისტრაციული აქტით შეიძლება გაუარესდეს მისი სამართლებრივი მდგომარეობა და უზრუნველყოს მისი მონაწილეობა ადმინისტრაციულ წარმოებაში.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს რა გასაჩივრებული აქტის შინაარსსა და ზემოაღნიშნული ნორმის იმპერატიულ ხასიათს, უდავოდ მიჩნევს, რომ ადმინისტრაციული წარმოების პროცესში უფლებებელყოფილ იქნა მოწინააღმდეგე მხარისათვის კანონით დადგენილი გარანტიები.

საყურადღებოა, რომ დაინტერესებული მხარის უფლებათა დაცვის მიზნით, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი არ შემოიფარგლება მხოლოდ მხარის უფლებით გაეცნოს ადმინისტრაციული წარმოების მასალებს, მას უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს ადმინისტრაციული წარმოების პროცესში, რაც გულისხმობს პირის უფლებას წარადგინოს მტკიცებულებები, დააყენოს შუამდგომლობები და ა.შ., რაც რეგლამენტირებულია ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 98-99-ე მუხლებში და რაც ასევე დარღვეულია ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან.

ყოველივე აღნიშნულის საფუძველზე საკასაციო სასამართლო უდავოდ მიიჩნევს, რომ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას არ იყო დაცული ზოგადი ადმინისტრაციული

კოდექსის მოთხოვნები, კერძოდ, ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე დაინტერესებული მხარე არ იყო ინფორმირებული და არც საქმის გარემოებათა გამოკვლევა ჩატარებულა.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ გამგეობის მხრიდან გამოკვლეული არ არის თავად ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველი. როგორც სადავო დადგენილებიდან ირკვევა, ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველს წარმოადგენს ხელშეკრულების პირობების დარღვევა, თუმცა გასაჩივრებული დადგენილება არ შეიცავს მითითებას, ხელშეკრულების რომელი პუნქტი დაირღვა, რაში გამოიხატა ხელშეკრულების პირობების დარღვევა და რა სამართლებრივი საფუძველით შეწყდა იგი. საგულისხმოა, რომ დადგენილებაში მითითებულ საფუძველს მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულება არ ითვალისწინებს.

ყოველივე ზემოაღნიშნულის საფუძველზე საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სააპელაციო სასამართლოს მხრიდან გადაწყვეტილების გამოტანისას კანონი არ დარღვეულა და, შესაბამისად, საკასაციო საჩივარი არ ექვემდებარება გაზიარებას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

დაადგინა:

1. გორის რაიონის გამგეობის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2005 წლის 29 დეკემბრის გადაწყვეტილება;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

დაინტერესებული მხარის მონაწილეობა ადმინისტრაციულ წარმოებაში

გადაწყვეტილება საქართველოს სახელით

#ბს-434-415(2კ-06)

27 დეკემბერი, 2006 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა

**შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე),
ნ. ქადაგიძე (მომხსენებელი),
ნ. სხირტლაძე**

დავის საგანი: ადმინისტრაციული აქტის ბათილად ცნობა, მორალური ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

2005 წლის 15 აპრილს შპს «დიტამ» სასარჩელო განცხადებით მიმართა ზუგდიდის რაიონულ სასამართლოს მოპასუხე ზუგდიდის რაიონის გამგეობის მიმართ ადმინისტრაციული აქტის ბათილად ცნობისა და მატერიალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე.

მოსარჩელე სასარჩელო განცხადებაში მიუთითებდა, რომ 1993 წელს ჩამოყალიბდა ახალგაზრდული სამეცნიერო შემოქმედებითი გაერთიანება «აია», რომლის დირექტორი იყო ვ. ჩ-მია. 1994 წლის 21 აპრილს «ქალაქის, საწარმოების, დაწესებულებების და მთელ ტერიტორიაზე ჯიხურების, სავაჭრო პავილიონების დადგმის წესის რეგულირების შესახებ» ქ. ზუგდიდის და ზუგდიდის რაიონის გამგეობის #335 განკარგულების შესაბამისად, ქალაქის მთელ ტერიტორიაზე ჯიხურებისა და პავილიონების დადგმაზე ნებართვის გაცემა უნდა მომხდარიყო ქალაქისა და რაიონის არქიტექტურისა და მშენებლობის სამმართველოს უფროსის, ქალაქისა და რაიონის მთავარი არქიტექტორის ბრძანებებით. ამ განკარგულების საფუძველზე ზუგდიდის რაიონის მთავარი არქიტექტორის - ზ. კ-იას მიერ 1994 წლის 27 ივლისს მიღებულ იქნა #132 ბრძანება, რითაც ნება დაერთო ახალგაზრდულ სამეცნიერო შემოქმედებით გაერთიანება «აიას» ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე მდგარ სამკუთხა ფირნიშთან დაედგა უნივერსალური პავილიონი, იმავე არქიტექტორის 1995 წლის 2 თებერვლის #16 ბრძანებით, პავილიონის მიმდებარე ტერიტორია მათ მიერ იქნა კეთილმოწყობილი.

«მეწარმეთა შესახებ» კანონის შესაბამისად, 1996 წლის 22 იანვარს ზუგდიდის რაიონული სასამართლოს მიერ რეგისტრირებულ იქნა შპს «დიტა-94», საზოგადოების საწესდებო კაპიტალში შევიდა სშგ «აიას» ქონება და დირექტორად დარჩა ზ. ჩ-მია.

ზუგდიდის მერის - ლ. ჭავჭავაძის 1997 წლის 2 დეკემბრის #294 განკარგულებით, ნება დაერთო შპს «დიტა-94-ს» განუხორციელებინა 156,2 კვ.მ რკინის პავილიონის რეკონსტრუქცია, რომლის ხარჯთაღრიცხვამ, აუდიტორული დასკვნით, შეადგინა 65 ათასი ლარი.

ზუგდიდის რაიონის გამგეობის 2000 წლის 10 აგვისტოს #134 განკარგულებით ობიექტი შევიდა ექსპლუატაციაში. «ფიზიკური პირებისა და კერძო სამართლის იურიდიული პირების სარგებლობაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის კერძო საკუთრებად გამოცხადების შესახებ» კანონის შესაბამისად, ქ. ზუგდიდის მიწის მართვის სამმართველოში 171,7 კვ.მ მიწის ნაკვეთი 1999 წლის 27 აგვისტოს კერძო საკუთრების უფლებით რეგისტრირებულ იქნა საჯარო რეესტრში მასზე უძრავად დაკავშირებულ შენობასთან ერთად, რომელიც ამენებულა სათანადო პროექტის საფუძველზე.

2005 წლის 25 მარტს ზუგდიდის რაიონის გამგებლის #102 განკარგულებით ბათილად გამოცხადდა ზუგდიდის რაიონის გამგებლის 2000 წლის 10 აგვისტოს #134 განკარგულება «სავაჭრო ობიექტების ექსპლუატაციაში მიღების შესახებ» პირველი პუნქტის ბათილად ცნობისა და საჯარო რეესტრში ცვლილებების შეტანის შესახებ, ასევე, ზუგდიდის რაიონის გამგებლის მ/შ 2005 წლის 25 მარტის #101 განკარგულებით ბათილად გამოცხადდა ზუგდიდის მერიის 1997 წლის 2 დეკემბრის #294 განკარგულების პირველი პუნქტის მე-5 ქვეპუნქტი.

მოსარჩელის განმარტებით, აღნიშნული განკარგულებები არის უკანონო, რადგან მისი მიღებისას დარღვეულია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნა, რადგან არც ერთ ადმინისტრაციულ აქტში არ არის მითითებული გასაჩივრების ვადა და წესი, ასევე, დარღვეულია ამავე მუხლის პირველი მე-3, მე-5, მე-6 პუნქტების მოთხოვნები, ვინაიდან ადმინისტრაციული აქტები არ არის დასაბუთებული, არ არის სწორად გამოკვლეული და შეფასებული ფაქტობრივი გარემოებანი. ზუგდიდის რაიონის გამგებლის მ/შემსრულებელ გ. ა-იას 2005 წლის 25 მარტის #101 განკარგულების მიღებისას, მოსარჩელის მოსაზრებით, სავალდებულო იყო ექსპერტიზის დასკვნა, რადგან უსაფუძვლოა «წყლის შესახებ» კანონის მე-20 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების გამოყენება.

ზუგდიდის რ/ნ გამგეობის 2005 წლის 25 მარტის #102 განკარგულებაში ასევე არამართებულადაა გამოყენებული «ფიზიკური პირებისა და კერძო სამართლის იურიდიული პირის სარგებლობაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის კერძო საკუთრებად გამოცხადების შესახებ» კანონის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის «მ» და «დ» ქვეპუნქტები.

მოსარჩელის განმარტებით, საჯარო რეესტრში 171.7 კვ.მ მიწის ნაკვეთი და მასზე განლაგებული შენობა 1999 წელს რეგისტრირებულია შპს «დიტა-94-ის» საკუთრებად. «ფიზიკური პირებისა და კერძო სამართლის იურიდიული პირების სარგებლობაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის კერძო საკუთრებად გამოცხადების შესახებ» კანონის მე-5 მუხლის შესაბამისად, მიწაზე კერძო საკუთრების უფლების მინიჭებასთან დაკავშირებით სადავო და გარიგებათა ბათილად ცნობის საკითხებს განიხილავს სასამართლო, ხოლო, ამავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, კერძო საკუთრების უფლების მინიჭებასთან დაკავშირებული სადავო საკითხების განხილვის ხანდაზმულობის ვადაა 3 წელი. გამგებლის მოვალეობის შემსრულებელმა უხეშად დაარღვია კანონის იმპერატიული მოთხოვნა და მიითვისა სასამართლოს ფუნქცია, როდესაც თავისი განკარგულებით ბათილად ცნო შპს «დიტა-94-ს» მიწაზე კერძო საკუთრების უფლება და დაავალა საჯარო რეესტრის სამსახურს აღნიშნული მიწის ნაკვეთი რეგისტრაციაში გაეტარებინა სახელმწიფო საკუთრებად, ანუ მოახდინა მიწის «ნაციონალიზაცია», რითაც გადაამეტა უფლებამოსილებას.

ზუგდიდის რაიონის გამგებლის მ/შემსრულებლის მიერ მიღებული განკარგულებებით და კანონსაწინააღმდეგო ქმედებებით უხეშად შეილახა საზოგადოების საკუთრების უფლება, რაც უზრუნველყოფილია საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლით და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 170-ე მუხლებით. გამგებლის მ/შემსრულებლის უკანონო მოქმედება მიზეზობრივ კავშირშია დამდგარ შედეგთან.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელე ითხოვდა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ბათილად ყოფილიყო ცნობილი ზუგდიდის რაიონის გამგებლის მ/შემსრულებლის გ. ა-იას 2005 წლის განკარგულება და ზუგდიდის რაიონის გამგეობას მის სასარგებლოდ დაკისრებოდა 59 838 ლარის ანაზღაურება.

მოპასუხე ზუგდიდის რაიონის გამგეობამ სასარჩელო განცხადება არ ცნო და მოითხოვა მოსარჩელისათვის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2000 წლის 31 ოქტომბრის გადაწყვეტილებით შპს «დიტა-94-ის» სასარჩელო განცხადება დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი ზუგდიდის რაიონის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელ გ. ა-იას 2005 წლის 25 მარტის #101, #102 განკარგულებები და ზუგდიდის რაიონის გამგეობას შპს «დიტა-94-ის» სასარგებლოდ დაეკისრა 58838 ლარის ანაზღაურება.

მითითებული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ზუგდიდის რაიონის გამგეობამ.

აპელანტი სააპელაციო საჩივარში მიუთითებდა, რომ ზუგდიდის მერიის 1997 წლის 2 დეკემბრის #244 განკარგულება ეწინააღმდეგებოდა «წყლის შესახებ» კანონის მე-3 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებს, რომელთა შესაბამისადაც, მდინარის წყალდაცვით ზოლში მშენებლობა ან მოქმედი საწარმოს გაფართოება და რეკონსტრუქცია აკრძალულია. მითითებული კანონი საფუძვლად დაედო ზუგდიდის

რაიონის გამგებლის მოვალეობის შემსრულებლის 2005 წლის 25 მარტის #101 განკარგულებას და ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60 მუხლის პირველი პუნქტის «დ» ქვეპუნქტის შესაბამისად, ბათილად გამოცხადდა ზუგდიდის მერის 1997 წლის 2 დეკემბრის #244 განკარგულება, რაც რაიონული სასამართლოს მიერ არ იქნა გათვალისწინებული.

აღნიშნულიდან გამომდინარე, აპელანტი ითხოვდა ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2000 წლის 31 ოქტომბრის გადაწყვეტილების გაუქმებასა და ახალი გადაწყვეტილებით მოსარჩელისათვის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმას.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2006 წლის 6 აპრილის გადაწყვეტილებით ზუგდიდის რაიონის გამგებლის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 31 ოქტომბრის გადაწყვეტილება ზუგდიდის რ/ნ გამგებლისათვის 58838 ლარის დაკისრების ნაწილში და ახალი გადაწყვეტილებით ზუგდიდის რაიონის გამგებლას შპს «დიტა-94-ის» სასარგებლოდ დაეკისრა 30000 ლარის გადახდა, ხოლო დანარჩენ ნაწილში გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლო გადაწყვეტილებაში მიუთითებდა, რომ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის (2005 წლის 25 მარტის მდგომარეობით) 95-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია, ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ აცნობოს დაინტერესებულ მხარეს, თუ ადმინისტრაციული აქტით შეიძლება გაუარესდეს მისი სამართლებრივი მდგომარეობა და უზრუნველყოს მისი მონაწილეობა ადმინისტრაციულ წარმოებაში.

2005 წლის 25 მარტის #101 და #102 განკარგულებების მიღებისას არ ჩატარებულა ადმინისტრაციული წარმოება და, შესაბამისად, არ უცნობებიათ შპს «დიტა-94-ისათვის».

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 95-ე მუხლის მე-6 ნაწილის (2005 წლის 25 მარტის მდგომარეობით) თანახმად, გადაუდებლობის შემთხვევაში, როდესაც ადმინისტრაციული აქტის გამოცემის დაყოვნებამ შეიძლება არსებითი ზიანი მიაყენოს საჯარო ან კერძო ინტერესებს, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია, მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება ამ მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების მოთხოვნათა დაუცველად, ადმინისტრაციული აქტის გამოცემის შესახებ. სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით კი ზუგდიდის რაიონის გამგებლის 2005 წლის 25 მარტის განკარგულებიდან არ იკვეთება, რომ აქტი მიღებული იყო გადაუდებელი აუცილებლობით.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის (2005 წლის 25 მარტის მდგომარეობით) 97-ე მუხლის პირველი ნაწილის «გ» პუნქტის მიხედვით, საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია, მოუსმინოს დაინტერესებულ მხარეებს.

ზუგდიდის რაიონის გამგებლას კი შპს «დიტა-94-ისათვის» არ მოუსმენია, რამდენადაც არ ჩაუტარებია ადმინისტრაციული წარმოება.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის (2005 წლის 25 მარტის მდგომარეობით) 52-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, თითოეულ ადმინისტრაციულ აქტში უნდა მიეთითოს ის ორგანო, რომელშიც შეიძლება ადმინისტრაციული აქტის გასაჩივრება, მისი მისამართი და საჩივრის (სარჩელის) წარდგენის ვადა, რაც #101 და #102 განკარგულებებში არ არის აღნიშნული. აღნიშნული კოდექსის (2005 წლის 25 მარტის მდგომარეობით) მე-60 მუხლის პირველი ნაწილის «დ» პუნქტის მიხედვით, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილად უნდა გამოცხადდეს, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების, ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით კი (2005 წლის 25 მარტის მდგომარეობით) ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადების ან გამოცემის წესის არსებით დარღვევად ჩაითვლება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ამ კოდექსის 32-ე მუხლით ან 34-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული წესის დარღვევით ჩატარებულ სხდომაზე ან კანონით გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოების სახის დარღვევით, ანდა კანონის ისეთი დარღვევით, რომლის არარსებობის შემთხვევაში მოცემულ საკითხზე მიღებული იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილება. როგორც ზემოთ აღნიშნა, #101 და #102 განკარგულებების მიღებისას საერთოდ არ ჩატარებულა ადმინისტრაციული წარმოება.

ზუგდიდის რაიონის გამგებლის #101 და #102 განკარგულებები მიღებულია ერთპიროვნულად, რითაც დაირღვა ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ ორგანული კანონის 24-25-ე მუხლების მოთხოვნები.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 208-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, ადგილობრივი თვითმმართველობის (მმართველობის) ორგანოს, აგრეთვე, მისი თანამდებობის პირის ან სხვა მოსამსახურის მიერ მისი სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებისას მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებელია ადგილობრივი თვითმმართველობის (მმართველობის) ორგანო.

ამასთან, სასამართლო პალატა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 209-ე მუხლის მე-2 ნაწილის შინაარსიდან გამომდინარე, მხედველობაში იღებს საჯარო ინტერესს, რის გამოც, შპს «დიტა-94-ს» უნდა აუნაზღაურდეს ზიანი 30 000 ლარის ოდენობით.

მითითებული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრეს შპს «დიტა-94-მა» და ზუგდიდის რაიონის გამგებლამ.

კასატორი - შპს «დიტა-94» საკასაციო საჩივარში მიუთითებდა, რომ სააპელაციო სასამართლომ ზიანის ანაზღაურების ნაწილში არასაწორად გამოიყენა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 209-ე

მუხლის მე-2 ნაწილი და საჯარო ინტერესებზე მითითებით არამართებულად განახევრა იმ ზიანის ოდენობა, რაც მათ საზოგადოებას მიადგა.

კასატორის განმარტებით, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 209-ე მუხლის კომენტარის შესაბამისად, საკომპენსაციო თანხის გამოთვლა უნდა მოხდეს საჯარო და კერძო ინტერესების პროპორციულობის საფუძველზე, რაც, როგორც წესი, გამოირჩევა სრულ კომპენსაციას, განსაკუთრებით ეს ეხება მიუღებელი მოგების სრულ ანაზღაურებას. ზუგდიდის რაიონის გამგეობის #101 და #102 განკარგულებით არ არის დადგენილი, შეილახა თუ არა საჯარო ან კერძო ინტერესები. მოთხოვნა მიუღებელ მოგებაზე, კასატორის მითითებით, მათ არ დაუყენებიათ. შენობის უკანონო დემონტაჟის შედეგად მათშიადატოვებული მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი, რომელიც აუდიტორული დასკვნის საფუძველზე შეადგენს 59838 ლარს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორი ითხოვდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2006 წლის 6 აპრილის გადაწყვეტილების გაუქმებას ზიანის ანაზღაურების ნაწილში.

მეორე კასატორი - ზუგდიდის რაიონის გამგეობა საკასაციო საჩივარს აფუძნებდა იმავე გარემოებებზე, რაზეც მითითებდა სააპელაციო საჩივარში და მოითხოვდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2006 წლის 6 აპრილის გადაწყვეტილების გაუქმებასა და საქმის ხელახლა განსახილველად იმავე სასამართლოში დაბრუნებას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ შპს «დიტას» საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო ზუგდიდის რაიონის გამგეობის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე დადგენილად მიიჩნევს შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს:

1993 წელს ჩამოყალიბდა ახალგაზრდული სამეცნიერო შემოქმედებითი გაერთიანება «აია». 1994 წლის 27 ივლისს ზუგდიდისა და ზუგდიდის რაიონის მთავარი არქიტექტორის #132 ბრძანებით, ახალგაზრდულ სამეცნიერო შემოქმედებით გაერთიანება «აიას» ნება დაერთო, ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე მდგარ სამკუთხა ფირნიშთან დაედგა უნივერსალური პავილიონი.

1996 წლის 22 იანვარს ახალგაზრდული სამეცნიერო შემოქმედებითი გაერთიანება «აიას» ქონების ბაზაზე ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში რეგისტრაცია გაიარა შპს «დიტა-94-მა», რომელიც ჩაითვალია «აიას» სამართალმემკვიდრედ.

ზუგდიდის მერის 1997 წლის 2 დეკემბრის #294 განკარგულებით შპს «დიტას» ნება დაერთო, მარცხენა ... ქუჩაზე, ... ხიდთან, თავისუფალ ტერიტორიაზე არსებული რკინის პავილიონისათვის გაეკეთებინა რეკონსტრუქცია, ხოლო ზუგდიდის რაიონის გამგეობის 2000 წლის 10 აგვისტოს #134 განკარგულებით ინდივიდუალური წესით აშენებული სავაჭრო ობიექტი მიღებულ იქნა ექსპლუატაციაში.

ზუგდიდის რაიონის გამგეობის 2005 წლის 25 მარტის #101 განკარგულებით ბათილად იქნა ცნობილი ზუგდიდის მერის 1997 წლის 2 დეკემბრის #294 განკარგულება, რომლითაც შპს «დიტას» ნება დაერთო, გაეკეთებინა რკინის პავილიონის რეკონსტრუქცია, ხოლო იმავე წლის 25 მარტის #102 განკარგულებით, ბათილად იქნა ცნობილი ზუგდიდის რაიონის გამგეობის 2000 წლის 10 აგვისტოს #134 განკარგულების პირველი პუნქტი.

უდავოა, რომ ზუგდიდის რაიონის გამგეობის 2005 წლის 25 მარტის #101 და #102 სადავო განკარგულებები წარმოადგენს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს, რომელთა მიმართაც გამოყენებული უნდა იყოს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით ადმინისტრაციული აქტის მომზადებისა და გამოცემისათვის განსაზღვრული მოთხოვნები.

დადგენილია, რომ ზემოაღნიშნული აქტების მიღებისას ადმინისტრაციული წარმოების პროცესში უზრუნველყოფილი არ ყოფილა შპს «დიტას» წარმომადგენლის მონაწილეობა.

აღნიშნული გარემოების გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო სრულად იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მხრიდან საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ნორმებზე მითითებას და განმარტავს: საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-13 მუხლის შესაბამისად, ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება აქვს განიხილოს და გადაწყვიტოს საკითხი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაინტერესებულ მხარეს, რომლის უფლება ან კანონიერი ინტერესი იზღუდება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, მიეცა საკუთარი მოსაზრებების წარდგენის შესაძლებლობა, გამონაკლისს ადგენს კანონი.

საკასაციო სასამართლო განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევს მითითებული მუხლის დებულებებს და განმარტავს, რომ აღნიშნულ მუხლში დეკლარირებული ნორმები მიეკუთვნება ადმინისტრაციული სამართლის უმნიშვნელოვანეს პრინციპს, რომლის მიზანსაც წარმოადგენს იმ პირის ინტერესების მაქსიმალური დაცვა, რომლის უფლებებსაც შესაძლოა მითითებული აქტი შეეხოს. აღნიშნული პირები უფლებამოსილი არიან, მონაწილეობა მიიღონ ამ აქტის გამოცემასთან დაკავშირებულ ადმინისტრაციული წარმოების პროცესში და თავისი გავლენა მოახდინონ ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილებაზე, რაც ხელს უწყობს არა მხოლოდ დაინტერესებული მხარის უფლებების დაცვას, არამედ არსებითად

სწორი გადაწყვეტილების მიღებას. მითითებული ნორმიდან გამონაკლისი დასაშვებია მხოლოდ კანონის საფუძველზე.

საკასაციო სასამართლო დადგენილად მიიჩნევს, რომ სადავო აქტის გამოცემისას დარღვეულია ზემოაღნიშნული მუხლის დებულებები.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს რა ზემოაღნიშნულ მუხლზე, იმავდროულად განმარტავს, რომ აღნიშნული მუხლი წარმოადგენს ზოგად ნორმას და მასში წარმოდგენილი პრინციპის გამოყენება უზრუნველყოფილია იმავე ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 95-ე მუხლით, რომლის მე-2 ნაწილის თანახმადაც, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია, ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ აცნობოს დაინტერესებულ მხარეს, თუ ადმინისტრაციული აქტით შეიძლება გაუარესდეს მისი სამართლებრივი მდგომარეობა და უზრუნველყოს მისი მონაწილეობა ადმინისტრაციულ წარმოებაში.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს რა გასაჩივრებული აქტების შინაარსს და ზემოაღნიშნული ნორმის იმპერატიულ ხასიათს, თვლის, რომ ადმინისტრაციული წარმოების პროცესში შპს «დიტას» მიმართ არ მომხდარა კანონით დადგენილი გარანტიების უზრუნველყოფა.

საყურადღებოა, რომ დაინტერესებული მხარის უფლებათა დაცვის მიზნით, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი არ შემოიფარგლება მხოლოდ მხარის უფლებით, გაეცნოს ადმინისტრაციული წარმოების მასალებს, მას უფლება აქვს, მონაწილეობა მიიღოს ადმინისტრაციული წარმოების პროცესში, რაც გულისხმობს პირის უფლებას, წარადგინოს მტკიცებულებები, დააყენოს შუამდგომლობები და ა.შ. რასაც აწესრიგებს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 98-ე-99-ე მუხლები და, რაც ასევე იგნორირებულია ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან.

ამდენად, საკასაციო სასამართლო ადასტურებს, რომ სადავო ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას დარღვეულია ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნები.

ამასთან, საკასაციო სასამართლო დაუსაბუთებლად მიიჩნევს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული საკუთრების უფლების ხელყოფის თაობაზე და აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლოს არ გამოუკვლევია, იყო თუ არა საკუთრების უფლება კანონით დადგენილი წესით წარმოშობილი და ჰქონდა თუ არა გამგეობას პავილიონის აღების კანონიერი უფლება. მითითებული გარემოებები გამოკვლევული არ ყოფილა თავად ზუგდიდის რაიონის გამგეობის მხრიდანაც, რა თვალსაზრისითაც საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სადავო საკითხის გადაწყვეტლად, ბათილად უნდა იქნეს ცნობილი ზემოაღნიშნული განკარგულებები და ზუგდიდის რაიონის გამგეობას დაევალოს, საქმისათვის არსებითი გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ გამოსცეს ახალი დასაბუთებული ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს ზუგდიდისა და ზუგდიდის რაიონის მთავარი არქიტექტორის 1994 წლის #132 ბრძანების ბოლო წინადადებას, რომლის შესაბამისადაც: «აღების აუცილებლობის შემთხვევაში, პავილიონის აღება მფლობელთან შეთანხმებულია». საგულისხმოა, რომ მითითებული ბრძანება წარმოადგენს იმ უფლებადამდგენ დოკუმენტს, რომლითაც ახალგაზრდულ სამეცნიერო შემოქმედებით გაერთიანება «აიას» მიეცა უნივერსალური პავილიონის განთავსების უფლება.

საკასაციო სასამართლო სავალდებულოდ მიიჩნევს ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან იმ საკითხის გამოკვლევას, შპს «დიტას» (როგორც «აიას» სამართალმემკვიდრეს) ზემოაღნიშნული მიწათსარგებლობის უფლების დამადასტურებელი დოკუმენტის საფუძველზე პავილიონის დასადგმელად გამოყოფილი მიწა გადაცემული ჰქონდა «დროებით» თუ «მუდმივ» სარგებლობაში, რაც, არსებითად განაპირობებს მითითებული მიწის ნაკვეთის სამართლებრივ რეჟიმს და განსაზღვრავს გამგეობის უფლებას აღნიშნულ ნაკვეთზე.

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ ზუგდიდის რაიონის გამგეობის სადავო განკარგულება შეიცავს მხოლოდ ზოგად მითითებას და დასაბუთებული და გამოკვლევული არ არის, რამდენად მიეკუთვნება სადავო ტერიტორია მდინარის წყალსაცავის ზოლს და დარღვეულია თუ არა «წყლის შესახებ» კანონის მოთხოვნები.

საკასაციო სასამართლო ასევე არსებითად მიიჩნევს, რომ განისაზღვროს ადმინისტრაციული წარმოების პროცესში შპს «დიტასათვის» მიყენებული ზიანის კომპენსაციის საკითხი, კერძოდ, ვრცელდება თუ არა მასზე ქალაქ ზუგდიდისა და ზუგდიდის რაიონის გამგეობის 1994 წლის 21 აპრილის #335 განკარგულება ზიანის ანაზღაურების ნაწილში და საერთოდ, ექვემდებარება თუ არა გამგეობის მხრიდან მიყენებული ზიანი ანაზღაურებას.

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ ზუგდიდის რაიონის გამგეობა ვალდებულია ზემოაღნიშნული გარემოებების დადგენა - გამოკვლევის შედეგად, შპს «დიტას» წარმომადგენლის მოწვევისა და მისი უფლებების რეალიზების საფუძველზე გამოსცეს ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

გადაწყვეტა:

1. შპს «დიტა-94-ს» საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. ზუგდიდის რაიონის გამგეობის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
3. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2006 წლის 6 აპრილის გადაწყვეტილება და საქმეზე მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
4. შპს «დიტა-94-ის» სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
5. სადავო საკითხის გადაწყვეტლად, ბათილად იქნეს ცნობილი ზუგდიდის რაიონის გამგეობის მოვალეობის შემსრულებლის 2005 წლის 25 მარტის #101 და #102 განკარგულებები და დაევალოს ზუგდიდის რაიონის გამგეობას ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა;
6. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ადმინისტრაციული აქტის ბათილად ცნობის წინაპირობა

განჩინება

#ბს-1450-1025(კ-05)

16 თებერვალი, 2006 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. წიკვაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ლ. ლაზარაშვილი,
ნ. სხირტლაძე

დავის საგანი: ადმინისტრაციული აქტის ბათილად ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახდო საქმეთა კოლეგიას სასარჩელო განცხადებით მიმართა ე. გ-შვილმა მოპასუხეების - თბილისის მერიის არქიტექტურისა და პერსპექტიული განვითარების საქალაქო სამსახურის, ქ. თბილისის საკრებულოსა და ქ. თბილისის მთავრობის მიმართ და მოითხოვა ქ. თბილისის მთავრობის 2003 წლის 5 ივნისის #08.06.184 დადგენილების, ქ. თბილისის მთავარი არქიტექტორის 2003 წლის 24 ივნისის #40 ბრძანებისა და ქ. თბილისის საკრებულოს 2003 წლის 27 ივნისის #55 დადგენილების ბათილად ცნობა შემდეგი საფუძველით:

მოსარჩელე ე. გ-შვილსა და შპს «სანს» შორის 2002 წლის 2 აპრილს გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე მოსარჩელემ შეიძინა არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 1000 მ² მიწის ნაკვეთი და აღნიშნული მიწის მესაკუთრედ საჯარო რეესტრში დარეგისტრირდა 2002 წლის 25 აპრილს. ქ. თბილისის მთავარი არქიტექტორის 2002 წლის 2 ოქტომბრის #20/637 ბრძანებით მოსარჩელეს ნება დაერთო მითითებულ მიწის ნაკვეთზე განეხორციელებინა ორსართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა. 2003 წლის 5 ივნისს ქ. თბილისის მთავრობის მიერ გამოცემულ იქნა #08.06.184 დადგენილება, რომლითაც შეჩერდა დიღმის საცხოვრებელ რაიონში შპს «სანსათვის» კულტურისა და დასვენების პარკის მოსაწყობად და საპარკო ობიექტების ასაშენებლად შექმნილ ტერიტორიაზე ყოველგვარი მშენებლობის პროექტების დამტკიცება და მიწის ნაკვეთის გასხვისება, ასევე ქ. თბილისის არქიტექტურისა და პერსპექტიული განვითარების სამსახურს დაევალა დიღმის ტყეპარკის ტერიტორიაზე ყოველგვარი საპროექტო დოკუმენტაციის განხილვა-შეთანხმების შეწყვეტა. 2003 წლის 24 ივნისს ქ. თბილისის მთავარი არქიტექტორის მიერ გამოცემულ იქნა ბრძანება #40, რომლითაც გაუქმდა იმავე სამსახურის 2002 წლის 2 ოქტომბრის # 20/637 ბრძანება და მოსარჩელეს აეკრძალა სამშენებლო სამუშაოების წარმოება მის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე. ხოლო ამავე წლის 27 ივნისს ქ. თბილისის საკრებულოს მიერ მიღებული #55 დადგენილებით აიკრძალა ქ. თბილისში, დიღმის ტყე-პარკის ტერიტორიაზე ყოველგვარი კაპიტალური მშენებლობები.

მოსარჩელის მოსაზრებით, ქ. თბილისის მთავარი არქიტექტორის #40 ბრძანება, ქ. თბილისის მთავრობის #08.06.184 დადგენილება და ქ. თბილისის საკრებულოს 2003 წლის 27 ივნისის #55 დადგენილება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის «დ» ქვეპუნქტის თანახმად, წარმოადგენს ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს, რომლებიც მიღებულ იქნა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნათა დარღვევით, აღნიშნული აქტებით უკანონოდ შეიზღუდა მოსარჩელის კონსტიტუციით განმტკიცებული საკუთრების უფლება, რაც ნივთზე შეუზღუდავი ბატონობის შესაძლებლობას გულისხმობს და ნაკვეთზე ნაგებობის აღმართვის უფლებასაც მოიაზრებს, თუ ამით არ იქნება ხელყოფილი კანონმდებლობით დადგენილი შეზღუდვები. #40 ბრძანების მიღებისას დაირღვა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52.2 მუხლი, რომლის შესაბამისად, ადმინისტრაციულ აქტში უნდა მიეთითოს ის ორგანო, რომელშიც შესაძლებელია ადმინისტრაციული აქტის გასაჩივრება, მისი მისამართი და საჩივრის (ან სარჩელის) წარდგენის ვადა. მთავრობის ზემოაღნიშნული დადგენილების გამოცემისას დარღვეულ იქნა ზოგადი ადმინისტრაციული

კოდექსის 53.1 მუხლი, რადგან სადავო აქტები გამოიცა დასაბუთების გარეშე, აქტებში არ იყო მითითებული ის საკანონმდებლო ან კანონქვემდებარე აქტი ან მისი შესაბამისი ნორმა, რომლის საფუძველზეც გამოიცა იგი.

არქიტექტურის სამსახურის მიერ 2002 წლის 16 აგვისტოს გაცემული სამშენებლო პასპორტის თანახმად, ფ. გ-შვილის მიერ შეძენილი მიწის ნაკვეთი მდებარეობს დიდუბე-ჩუღურეთის რაიონში და «ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების შესახებ» ქ. თბილისის საკრებულოს 2001 წლის 1 აგვისტოს #8-13 გადაწყვეტილების თანახმად, განეკუთვნება განაშენიანების დაბალი ინტენსივობის საცხოვრებელ ზონას (და არა როგორც გასაჩივრებელ დადგენილებაში მითითებული დასასვენებელი ტყე-პარკის ზონას) რომლისთვისაც აღნიშნული წესების 12. «ბ» ქვეპუნქტის თანახმად, დომინირებულ სახეობას წარმოადგენს განაშენიანების დაბალი ინტენსივობის მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლები, რაშიც იგულისხმება სწორედ ინდივიდუალური სახლები. ამდენად, მოსარჩელის მოსაზრებით, ქალქმშენებლობითი გადაწყვეტილება სამშენებლო პასპორტის სახით მიღებულია მოქმედი კანონმდებლობის დაცვით, რომლითაც ირკვევა, რომ ქალაქის გენგეგმიდან გამომდინარე, განსახილველ ტერიტორიაზე რაიმე გეგმარებითი ცვლილებები არ არის გათვალისწინებული. აღნიშნულ გარემოებას ასევე ადასტურებს შპს «თბილწყალკანალის» 2002 წლის 3 აგვისტოს წერილი, რომლის მიხედვით, მოსარჩელის ნაკვეთზე არ გადის წყალსადენ-კანალიზაციის ქსელი და რომ შესაძლებელია ნაკვეთის განაშენიანება. ასევე, აღნიშნულს ადასტურებს «ეი-ეს თელასის» მიერ გაცემული ტექნიკური პირობის აქტი, რომლიც დასაშვებად მიიჩნევს აღნიშნული მიწის ნაკვეთზე განაშენიანების შემთხვევაში მის ელექტროენერგიით მომარაგებას. ამდენად, მოსარჩელის მითითებით, არავითარი საფუძველი აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე მშენებლობის შეზღუდვისა და შეჩერებისა არ არსებობს, რადგან თავის დროზე სწორედ ყოველგვარი შემოწმების შედეგად იქნა გაცემული მშენებლობის ნებართვა. არქიტექტურის სამსახურმა შესაძლებლად ჩათვალა ფ. გ-შვილის მიერ მიწის ნაკვეთზე საცხოვრებელი სახლის აშენება და გასცა სამშენებლო პროექტი.

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის 2003 წლის 21 ივლისის განჩინებით ფ. გ-შვილის სარჩელი ქ. თბილისის მთავარი არქიტექტორის #40 ბრძანებისა და ქ. თბილისის საკრებულოს 2003 წლის 27 ივნისის #55 დადგენილების ბათილად ცნობის ნაწილში განსჯადობით გადაეგზავნა უფლებამოსილ სასამართლოს - თბილისის მთავარმა-კრწანისის რაიონულ სასამართლოს.

ფ. გ-შვილმა მოთხოვნის მოტივაციის დაზუსტების მიზნით დაზუსტებული სასარჩელო განცხადება შეიტანა ქ. თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონულ სასამართლოში და მიუთითა, რომ სადავო ბრძანების მიღებისას ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დარღვეულ იქნა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 95-ე მუხლის მოთხოვნა დაინტერესებული მხარის ადმინისტრაციულ წარმოებაში ჩაბმის თაობაზე. არც საკრებულოს და არც არქიტექტურის სამსახურის მიერ სადავო აქტების გამოცემისას წარმოებაში არ ყოფილა ჩაბმული მოსარჩელე, ისევე როგორც სადავო მიწის ნაკვეთის მახლობლად არსებული სხვა ნაკვეთების მესაკუთრეები. ასევე დაირღვა მითითებული კოდექსის 96-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანოები ვალდებული იყვნენ, სადავო აქტების გამოცემისას გამოეკვლიათ საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიეღოთ ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშედარების საფუძველზე.

ფ. გ-შვილის სარჩელი არ ცნო მოპასუხე ქ. თბილისის მერიის არქიტექტურისა და პერსპექტიული განვითარების საქალაქო სამსახურმა და წარმოდგენილი შეპასუხებით მოითხოვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა უსაფუძვლობის გამო, იმ მოტივით, რომ სადავო აქტი მიღებულ იქნა კანონმდებლობის სრული დაცვით.

შეპასუხების ავტორის მითითებით, ქ. თბილისის გენერალური გეგმის შესაბამისად, სადავო ტერიტორია წარმოადგენდა ტყე-პარკს, მწვანე საფარს, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის კაბინეტის 1995 წლის 22 ივნისის 312.46.512 დადგენილების შესაბამისად მითითებულ ტერიტორიაზე განისაზღვრა მრავალფუნქციური პარკის გაშენება (აქტიური და პასიური დასვენების ზონები). მითითებული მიწის ნაკვეთის საკუთრებად გამოცხადებისას კანონდარღვევით გამოცხადებულ იქნა იგი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთად, რითაც მოხდა საქართველოს პარლამენტის 1998 წლის (საქართველოს ტერიტორიაზე ყოველგვარი მწვანე საფარის შემცირებისა და მშენებლობის აკრძალვის) დადგენილების, ასევე ქ. თბილისის საკრებულოს 2001 წლის 1 აგვისტოს #გ-13 გადაწყვეტილებით დამტკიცებული «ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების» მოთხოვნათა სრული იგნორირება. ამასთან, მოსარჩელისათვის სამშენებლო პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემა მოხდა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებული საჯარო ადმინისტრაციული წარმოების წესების დარღვევით. ყოველივე ზემოაღნიშნულის საფუძველზე და ასევე საკრებულოსა და მთავრობის სადავო დადგენილებების საფუძველზე მიღებულ იქნა სადავო ბრძანება. შესაბამისად, გასაჩივრებული ადმინისტრაციული აქტი კანონიერია და ის ბათილად არ უნდა იქნეს ცნობილი, რის გამოც მოსარჩელეს უარი უნდა ეთქვას სარჩელის დაკმაყოფილებაზე.

2003 წლის 25 ივლისს ა. თ-შვილმა, მ. მ-შვილმა, დ. შ-ძემ, ი. ჯ-ძემ, გ. მ-ძემ, ლ. მ-ძემ, მ. ხ-იამ, კ. ც-ძემ, ჯ. კ-შვილმა და ი. ხ-იამ სარჩელი აღძრეს თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიაში ქ. თბილისის საკრებულოსა და

ქ. თბილისის მერიის მიმართ ქ. თბილისის მთავრობის 2003 წლის 5 ივნისის #08.06.184 დადგენილების 1-ლი ნაწილისა და ქ. თბილისის საკრებულოს 2003 წლის 27 ივნისის #55 დადგენილების ბათილად ცნობის თაობაზე შემდეგი საფუძვლით:

ქ. თბილისის მთავრობის მითითებული დადგენილება უხეშად არღვევს მოსარჩელეთა უფლებებს, კერძოდ: ქ. თბილისის მთავრობამ დადგენილების მიღებისას მხედველობაში არ მიიღო ის გარემოება, რომ 1995 წელს შპს «სანთან» დადებული იჯარის ხელშეკრულება გაუქმდა 1998 წელს, მას შემდეგ, რაც ეს უკანასკნელი გახდა მიწის მესაკუთრე. შპს «სანიმ» მოსარჩელებზე გაასხვისა მიწის ნაკვეთები. მიწის მართვის დეპარტამენტის მიერ გაცემული ამონაწერის მიხედვით, მითითებული მიწის ნაკვეთები არის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების.

მოსარჩელებს მიწის ნაკვეთების შეძენისას არავითარი შეზღუდვები არ დაწესებიათ. ამასთან, მითითებულ ტერიტორიაზე ტყე ან სხვა სახის დასაცემი ადგილი არ ყოფილა. მოსარჩელეთა მოსაზრებით, მთავრობის სადავო დადგენილებით შესაძლებელი იყო სადავო მიწის ნაკვეთებზე სხვადასხვა სახის შეზღუდვები დაწესებულიყო სახელმწიფოსა და შპს «სანს» შორის გაფორმებული ხელშეკრულებით, მაგრამ მესაკუთრეთა უფლების შეზღუდვა დაუშვებელია. ქ. თბილისის მთავრობას უფლება აქვს მისცეს დავალება ქალაქის არქიტექტურულ სამსახურს არ დაამტკიცოს კერძო საკუთებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთებზე ისეთი პროექტები, რომლებიც არ შეესაბამება სამშენებლო-საპროექტო ნორმებს ან სხვა სახის ნორმატიულ აქტებს, მაგრამ ყოველგვარი პროექტების შეთანხმება-დამტკიცების აკრძალვა დაუშვებელია და ლახავს მოსარჩელეთა საკუთრების უფლებას, რაც საქართველოს კონსტიტუციის 21-ე და სამოქალაქო კოდექსის 170-ე მუხლებითაა დაცული.

რაც შეეხება ქ. თბილისის საკრებულოს სადავო დადგენილებას, იგი ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას, მითითებული აქტით კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთის მესაკუთრეებს აკრძალა საკუთრების უფლება, რაც საკრებულოს კომპეტენციას არ წარმოადგენდა.

თბილისის საოლქო სასამართლოს 2003 წლის 28 ივლისის განჩინებით ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 16.1 მუხლის შესაბამისად საქმეში მესამე პირად ჩაბმულ იქნა შპს «სანი», ხოლო 2004 წლის 07 აპრილის განჩინებით საქმეში მესამე პირად ჩაერთო თბილისის მიწის მართვის დეპარტამენტი.

თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 2003 წლის 15 დეკემბრის განჩინებით საქმე ფ. გ-შვილის სარჩელის გამო განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტად გადაეგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2004 წლის 31 მარტის განჩინებით საქმე ფ. გ-შვილის სარჩელისა გამო მოპასუხეების ქ. თბილისის საკრებულოსა და ქ. თბილისის მერიის არქიტექტურის და პერსპექტიული განითარების საქალაქო სამსახურის მიმართ, ქ. თბილისის საკრებულოს 2003 წლის 27 ივნისის #55 დადგენილებისა და ქ. თბილისის მთავარი არქიტექტორის 2003 წლის 24 ივნისის #40 ბრძანების ბათილად ცნობის თაობაზე განსჯადობით განსახილველად დაექვემდებარა თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონულ სასამართლოს.

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის 2004 წლის 5 მაისის განჩინებით ა. თ-შვილის, მ. მ-შვილის, დ. შ-ძის, ი. ჯ-ძის, გ. მ-ძის, ლ. მ-ძის, მ. ხ-იას, კ. ც-ძის, ჯ. კ-შვილის და ი. ხ-იას სარჩელი განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონულ სასამართლოს.

თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 25 ივნისის განჩინებით ადმინისტრაციული საქმეები - განჩინებით ა. თ-შვილის, მ. მ-შვილის, დ. შ-ძის, ი. ჯ-ძის, გ. მ-ძის, ლ. მ-ძის, მ. ხ-იას, კ. ც-ძის, ჯ. კ-შვილის და ი. ხ-იას სარჩელის გამო ქ. თბილისის საკრებულოს, ქ. თბილისის მერიის, მესამე პირების შპს «სანისა» და თბილისის მიწის მართვის დეპარტამენტის მონაწილეობით, ქ. თბილისის მთავრობის 2003 წლის 05 ივნისის #08.06.184 დადგენილების და ქ. თბილისის საკრებულოს 2003 წლის 27 ივნისის #55 დადგენილების ბათილად ცნობის თაობაზე და ფ. გ-შვილის სარჩელის გამო ქ. თბილისის საკრებულოსა და ქ. თბილისის მთავარი არქიტექტორის მიმართ, ქ. თბილისის მთავარი არქიტექტორის 2003 წლის 24 ივნისის #40 ბრძანებისა და ქ. თბილისის საკრებულოს 2003 წლის 27 ივნისის #55 დადგენილების ბათილად ცნობის თაობაზე გაერთიანდა ერთ წარმოებად.

თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 29 ივნისის განჩინებით საქმიდან ცალკე წარმოებად გამოეყო სარჩელი ქ. თბილისის მთავრობის 2003 წლის 5 ივნისის #08.06.184 დადგენილების ბათილად ცნობის ნაწილში და განსჯადობის წესების დაცვით გადაეგზავნა უფლებამოსილ თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიას.

რაიონული სასამართლოს 2005 წლის 11 იანვრის საოქმო განჩინებით მოცემული საქმიდან ცალკე წარმოებად გამოეყო მოსარჩელე ი. ხ-იას სასარჩელო მოთხოვნა და შეჩერდა საქმის წარმოება ი. ხ-იას უფლებამონაცვლის დადგენამდე.

თბილისის მთაწმინდა-კრწანისის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 27 იანვრის გადაწყვეტილებით მოსარჩელებს: ა. თ-შვილის, მ. მ-შვილის, დ. შ-ძის, ი. ჯ-ძის, გ. მ-ძის, ლ. მ-ძის, მ. ხ-იას, კ. ც-ძის, ჯ. კ-შვილის სარჩელი არ დაკმაყოფილდა; მოსარჩელე ფ. გ-შვილის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; ბათილად იქნა ცნობილი ქ. თბილისის მთავარი არქიტექტორის 2003 წლის 24 ივნისის #40 ბრძანება, ხოლო თბილისის საკრებულოს 2003 წლის 27 ივნისის #55

დადგენილების ბათილად ცნობის ნაწილში მოსარჩელეს უარი ეთქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე, რაც სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია ის ფაქტობრივი გარემოებები, რომ ქ. თბილისის საკრებულოს 2003 წლის 27 ივნისის დადგენილების პირველი პუნქტის შესაბამისად აიკრძალა ქ. თბილისში დიდმის ტყე-პარკის ტერიტორიაზე ყოველგვარი კაპიტალური მშენებლობები და დაწესდა ზოგადი შეზღუდვები არაკონკრეტული პირების მიმართ. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 2.1 მუხლის «დ» ქვეპუნქტის დეფინიცია ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტის შესახებ გულისხმობს სამართლებრივი შედეგის დადგომას. სამართლებრივი შედეგი დადება იმ შემთხვევაში, თუ ამ აქტის საფუძველზე მოხდება პირის ან პირთა გარკვეული წრის უფლებების დაწესება, ამ უფლებათა შეცვლა ან შეწყვეტა. ქ. თბილისის საკრებულოს 2003 წლის 27 ივნისის გასაჩივრებული #55 დადგენილებით აიკრძალა ქ. თბილისში, დიდმის ტყე-პარკის ტერიტორიაზე ყოველგვარი კაპიტალური მშენებლობა და დაწესდა ზოგადი შეზღუდვები ზოგადად და არა კონკრეტული პირების მიმართ. სასამართლომ ასევე დადგენილად მიიჩნია, რომ #55 დადგენილება ამ აკრძალვებსა და შეზღუდვებს აწესებს მხოლოდ ქ. თბილისში, დიდმის ტყე-პარკის ტერიტორიაზე, მოსარჩელე ფიზიკური პირების საკუთრებაში აღრიცხული მიწის ფართი კი ამ ტერიტორიას არ განეკუთვნება, რის გამოც ზემოაღნიშნული დადგენილებით დაწესებული შეზღუდვები მოსარჩელე ფიზიკურ პირებსა და შპს «სანს» არ შეეხება, მათ მიმართ რაიმე სამართლებრივი შედეგები არ დამდგარა. შესაბამისად, რაიონულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ არ არსებობს დადგენილების ბათილად ცნობისა და ამ ნაწილში სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველი. რაც შეეხება #40 ბრძანების ბათილად ცნობის შესახებ სასარჩელო მოთხოვნას, რაიონულმა სასამართლომ მითითებულ ნაწილში სარჩელი მიიჩნია დასაბუთებულად და აღნიშნა, რომ მითითებული ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტის მიღებისა და გამოცემისას დაირღვა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის დებულებები, კერძოდ, მითითებული კოდექსის 53.1 მუხლი, რადგან გასაჩივრებული ბრძანება არ შეიცავს წერილობით დასაბუთებას. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, სადავო აქტში არ არის მითითებული ის საკანონმდებლო ან კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი, რომლის საფუძველზეც გამოიცა. გასაჩივრებული ბრძანების მომზადებისა და გამოცემისას დარღვეულია ამავე მუხლის მე-5 ნაწილის მოთხოვნები, რამდენადაც ადმინისტრაციული წარმოებისას გამოკვლეული და შესწავლილი არ ყოფილა გარემოებები, ფაქტები და მტკიცებულებები, რაც საფუძველად დაედო 2002 წლის 12 ოქტომბრის #20/637-ე ბრძანების გაუქმებას. ასევე დარღვეულ იქნა ზაკ-ის 52.2 მუხლის მოთხოვნები, რადგანაც მასში მითითებული არ ყოფილა ორგანო, სადაც შესაძლებელი იქნებოდა მისი გასაჩივრება, 95.2 მუხლი ადმინისტრაციული წარმოებაში მონაწილეობის მისაღებად დაინტერესებული მხარეების მოწვევის შესახებ. ამდენად, რაიონულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში სადავო ბრძანებასთან დაკავშირებით არსებობდა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60 მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული პირობები ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის თაობაზე.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გასაჩივრა ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურმა და მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით ფ. გ-შვილის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მთავარი არქიტექტორის 2003 წლის 24 ივნისის #40 ბრძანების ბათილად ცნობის ნაწილში შემდეგი მოტივით:

ქ. თბილისის მთავარი არქიტექტორის 2002 წლის 2 ოქტომბრის ბრძანება ფ. გ-შვილისათვის ახმეტელისა და ლუბლიანას ქუჩებს შორის 1000 მ² ნაკვეთზე საცხოვრებელი სახლის შეთანხმებაზე იყო კანონშესაბამო, რის გამოც იგი გაუქმდა 2003 წლის 24 ივნისის გამოცემული სადავო #40 ბრძანებით. სასამართლოს მიერ იგნორირებულ იქნა «საქართველოს დასახლებულ პუნქტებში გამწვანების ზონების პარკების, ბაღებისა და სკვერების დაცვის შესახებ» საქართველოს პარლამენტის 17.07.98 წლის დადგენილება, «დიდმის საცხოვრებელ რაიონში კულტურისა და დასვენების პარკის მოსაწყობად განკუთვნილი ტერიტორიიდან მიწის ნაკვეთის გასხვისებისა და ყოველგვარი მშენებლობისათვის პროექტების დამტკიცების დროებითი შეჩერების შესახებ» ქ. თბილისის მთავრობის 05.06.03 წლის #08.06.184 დადგენილება, რომლის 1-ლი პუნქტით აიკრძალა ქ. თბილისში, დიდმის ტყე-პარკის ტერიტორიაზე ყოველგვარი სახის კაპიტალური მშენებლობები, ხოლო ამავე დადგენილების მე-2 პუნქტით ქ. თბილისის მთავრობას დაევალა დიდმის ტყე-პარკის ტერიტორიის მუდმივი დაცვის უზრუნველყოფა. ამასთან, დაუსაბუთებელია გასაჩივრებული გადაწყვეტილების მოტივაცია იმის თაობაზე, რომ სადავო ბრძანების გამოცემისას არქიტექტურის სამსახურის მიერ დარღვეულ იქნა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე და 95.2 მუხლები, ვინაიდან 53.8 მუხლით დადგენილია, რომ გადაუდებელ შემთხვევაში ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი შეიძლება გამოიცეს ან გამოქვეყნდეს წერილობითი დასაბუთების გარეშე. ამდენად, კონკრეტულ შემთხვევაში კანონმდებლობის არსებით დარღვევას სადავო აქტის მომზადებისა და გამოცემისას ადგილი არ ჰქონია, რის გამოც გასაჩივრებული გადაწყვეტილება მთავარი არქიტექტორის ბრძანების ბათილად ცნობის ნაწილში უნდა გაუქმდეს, ხოლო ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის ამ მოთხოვნაზე მოსარჩელეს ეთქვას უარი.

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2005 წლის 14 ივლისის გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 27 იანვრის გადაწყვეტილება გაუქმდა გასაჩივრებულ ნაწილში და სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებულ იქნა

ახალი გადაწყვეტილება, ფ. გ-შვილის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, კერძოდ, სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი ქ. თბილისის მთავარი არქიტექტორის 2003 წლის 24 ივნისის ბრძანება და ქ. თბილისის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურს დაევალა საქმის გარემოებათა სრული და ყოველმხრივი გამოკვლევის შემდეგ ახალი ადმინისტრაციული აქტის გამოცემა, რაც სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

რაიონული სასამართლოს მიერ გასაჩივრებული გადაწყვეტილების მიღებისას დარღვეულ იქნა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 103.1 მუხლისა და ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 19.1 მუხლის მოთხოვნები, რამდენადაც სასამართლომ არ შესთავაზა მხარეებს ობიექტური ჭეშმარიტების დადგენის მიზნით დამატებითი მტკიცებულებების წარმოდგენა და არც თავისი ინიციატივით გამოითხოვა ისინი, რის გამოც საქმის გარემოებანი სრულყოფილად არ იქნა გამოკვლეული და რასაც შედეგად მოჰყვა საქმეზე ნაწილობრივ არასწორი გადაწყვეტილების გამოტანა.

რაიონული სასამართლო ყოველგვარი კრიტიკისა და მტკიცებულებების გამოკვლევის გარეშე დაეყრდნო ერთ-ერთი მოპასუხის თბილისის საკრებულოს წარმომადგენლის განმარტებას, რომ მოსარჩელე ფ. გ-შვილის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი არ იმყოფებოდა დიღმის ტყე-პარკის ტერიტორიაზე, რაც საქმის მასალებით ერთმნიშვნელოვნად არ მტკიცდება, კერძოდ, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 1995 წლის 22 ივნისის #12.46.512 დადგენილების საფუძველზე ერთი პირის საწარმო «სანს» დაუმაგრდა ქ. თბილისში, ყოფილი საბაზო სანერგის ნაწილი ტერიტორია – მრავალფუნქციური პარკის გასაშენებლად, ხოლო 1997 წელს შემუშავდა და დამტკიცდა პარკის მოწყობის გენერალური სქემა. ქ. თბილისის მთავრობის 2003 წლის 5 ივნისის #38.06.184 დადგენილების თანახმად, ვინაიდან ადგილი ჰქონდა მიწის ნაკვეთების ფუნქციურად არასწორი გასხვისების მცდელობას კერძო ბინათმშენებლობისათვის, ქ. თბილისის არქიტექტურისა და პერსპექტიული განვითარების საქალაქო სამსახურს მიეცა წინადადება, რათა შეჩერებულიყო დიღმის საცხოვრებელ რაიონში ერთი პირის საწარმო «სანისათვის» კულტურისა და დასვენების პარკის მოსაწყობად შეძენილ ტერიტორიაზე ყოველგვარი მშენებლობის პროექტების დამტკიცება და მიწის ნაკვეთების გაცემა. მხედველობაში მისაღები ასევე ის გარემოება, რომ აპელანტი ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახური მიიჩნევდა, რომ ფ. გ-შვილის მიერ შპს «სანისაგან» შეძენილი მიწის ფართი მდებარე ქ. თბილისში, ახმეტელისა და ლუბლიანას ქუჩებს შორის საერთო ფართით 1000 მ² მდებარეობს დიღმის ტყე-პარკის ტერიტორიაზე.

ამრიგად, აღნიშნული გარემოება წარმოადგენდა სადავო საკითხს მხარეთა შორის. შესაბამისად, სასამართლო ვალდებული იყო შესაბამისი დასკვნის გამოტანის წინ სრულყოფილად გამოეკვლია აღნიშნული საკითხი. მესამე პირის შპს «სანის» და მოსარჩელის ფ. გ-შვილის წარმომადგენლის განცხადებით საზოგადოებას აღნიშნული მიწის ნაკვეთი დაუმაგრდა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის კაბინეტის 1995 წლის 22 ივნისის #12.46.512 დადგენილებით, ხოლო 1996 წლის 2 მაისს გაფორმდა ხელშეკრულება მიწის ნაკვეთის იჯარით აღების შესახებ, რომლის თანახმად, ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრა 50 წლით. 1998 წლის 28 ოქტომბერს «ფიზიკური პირებისა და კერძო სამართლის იურიდიული პირების სარგებლობაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო მიწის კერძო საკუთრებად გამოცხადების შესახებ» კანონის მიღების შემდეგ, ამავე კანონის მე-2 მუხლის სა-ფუძველზე, შპს «სანს», რომელიც მიწის ნაკვეთს კანონით გათვალისწინებული წესით ფლობდა, გადაეცა იგი მის საკუთრებაში მას შემდეგ, რაც გადაიხადა მიწის ფართის ერთჯერადი საზღაური და მიწის ფართის ღირებულება. შპს «სანს» სახელმწიფოსგან მითითებული ფართის შეძენის შემდეგ სრული უფლება ჰქონდა ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე გაესხვისებინა იგი. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სასამართლო გასაჩივრებული გადაწყვეტილების მიღებისას ასევე ვალდებული იყო, გამოეკვლია საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვები, რომელიც ერთი პირის საწარმო «სანს» გააჩნდა, გადავიდა თუ არა შემძენზე შპს «სანზე», ხოლო, შემდეგ მოსარჩელე ფ. გ-შვილზე. ამავე დროს სააპელაციო სასამართლო სრულად დაეთანხმა სასამართლოს დასკვნას იმის თაობაზე, რომ გასაჩივრებული ადმინისტრაციული აქტის 2003 წლის 24 ივნისის ქ. თბილისის მთავარი არქიტექტორის #40 ბრძანების მიღებისა და გამოცემის პროცესში, დაირღვა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მთელი რიგი ნორმები, კერძოდ, 53-1 მუხლი, რომლის თანახმად, ყველა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი უნდა შეიცავდეს წერილობით დასაბუთებას, რასაც გასაჩივრებული ბრძანება არ შეიცავს. ამავე მუხლის მე-3 ნაწილი, რომლის თანახმად აქტში მითითებული უნდა იყოს ყველა საკანონმდებლო ან კანონქვემდებარე აქტი, რომლის საფუძველზეც გამოიცა იგი, რაც ასევე არ იქნა დაცული. 95.2 მუხლი, ვინაიდან ადმინისტრაციულმა ორგანომ ადმინისტრაციული წარმოების შესახებ არ აცნობა დაინტერესებულ პირს.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის მოსაზრება, რომ სადავო აქტის გამოცემით არ დარღვეულა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლითა და 95.2 მუხლი მოთხოვნები, ვინაიდან 53-ე მუხლის მე-8 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი შეიძლება გამოიცეს წერილობითი დასაბუთების გარეშე. ამასთან სადავო აქტთან დაკავშირებით სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვის ეტაპზე აპელანტის მიერ ვერ იქნა განმარტებული, მოჰყვა თუ არა დასაბუთების გარეშე მიღებულ აქტს წერილობითი დასაბუთება კანონით დადგენილ ერთკვირიან ვადაში. ასევე ვერ იქნა განმარტებული, უძლოდა თუ არა ამ აქტის მიღებას წინ კანონით დადგენილი

ადმინისტრაციული წარმოება და ჩართული იყო თუ არა მოსარჩელე ფ. გ-შვილი, როგორც დაინტერესებული მხარე.

სააპელაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ სადავო ბრძანება გამოცემულ იქნა საქმის გარემოებათა სრული და ყოველმხრივი შესწავლის, ადმინისტრაციული წარმოების ჩატარებისა და დაინტერესებული პირის მოწვევის გარეშე, შესაბამისად, ფ. გ-შვილის სარჩელი დააკმაყოფილა ნაწილობრივ და სადავო საკითხების გადაწყვეტლად ბათილად ცნო სადავო ადმინისტრაციული აქტი, ხოლო მოპასუხეს ქ. თბილისის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურს დაევალა საქმის გარემოებათა სრული და ყოველმხრივი გამოკვლევის შემდეგ გამოსცეს ახალი ადმინისტრაციული აქტი.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სწორედ ადმინისტრაციულ ორგანოს, დაინტერესებული პირის ადმინისტრაციულ წარმოებაში ჩაბმის გზით ობიექტურად ხელეწიფება ყველაზე უკეთ დაადგინოს საქმის ფაქტობრივი გარემოებები, რომელთა სწორედ შეფასების შემდგომაც მან უნდა გამოსცეს ახალი ადმინისტრაციული აქტი: ქ. თბილისის მთავარი არქიტექტორის 2002 წლის 12 ოქტომბრის #20.637 ბრძანების გაუქმების (თუ არ გაუქმების ან მასში ცვლილებების შეტანის) შესახებ.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ფ. გ-შვილმა და მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილების ძალაში დატოვება, რომლითაც დაკმაყოფილდება მისი სასარჩელო მოთხოვნები, შემდეგი მოტივით:

კასატორმა გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს მოტივაცია იმის თაობაზე, რომ ადმინისტრაციული აქტის მიღებისას დარღვეულ იქნა მთელი რიგი საპროცესო ნორმები, არ იქნა გამოკვლეული საქმისათვის მნიშვნელობის მქონე მთელი რიგი გარემოებანი და გამოთხოვილი დამატებითი მტკიცებულებები სათანადო ორგანოებიდან, კერძოდ, მას შემდეგ, რაც ფ. გ-შვილი 2002 წლის 2 აპრილს სანოტარო წესით დამოწმებული უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე სადავო მიწის ნაკვეთის მესაკუთრედ დარეგისტრირდა საჯარო რეესტრში 2002 წლის 25 აპრილს, სრულიად კანონიერად განხორციელდა მითითებულ მიწის ნაკვეთზე საცხოვრებელი სახლის პროექტის შეთანხმება და მისი დამტკიცება, შესაბამისი მშენებლობის ნებართვის გაცემა. კერძოდ, 2002 წლის 2 ოქტომბრის ბრძანება გამოცემული იყო ყველა პროცესუალური და მატერიალური ნორმის დაცვით, არავის მისი კანონიერება სადავოდ არ გაუხდია, მაშინ, როცა სადავო აქტი მიღებული იყო ყოველგვარი პროცესუალური ნორმების დარღვევით და იყო სრულიად უკანონო. სწორედ იმ მოტივით, რომ გაუქმებულიყო მითითებული ბრძანება, რაც თავისთავად გამოიწვევდა მისთვის სასურველი აქტის მთავარი არქიტექტორის 2002 წლის 2 ოქტომბრის ბრძანების მოქმედების აღდგენას შესაბამისად კი, შესაძლებლობა მიეცემოდა კასატორს ეწარმოებინა სახლის მშენებლობა მითითებული აქტის საფუძველზე.

საკითხთა ის წრე, რომელიც გასაჩივრებული გადაწყვეტილებით გამოუკვლევად და არასრულად იქნა მიჩნეული, ფაქტობრივად გამოკვლეული იყო რაიონული სასამართლოს მიერ. ასევე სასამართლოს მიერ გარკვეული იყო საკითხი იმის შესახებ, იმყოფებოდა თუ არა სადავო ნაკვეთი დიღმის ტყე-პარკის ტერიტორიაზე, რამდენადაც აღნიშნული ნაკვეთი შეეძინა იქნა შპს «სანისგან» რომელსაც გადაცემული ჰქონდა ყოფილი სანერგე მეურნეობის ტერიტორია ჯერ იჯარით, ხოლო, შემდეგ საკუთრების უფლებით. ამასთან, მიუხედავად კასატორის არაერთი მოთხოვნისა, მოპასუხის მიერ არ იქნა წარმოდგენილი რაიმე დოკუმენტი, რომელიც დაადასტურებდა რომ სადავო ტერიტორიას ტყე-პარკის სტატუსი აქვს მინიჭებული.

კასატორის აზრით, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება სადავო საკითხების გადაწყვეტლად აქტის ბათილობისა და მოპასუხისთვის ახალი ადმინისტრაციული აქტის გამოცემის დავალების თაობაზე უმართებულოა, რამდენადაც სადავო საკითხები რაიონული სასამართლოს სტადიაზე საქმის განხილვისას გამოკვლეულია და გადაწყვეტილებაც მითითებულ გამოკვლევის შედეგებს დაეფუძნა, როცა ბათილად იქნა გამოცხადებული სადავო აქტი. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს მიერ გასაჩივრებული გადაწყვეტილების მიღებისას არასწორად იქნა გამოყენებული ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32.4 მუხლი, იმ პირობებში, როცა სადავო საკითხები, რაზეც ამ გადაწყვეტილებაში სასამართლომ მიუთითა უკვე გადაწყვეტილი, გამოკვლეული და განმარტებული იყო რაიონული სასამართლოს მიერ. კასატორს მიაჩნია, რომ კონკრეტულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გამოტანისას უნდა ეხელმძღვანელა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60.1 «დ» მუხლით და ბათილად უნდა ეცნო სადავო ადმინისტრაციული აქტები.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, საკასაციო საჩივრის მოტივების საფუძველიანობის, გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასაბუთებულობა-კანონიერების შემოწმების შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ფრიდონ გ-შვილის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ; უნდა გაუქმდეს თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2005 წლის 14 ივლისის გადაწყვეტილება და საქმე განსახილველად გადაეცეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას შემდეგ გარემოებათა გამო:

გასაჩივრებული გადაწყვეტილის გამოტანისას დარღვეულია მატერიალური და საპროცესო სამართლის ნორმები, კერძოდ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-2 ნაწილი, რადგან სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა და არასწორად განმარტა იგი, რაც გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველია.

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 249-ე მუხლის მე-4 ნაწილის მოთხოვნა, რადგან გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში არ მიუთითა კანონზე, რომლითაც იხელმძღვანელა და რომელზეც დააფუძნა თავისი გადაწყვეტილება, კერძოდ, სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად ცნო რა ქ. თბილისის მთავარი არქიტექტორის 2003 წლის 24 ივნისის #40 ბრძანება და ადმინისტრაციულ ორგანოს დაავალა ახალი ადმინისტრაციული აქტის გამოცემა, არ მიუთითა შესაბამის ნორმაზე. სასამართლოს უფლებამოსილება სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად ცნოს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული ადმინისტრაციული აქტი, განსაზღვრულია საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილით, კერძოდ, აღნიშნული ნორმის თანახმად, თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემულია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის გარემოების გამოკვლევისა და შეფასების გარეშე, იგი უფლებამოსილია, სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად ცნოს იგი და დაავალოს ადმინისტრაციულ ორგანოს ამ გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ გამოსცეს ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. სასამართლო ამ გადაწყვეტილებას იღებს, თუ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობისათვის არსებობს მხარის გადაუდებელი კანონიერი ინტერესი. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულებას წარმოადგენს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებათა გამოკვლევა და სწორედ საქმის გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე უნდა იქნეს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გადაწყვეტილება მიღებული. ზემოაღნიშნული ნორმიდან გამომდინარე, თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ არ გამოიკვლია საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებები და ისე გამოსცა ადმინისტრაციული აქტი, იგი უფლება-მოსილია, სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად ცნოს ინდივიდუალურ-სამართლებრივი ადმინისტრაციული აქტი და დაავალოს შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოს გამოსცეს ახალი აქტი. ამდენად, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის გამოყენების კომპეტენცია სასამართლოს გააჩნია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ინდივიდუალურ-სამართლებრივი ადმინისტრაციული აქტი გამოცემულია საქმის გარემოებათა გამოკვლევის გარეშე, მხოლოდ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით ადმინისტრაციული წარმოებისათვის დადგენილი მოთხოვნათა დაცვით. ვინაიდან სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ სადავო ადმინისტრაციული აქტი გამოიცა კანონმდებლობით დადგენილი პროცედურების დარღვევით, მას არ უნდა ეხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილით, რადგან მითითებული ნორმა გამოიყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაცულია აქტის მომზადებისა და გამოცემის წესი, მაგრამ ადმინისტრაციულმა ორგანომ აქტი გამოსცა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებათა გამოკვლევის გარეშე და თუ ამ დარღვევის არარსებობისას სხვაგვარი გადაწყვეტილება იქნებოდა მიღებული. ამდენად, სააპელაციო სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა და არასწორად განმარტა იგი, რაც გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველია.

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ საქმის ხელახალი განხილვისას და სადავო ინდივიდუალურ-სამართლებრივი ადმინისტრაციული აქტის - ქ. თბილისის მთავარი არქიტექტორის ბრძანების კანონიერების შემოწმებისას თავად უნდა მოიპოვოს დამატებითი ინფორმაცია და მტკიცებულებები, შეაგროვოს ფაქტობრივი გარემოებები საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 და მე-19 მუხლებით მინიჭებული პროცესუალური უფლებამოსილების საფუძველზე, შესაბამისად, უნდა გამოიკვლიოს, დაადგინოს და სათანადო შეფასება მისცეს ფაქტობრივ გარემოებებს იმის თაობაზე, რომ სადავო ადმინისტრაციული აქტის გამოცემისა და მომზადების დროს ჰქონდა თუ არა ადგილი ადმინისტრაციული წარმოების წესების დარღვევას, ასევე საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივ გარემოებას იმის თაობაზე, რომ ფ. გ-შვილის მიერ შპს «სანისაგან» შექმნილი ქ. თბილისში, ახმეტელისა და ლუბლიანას ქუჩებს შორის მდებარე 1000 კვ.მ მიწის ნაკვეთი მდებარეობს თუ არა დიდმის ტყე-პარკის ტერიტორიაზე, რომელზეც საპროექტო დოკუმენტაციის განხილვა-შეთანხმება შეწყვეტილ იქნა ქ. თბილისის მთავრობის 2003 წლის 5 ივნისის #08.06.184 დადგენილებით. ასევე უნდა დადგინდეს, დაედო თუ არა საფუძველად აღნიშნული ქ. თბილისის მთავარი არქიტექტორის სადავო #40 ბრძანებას. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქმის მასალებით სარწმუნოდ არ ირკვევა სადავო მიწის ნაკვეთის კანონით დაცული ტერიტორიისადმი კუთვნილება, ამასთან, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 17.2 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების შემოწმებისას მტკიცების ტვირთი გადატანილია მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოზე, შესაბამისად, აქტის ავტორმა ადმინისტრაციულმა ორგანომ უნდა დაამტკიცოს გასაჩივრებული აქტის კანონიერება და წარადგინოს შესაბამისი მტკიცებულებები, რასაც სააპელაციო სასამართლომ უნდა მისცეს სათანადო სამართლებრივი შეფასება. ამდენად, საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნებს სადავო აქტის პროცედურის დარღვევით გამოცემის თაობაზე, რაც საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის (1999 წლის რედაქცია)

მე-60 მუხლის პირველი ნაწილის «გ» ქვეპუნქტის» თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის საფუძველია. ამასთან, სასამართლომ უნდა გამოიკვლიოს და სათანადოდ შეაფასოს ის გარემოება, რომ ამ ფაქტობრივი გარემოებების გამოკვლევის შედეგები გამოიწვევდა თუ არა სხვაგვარი გადაწყვეტილების მიღებას, რადგან ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადებისა და გამოცემის წესების დარღვევა აქტის ბათილად ცნობის საფუძველია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ასეთი დარღვევების არარსებობისა მოცემულ საკითხზე სხვაგვარი გადაწყვეტილება იქნებოდა მიღებული.

ამდენად, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ მითითებული გარემოებები სათანადოდ უნდა გამოიკვლიოს და შეაფასოს. აღნიშნულთან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორის მოსაზრებას, რომ მითითებული გარემოებები გამოკვლეული იყო პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ, რის გამოც არ არსებობდა მისი გაუქმების საფუძველი, რადგან თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონულმა სასამართლომ მიიჩნია რა დადგენილად ის გარემოება, რომ სადავო მიწის ფართი არ განეკუთვნება დიდის ტყე-პარკის ტერიტორიაზე, არ მიუთითებია აღნიშნულის დამადასტურებელ მტკიცებულებებზე. ამდენად, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ გადაწყვეტილების მიღებისას გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, არასწორად განმარტა იგი, რაც გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველია.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სსსკ-ის 412-ე მუხლის თანახმად, მოცემული საქმე ექვემდებარება ხელახლა არსებით განხილვას, რა დროსაც სააპელაციო სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს ზემოაღნიშნული მითითებები საქმეზე კანონიერი გადაწყვეტილების დადგენის მიზნით, შესაბამისად, ფ. გ-შვილის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, უნდა გაუქმდეს თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2005 წლის 14 ივლისის გადაწყვეტილება და საქმე განსახილველად გადაეცეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2 მუხლით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე, 399-ე, 412-ე მუხლებით და

დაადგინა:

1. ფ. გ-შვილის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2005 წლის 14 ივლისის გადაწყვეტილება და საქმე განსახილველად გადაეცეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას;
3. სასამართლო ხარჯები გადანაწილდეს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების დადგენისას;
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ადმინისტრაციული აქტის ბათილად ცნობის წინაპირობა

განჩინება

№ბს-1626-1200(კ-05)

31 მაისი, 2006 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ნ. ქადაგიძე,

ნ. სხირტლაძე

დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

2004 წლის 24 მაისს გ. ი-ოვმა და გ. მ-ოვმა სასარჩელო განცხადებით მიმართეს მარნეულის რაიონულ სასამართლოს მოპასუხეების - მარნეულის რაიონის სოფ. ... საკრებულოს მდივნის - ჯ. ზ-ოვის, მარნეულის რაიონის გამგეობისა და ა. შ-ოვის მიმართ და მარნეულის რაიონის სოფ. ... საკრებულოს 2004 წლის 12 მაისის #1 ოქმის ბათილად ცნობა, საკრებულოს დეპუტატის უფლებამოსილებისა და სამუშაოზე აღდგენა, საკრებულოს ბეჭდის, გასაღებებისა და ხელყოფილი დოკუმენტების დაბრუნება, აგრეთვე, გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევა მოითხოვეს.

მოსარჩელეთა განმარტებით, ისინი მარნეულის რაიონის სოფ. ... საკრებულოს წევრები იყვნენ, ხოლო გ. ი-ოვი ამავე დროს აღნიშნული საკრებულოს გამგებელიც იყო. 2004 წლის 12 მაისს

მარნეულის რაიონის გამგებლის მოადგილე ტ. გ-ევმა გ. ი-ოვი მარნეულის რაიონის სოფ. ... საკრებულოს დეპუტატებთან ერთად თავისთან დაიბარა, მათ დეპუტატის უფლებამოსილების მოხსნის შესახებ მის მიერვე მომზადებული განცხადებები გადასცა და მუქარით, შანტაჟითა და ფსიქოლოგიური ზეწოლით აიძულა მოსარჩელები, ხსენებულ განცხადებებზე ხელი მოეწერათ. ტ. გ-ევმა იმავე დღეს მარნეულის რაიონის სოფ. ... საკრებულოს მდივანს საკრებულოს ბეჭედი და გასაღებები ჩამოართვა და ა. შ-ოვს ჩააბარა. მოსარჩელებმა აღნიშნულ უკანონობასთან დაკავშირებით, მოიწვიეს დეპუტატები, ამომრჩევლები და მიიღეს გადაწყვეტილება - ტ. გ-ევის მიერ თანამდებობის ბოროტად გამოყენების თაობაზე საოლქო საარჩევნო კომისიისა და მარნეულის რაიონის პროკურატურისათვის მიემართათ. გ. ი-ოვმა და გ. მ-ოვმა მარნეულის რაიონის გამგებელ ა. შ-ძესა და მის მოადგილე ტ. გ-ევს დეპუტატის უფლებამოსილების მოხსნის შესახებ მათი ზეწოლის ქვეშ ხელმოწერილი განცხადებების განადგურება და სამსახურში აღდგენა მოსთხოვეს, თუმცა ისინი უკანონოდ ჩატარებულ სესიაზე, 2004 წლის 12 მაისს გაათავისუფლეს დაკავებული თანამდებობიდან.

მოსარჩელებმა 2004 წლის 10 ივნისს სასამართლოს დაზუსტებული სასარჩელო განცხადებით მიმართეს და სოფ. ... საკრებულოს გამგეობის დეპუტატთა 2004 წლის 12 მაისის სხდომის ოქმის ბათილად ცნობა და ა. შ-ოვის სამუშაო ოთახიდან გამოსახლება მოითხოვეს.

2004 წლის 20 დეკემბერს გ. ი-ოვმა დაზუსტებული სასარჩელო განცხადებით მიმართა მარნეულის რაიონულ სასამართლოს და მოპასუხედ მარნეულის რაიონის სოფ. ... საკრებულო მიუთითა. გ. ი-ოვმა საკრებულოს 2004 წლის 12 მაისის #1 ოქმის ბათილად ცნობა და თანამდებობაზე აღდგენა მოითხოვა. მისი განმარტებით, იგი 2002 წლიდან იყო მარნეულის რაიონის სოფ. ... საკრებულოს წევრი - დეპუტატი და ამავე დროს - საკრებულოს გამგებელი. მოპასუხემ 2004 წლის 12 მაისის #1 ოქმი შეადგინა იმის თაობაზე, თითქოს მარნეულის რაიონის სოფ. ... საკრებულოს სესია ჩატარდა და მოსარჩელები სამსახურიდან იქნენ გათავისუფლებული. მოსარჩელის თქმით, საკრებულოს სესია საერთოდ არ ჩატარებულა, რასაც მოწმეებიც ადასტურებდნენ. ამასთანავე, თუ იგი ჩატარებულად მიიჩნეოდა, მისი მოწვევა და ჩატარება, შესაბამისად, თავმჯდომარისა და ნუმერაციის საკითხი «ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ» საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად უნდა გადაწყვეტილიყო.

მოსარჩელე დამატებით მიუთითებდა, რომ ხსენებულ სესიაზე მისი და გ. მ-ოვის უფლებამოსილების საკითხი ისე გადაწყდა, რომ მათთვის აღნიშნულის შესახებ არ უცნობებიათ, შესაბამისად, საკრებულოს არც «განმცხადებელთა» ახსნა-განმარტება მოუსმენია ამ საკითხზე. მეტიც, ხსენებულ ე.წ. განცხადებებს ადრესატი არ ჰყავდა და არც სადმე იყო რეგისტრირებული, ამდენად, იგი ოფიციალურ განცხადებად არ უნდა მიჩნეულიყო, შესაბამისად, არც მსვლელობა მისცემოდა.

დაზუსტებულ სასარჩელო განცხადებაზე მოპასუხე ა. შ-ოვმა სასამართლოში შესაგებელი წარადგინა და მიუთითა შემდეგზე:

გ. ი-ოვის მიმართ, უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების მოტივით, აღძრული იყო სისხლის სამართლის საქმე და მისი განხილვა საოლქო სასამართლოში მიმდინარეობდა. აღნიშნულ საქმეზე საპროცესო შეთანხმება იქნა მიღწეული, რაც გულისხმობდა, რომ ბრალდებულმა - გ. ი-ოვმა დანაშაული აღიარა.

მოპასუხე უსაფუძვლოდ მიიჩნევდა გ. ი-ოვის მტკიცებას იმის შესახებ, თითქოს განცხადების დაწერა მუქარისა და ზეწოლის შედეგად მოხდა და განმარტავდა, რომ აღნიშნულის თაობაზე მოსარჩელეს რაიონის პროკურატურისათვის არ მიუმართავს, რაც აღნიშნული ფაქტის უსაფუძვლობას მოწმობდა.

ა. შ-ოვის განმარტებით, სოფ. ... საკრებულოს 2004 წლის 12 მაისის #1 ოქმი შედგენილი იყო კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით და მისი ბათილად ცნობის საფუძველი არ არსებობდა, კერძოდ: «ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ» ორგანული კანონის 22.5 მუხლის «ა» ქვეპუნქტის თანახმად, საკრებულოს წევრს პირადი განცხადებით უწყდება უფლებამოსილება. ამავე კანონის 22.6 მუხლის შესაბამისად, საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხს საკრებულო იღებს ცნობად. საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საფუძველად «ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს წევრის სტატუსის შესახებ» კანონის 6.1 მუხლის «ა» ქვეპუნქტი მის მიმართ გამამტყუნებელი განჩინების კანონიერ ძალაში შესვლას უთითებს. ა. შ-ოვის თქმით, გ. ი-ოვის მიმართ ზემოხსენებული ყველა გარემოება არსებობდა, შესაბამისად, კანონიერი იყო მისი უფლებამოსილების შეწყვეტაც.

მოპასუხემ მიიჩნია, რომ სარჩელი არასათანადო მოპასუხეების მიმართ იყო შეტანილი, რაც მის სარჩელზე უარის თქმის საფუძველს იძლეოდა.

მარნეულის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 9 მარტის განჩინებით დაკმაყოფილდა მარნეულის რაიონის სოფ. ... საკრებულოს დეპუტატ რ. გ-ოვის განცხადება და იგი მოცემულ საქმეში დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე მესამე პირად ჩაება.

2005 წლის 25 მარტს ყ. მ-ოვმა დაზუსტებული სასარჩელო განცხადებით მიმართა მარნეულის რაიონულ სასამართლოს და საბოლოოდ მარნეულის რაიონის სოფ. ... საკრებულოს 2004 წლის 12 მაისის სესიის #1 ოქმის ბათილად ცნობა და თანამდებობაზე აღდგენა, აგრეთვე გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევა მოითხოვა.

მარნეულის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 1 აპრილის გადაწყვეტილებით გ. ი-ოვისა და გ. მ-ოვის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; ბათილად იქნა ცნობილი მარნეულის რაიონის სოფ. ...

საკრებულოს 2004 წლის 12 მაისის #1 ოქმი; მარნეულის რაიონის სოფ. ... საკრებულოს საკრებულოს დეპუტატის უფლებამოსილების შეწყვეტისა და საკრებულოს თავმჯდომარეობიდან გ. ი-ოვის გადადგომის შესახებ გ. ი-ოვისა და გ. მ-ოვის განცხადებების განხილვა და გადაწყვეტა დაევალა; მოსარჩელებს გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულებაზე უარი ეთქვათ.

რაიონულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ მარნეულის რაიონის სოფ. ... საკრებულოს 204 წლის 12 მაისის სესია მოწვეულ და ჩატარებულ იქნა «ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ» ორგანული კანონის 15.2 და 16.4 მუხლების მოთხოვნათა დარღვევით. აღნიშნულ სესიაზე დაამტკიცეს საოლქო საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილებები - ყ. მ-ოვისათვის სადეპუტატო უფლებამოსილების შეწყვეტისა და მარნეულის რაიონის სოფ. ... საკრებულოს წევრებად (კრებას თავმჯდომარეობდა აღნიშნული საკრებულოს წევრი ა. ბ-ოვი) ა. შ-ოვისა და რ. გ-ოვის დამტკიცების შესახებ. დაირღვა, აგრეთვე, «ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს წევრის სტატუსის შესახებ» საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მოთხოვნა საკრებულოს წევრის განცხადებით მისი უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ, ვინაიდან აღნიშნულ საკითხზე გადაწყვეტილება უნდა მიეღო მარნეულის რაიონის სოფ. ... საკრებულოს, რაც მას არ გაუკეთებია.

რაიონული სასამართლოს მოსაზრებით, მოსარჩელეთა სამუშაოზე აღდგენის მოთხოვნას ვერ დააკმაყოფილებდა, რამდენადაც ეს საკითხი საკრებულოს ფაქტობრივად არ განუხილავს და არ გადაუწყვეტია. სასამართლომ კი მტკიცება იმის შესახებ, რომ მოსარჩელეთა მიერ განცხადებების დაწერა მუქარისა და ზეწოლის შედეგად მოხდა, არ გაიზიარა, ვინაიდან საკრებულოს წევრის თანამდებობა არ არის დანიშნითი, იგი არჩევითია, არავის ემორჩილება და არავინ იყო უფლებამოსილი, აღნიშნული იძულება განეხორციელებინა.

მარნეულის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 1 აპრილის გადაწყვეტილება მარნეულის რაიონის სოფ. ... საკრებულოს გამგებელმა ა. შ-ომ საპელაციო წესით გაასაჩივრა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა. აპელანტის თქმით, მოსარჩელეთა სამუშაოდან გათავისუფლება განხორციელდა კანონის მოთხოვნათა დაცვით, მათი განცხადებების საფუძველზე, მათზე ყოველგვარი ზეწოლისა და მუქარის გარეშე. მისივე თქმით, მოსარჩელებს განცხადება რომ არც დაეწერათ უფლებამოსილების შეწყვეტის თაობაზე, აღნიშნული შედეგი მაინც დადგებოდა, ვინაიდან საკრებულოს წევრის მიმართ კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენი წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტას თავისთავად გამოიწვევდა.

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2005 წლის 26 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ა. შ-ოვის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; გაუქმდა მარნეულის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 1 აპრილის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც გ. ი-ოვისა და გ. მ-ოვის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ გ. ი-ომ და გ. მ-ომ სასარჩელო განცხადებით მოითხოვეს მარნეულის რაიონის სოფ. ... საკრებულოს 2004 წლის 12 მაისის #1 ოქმის ბათილად ცნობა, საკრებულოს დეპუტატის უფლებამოსილებისა და სამუშაოზე აღდგენა, საკრებულოს ბეჭდის, გასაღებებისა და ხელყოფილი დოკუმენტების დაბრუნება და გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევა. მოსარჩელებმა სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების სამართლებრივ საფუძველად საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60.1 მუხლის «დ» ქვეპუნქტზე (იმ დროს მოქმედი რედაქციით), «ადგილობრივი თვითმმართველობის და მმართველობის შესახებ» ორგანული კანონის 16.2 მუხლსა და მე-17 მუხლზე მიუთითეს.

სააპელაციო პალატის მოსაზრებით, მარნეულის რაიონის სოფ. ... საკრებულოს 2004 წლის 12 მაისის #1 ოქმი არ წარმოადგენდა ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს და, შესაბამისად, სასარჩელო მოთხოვნა აღნიშნული ოქმის ბათილად ცნობის თაობაზე მოკლებული იყო საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60.1 მუხლის «დ» ქვეპუნქტით გათვალისწინებულ სამართლებრივ საფუძველს და არ უნდა დაკმაყოფილებულიყო.

სააპელაციო სასამართლომ აქვე მიუთითა, რომ მარნეულის რაიონულმა სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა («ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ» საქართველოს ორგანული კანონის მე-19 და 31.3 მუხლები), გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა («ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ» საქართველოს ორგანული კანონის მე-15 და მე-16 მუხლები) და არასწორად განმარტა კანონი («ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს წევრის სტატუსის შესახებ» საქართველოს კანონის მე-6 მუხლი).

სასამართლოს მტკიცებით, მარნეულის რაიონის სოფ. ... საკრებულოს 2004 წლის 12 მაისის #1 ოქმით საკრებულოს სესიაზე დამსწრე წევრების მიერ გ. ი-ოვისა და გ. მ-ოვის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ რაიმე გადაწყვეტილების მიღება არ დასტურდებოდა. მარნეულის რაიონის სოფ. ... საკრებულოს 2004 წლის 12 მაისის #1 ოქმის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტად მიჩნევის შემთხვევაშიც კი, მოსარჩელეთა სასარჩელო მოთხოვნა თანამდებობაზე აღდგენის შესახებ მოკლებული იქნებოდა სამართლებრივ საფუძველს, ვინაიდან თბილისის საოლქო სასამართლოს სისხლის

სამართლის საქმეთა კოლეგიის 2004 წლის 12 ივლისის კანონიერ ძალაში შესული განჩინებით გ. მ-ოვი ცნობილ იქნა დამნაშავედ სისხლის სამართლის კოდექსის 342.1 მუხლით, ხოლო ამავე კოლეგიის 2005 წლის 24 მარტის განჩინებით დამტკიცდა საპროცესო შეთანხმება, რომლითაც გ. ი-ოვი ცნობილ იქნა დამნაშავედ სისხლის სამართლის კოდექსის 332.1 მუხლით, ამასთან, გ. ი-ოვს მიესაჯა ჯარიმა და ჩამოერთვა თანამდებობის დაკავების უფლება 6 თვის ვადით. სასამართლოს განმარტებით, გ. ი-ოვსა და გ. მ-ოვს აღნიშნული განჩინების კანონიერ ძალაში შესვლის შედეგად, «ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ» საქართველოს ორგანული კანონის 6.1 მუხლის «გ» ქვეპუნქტის თანახმად, თავისთავად შეუწყდათ საკრებულოს წევრის უფლებამოსილება, რაც მათი სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებას გამოიწვავდა.

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2005 წლის 26 ოქტომბრის გადაწყვეტილებით გ. ი-ოვმა და გ. მ-ოვმა საკასაციო წესით გაასაჩივრეს, გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვეს.

კასატორთა განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 249.4 მუხლი - გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში არ მიუთითა კანონზე, რომლითაც იხელმძღვანელა, აგრეთვე, არასწორად მიიჩნია, რომ მარნეულის რაიონის სოფ. ... საკრებულოს 2004 წლის 12 მაისის #1 ოქმი არ წარმოადგენდა ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს და შესაბამისად, სასარჩელო მოთხოვნა აღნიშნული ოქმის ბათილად ცნობის თაობაზე მოკლებული იყო საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60.1 მუხლის «დ» ქვეპუნქტით გათვალისწინებულ სამართლებრივ საფუძველს. სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, კერძოდ, «ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ» საქართველოს ორგანული კანონის 19.3 მუხლი, რომელიც საკრებულოს სხდომის ოქმს შეეხება და ადგენს, რომ საკრებულოს სხდომის ოქმი ადმინისტრაციული დოკუმენტაციისათვის დადგენილ მოთხოვნებს უნდა შეესაბამებოდეს, ეს მოთხოვნები კი სწორედ რომ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მიხედვითაა დადგენილი.

კასატორები მიუთითებენ, რომ სააპელაციო სასამართლომ დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 248-ე მუხლის მოთხოვნაც გადაწყვეტილების ფარგლების შესახებ, რადგან კიდევ ერთხელ იმსჯელა და არ დააკმაყოფილა სარჩელი ამ ნაწილში, რომელიც უკვე კანონიერ ძალაში იყო შესული. ამასთან, სააპელაციო სასამართლომ დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლი, კერძოდ, არ გამოიკვლია და არ შეაფასა, თუ რამდენად შეესაბამებოდა კანონს მარნეულის რაიონის სოფ. ... საკრებულოს 2004 წლის 12 მაისის #1 ოქმი, რამდენადაც აღნიშნული ოქმის შედგენით დარღვეული იყო «ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ» საქართველოს ორგანული კანონის მოთხოვნები.

კასატორის განმარტებით, მათ მიერ გამხდარი ოქმის ბათილად ცნობის თაობაზე სასარჩელო მოთხოვნას არავითარი კავშირი არ აქვს თბილისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2004 წლის 12 ივლისისა და 2005 წლის 24 მარტის კანონიერ ძალაში შესულ განჩინებებთან, ამდენად, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ერთ-ერთ საფუძველად მათზე მითითება უკანონო იყო.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2006 წლის 9 იანვრის განჩინებით გ. ი-ოვისა და გ. მ-ოვის საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში, ხოლო ამავე წლის 15 მარტის განჩინებით იგი დაშვებულ იქნა განსახილველად.

სამოტივაციო ნაწილი:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა გაეცნო საქმის მასალებს, შეამოწმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობა, წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მიიჩნევს, რომ გ. ი-ოვის და გ. მ-ოვის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და უცვლელად დარჩეს თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა პალატის 2005 წლის 26 ოქტომბრის გადაწყვეტილება შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა სასამართლოსათვის და ვინაიდან კასატორის მიერ წამოყენებული არ არის დამატებითი და დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია, დადგენილად მიიჩნევა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

გ. ი-ოვი და გ. მ-ოვი სარჩელით მოითხოვდნენ მარნეულის რაიონის სოფ. ... საკრებულოს 2004 წლის 12 მაისის #1 სხდომის ოქმის ბათილად ცნობასა და სამუშაოზე აღდგენას იმ საფუძველზე, რომ მათ მიერ უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ განცხადება დაწერილი იყო მუქარისა და შანტაჟის შედეგად და იგი მათ ნამდვილ ნებას არ შეესაბამებოდა. მარნეულის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 1 აპრილის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ: ბათილად იქნა

ცნობილი სოფ. ... საკრებულოს სდომის ოქმი იმ მოტივით, რომ მისი მოწვევა და ჩატარება «ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ» ორგანული კანონის მოთხოვნათა დარღვევით განხორციელდა. მაგრამ სასამართლომ არ გაიზიარა და დაუსაბუთებლად მიიჩნია ის გარემოება, რომ მოსარჩელეთა მიერ განცხადებების დაწერისას მათი ნამდვილი ნება გამოვლენილი არ ყოფილა და აღნიშნული ზეწოლისა და მუქარის შედეგს წარმოადგენდა. ამავე გადაწყვეტილებით საკითხის გადაწყვეტლად, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32.4 მუხლის შესაბამისად, მოსარჩელეთა შრომითი მოწყობის საკითხზე სოფ. ... საკრებულოს გადაწყვეტილების მიღება დაევალა. აღნიშნული გადაწყვეტილება მოსარჩელე გ. ი-ოვსა და გ. მ-ოვს არ გაუსაჩივრებიათ, მასზე სააპელაციო საჩივარი მხოლოდ მოპასუხე მარნეულის რაიონის სოფ. ... საკრებულოს გამგებელმა ა. შ-ოვმა წარადგინა.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ იგი არ არის უფლებამოსილი იმსჯელოს კასატორების მტკიცებაზე იმის შესახებ, რომ მათ მიერ განცხადებების დაწერა იძულებისა და ზეწოლის შედეგად მოხდა, ვინაიდან, როგორც აღვნიშნეთ, მარნეულის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 1 აპრილის გადაწყვეტილებით სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ რაიმე სახის ზეწოლა ან იძულება არ დასტურდებოდა. მოსარჩელეთა მიერ გადაწყვეტილება არ გასაჩივრებულა და იგი ამ ნაწილში შესულია კანონიერ ძალაში. დამატებით აღსანიშნავია, რომ, მიუხედავად სოფ. ... საკრებულოს 2004 წლის 14 მაისის სხდომაზე გ. ი-ოვის განმარტებისა, რომ იგი რაიონის ხელმძღვანელობის მიერ მათ მიმართ ზეწოლისა და იძულების ფაქტზე შესაბამისი რეაგირებისათვის პროკურატურას მიმართავდა, აღნიშნულ განცხადებას მსვლელობა არ მისცემია, უცნობია, მოსარჩელებმა აღნიშნული მოთხოვნით სამართალდამცავ ორგანოებს მიმართეს თუ არა. ამდენად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404.1 და 407.1 მუხლების შესაბამისად, საკასაციო სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას, საკასაციო საჩივრის ფარგლებს გასცდეს და იმსჯელოს იმ საკითხზე, რაც სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით განხილვის საგანი არ ყოფილა.

საქმეში წარმოდგენილია ასევე მოსარჩელეთა მიმართ სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილი განაჩენები, კერძოდ, თილისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიამ 2005 წლის 24 მარტს განიხილა ბრალდებულ გ. ი-ოვის საქმე, რომლითაც იგი ცნობილ იქნა დამნაშავედ სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე მუხლის პირველი ნაწილით (სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება) და მიესაჯა ჯარიმა, ამავე განაჩენით დამტკიცდა საპროცესო შეთანხმება და მას ექვსი თვის ვადით თანამდებობის დაკავების უფლება ჩამოერთვა. ამავე კოლეგიის 2004 წლის 12 ივლისის განაჩენით გ. მ-ოვი ცნობილ იქნა დამნაშავედ სისხლის სამართლის კოდექსის 342-ე მუხლის პირველი ნაწილის (სამსახურებრივი გულგრილობა) შესაბამისად და მიესაჯა ჯარიმა, ამასთან, აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდა გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ ხელწერილი, ხოლო თბილისის საოლქო სასამართლოს 2004 წლის 28 დეკემბრის განაჩენით განხილულ იქნა სოფ. ... საკრებულოს ყოფილი მდივნის - ჯ. ზ-ოვის ბრალდების საქმე, იგი ცნობილ იქნა დამნაშავედ სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე მუხლის პირველი ნაწილის (სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება) თანახმად ჩადენილი დანაშაულისათვის და ჯარიმა მიესაჯა. ამასთან, ამავე განაჩენით დამტკიცდა საპროცესო შეთანხმება.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს კანონისმიერ დათქმას იმის შესახებ, რომ საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის პირობად მიჩნეულია დეპუტატის მიმართ კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის არსებობა («ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ» ორგანული კანონის 22.5 მუხლის «გ» ქვეპუნქტი, «ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს წევრის სტატუსის შესახებ კანონის 6.1 მუხლის «გ» ქვეპუნქტი), ხოლო ის გარემოება, რომ გ. ი-ოვის და გ. მ-ოვის მიმართ სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილია გამამტყუნებელი განაჩენები და ისინი შესულია კანონიერ ძალაში, უდავოდ დასტურდება საქმის მასალებით.

საქმის მასალებით დადგენილია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებებიც: 2002 წლის 20 ივნისს შედგა სოფ. ... სოფლის საკრებულოს I ყრილობის I სესია, რომელსაც ესწრებოდნენ ახლად არჩეული დეპუტატები: გ. ი-ოვი, ჯ. ზ-ოვი, გ. მ-ოვი, ა. ბ-ოვი, მ. ა-ევი. ამავე სხდომაზე საკრებულოს თავმჯდომარედ დეპუტატი გ. ი-ოვი, ხოლო მდივნად ამავე საკრებულოს დეპუტატი ჯ. ზ-ოვი იქნენ არჩეული. სოფ. ... საკრებულოს სესიის 2004 წლის 12 მაისის #1 სხდომაზე განხილულ იქნა საკრებულოს ყოფილი წევრების: გ. ი-ოვისა და გ. მ-ოვის პირადი განცხადებები უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის თაობაზე. ამასთან, საკრებულომ დაადგინა, რომ საოლქო საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილებით სოფ. ... სოფლის საკრებულოს დეპუტატობის უფლებამოსილება ენიჭებოდათ კანდიდატობის შემდეგ წევრებს: რ. გ-ოვსა და ა. შ-ოვს, რის შედეგადაც 2004 წლის 12 მაისისათვის საკრებულოს წევრები გახდნენ: 1. ა. შ-ოვი, 2. ჯავანში ზ-ოვი, 3. ა. ბ-ოვი, 4. რ. გ-ოვი, 5. მაგამედ ალუგილიევი. ამავე სხდომაზე სოფ. ... საკრებულოს თავმჯდომარედ ა. შ-ოვი აირჩიეს.

საკასაციო სასამართლო სრულად იზიარებს კასატორების მოსაზრებას, რომ გასაჩივრებული 2004 წლის 12 მაისის საკრებულოს სხდომის ოქმი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს წარმოადგენდა. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 2.1 მუხლის «დ» ქვეპუნქტის შესაბამისად, ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად მიიჩნევა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემული ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი,

რომელიც აწესებს, ცვლის, წყვეტს ან ადასტურებს პირის ან პირთა შეზღუდული წრის უფლებებსა და მოვალეობებს. ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად ჩაითვლება აგრეთვე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება მის უფლებამოსილების მიკუთვნებული საკითხის დაკმაყოფილებაზე განმცხადებლისათვის უარის თქმის შესახებ, ასევე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული ან დადასტურებული დოკუმენტი, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს სამართლებრივი შედეგები. საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ სოფ. ... საკრებულოს სხდომაზე 2004 წლის 12 მაისს განხილული იყო რამდენიმე საკითხი, კერძოდ, გ. ი-ოვისა და გ. მ-ოვის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ პირადი განცხადებები და მათ ნაცვლად საკრებულოს წევრებად ა. შ-ოვისა და რ. გ-ოვის დამტკიცება. ამდენად, უდავოდ დასტურდება ის ფაქტი, რომ 2004 წლის 12 მაისის სხდომის ოქმმა ხსენებულ პირთა მიმართ გამოიწვია სამართლებრივი შედეგი და მოსარჩელეთა უფლებამოსილების შეწყვეტასთან ერთად საკრებულოს წევრობის ორ კანდიდატს დეპუტატის უფლებამოსილება მიანიჭა. ამასთან, საგულისხმოა, რომ «ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ» ორგანული კანონის 1.2 მუხლის შესაბამისად, თვითმმართველი ერთეული განისაზღვრება როგორც საქართველოს კანონმდებლობით რეგისტრირებული ადმინისტრაციული ერთეული, რომელსაც აქვს თვითმმართველობის ორგანო. იგი საჯარო სამართლის იურიდიულ პირს წარმოადგენს, რომლის წარმომადგენლობითი ორგანოა საკრებულო, ხოლო აღმასრულებელი - გამგეობა (მთავრობა). ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სახეზეა ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ყველა ელემენტი: იგი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული (საჯარო) კანონმდებლობის შესაბამისადაა გამოცემული და «პირთა შეზღუდული წრის» მიმართ სამართლებრივ შედეგს იწვევს. საკასაციო სასამართლო აქვე ნიშანდობლივად მიიჩნევს აღნიშნულს, რომ «ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ» ორგანული კანონის 19.3 მუხლის თანახმად, საკრებულოს სხდომის ოქმი უნდა შესაბამებოდეს ადმინისტრაციული დოკუმენტაციისათვის დადგენილ მოთხოვნებს. «საქმისწარმოების ერთიანი წესები» დამტკიცებულია საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 1 ივლისის #414 ბრძანებულებით, რომლის მე-20 მუხლი კოლექტიური ორგანოების სხდომებზე საკითხთა განხილვისა და გადაწყვეტილებათა მიღების ოქმში შეტანის წესსა და პირობებს ეხება.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს «ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ» ორგანული კანონის 22.1 მუხლზე რომლის შესაბამისადაც, საკრებულოს წევრის უფლებამოსილება იწყება მისი უფლებამოსილების ცნობის დღიდან და მთავრდება ახლად არჩეული საკრებულოს პირველი შეკრებისთანავე ან საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტისთანავე. ამავე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საკრებულოს წევრს უფლებამოსილება ვადამდე შეუწყდება, თუ პირადი განცხადებით მოეხსნა უფლებამოსილება («ა» ქვეპუნქტი). საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხს საკრებულოს იღებს ცნობად (22.6 მუხლი). ზემოაღნიშნულს ითვალისწინებს «ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს წევრის სტატუსის შესახებ» კანონის 6.1 მუხლის «ა» ქვეპუნქტიც.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ 2004 წლის 12 მაისის სხდომაზე საკრებულოს ჰქონდა უფლება, განეხილა გ. ი-ოვისა და გ. მ-ოვის განცხადებები უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ, ვინაიდან აღნიშნული მის კომპეტენციას წარმოადგენდა, ხოლო, რაც შეეხება კასატორის მტკიცებას, რომ ამ საკითხზე საკრებულოს წევრებს კენჭისყრა არ ჩაუტარებიათ და გადაწყვეტილება არ მიუღიათ, სასამართლო კანონდარღვევად ვერ მიიჩნევს, რადგან, როგორც აღინიშნა, დეპუტატის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ საკრებულოს წევრის პირადი განცხადება მიიღება ცნობად, ვინაიდან აღნიშნული პირად უფლებას წარმოადგენს დ მასზე კენჭისყრა რაიმე განსხვავებულ შედეგს ვერ გამოიწვევს.

საკასაციო სასამართლო, მართალია, ეთანხმება კასატორის მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ სოფ. ... საკრებულოს სხდომის მოწვევისა და ჩატარებისას ადგილი ჰქონდა კანონით დადგენილი მოთხოვნების დარღვევებს, მაგრამ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი (დღეს მოქმედი რედაქციით) მე-60¹ მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის საფუძველს შეიძლება წარმოადგენს ის გარემოება, თუ აქტი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები. ამავე მუხლის მე-2 ნაწილი არსებით დარღვევად მიიჩნევს კანონის ისეთ დარღვევას, რომლის არარსებობის შემთხვევაში მოცემულ საკითხზე მიღებული იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილება. მოცემული ნორმის საფუძველზე, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სოფ. ... საკრებულოს 2004 წლის 12 მაისის #1 სხდომის მოწვევისა და ჩატარებისას ისეთი სახის არსებით დარღვევას არ ჰქონია ადგილი, რომელიც მის ბათილად ცნობის საფუძველს წარმოშობდა. ამრიგად, ადმინისტრაციული აქტის ბათილად ცნობის ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი წინაპირობა არ არსებობს.

საკასაციო სასამართლო ასევე ვერ გაიზიარებს კასატორთა მოსაზრებას იმის თაობაზეც, რომ 2004 წლის 12 მაისს საკრებულოს ახალი წევრების ჩანაცვლება კანონდარღვევით მოხდა და განმარტავს შემდეგს: სადავო ოქმით დასტურდება, რომ სხდომას ესწრებოდა და მოხსენება წარმოადგინა საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ, რომელმაც აღნიშნა. რომ სოფ. ... საკრებულოს წევრების: გ. ი-ოვისა და გ. მ-ოვის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ მათი პირადი

განცხადებების საფუძველზე, საოლქო საარჩევნო კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება სოფ. ... საკრებულოს ახალი წევრებისათვის უფლებამოსილების მინიჭების თაობაზე, ხოლო ის გარემოება, რომ ახალი წევრები გახდნენ კანდიდატობის მე-6 და მე-9 ნომრები, განპირობებული იყო იმით, რომ მათ წინა ნომრად დარეგისტრირებულმა კანდიდატებმა: ტ. დ-ევმა და ტ. ტ-ოვმა საკრებულოს წევრის უფლებამოსილებაზე უარი განაცხადეს. ამდენად, მოცემულ შემთხვევაში კანონდარღვევას ადგილი არ ჰქონია.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სოფ. ... საკრებულოს 2004 წლის 12 მაისის სხდომის ოქმის ბათილად ცნობის კანონისმიერი საფუძველი არ არსებობს, რის გამოც გ. ი-ოვისა და გ. მ-ოვის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და უცვლელად დარჩეს გასაჩივრებული 2005 წლის 26 ოქტომბრის გადაწყვეტილება.

სარეზოლუციონაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

დაადგინა:

1. გ. ი-ოვისა და გ. მ-ოვის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა პალატის 2005 წლის 26 ოქტომბრის გადაწყვეტილება დარჩეს უფლელად;
3. კასატორებს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დაეკისროთ სახელმწიფო ბაჟის - 50 ლარის გადახდა თანაბარწილად;
4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.